

გამონათვის თავისუფლება

პირველი ტომი

გამონათვის თავისუფლება
აშშ-სა და ევროპაში

თავისუფლების ინსტიტუტი

თბილისი 2005

ეს გამოცემა თავისუფლების ინსტიტუტმა განახორციელა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ თავისუფლების ინსტიტუტი აგებს პასუხს ამ გამოცემის შინაარსზე. მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ პოზიციას.



ავტორთა ჯგუფი:

მაია ოქრუაშვილი
ირაკლი კოტეტიშვილი

რედაქტორი:

თამარ კინწურაშვილი

სტილის რედაქტორები:

ია ანთაძე
ხათუნა კვესელავა

კორექტორი:

დალი ცქიტიშვილი

დიზაინერი:

ბესიკ დანელია

ISBN 99940-714-2-4
99940-714-3-2

**„მხოლოდ კანონმდებლობა ვერ
დაიცავს გამოსატვის თავისუფლებას.
იმისათვის, რომ ყოველმა ადამიანმა
უსაფრთხოდ გამოთქვას საკუთარი
შეხედულება, საჭიროა,
საზოგადოება იყოს შემწყნარებელი“.**

ალბერტ აინშტაინი

იქ, სადაც გააზრებული და გათავისებულია გამოსატვის თავისუფლების ჭეშმარიტი ღირებულება, სადაც ლიბერალური ფასეულობები საკანონმდებლო გარანტიებითაა უზრუნველყოფილი და ადამიანთა უფლებებს იცავს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო... საზოგადოებას წარმატების და განვითარების პერსპექტივა უდავოდ აქვს.

გამოსატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია, რადგან ამ უფლების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სხვა უფლებათა რეალიზაცია.

ზედმეტია საუბარი იმ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე, სადაც ადამიანებს არა აქვთ თვითგამოსატვის

შესაძლებლობა, თავისუფალი პრესა, პროტესტის თავისუფლება, ხმის უფლება. ამ ფუნდამენტურ უფლებათა დაცვას ბევრი ქვეყანა არა მხოლოდ დეკლარირებისა თუ კანონშემოქმედებითი გზით (კონსტიტუცია, კონვენცია, საკანონმდებლო აქტები) ახდენს, არამედ პრაქტიკულადაც ახორციელებს, რადგან გამოხატვის თავისუფლების კონცეფცია ცივილიზებულ დემოკრატიებში გარედან თავსმოხვეულ ვალდებულებად არ აღიქმება.

საზოგადოებამ, მისმა ყოველმა წევრმა ზუსტად უნდა გაიაზროს ერთი უბრალო ჭეშმარიტება: მხოლოდ წარმატებული საზოგადოება შეიძლება გახდეს წარმატებული სახელმწიფოებრიობის საფუძველი. წარმატებულ სახელმწიფოდ შეიძლება ჩაითვალოს ის სახელმწიფო, რომელიც მოქალაქეზეა ორიენტირებული, ემსახურება მის ინტერესს და არა პირიქით. იქ, სადაც დარღვეულია კავშირი სახელმწიფოსა და მოქალაქის პიროვნულ ინტერესებს შორის, ერთადერთი შედეგი ტოტალიტარიზმია. ამ საფრთხის უტყუარი ინდიკატორი კი სწორედ გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი სახით შეზღუდვაა.

აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა სივრცის ბევრმა ქვეყანამ კონსტიტუციით აღიარა აზრისა და გამოხატვის თავისუფლება; როგორც ევროსაბჭოს წევრმა ქვეყანამ, საკუთარი კანონმდებლობა ევროპულ ნორმებთან შესაბამისობაში მოიყვანა... თუმცა, მიუხედავად ამ ნაბიჯებისა, ყველამ როდი შეძლო იმ რეალობის გადაფასება, რომელსაც წლების განმავლობაში საბჭოთა სისტემა ასაზრდოებდა. გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც ტრადიციული დემოკრატიებიდან ბევრი რამ გადმოიღეს, მათ შორის, საკანონმდებლო ნორმები და ინსტიტუციონალური მოდელები, დღესდღეობით ყველაზე მწვავე პრობლემად ისევ ძველსა და ახალ მსოფლმხედველობებს შორის კონფლიქტი რჩება.

ეს კონფლიქტი თავს არა მარტო ინსტიტუციონალურ, არამედ პიროვნულ დონეზეც იჩენს. იქ, სადაც ხდება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან და თავისუფლებებთან გაუცხოება, მკვიდრდება კლანურობა და პროტექცი-

ონიზმი. ამ ტენდენციათა გაღრმავება პირდაპირ კავშირშია პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების მცირე ჯგუფების ხელში კონცენტრაციასთან. კლანური მმართველობის „სიკეთე“ პოსტ საბჭოურმა სივრცემ, კერძოდ, საქართველომ უკვე ბოლომდე იწვნია.

სახეზეა სამართლებრივი ტრადიციის დეფიციტიც. ტრადიციის შექმნა კი შეუძლებელია საზოგადოებისა და ხელისუფლების მხრიდან ღირებულებების გადაფასებისა და ეფექტური ინსტიტუტების შექმნის გარეშე.

როგორ შეიქმნა ეს ტრადიცია ცივილიზებულ დემოკრატიებში? როგორი ასახვა ჰპოვა საუკუნის წინ შობილმა „იდეათა თავისუფალი ბაზრის“ კონცეფციამ ამერიკულ სასამართლო პრაქტიკაზე? რამდენად ფართოა ის გარანტიები, რომელთაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გამოხატვის თავისუფლებას ანიჭებს? დაბოლოს, ვართ თუ არა ჩვენ რეალურად იმ ევროპული სამართლებრივი სივრცის ნაწილი, რომელსაც ფორმალურად 1999 წელს, ევროპის საბჭოში განეწინაურების შედეგად მივუერთდით? – ამ შეკითხვებზე პასუხს წინამდებარე ორტომეულში იშვით და ალბათ, თავადაც შეაფასებთ იმას, თუ რამდენად არის დაცული ლიბერალური ფასეულობები დღევანდელ საქართველოში.

მოცემული სახელმძღვანელო, რომელიც მომავალი და მოქმედი ჟურნალისტებისთვის, მოსამართლეებისა და ადვოკატებისთვისაა განკუთვნილი, ღირებულია იმ მხრივ, რომ მოიცავს ქართული სასამართლოების მიერ გამოხატვის თავისუფლების სფეროში ბოლო რვა წლის განმავლობაში განხილულ გადაწყვეტილებებსა და მათ ანალიზს, რაც საქართველოში ამ ტიპის საქმეების მონაცემთა ბაზის შექმნის პირველი მცდელობაა. სახელმძღვანელო ასევე მოიცავს კომენტარებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ ახლადმიღებულ კანონზე, რომელიც დასავლურ სტანდარტებზეა დაფუძნებული და ამერიკულ და ევროპულ სამართალში არსებულ დემოკრატიულ ნორმებს ასახავს. ეს ნაშრომი ამერიკული, ევროპული და ქართული გამოცდილების შედარების და რაც ყველაზე მთავარია,

იმის გააზრების საშუალებას იძლევა, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის გამოხატვის თავისუფლების დაცვა როგორც კანონმდებლობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების, ასევე საზოგადოების მხრიდან.

ზურაბ ადეიშვილი

საქართველოს გენერალური პროკურორი

პარი I	
გამოხატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში	13
თავი I	
გამოხატვის თავისუფლება ამერიკის შეერთებულ შტატებში	15
<i>მაიკო ოქრუაშვილი</i>	
ზოგადი პრინციპები	15
ძირითადი პრინციპები	21
პირველი შესწორების მოდელები	31
პირველი შესწორების მეთოდოლოგია	37
პირველი შესწორების ზოგიერთი პრობლემატური საკითხი	43
თავი II	
გამოხატვის თავისუფლება ევროპაში	91
<i>ირაკლი კოტეტიშვილი</i>	
შესავალი	91
ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს იურისპრუდენცია	
გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით	92
შინაარსობრივი რეგულირება	105
ელექტრონული მედია	119
მედის ლიცენზირება და რეგულირება	122
ეროვნული უსაფრთხოება, უწესრიგობისა და დანაშაულების	
თავიდან აცილება	133
მართლმსაჯულება და მედია	143
პირადი ცხოვრების საიდუმლოება	150
კომერციული გამოხატვა	155

პარი II

სასამართლო პრაქტიკა აშშ-ის შიდა მართლმცოდნეობის და ეპროვაზი 159

თავი I

ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკა 161

შენკი შეერთებული შტატების წინააღმდეგ (1919) 161

აბრამსი შეერთებული შტატების წინააღმდეგ (1919) 163

ნიარი მინესოტის წინააღმდეგ (1931) 165

სიდისი F-R Publishing Corp-ის წინააღმდეგ (1940) 169

ჩაპლინსკი ნიუ ჰემპშირის წინააღმდეგ (1941) 171

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ სალივანის წინააღმდეგ (1964) 173

შეერთებული შტატები ობრაიენის წინააღმდეგ (1968) 177

ბრანდენბურგი ოჰაიოს წინააღმდეგ (1969) 181

Red Lion Broadcasting Co. Inc-ი კომუნიკაციების
ფედერალური კომისიის წინააღმდეგ (1969) 183

„ნიუ იორკ ტაიმსი“ შეერთებული შტატების წინააღმდეგ (1971) 186

ბრანზბურგი ჰეიესის წინააღმდეგ (1972) 188

CBS-ი ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტის წინააღმდეგ (1973) 191

მილერი კალიფორნიის შტატის წინააღმდეგ (1973) 194

გერცი რობერტ უელშის წინააღმდეგ (1974) 198

„მაიაში ჰერალდი“ ტორნილოს წინააღმდეგ (1974) 201

კოქსის სამაუნსფილდ კორპორაცია კონის წინააღმდეგ (1975) 205

ვირჯინიის შტატის ფარმაცევტა საბჭო ვირჯინიის მომხმარებელთა
საბჭოს წინააღმდეგ (1976) 208

ბაკლი ვალეიოს წინააღმდეგ (1976) 211

ნებრასკის პრესის ასოციაცია სტიუარტის წინააღმდეგ (1976) 215

კომუნიკაციების ფედერალური კომისია
„Pacifica Foundation“-ის წინააღმდეგ (1977) 219

CBS-ი კომუნიკაციების ფედერალური კომისიის წინააღმდეგ (1981) 221

შეპარდი მაქსველის წინააღმდეგ (1982) 223

Harper-ი და Row “Nation“-ის წინააღმდეგ (1985) 226

Uhaul International-ი Jartran-ის წინააღმდეგ (1986) 231

„ფლორიდა სტარი“ BJJ-ის წინააღმდეგ (1989) 234

ტეხასი ჯონსონის წინააღმდეგ (1989) 238

ვაინერი FBI-ის წინააღმდეგ (1991) 241

R.A.V. ქალაქ სეინტ პოლის წინააღმდეგ (1992) 243

შეერთებული შტატები კატლერის წინააღმდეგ (1995)	246
“Princeton University Press”-ი	
Michigan Document Service Inc-ის წინააღმდეგ (1996)	252
რენო – შეერთებული შტატების გენერალური პროკურორი	
ამერიკის სამოქალაქო უფლებების კავშირის წინააღმდეგ (1997)	255
ბარტნიჩკი ვუპერისა და აკა უილიამსის წინააღმდეგ (2001)	260

თავი II

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა	263
ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (1976)	263
„სანდი ტაიმსი“ (№1) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (1979)	268
ბარტოლდი გერმანიის წინააღმდეგ (1985)	270
ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (1986)	272
მიულერი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (1988)	275
Markt Intern Verlag GmbH-ი და კლაუს ბირმანი გერმანიის წინააღმდეგ (1989)	278
Autronic AG-ი შვეიცარიის წინააღმდეგ (1990)	280
Groppera Radio AG-ი შვეიცარიის წინააღმდეგ (1990)	283
ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (№1) (1991)	285
„ობზერვერი“ და „გარდიანი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (1991)	287
კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ (1992)	292
ტორგეირ ტორგეისონი ისლანდიის წინააღმდეგ (1992)	294
Informationsverein Lentia და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ (1993)	297
ოტო პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ (1994)	299
კასადო კოკა ესპანეთის წინააღმდეგ (1994)	300
ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ (1994)	304
Vereniging Weekblad Bluf!-ი ჰოლანდიის წინააღმდეგ (1995)	306
გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (1996)	308
დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ (1997)	310
ინკალი თურქეთის წინააღმდეგ (1999)	314
იანოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ (1999)	315
სურეკი თურქეთის წინააღმდეგ (№1) (1999)	317
ფრესოზი და რუა საფრანგეთის წინააღმდეგ (1999)	319
დალბანი რუმინეთის წინააღმდეგ (1999)	321
„ბლადეტ ტრომსო“ და სტენსასი ნორვეგიის წინააღმდეგ (1999)	322

News Verlags GmbH & CoKG-ი ავსტრიის წინააღმდეგ (2000)	324
“Bergens Tidende” ნორვეგიის წინააღმდეგ (2000)	326
ფუნტეს ბობო ესპანეთის წინააღმდეგ (2000)	329
ოზგურ გუნდემი თურქეთის წინააღმდეგ (2000)	330
ნადრეას ვაბლი ავსტრიის წინააღმდეგ (2000)	331
ფელდეკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (2001)	332
პერნა იტალიის წინააღმდეგ (2001)	335
ჯერუსალემი ავსტრიის წინააღმდეგ (2001)	336
VGT შვეიცარიის წინააღმდეგ (2001)	338
ტომა ლუქსემბურგის წინააღმდეგ (2001)	340
კოლომბანი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (2002)	342
ნიკულა ფინეთის წინააღმდეგ (2002)	344
მაკეკარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (2002)	347
გადაწყვეტილება საფრანგეთის წინააღმდეგ მე-10 მუხლის დარღვევის გამო (2002)	348
დიჩანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ (2002)	350
იანკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (2003)	353
Scharsach and News Verlagsgesellschaft mbH-ი ავსტრიის წინააღმდეგ (2003)	358
C.S.Y. თურქეთის წინააღმდეგ და იასარ ქემალ გოქჩელი თურქეთის წინააღმდეგ (2003)	360
ლესნიკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (2003)	363
როუმენი და შმიტი ლუქსემბურგის წინააღმდეგ(2003)	365
საბუ და პირცალაბი რუმინეთის წინააღმდეგ (2004)	368
პრინცესა კაროლინა გერმანიის წინააღმდეგ (2004)	370
ამიჰალაჩიო მოლდოვას წინააღმდეგ (2004)	373
საფრანგეთის რადიო საფრანგეთის წინააღმდეგ (2004)	375

გამოხატვის თავისუფლება
ამერიკის შეერთებულ
შტატებსა და ევროპაში

კარი I

თავი I

გამოხატვის თავისუფლება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ზოგადი პრინციპები

შესავალი

„კონგრესს ეკრძალება, მიიღოს კანონი, რომელიც შეზღუდავს სიტყვის ან პრესის თავისუფლებას, დააწესებს რელიგიას, ხელს შეუშლის თავისუფალ აღმსარებლობას, ან წაართმევს ხალხს მშვიდობიანი შეკრების უფლებას და უფლებას, პეტიციით მიმართოს მთავრობას“.

აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორება

შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ – ბლეკმა სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განაცხადა: „პირველი შესწორების ენა მარტივი და ადვილად გასაგებია. მისი ენა აბსოლუტურია. სიტყვები „კონგრესს ეკრძალება“ ნიშნავს, რომ კონგრესს ეკრძალება და სხვას – არაფერს. ცხადია, რომ გამოხატვის თავისუფლება უნდა დაბალანსდეს სხვა უფლებებთან, მაგრამ ეს ბალანსი კონსტიტუციის მამებმა უკვე დაიცვეს, როდესაც კონსტიტუციას წერდნენ. ამიტომ, სასამართლოს კონსტიტუციის პირველი შესწორების სხვაგვარად გაგების უფლება არა აქვს“.

ცხადია, მოსამართლე ბლეკის ეს მოსაზრება უზენაეს სასამართლოს არასოდეს გაუზიარებია და შეერთებული შტატების კონსტიტუციის არც ერთი შესწორება არ ყოფილა ისეთი დებუტების და ინტერპრეტაციის საგანი, როგორც მისი პირველი შესწორება. ამის მიზეზი მარტივია: პირველი შესწორებით დაცული თავისუფლებები – სიტყვის, გამოხატვის, პრესის, შეკრებისა და პეტიციის თავისუფლება – შეერთებული შტატების კონსტიტუციური ნყოფის ფუნდამენტია.

პირველი შესწორების სიტყვასიტყვით ნაკითხვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონგრესი გარკვეულ აკრძალვებს ექვემდებარება. ანგლო-ამერი-

კული საერთო სამართლის ნორმები და სასამართლოს შემზღუდველი ბრძანებები ამ აკრძალვას არ ექვემდებარება. სასამართლო ინტერპრეტაციის შედეგად დადგინდა, რომ პირველი შესწორების ტექსტში მოხსენიებული კონგრესი დღეისათვის მოიცავს არა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს, არამედ მთელ ფედერალურ მთავრობას.

პირველი შესწორების სიტყვასიტყვით წაკითხვის შედეგად, ასევე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შტატები არ არიან ვალდებული, დაიცვან გამოხატვის თავისუფლების გარანტიები. კონსტიტუციის მამებს სურდათ, რომ ფედერალურ დონეზე არ მომხდარიყო ცენზურა. რაც შეეხება შტატებს, მათ შეეძლოთ, დაერეგულირებინათ ისეთი საკითხები, როგორცაა ცილისწამება, პორნოგრაფია და სხვა. ასეც ხდებოდა, სანამ 1920 წელს საქმეში გითლოუ ნიუ იურკის წინააღმდეგ¹, უზენაესმა სასამართლომ არ განაცხადა, რომ პირველი შესწორებით დაცული უფლებები შტატების მხრიდან დარღვევისგან დაცულია კონსტიტუციის მეთოთხმეტე შესწორებით. ამ პრეცედენტიდან გამომდინარე, მეთოთხმეტე შესწორების გავრცელება შტატებზე მიიჩნევა იმავე ძალის მქონედ, რაც პირველ შესწორებას აქვს ფედერალური მთავრობის მიმართ.

გამოხატვის თავისუფლებას დემოკრატიულ საზოგადოებაში, როგორც წესი, სამ ძირითად ფუნქციას ანიჭებენ. ესენია:

- 1. თვითგამოხატვის და თვითსრულყოფის თანდაყოლილი სწრაფვის დაკმაყოფილება;**
- 2. სიმათლის მიღწევა და ხელშეწყობა;**
- 3. სიმათლის დადგენა თვითმმართველობის მიზნის მისაღწევად.**

თავდაპირველად, შეერთებული შტატების სასამართლოები საკმაოდ მტრულად იყვნენ განწყობილნი პოლიტიკური უმცირესობების მიმართ, რადგან არსებობდა შეხედულება, რომ „უცხო იდეები“ ძალადობას ჩაუყრიდა საფუძველს. ამერიკის მდიდრებსა და ძალაუფლების მქონეთ მიაჩნდათ, რომ ისეთი იდეების ქადაგება, რომლებიც საფუძველს უყრის ანარქიზმს, კომუნიზმს ან სოციალიზმს, დაანგრევდა შეერთებული შტატების ინდუსტრიას – ანუ მაშინდელ მთავრობას.

უზენაესი სასამართლოს რამდენიმე მოსამართლე – ოლივერ ვენდალ ჰოლმსი, ლუის ბრანდეისი – ცდილობდა გალაშქრებას ამ შიშის წინააღმდეგ, რის შედეგადაც დაინერა ცნობილი განსხვავებული აზრი საქმეზე აბრამსი შეერთებული შტატების წინააღმდეგ.² ამ განსხვავებულ აზრში ისინი დავობდნენ, რომ როგორი პოლიტიკური სარჩულის მქონეც არ უნდა იყოს გამოხატვა, ის არ უნდა შეიზ-

¹ *Gitlow v. New York*. Reargued: November 23, 1923. Decided: June 8, 1925.

² იხ. კარი II, თავი I, გვ. 163.

ლუდოს – გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ნათელი და მყისიერი საფრთხე, რომ ამ გამოხატვის შედეგად დადგება ზიანი. ისინი ცდილობდნენ, სასამართლო დაერწმუნებინათ, რომ საჭირო იყო არა გამოხატვის შინაარსის ანალიზი, არამედ იმის დადგენა, მოიტანდა თუ არა ესა თუ ის გამოხატვა რეალურ და მყისიერ შედეგებს. მათი აზრით, გამოხატვა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა შეზღუდულიყო, თუ ის გადააბიჯებდა ზღვარს გამოხატვასა და ძალადობას შორის.

საკმაოდ ნელა, თანდათანობით, სასამართლო უფრო ლიბერალური გახდა პოლიტიკური გამოხატვის მიმართ. თუმცა სასამართლო თითქმის სრულად იღებდა პრაქტიკაში მოსამართლე ჰოლმსის მიერ განვითარებულ „მყისიერი საფრთხის“ დოქტრინას, როდესაც 50-იან წლებში მაკარტიზმმა წამოყო თავი. უზენაესმა სასამართლომ კვლავ გადადგა ნაბიჯები უკან, რადგან კომუნიზმის საფრთხე საგრძნობი შეიქნა. 1950 - 1960-იან წლებში დასაჯეს საკმაოდ ბევრი აქტივისტი, რომლებიც ხალხს კომუნისტური რევოლუციისკენ მოუწოდებდნენ.

საბოლოოდ, 1969 წელს სასამართლომ შექმნა ახალი სტანდარტი საქმეში ბრანდენბურგი ოჰაიოს წინააღმდეგ³, სადაც გააუქმა კუ კლუქს კლანის წევრის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სისხლისსამართლებრივი სინდიკალიზმისთვის. სასამართლომ დაადგინა, რომ გამოხატვა არ შეიძლება შეიზღუდოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის მიზნად ისახავს უკანონო ქმედების მყისიერ გამოწვევას და არსებობს მაღალი ალბათობა, რომ ასეთი ქმედება შედეგება. ბრანდენბურგის ტესტის თანახმად, რომელიც დღესაც ძალაშია, თუ მკაფიოდ არ იკვეთება ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები, მაშინ ძალადობისა და სიძულვილის ქადაგებაც კი დაცულია პირველი შესწორებით.

ამასთან, სასამართლოს მოუხდა, პასუხი გაეცა კითხვაზე, თუ რომელი გამოხატვა არ არის დაცული პირველი შესწორებით; ასევე – არსებობს თუ არა დრო და ადგილი, სადაც და როდესაც შესაძლებელია პირველი შესწორებით დაცული გამოხატვის შეზღუდვა.

„პირველი პრინციპი“

ამ ნაწილში მოცემულია გამოხატვის კატეგორიები, რომლებზეც განსხვავებული რეჟიმი ვრცელდება შეერთებულ შტატებში. ეს ჩამონათვალი ამომწუ-

³ იხ. კარი II, თავი I, გვ. 181.

რავი არ არის, რადგან სასამართლოების პრაქტიკაში თითქმის ყოველდღე ჩნდება ახალი საკითხები. ხშირად სასამართლოს უხდება საკმაოდ მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა და თავისუფალი სიტყვის ძირითადი პრინციპების გამეორება. მაგალითად, საქმეში *ტეხასი ჯონსონის წინააღმდეგ*⁴ სასამართლომ განაცხადა, რომ ტეხასის კანონი, რომლითაც დასჯადად ცხადდება შეერთებული შტატების დროშის დანვა, პირველ შესწორებას ეწინააღმდეგება.

რა სახის გამოხატვა არ არის დაცული პირველი შესწორებით?

პირველი შესწორების მეთოდოლოგიის მნიშვნელოვან ხედვას წარმოადგენს გამოხატვის კატეგორიებად დაყოფა. როგორც ქვემოთ მოცემულ სქემაზე⁵ გამოსახული, პირველი შესწორება ზოგიერთი კატეგორიის გამოხატვას სრულად იცავს, ზოგს – შედარებით ნაკლებად და ზოგი სახის გამოხატვა საერთოდ არ არის დაცული კონსტიტუციით. პოლიტიკური გამოხატვა და დებატები დაცვის ყველაზე მაღალი ხარისხით სარგებლობს, ხოლო უხამსობა საერთოდ არ არის დაცული. მოსამართლე სტივენსმა გადანყვეტილებაში საქმეზე *R.A.V. ქალაქ სენტ პოლის წინააღმდეგ*, აღნიშნა: „ძირითადი პოლიტიკური გამოხატვა ყველაზე მაღლა დგას, კომერციული, არაუხამსი და სექსუალური მასალები ე.წ. მეორე კატეგორიას მიეკუთვნება, ხოლო უხამსობა და ე.წ. ინდივიდუალური შუღლის გამაღვივებელი გამოხატვა ყველაზე ნაკლებად არის დაცული“. თუმცა, უნდა ითქვას, რომ გამოხატვის კატეგორიებად დაყოფა სულაც არ არის ერთსულოვნად მიღებული და მას ხშირადაც აკრიტიკებენ. თვით მოსამართლე სტივენსმა იმავე გადანყვეტილებაში განაცხადა, რომ კატეგორიზაცია მხოლოდ ბუნდოვან საზღვრებს ქმნის და მას დიდხანს არსებობა აღარც უწერია. თავის მხრივ, მოსამართლე სკალიამაც იმავე გადანყვეტილებაში აღნიშნა, რომ პირველი შესწორებისთვის რელევანტური დარჩა კატეგორიზაციის მხოლოდ შეზღუდული მიდგომა.

ანალიზის ამ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ გამოხატვის კონკრეტულ კატეგორიებს და მათი დაცვის ხარისხს პირველი შესწორების თანახმად. ეს გამონაკლისები თანდათან ჩამოყალიბდა სასამართლო პრაქტიკის შედეგად, თუმცა პრო-

⁴ იხ. კარი II, თავი I, გვ. 238.

⁵ იხ. გვ. 23-24.

ცესი ერთსულოვანი არ ყოფილა და მათი გადასინჯვა ისევ და ისევ ხდება კონკრეტული საქმეების მიხედვით: სასამართლო აბალანსებს, ერთი მხრივ, გამოხატვას და, მეორე მხრივ, სხვა უფლებებსა და ინტერესებს, რომლებსაც გამოხატვის თავისფულება „ეჯახება“. სწორედ ამიტომ, გამონაკლისების ჩამოთვლის ნაცვლად, ჩვენ განვიხილავთ ამ გამონაკლისების შექმნის მიზეზს და მნიშვნელობას. ასევე, განვიხილავთ, თუ როგორ ხდება დაბალანსება, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებასა და, მეორე მხრივ, რასიზმს, სქესობრივი დისკრიმინაციასა და ანტისემიტიზმს შორის.

სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩნდება შემდეგი გამონაკლისები: ცილისნამება, პანიკის გამონკვევა, ინდივიდუალური შუღლის გამალვივებელი გამოხატვა და მოწოდება, დანაშაულისკენ ნაქეზება, უხამსობა.

პანიკის გამონკვევა: გამოხატვის კლასიკური მაგალითი, რომელიც პირველი შესწორებით არ არის დაცული და ინვესს პანიკას, არის შეძახილი: „ხანძარი!“ ხალხით სავსე თეატრში, როდესაც ხანძრის საშიშროება სრულიად არ არსებობს. ეს გამონაკლისი განავითარა ოლივერ ვენდალ ჰოლმსმა საქმეში *შენკი შეერთებული შტატების წინააღმდეგ*⁶. აღსანიშნავია, რომ ეს გამონაკლისი ეხება მხოლოდ ისეთ სიტუაციებს, სადაც ადამიანი წინასწარ ადვილად განსაზღვრავდა, რომ მისი სიტყვები სხვებს ზიანს მიაყენებდა.

ინდივიდუალური შუღლის გამომწვევი გამოხატვა: უზენაესმა სასამართლომ ცნობილ გადაწყვეტილებაში *ჩაპლინსკი ნიუ ჰემპშირის წინააღმდეგ*⁷ დაადგინა, რომ პირველი შესწორება არ იცავს ინდივიდუალური შუღლის გამალვივებელ გამოხატვას. საქმეში დადგინდა, რომ გამოხატვა „რომელიც პირდაპირ იწვევს ძალადობას იმ პირის მხრიდან, რომლისადმიც ეს სიტყვები ან შენიშვნა მიმართული, არ არის დაცული პირველი შესწორებით“. ამგვარი გადაწყვეტილება დღესაც დებატების საგანია, თუმცა, ეს გამონაკლისი იშვიათად თუ გამხდარა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი პრაქტიკაში.

დანაშაულზე ნაქეზება: ეს კიდევ ერთი გამონაკლისია, რომელსაც პირველი შესწორება არ იცავს. როდესაც პირი სხვა პირს აქეზებს, ჩაიდინოს დანაშაული, ეს გამოხატვა არ ექცევა პირველი შესწორების დაცვის ფარგლებში. დღეისათვის დებატების საგანი გახდა საკითხი: შეიძლება თუ არა ძალადობის გავრცელება სატელევიზიო ეთერით, ან დაიშვება თუ არა ისეთი პუბლიკაციების გამოქვეყნება, რომლებიც დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს ადამიანს? ეს საკითხები წყდება იმის გათვალისწინებით, თუ როგორია აუდიტორია, დრო, ადგილი და სხვა კონკრეტული გარემოებები.

⁶ იხ. კარი II, თავი I, გვ. 161.

⁷ იხ. კარი II, თავი I, გვ. 171.

უხამსობა: უხამსობის აკრძალვისთვის უზენაესმა სასამართლომ საქმეში მილერი კალიფორნიის შტატის წინააღმდეგ⁸ დაადგინა სამწვეროვანი ტესტი, რომლის მიხედვითაც, უხამსობის აკრძალვა არ დაარღვევს პირველ შესწორებას, თუ:

1. თანამედროვე საზოგადოებრივი სტანდარტების მისადაგების შედეგად – „საშუალო ადამიანი“ მოცემულ მასალებს არ მიიჩნევს მთლიანობაში მწველი ინტერესის გამომწვევად;

2. მოცემული მასალები სქესობრივ მოქმედებებს ასახავს აშკარად შეურაცხმყოფელი ფორმით – რაც შტატის კანონით არის განსაზღვრული;

3. მოცემული მასალები მოკლებულია სერიოზულ ლიტერატურულ, მხატვრულ, პოლიტიკურ ან მეცნიერულ ფასეულობებს.

მილერის ტესტი დღესაც კანონია შეერთებულ შტატებში და თითქმის ყველა შტატში მიიღეს კანონი, რომელშიც ეს ტესტია ინკორპორირებული.

⁸ იხ. კარი II, თავი I, გვ. 194.

ძირითადი პრინციპები

1. პირველი შესწორება იცავს გამოხატვის თავისუფლებას მხოლოდ სახელმწიფოს ჩარევისგან. პირველი შესწორება არ ერევა კერძო ცენზურის საკითხებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი შესწორება აკრძალვას უწესებს კონგრესს, რომელიც დღეისათვის გაგებულა, როგორც მთელი ფედერალური მთავრობა. რაც შეეხება გაზეთის მიერ ამა თუ იმ რეკლამის გამოქვეყნებაზე უარის თქმას, ინტერნეტ პროვაიდერის მიერ ინტერნეტში ვებ-გვერდის განთავსებაზე უარს, დამქირავებლის მიერ მისი ოფისის შენობაში პროკლამაციების გავრცელების აკრძალვას, – ეს ცენზურა არ არის. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მსგავსი ქმედებები არ ზღუდავს გამოხატვას. უბრალოდ, ეს ქმედებები არ არის დაცული პირველი შესწორებით, რადგან, თავის მხრივ, გაზეთიც, ინტერნეტ პროვაიდერიც, დამქირავებელიც სარგებლობს გამოხატვის ან დუმილის უფლებით, რის ფარგლებშიც მას აქვს არჩევანი, არ დაუშვას გამოხატვა, რომელსაც არ ეთანხმება – თუ, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მიერ არ ფინანსდება, ან სხვაგვარად არ არღვევს კანონს.

2. პირველი შესწორება აბსოლუტური არ არის. არსებობს ვინაობა ფორმულირებული შეზღუდვები გამოხატვის გარკვეული კატეგორიისათვის.

დიდი ხნის წინ უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ პირველი შესწორებით დაცული უფლებების ფართო სპექტრის რეგულირებისთვის საჭირო იყო მისი დაყოფა დაცულ და დაუცველ გამოხატვად და დაცულ გამოხატვაში გარკვეული კატეგორიების დადგენა. ამ მიდგომას „კატეგორიზაცია“ უწოდებენ. პირველად სასამართლომ ასეთი ხედვა გამოიჩინა საქმეში *ნიარი მინესოტას წინა-*

აღმდეგ⁹. სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობს გარკვეული სახის გამოხატვა, რომელიც პირველი შესწორების დაცვით არ სარგებლობს: 1. გამოხატვა, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას; 2. უხამსი გამოხატვა; 3. გამოხატვა, რომელიც არღვევს მშვიდობას ან საფრთხეს უქმნის საკუთრებას; 4. გამოხატვა, რომელიც ცილისმნამებლურია.

3. მიუხედავად მისი შინაარსისა, პირველი შესწორება არ იცავს გამოხატვას, რომელიც ქმნის სიცოცხლისა და საკუთრების ხელყოფის მყისიერ და გარდაუვალ საფრთხეს.

ეს პრინციპი ჩამოყალიბდა საქმეში *ბრანდენბურგი ოჰაიოს წინააღმდეგ* და შემდეგ კიდევ ერთხელ გაიჟღერა საქმეში *კოენი კალიფორნიის წინააღმდეგ*. ამ პრინციპით კიდევ ერთხელ მართლდება იმ გამოხატვის შეზღუდვა, რომელიც ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრება. ამგვარი გამოხატვა მაშინ აიკრძალება, თუ დადგინდება, რომ არსებობს ზიანის მყისიერი და გარდაუვალი საფრთხე. ამ შემთხვევაში – სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება – არსებობს ძლიერი პრეზუმფცია, რომ გამოხატვა დაცულია პირველი შესწორებით. მაგალითად, პირი, რომელიც მიტინგზე დაიყვიერებს: „დავამხოთ სახელმწიფო!“ არ დაისჯება, რადგან ეს გამოხატვა მხოლოდ მაშინ გახდება არაკანონიერი, თუ აუდიტორია შეიარაღებულია, ან ეს გამოსვლა გამოიწვევს ხალხის შეჭრას რომელიმე სახელმწიფო დანესებულებაში.

4. პირველი შესწორება იცავს ექსპრესიული ქმედების ფართო სპექტრს წმინდა ვერბალურით დაწყებული, წერილობითი და სიმბოლური სიტყვის, აგრეთვე, ე.წ. „სიტყვა პლუსის“ (დემონსტრაციები, პიკეტები) ჩათვლით.

სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში ყოველთვის აღნიშნავდა, რომ გამოხატვა უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სიტყვები. ის შეიძლება მოიცავდეს არა-ვერბალურ გამოხატვას, როგორცაა ხელსახვევების, დროშების, ტანსაცმლის, ფორმის ან სხვა სიმბოლიკის გამოყენება. გამოხატვა ასევე მოიცავს პიკეტირებას, დემონსტრაციას ან მსვლელობებს.

1969 წელს საქმეში *ტინკერი დე მოინის სკოლის ოლქის დამოუკიდებელი საზოგადოების წინააღმდეგ*¹⁰, უზენაესმა სასამართლომ აღიარა სკოლის მოსწავლეების უფლება, გაეკეთებინათ შავი ფერის ხელსახვევები ვიეტნამის ომის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატავად. 1990 წელს კი საქმეში *ტეხასი ჯონსონის*

⁹ იხ. კარი II, თავი I, გვ. 165.

¹⁰ Tinker et al. v. Des Moines Independent Community School District et al. No. 21. SUPREME COURT OF THE UNITED STATES. 393 US 503. Argued November 12, 1968.


წინააღმდეგ უზენაესმა სასამართლომ აღიარა პირის უფლება, დაენვა ამერიკის შეერთებული შტატების დროშა პოლიტიკური პროტესტის ნიშნად.

სიმბოლურ გამოხატვასა და ე.წ. „სიტყვა პლუსს“ შორის მკაფიო განსხვავება არ არსებობს. როგორც წესი, ეს უკანასკნელი გულისხმობს ისეთ ქმედებებს, როგორცაა მსვლელობები, დემონსტრაციები, პიკეტები, პროკლამაციების დარიგება. სასამართლომ პირველივე წლებში აღნიშნა, რომ ე.წ. „სიტყვა პლუსი“ სარგებლობს დაცვის ფართო გარანტიებით, თუმცა, შესაძლებელია მისი ვიწროდ დეგულირება, რადგან ამ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს გამოხატვის შინაარსთან.

5. ყველა სახის გამოხატვა არ არის თანაბრად დაცული. პირველი შესწორება ცნობს დაცული სიტყვის გარკვეულ იერარქიას.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზისას მალევე დავრწმუნდებით, რომ გამოხატვის კატეგორიებს შორის გარკვეული იერარქია არსებობს. ქვემოთ წარმოდგენილ გრაფებში მოცემულია გამოხატვის სხვადასხვა კატეგორიის იერარქია:


გამოხატვის შინაარსის იერარქია



შინაარსის მიხედვით იერარქიის გარდა, არსებობს გამოხატვის ადგილის მიხედვით იერარქია; მაგალითად, გამოხატვა პარკში უფრო მეტი დაცვით სარგებლობს, ვიდრე გამოხატვა საცხოვრებელ ადგილზე.

ქვემოთ წარმოდგენლ სქემაში აღნიშნულია, თუ სად უფრო მეტად არის დაცული გამოხატვა, მისი შინაარსის მიუხედავად.

გამოხატვის ადგილის იერარქია



საჯარო	სასამართლოს შენობის კიბე, პარკები, ქუჩა და სხვა
კვაზი-საჯარო	საცხოვრებელი ქუჩა, საჯარო ბიბლიოთეკები, უნივერსიტეტები, მუზეუმები
სპეციალური დანიშნულების ადგილი	სკოლა, საავადმყოფო, სამხედრო ბაზა, ციხე
კვაზი-კერძო	სავაჭრო ცენტრები, კერძო სკოლები
კერძო	საცხოვრებელი სახლი, კერძო დანესებულებები

6. გარკვეული გონივრული რეგულირება დაშვებულია წესრიგის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით – გამოხატვის ადგილის, დროის და ფორმის მიხედვით.

სახელმწიფოს შეუძლია, დააწესოს შინაარსობრივად ნეიტრალური შეზღუდვები გამოხატვაზე, თუკი ეს შეზღუდვები „გონივრულია“ და ემსახურება სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს: წესრიგის, უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვას. მაგალითად, მოთხოვნა – პირებმა ნებართვა აიღონ დემონსტრაციისთვის ისეთ ადგილას, სადაც შეიძლება ხელი შეეშალოს ტრანსპორტის მოძრაობას, წარმოადგენს დასაბუთებულ რეგულირებას. თუმცა შეზღუდვები, რომლებიც ფართოდ ფორმულირებული და ბუნდოვანია, ეწინააღმდეგება პირველ შესწორებას. 1960-

იან წლებში სამხრეთ შტატებში სამოქალაქო უფლებების აქტივისტებს ხშირად სთხოვდნენ ნებართვას დემონსტრაციის ჩასატარებლად, შემდეგ კი თვითნებურად უარს ეუბნებოდნენ ნებართვის გაცემაზე. სასამართლომ ეს ნებართვების სისტემა არაკონსტიტუციურად ცნო. 1978 წელს საქმეში *კოლინი სმიტის წინააღმდეგ*¹¹ სასამართლომ აღნიშნა, რომ ამერიკული ნაციისტური პარტიისთვის დაზღვევის თანხის გადახდევინება 350 000 დოლარი ოდენობით, რათა მათ შემდგომ ჩაეტარებინათ დემონსტრაცია სკოკიეში, კონსტიტუციის პირველი შესწორების დარღვევა იყო.

დროის, ადგილისა და ფორმის მიხედვით შეზღუდვები გამართლებულია კონსტიტუციურად, თუ დაცულია შემდეგი კრიტერიუმები:

1. შინაარსობრივად ნეიტრალურია;
2. ემსახურება ლეგიტიმურ სახელმწიფო ინტერესს: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის დაცვას;
3. იმდენად ვიწროდ ფორმულირებულია, რომ ემსახურება მხოლოდ ლეგიტიმური ინტერესის დაცვას;
4. ეხება ყველას თანაბრად;
5. ითვალისწინებს გასაჩივრების მექანიზმებს.

7. პირველი შესწორება იცავს როგორც სიტყვის თავისუფლებას, ასევე დუმილის უფლებას.

როგორც უკვე ცნობლია, შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეხუთე შესწორების თანახმად, იკრძალება პირის დავალდებულება, მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ. ეს უფლება დუმილის უფლებაა, თუმცა ის მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციაში მოქმედებს. თავის მხრივ, პირველი შესწორებაც იცავს პირის დუმილის უფლებას. სასამართლომ განაცხადა, რომ პირველი შესწორება იცავს პირის ფიქრის და აზრის თავისუფლებას შტატების ჩარევისგან, რაც მოიცავს პირის უფლებას, თავი შეიკავოს საუბრისგან. შესაბამისად, ყოველგვარი იძულება იკრძალება. საქმეში *სამხრეთ ბოსტონის ომის ვეტერანთა გაერთიანების საბჭო ირლანდიურ-ამერიკული ჰომოსექსუალების, ლესბოსელების და ბისექსუალების ბოსტონის ჯგუფის წინააღმდეგ*,¹² უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ წმინდა პატრიკის დღისადმი მიძღვნილი ალლუმის ორგანიზატორს – კერძო

¹¹ Frank COLLIN and the National Socialist Party of America, Plaintiffs-Appellees, v. Albert SMITH, President of the Village of Skokie, Illinois, 1978.

¹² South Boston Allied War Veterans Council, Petitioners v. Irish-American Gay, Lesbian and Bisexual Group of Boston, etc., et al. 515 U.S. 557; 115 S. Ct. 2338; 132 L. Ed. 2d 487; 1995.

ვეტერანთა გაერთიანებას – უფლება ჰქონდა, უარი ეთქვა ჰომოსექსუალებისთვის ალლუმში მონაწილეობაზე. ორგანიზატორების იძულება, რათა მათ დაეშვათ ასეთი მონაწილეები, შეეწინააღმდეგებოდა პირველ შესწორებას, რადგან მათ არ ექნებოდათ უფლება, შეერჩიათ დაგეგმილი ღონისძიების შინაარსი.

სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდა შემდეგი ვითარება: არ შეიძლება მასწავლებლების იძულება, რომ მათ ასწავლონ ის, რისიც თავად არ სჯერათ; არც მოსწავლეები არიან ვალდებული, სკოლაში ფიცი დადონ შეერთებული შტატების ჰიმნზე. ასევე, გაზეთებს უფლება აქვთ, არ გამოაქვეყნონ ის განცხადებები, რეკლამები ან სარედაქციო წერილები, რომელთა გამოქვეყნებაც მათ არ სურთ („მაიამი ჰერალდი“ ტორნილოს წინააღმდეგ¹³). თუმცა ამათგან განსხვავებით, მაუწყებლებს შეიძლება დაეკისროთ გარკვეული პოლიტიკური ინფორმაციის გადაცემის ვალდებულება. ამის მიზეზი არის ის განსხვავება, რაც ბექტდურ და ელექტრონულ მედიას შორის არსებობს: მაუწყებლები იყენებენ ამონურვად და შეზღუდულ რესურსებს (სიხშირებს), რომელიც უფრო მეტად უნდა დარეგულირდეს, ვიდრე ბექტდური მედია. გამონაკლისები კეთდება კომერციულ გამოხატვასთან დაკავშირებითაც. ასეთი რამ დაშვებულია მაშინ, როდესაც სახელმწიფო ინტერესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გამოხატვა. მაგალითად, სიგარეტის მწარმოებელთა დავალდებულება, რომ პაკეტზე განათავსონ გაფრთხილება ჯანმრთელობისთვის წარმომქმნელი საფრთხის შესახებ, დასაშვები იძულებაა, რადგან ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინტერესი, დაიცვას მოსახლეობის ჯანმრთელობა.

8. პირველი შესწორება ასევე იცავს ინფორმაციის მიღების უფლებას.

მოსამართლე ვილიამ ბრენანმა ერთხელ აღნიშნა: „ინფორმაციის მიღების უფლება ფუნდამენტური უფლებაა... იდეათა ბაზარი ფუჭი იქნებოდა, თუკი ამ ბაზარზე მხოლოდ გამყიდველი იქნებოდა და არ გვეყოლებოდა მყიდველები“. ერთ-ერთ პირველ საქმეთა შორის სასამართლომ განიხილა საქმე, რომელიც ეხებოდა პირველ შესწორებას და პირებს რომლებიც კარდაკარ არიგებდნენ პროკლამაციებს და საინფორმაციო ფურცლებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს უფლება აუცილებელია დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის და საკმაოდ ძნელი გახადა შტატებისთვის მისი რეგულირება.

იურიდიული თეორიები

ამ ძირითადი პრინციპების გარდა, სასამართლომ განავითარა სამართლებრივი მიდგომები, რომლებიც გამოიყენება პირველი შესწორების ინტერპრეტაციისას.

¹³იხ. კარი II, თავი I, გვ. 201.

აბსოლუტიზმი

აბსოლუტიზმის თეორია სასამართლოს არასოდეს გამოუყენებია რომელიმე საქმის გადასაწყვეტად, თუმცა ის ხშირად ფიგურირებდა სხვადასხვა მოსამართლის განსხვავებულ აზრში. ამ თეორიის თანახმად, არ უნდა არსებობდეს გამოხატვის შინაარსის შემზღვეველი რაიმე ნორმა. ეს თეორია პირველად განავითარა მოსამართლე ჰიუგო ბლექმა. ბლექი და ვილიამ გუგლასი უზენაესი სასამართლოს ისტორიაში ყველაზე ლიბერალი მოსამართლეები იყვნენ, როდესაც საქმე ეხებოდა პირველი შესწორების ინტერპრეტაციას. ხშირად მოსამართლე დუგლასი ცდილობდა, დაერწმუნებინა მისი კოლეგა მოსამართლეები, რომ პირველი შესწორების ტექსტი – „კონგრესმა არ უნდა მიიღოს კანონი“ – ნიშნავდა სწორედ იმას, რომ კონგრესს არ უნდა მიეღო კანონი. დუგლასი ცნობილია მისი შეხედულებით, რომლის თანახმადაც, არ უნდა მომხდარიყო უხამსობის ცენზურა. მოსამართლე ბლექთან ერთად მოსამართლე დუგლასმა შეშფოთება გამოხატა, როდესაც 1950-იან წლებში სასამართლომ რამდენჯერმე დაუჭირა მხარი კომუნიზმის მქადაგებელთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მათ სჯეროდათ, რომ სასამართლოზე უზარმაზარი გავლენა ჰქონდა მაკარტიზმს. მოსამართლე ბლექი წერდა: „მშვიდობიან დროში, როდესაც დღევანდელი ზეწოლა, ვნება და შიში გადაივიდა, სასამართლო აღადგენს პირველი შესწორებით დაცულ უფლებებს და მიანიჭებს მათ იმ უპირატეს ადგილს, რომელსაც იმსახურებენ“.

აბსოლუტიზმის მხარდაჭერა საკმაოდ ძნელია თვით ლიბერალი მოაზროვნეებისათვისაც, რადგან აბსოლუტისტური ხედვა არ ცნობს საფრთხეს, რომ გამოხატვის თავისუფლება შესაძლოა კონფლიქტში მოვიდეს ისეთ საკითხებთან, როგორცაა ეროვნული უშიშროება, პირადი ცხოვრების ხელშეუვალობა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, სხვა პირთა რეპუტაციის დაცვა და სხვა.

მკაფიო და მყისიერი საფრთხე

მკაფიო და მყისიერი საფრთხის ტესტი ყველაზე ახლოს დგას აბსოლუტიზმის თეორიასთან. ეს მიდგომა გამოიყენება წინასწარი შეზღუდვების დროს. ამ ტესტის გამოყენებისას, თავდაპირველად, უნდა გაირკვეს, დაცულია თუ არა გამოხატვის შინაარსი. თუ შინაარსი დაცულია, მაშინ სასამართლო დაადგენს, ექმნება თუ არა პირს ან საკუთრებას ზიანის მყისიერი და გარდაუვალი საფრთხე ამ გამოხატვის შედეგად. როდესაც სახელმწიფო ცდილობს, საკუთარი არგუმენტები დაასაბუთოს მკაფიო და მყისიერი საფრთხის დოქტრინით, მას ეკისრება მტკიცების მძიმე ტვირთი და მან უნდა დაამტკიცოს საფრთხის არსებობა. როდესაც ნიუ-იორკ ტაიმსმა გადანყვიტა, გამოექვეყნებინა პენტაგონის დოკუმენტები, სადაც

ვიეტნამის ომის საიდუმლო ნიუანსები მყლავნდებოდა, ამ მასალის გამოქვეყნება სახელმწიფომ სასამართლო წესით აკრძალა. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ვერ ზიდა მტკიცების ტვირთი და ვერ დაამტკიცა, რომ დოკუმენტების გამოქვეყნება საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უსაფრთხოებას. ხოლო როდესაც ტეხასის შტატში დასაჯეს პირი, რომელმაც რეიგანის სახელმწიფო პოლიტიკის წინააღმდეგ დემონსტრაციის დროს შეერთებული შტატების დროშა დაწვა, უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ შტატს არ ჰქონდა ამ კაცის დასჯის უფლება. დროშის დაწვა პოლიტიკური პროტესტის დროს დაცულია, თუ შტატი ვერ დაამტკიცებს, რომ ამ ქმედების შედეგად მყისიერი და გარდაუვალი საფრთხე შეიქმნა.

Ad hoc დაბალანსება

ამ თეორიის თანახმად, უნდა დაბალანსდეს გამოხატვის თავისუფლება და სხვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოთხოვნილებები. ამრიგად, როდესაც იქმნება კონფლიქტი, ერთი მხრივ, სხვადასხვა უფლებას ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ინტერესსა და, მეორე მხრივ, გამოხატვის თავისუფლებას შორის, სასამართლო აბალანსებს გამოხატვის თავისუფლებას და ახალ სადავო საკითხს.

საქმეში *შენკი შეერთებული შტატების წინააღმდეგ*, სასამართლოს თავმჯდომარე ჰოლმსმა აღნიშნა: „ჩვენ ვაღიარებთ, რომ ბევრ ადგილას და ჩვეულებრივ მდგომარეობაში ბრალდებულის მიერ ყოველივე ზემოაღნიშნულის თქმა მისი კონსტიტუციური უფლება იქნებოდა. თუმცა ყოველი მოქმედების ხასიათი დამოკიდებულია იმ მდგომარეობაზე, რომელშიც ის ჩადენილია.“ ამ შემთხვევაში კი სპეციალური გარემოება საომარი მდგომარეობა იყო, რომელშიც შეერთებული შტატები იმყოფებოდა.

ხშირად გაურკვეველი შეიძლება იყოს, თუ რას მიიჩნევს სასამართლო სპეციალურ მდგომარეობად. მაგალითად, ქალაქის მერის წინააღმდეგ დემონსტრაცია დაცულია, თუ ის იმართება ქალაქის პარკში ან მერიის შენობასთან, თუმცა, იგივე დემონსტრაცია არ არის დაცული, თუ მერის სახლის წინ გაიმართება. ამ შემთხვევაში, პირადი ცხოვრების ხელშეუვალობა გამოხატვის თავისუფლებაზე წინ წამოინეცს.

უპირატესი მდგომარეობა

ეს თეორია ყველაზე ფართოდ გამოიყენება პირველი შენორების თანახმად შეტანილი საქმეების გადაწყვეტისას. ამ თეორიის მიხედვით, პირველი შესწორება ყველაზე მნიშვნელოვანია იმ უფლებებს შორის, რომლებიც კონსტიტუციის უფლებათა ბილშია ჩამოთვლილი, რადგან ამ უფლებების გარეშე არ იარსებებდა ნამდვილი დემოკრატია. ამრიგად, გამოხატვის თავისუფლებას უპირატესი ადგი-

ლი უჭირავს სხვა უფლებებთან შედარებით. მაგალითად, როდესაც კონფლიქტი წარმოიშევა სამართლიანი სასამართლოს უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის, სასამართლო სარგებლობს პრეზუმფციით, რომლის თანახმად, გამოხატვის თავისუფლების ყოველგვარი შეზღუდვა ანტიკონსტიტუციურია – თუ სხვაგვარად არ დადგინდა. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც მტკიცების მძიმე ტვირთი სახელმწიფოს აკისრია: მან უნდა დაამტკიცოს, რომ გამოხატვის თავისუფლება სხვა უფლებამ ან ინტერესმა გადაწონა.

დრო, ადგილი და ფორმა

პირველი შესწორებით გარანტირებული დაცვა ხშირად არ ეხება მხოლოდ სიტყვას და, მასთან ერთად, მოიცავს მოქმედებასაც. მაგალითად, აბორტის წინააღმდეგ დემონსტრაციის მონაწილეები სიტყვის თავისუფლებით სარგებლობენ, როდესაც ისინი პლაკატებს ატარებენ, მღერიან, შესასვლელებს კეტავენ და პროკლამაციებს არიგებენ. ამ გამოხატვის შინაარსი არ შეიძლება შეიზღუდოს, თუმცა რეგულირებას ექვემდებარება თანმდევი მოქმედებები. ამ რეგულირებებს ეწოდება დროის, ადგილისა და ფორმის რეგულირებები. უზენაესი სასამართლო ამ შემთხვევაში დამატებით იყენებს უპირატესი მდგომარეობის თეორიას და ცდილობს, არ შეზღუდოს გამოხატვა, თუკი საამისოდ არ არსებობს მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესი.¹⁴

მკაცრი კონტროლი

ყველა სახის გამოხატვა თანაბარი დაცვით არ სარგებლობს. არსებობს გამოხატვა, რომელიც ნაკლებად არის დაცული, მაგალითად, კომერციული გამოხატვა. ამ შემთხვევაში, სასამართლოს სურს, რომ დაცვის გარკვეული ხარისხი გაავრცელოს გამოხატვის ამ კატეგორიაზე და არ სურს, რომ შტატებმა და სხვადასხვა ორგანომ ზედმეტი ცენზურა დააწესონ გამოხატვის ე.წ. მეორე კლასის კატეგორიისთვის. ამ კატეგორიის გამოხატვის დასაცავად სასამართლო სხვა ალტერნატივებს ეძებს. მაგალითად, სიგარეტის რეკლამის სრულიად აკრძალვის ნაცვლად, ალტერნატივა შეიძლება იყოს მისი აკრძალვა გარკვეულ ადგილებში.

ყურადღებიანი აუდიტორია

გამოხატვის შეურაცხმყოფელი ხასიათი მისი რეგულირებისთვის საკმარისი წინაპირობა არ არის. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭება იმ ვითარებას, არის თუ არა პირი იძულებული, რომ დაინახოს ან მოისმინოს ესა თუ ის გამოხატვა.

¹⁴City of Ladue v. Margaret P. Gilleo Supreme Court of the United States 512 U. S. 43. June 13, 1994.

მაგალითად, თვითმფრინავში ან ავტობუსში მჯდომი ადამიანი იძულებულია, უყუროს რეკლამას ან რაიმე ფილმს, რომლის გამორთვაც მას არ შეუძლია. ამ შემთხვევაში, სახეზეა ე.წ. „ყურადღებიანი აუდიტორია“, რომელსაც ნაკლები შესაძლებლობა აქვს, რომ თავიდან აიცილოს ამა თუ იმ გამოხატვის შეჭრა მის პირად ცხოვრებაში. თუმცა, ბევრ სიტუაციაში ადამიანებს აქვთ საშუალება, რომ თვალი აარიდონ მათთვის არასასურველ მესიჯს, ან არ მოუსმონონ რაიმეს. საქმეში *კოენი კალიფორნიის წინააღმდეგ*¹⁵ (1971) უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ადამიანებს, რომლებიც სასამართლოს შენობაში მოძრაობდნენ, შეეძლოთ, თვალი აერიდებინათ ბატონი კოენის პიჯაკზე წაწერილი არასასიამოვნო სიტყვებისთვის.

სახელმწიფო დაფინანსება

ერთი საშიში ტენდენცია, რომელიც სასამართლომ განავითარა, ეხება განსხვავებას სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ გამოხატვასა და არადაფინანსებულ გამოხატვას შორის. ამ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გასცემს თანხას რომელიმე ორგანიზაციაზე, მას შეუძლია, გააკონტროლოს მისი გამოხატვა და თავად აირჩიოს, თუ რა მესიჯის გადაცემაზე და პოპულარიზაციაზე დაიხარჯება სახელმწიფოს ფული.

¹⁵ Cohen v. California. No. 299. SUPREME COURT OF THE UNITED STATES. 403 US 15. Argued February 22, 1971. Decided June 7, 1971

პირველი შესწორების მოდელი

პროფესორი ზეჩარია ჩაფე აღნიშნავს: კონსტიტუციის შემქმნელებს კონსტიტუციის დაწერისას არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული იდეა, თუ რა გარანტიები უნდა დაენესებინა კონსტიტუციის პირველ შესწორებას. ამ მოსაზრებას მეცნიერთა უმეტესობა ეთანხმება. სწორედ ამის გამო, სასამართლოებმა და აკადემიურმა წრეებმა საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანეს პირველი შესწორების ინტერპრეტაციაში, რის შედეგადაც განვითარდა რამდენიმე თეორია, რომელთაც პირველი შესწორების მოდელები ეწოდა და რომლებიც პირველი შესწორებით დაცული უფლებების გარანტიებს ასაბუთებენ.

იდეათა ბაზრის მოდელი

ზემოაღნიშნულ მოდელთა შორის ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებს იდეათა ბაზრის მოდელი. მე-17 საუკუნეში ჯონ მილტონმა „არეოპაგატიკაში“ (მის მიერ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების თაობაზე ინგლისის პარლამენტში წარმოთქმული სიტყვა) ამ თეორიის წინაპირობები ჩამოაყალიბა. იგი ამბობდა, რომ იდეების შეუზღუდავი მოძრაობა წარმოშობს სიმართლეს.

ცნობილმა ინგლისელმა პოლიტიკის ფილოსოფოსმა და ეკონომისტმა, საკმაოდ გავლენიანმა ფიგურამ და მოაზროვნემ ჯონ სტიუარტ მილმაც აღიმალა ხმა სხვადასხვა იდეის ჩახშობის წინააღმდეგ. მილი თავის ცნობილ ნაწარმოებში ფიქრისა და დებატების თავისუფლების შესახებ ამბობდა: „თუ მოსაზრება სწორია, კაცობრიობას ერთმევა შესაძლებლობა, გაცვალოს შეცდომა სიმართლეზე;

ხოლო თუ მცდარია, ის კარგავს ყველაზე მნიშვნელოვან სარგებელს – სიმართლის მკაფიო აღქმას, რაც მისი შეცდომასთან შეჯახებით წარმოიშევა“.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეს თეორია კვლავ გააცოცხლა და ამერიკული და თანამედროვე სახე შესძინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ – ოლივერ ვენდალ ჰოლმსმა თავის განსხვავებულ მოსაზრებაში საქმეზე აბრამსი შეერთებული შტატების წინააღმდეგ (1919). „სიმართლე ყველაზე მეტად არის დაცული იდეათა ღია ბაზარზე,“ – ამომბდა ჰოლმსი. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც მიზნად ისახავს, შეაფერხოს იდეების თავისუფალი მოძრაობა და, შესაბამისად, სიმართლე, – დაუშვებელია. „აბრამსის“ საქმეში ჰოლმსმა იდეათა ბაზრის თეორია გამოიყენა, როგორც პირველი შესწორების ფილოსოფიური საფუძველი. გასაოცარია ჰოლმსის იდეათა ბაზრის თეორიის და მილის ფიქრისა და დებატების თავისუფლების შესახებ ლოგიკის მსგავსება.

იდეათა ბაზრის კრიტიკოსები ეჭვქვეშ აყენებენ იდეათა ბაზრის მოდელის საფუძვლებს. ისინი კითხულობენ, შეუძლია თუ არა იდეათა ბაზარს, დაადგინოს სიმართლე, ან ის, არსებობს თუ არა სიმართლე საერთოდ. კრიტიკოსები ეჭვით უყურებენ კომუნიკაციის რეცეპტორთა უნარს, მიიღონ რაციონალური გადაწყვეტილება, – რაც ასე არსებითია იდეათა ბაზრის მოდელისათვის. ზოგიერთ კრიტიკოსს კი მიაჩნია, რომ იდეათა ბაზრის მოდელი რომანტიული და არარეალურია. მაგალითისთვის, ამ მოდელის ერთ-ერთი კრიტიკოსი ჯერომ ბარონი ამბობდა: „იდეების კომუნიკაციის პროცესში – ისეთივე არათანასწორობისას, როგორიც ეკონომიკური გარიგების დადებისას ხდება – ამ უკანასკნელის აღიარება და პირველის უარყოფა იდეალისტური მიდგომა იქნებოდა. იდეათა ბაზრის მოდელი ეყრდნობა აზრს, რომ გამოხატვის თავისუფლების დაცვა იკვივა, რაც გამოხატვის უზრუნველყოფა. თუმცა ცვლილებებმა კომუნიკაციების ინდუსტრიაში დაანგრია იდეათა ბაზრის სიმყარე. პირველი შესწორების რეალისტური გაგება მოითხოვს იმის აღიარებას, რომ გამოხატვის თავისუფლება ძალიან მყიფეა, თუკი დამოკიდებულია მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებების მენეჯერთა შემწყნარებლობაზე.“

ერთ-ერთი კრიტიკოსი, 1960-იანი წლების ახალი მემარცხენეების პოლიტიკის ფილოსოფოსი, ჰერბერტ მარკუსი მიიჩნევს, რომ თავის ნაშრომებში მილი გულისხმობდა რაციონალური ინდივიდების თავისუფალ მონაწილეობას დებატებში. მარკუსის აზრით, დღევანდელი ინდივიდები არათუ რაციონალურები არიან, ისინი კომერციული მიზნებისათვის მედიის მანიპულაციის ქვეშ ექცვიან, მაშინ, როდესაც სახელმწიფო პოლიტიკური მიზნებისთვის ექცევა მანიპულაციის ქვეშ. ამრიგად, მარკუსის აზრით, მილტონის და მილის იდეები სხვა არაფერია, თუ არა რეპრესიული შემწყნარებლობა.

თვითმმართველობის მოდელი

თვითმმართველობის მოდელის თანახმად, გამოხატვის თავისუფლების მთავარი ფასეულობა განისაზღვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში თვითმმართველობის პრინციპით. აღნიშნული თეორია ალექსანდრ მაიკლჯონმა განავითარა. მისი თვალსაზრისით, სიტყვის თავისუფლების პრინციპი ამერიკული სახელმწიფოს ძირითადი საფუძვლიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც, საჯარო საკითხები უნივერსალური კენჭისყრით უნდა გადაწყდეს. შეერთებულ შტატებში სახელმწიფო სუვერენიტეტის წყაროა ხალხი. მას აქვს უფლება, გააკრიტიკოს საკუთარი მთავრობა და მიიღოს ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ. ალექსანდრ მაიკლჯონის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლების დაცვით ხდება საზოგადოების უზრუნველყოფა სათანადოდ ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად, რაზეც არის კიდევ დამოკიდებული თვითმმართველი საზოგადოება. აქედან გამომდინარე, გამოხატვა, რომელიც ამ მიზანს არ ემსახურება, არც არის საჯარო გამოხატვა და პირველი შესწორების დაცვის ქვეშ არ ექცევა. თუმცა, ამ სახის გამოხატვის რეგულირება მაინც საკონმდებლო ორგანოს ვალდებულებაა. აღნიშნული თეორია გახმოვანდა ცნობილ საქმეში *ნიუ იორკ ტაიმის სალივანის წინააღმდეგ*, სადაც მოსამართლე ბრენანმა აღნიშნა, რომ ხალხის უფლება – გააკრიტიკოს საკუთარი მთავრობა, პირველი შესწორების ქვაკუთხედაა.

პროფესორი ვინცეტ ბლასი მკაცრად აკრიტიკებს მაიკლჯონის თეორიას. ბლასი სათუოდ მიიჩნევს საკითხს, აქვს თუ არა დღევანდელ მოქალაქეს დრო, ინტერესი ან შესაძლებლობა, რომ შეასრულოს გადანყვეტილების მიმღების როლი, განსაკუთრებით კი – დღევანდელი მასმედიის, საკმაოდ ძლიერი სახელმწიფოს და ამომრჩეველთა გაუცხოების პირობებში. ბლასი ეჭვქვეშ აყენებს, ძალუძთ თუ არა დღევანდელ მოქალაქეებს იმ სამოქალაქო ვალდებულებების აღება საკუთარ თავზე, რომლებზეც მაიკლჯონი საუბრობს. საწინააღმდეგოდ, ბლასი აცხდებს, რომ დღევანდელ საზოგადოებაში მედია საზოგადოების სუროგატად გვევლინება. ამრიგად, ბლასი მიიჩნევს, რომ თვითმმართველობის მოდელი არარეალისტურია და არ აღწერს დღევანდელი დემოკრატიის ფუნქციონირებას.

მაიკლჯონის თეორიასთან დაკავშირებით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არსებობს. მაიკლჯონის თანახმად, დაცული უნდა იყოს მხოლოდ საჯარო გამოხატვა, რადგან კერძო გამოხატვა თავისთავად სარგებლობს შეზღუდული დაცვის რეჟიმით. მაიკლჯონის ეს თეზისი საკმაოდ აბსოლუტურია, თუმცა, ამავე დროს, – საკმაოდ ვიწრო.

თავისუფლების ანუ ინდივიდუალური ავტონომიის მოდელი

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოდელი, რომელიც პროფესორმა ედვინ ბეიკერმა განავითარა, არის თავისუფლების – ინდივიდის ავტონომიის მოდელი. ბეიკერის თანახმად, სიტყვის თავისუფლება ფასეულია, როგორც მიზანი, ხოლო როგორც საშუალება, ის ინდივიდის თავისუფლების ნაწილია. ბეიკერმა შემდეგნაირად აღწერა თავისუფლების მოდელი: „თავისუფლების მოდელის თანახმად, სიტყვის თავისუფლება იცავს არა იდეათა ბაზარს, არამედ სახელმწიფოს მიერ ხელყოფისაგან იცავს ინდივიდის თავისუფლების გარკვეულ არეალს. თავისუფლების თეორია ამართლებს სიტყვის თავისუფლების დაცვას, რადგან მისი დაცვა უზრუნველყოფს ინდივიდის თვით-რეალიზაციას, თვით-გამორკვევას მის მიერ სხვების უფლებებისა და ლეგიტიმური ინტერესების ხელყოფის გარეშე“.

თავისუფლების მოდელის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ეს მოდელი ცდილობს, დაიცვას უფლებების საკმაოდ დიდი სპექტრი და, საბოლოოდ, იცავს უფრო ნაკლებს, ვიდრე ეს აუცილებელია. მოსამართლე რობერტ ბორკი აცხადებდა, რომ თავისუფლების მოდელის თანახმად, ძნელდება სიტყვისა და სხვა ქმედებების განსხვავება ერთმანეთისგან. მოკლედ რომ ითქვას, თავისუფლების მოდელი, თავისი ყოვლისმომცველობით, ამცირებს სიტყვის თავისუფლებას. „თავისუფლების მოდელის მიხედვით, პირს არ შეუძლია, დაიცვას სიტყვის თავისუფლება ნეიტრალური მიზეზების გამო იმაზე მეტად, ვიდრე დაიცავდა მას სხვა უფლებების აღდგენის მიზნით.“

პირველი შესწორების სხვა მოდელები

ზემოაღნიშული სამი მოდელი – იდეათა ბაზრის, თვითმმართველობისა და თავისუფლების მოდელები – პირველი შესწორების ინტერპრეტაციისას ყველაზე ხშირად გამოიყენება. არის კიდევ სხვა მოდელებიც, რომლებსაც სასამართლო იყენებს, თუმცა, არცთუ ისე ხშირად, როგორც ზემოაღნიშნულ სამს.

უსაფრთხოებისა და ფასეულობის თეორია. ეს თეორია მოსამართლე ბრანდისმა ჩამოაყალიბა გადანაცვეტილებაში საქმეზე ვიტნი კალიფორნიის წინააღ-

მდეგ¹⁶. მან აღნიშნა, რომ გამოსატყვის თავისუფლების შეზღუდვა ინვეს ფიქრის, ფანტაზიის, წარმოდგენების და იმედების შეზღუდვას, რაც საშიშია. შიში კი ინვეს რეპრესიებს, რომელიც, თავის მხრივ, სიძულვილს წარმოშობს. ხოლო სიძულვილი საფრთხეს უქმნის სტაბილურ სახელმწიფოს. შესაბამისად, გამოსატყვის თავისუფლება სახელმწიფოში უსაფრთხოების ერთგვარი მექანიზმია.

დაახლოებით ორმოცი წლის შემდეგ ეს აზრი ცნობილმა მეცნიერმა თომას ემერსონმა განავითარა. იგი აღნიშნავდა, რომ გამოსატყვის თავისუფლება არის გზა უსაფრთხოებისკენ, რადგან მოქალაქეებისათვის უფრო სანდოა სახელმწიფოს ის გადაწყვეტილება, რომელიც მათი მონაწილეობით და ღია დებატებით არის მიღებული. შესაბამისად, გადაწყვეტილებების მიღების ასეთი პროცესი საზოგადოებაში პოტენციური კონფლიქტების შესაძლებლობას აღმოფხვრის.¹⁷

შემწყნარებლობის თეორია. დინ ლეე ბოლინგერი მიიჩნევდა, რომ პირველი შესწორების ერთ-ერთი ფასულობა საზოგადოებაში შემწყნარებლობის დანერგვაა. შესაბამისად, ნაცისტების დემონსტრაცია ჩიკაგოს იმ გარეუბანში, სადაც ებრაული მოსახლეობა ცხოვრობს, კი არ უნდა ავკრძალოთ, არამედ მას უნდა შევეგუოთ და შემწყნარებლურად მივუდგეთ. პირველი შესწორება, პირველ რიგში, საზოგადოების ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ამაღლებს.¹⁸

რომანტიკული ტრადიციის თეორია. როდესაც თომას ემერსონი თავის ცნობილ ნაშრომს წერდა, მან აღნიშნა, რომ არ არსებობს ერთი გამაერთიანებელი თეორია, რომელიც პირველი შესწორების მოდელად ჩაითვლებოდა. ასევე, სტივენ შიფრინიც მიიჩნევს, რომ ერთიანი თეორიის არსებობა საჭიროა.¹⁹ თუმცა, იგი აქვე პოულობს პასუხს – არა დოქტრინის, არამედ, უფრო ზოგადი განცხადების სახით. მისი აზრით, პირველი შესწორების ძირითადი დანიშნულებაა, დაიცვას რომანტიკოსები – ყველა, ვინც ამოვარდა საზოგადოების კლასიკური ფორმიდან და შეხედულებებიდან, საზოგადოების მიერ გარიყულები, მარგინალური ჯგუფები თუ პირები, ოპოზიციონერები.

ეკონომიკური თეორია. თეორიები, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, პირველ შესწორებას ტრადიციული შეხედულებების საფუძველზე განმარტავს. თუმცა განსხვავებული მიდგომებიც არსებობს. ერთ-ერთი მათგანია მოსამართლე რიჩარდ პოზნერის თეორია, რასაც საფუძველად უდევს ეკონომიკური და საზოგადოებრივი არჩევანის თეორიები. მოსამართლე პოზნერმა პირველი შესწორების

¹⁶ Whitney v. California. 274 US 357, 1927.

¹⁷ Emerson, The System of Freedom of Expression, 1970.

¹⁸ Bollinger, The Tolerant Society: Freedom of Speech and Extremist Speech in America, 1986.

¹⁹ Steven Shiffrin, First Amendment, Democracy and Romance, 1990.

ინტერპრეტაციისას გამოიყენა ფინანსურად მომგებიანი ანალიზი და პირველი შესწორებით დაცული სიკეთეები საზოგადოებრივ საკუთრებას მიაკუთვნა.²⁰ ამ თეორიის მიმდევრები ფიქრობენ, რომ ინფორმაცია საზოგადოების საკუთრებაა; შესაბამისად, სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა მოერიდოს იდეებისა და ინფორმაციის მიმოქცევის რეგულირებას.

²⁰ Posner, Free Speech in an Economic Perspective, 20 Suffolk, U.L., Rev. 1 1986.

პირველი შესწორების მეთოდოლოგია

შინაარსობრივი და შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება

პირველი შესწორების ერთ-ერთი ფუნდამენტური მეთოდოლოგია – ეს არის განსხვავება სახელმწიფოს მიერ შინაარსობრივ და შინაარსობრივად ნეიტრალურ რეგულირებას შორის. შინაარსობრივი რეგულირება, როგორც ტერმინიდან ჩანს, გულისხმობს გამოხატვის შინაარსის რეგულირებას, ხოლო შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება მოიცავს შეზღუდვებს, რომლებიც ეხება გამოხატვას, მისი შინაარსის მიუხედავად.

თუ სახელმწიფო რეგულირება მიმართულია შინაარსზე, მაშინ ის ანტიკონსტიტუციურია. სასამართლომ დაადგინა: „ყველაფრის მიუხედავად, პირველი შესწორება ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება მისი შინაარსის და იდეის გამო“. თუმცა, სახელმწიფოს აქვს უფლება, შეზღუდოს გამოხატვა მისი შინაარსის საფუძველზე, თუკი დაამტკიცებს, რომ ეს გამოხატვა ხვდება ე.წ. ქვედა კატეგორიის გამოხატვაში, ან თუ არსებობს სახელმწიფო ინტერესი გამოხატვის რეგულირების მიმართ.

რაც შეეხება შინაარსობრივად ნეიტრალურ გამოხატვას, დადგენილია, რომ ის ნაკლებ პრობლემას უქმნის პირველი შესწორებით დაცულ უფლებებს.

შინაარსობრივი რეგულირების ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც უზენაესმა სასამართლომ ანტიკონსტიტუციურად ცნო, კოლუმბიის ოლქის კანონი იყო. ეს კანონი კრძალავდა უცხო სახელმწიფოს საელჩოდან 500 ფუტის რადიუსში უცხო სახელმწიფოსადმი კრიტიკული განცხადებების და პლაკატების გამოკვრას და

განთავსებას. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ოკონორმა წარმოადგინა მნიშვნელოვანი განცხადება, რომელიც საფუძვლად დაედო სასამართლო გადაწყვეტილებას: სადავო კანონში აკრძალული განცხადებები მოიცავს პოლიტიკური გამოხატვის არსებით ელემენტებს; ამ კანონის თანახმად, პოლიტიკური გამოხატვა იკრძალება ქუჩაში, რომელიც, ტრადიციულად, საჯარო ადგილად არის მიჩნეული; შესაბამისად, აკრძალვა შინაარსობრივ რეგულირებას წარმოადგენს. ასევე იკრძალება პიკეტირება და დემონსტრაციების გამართვა იმის გათვალისწინებით, თუ როგორია დემონსტრაციის შინაარსი – არის თუ არა ის კრიტიკული უცხო სახელმწიფოს მთავრობის მიმართ. სასამართლომ კანონის ეს ნაწილი ანტიკონსტიტუციურად ცნო, რადგან ის არ იყო ვინაობა ფორმულირებული და უფრო ნაკლებად შემზღუდველი ალტერნატივებიც არსებობდა.

სადავო კანონის მეორე პუნქტი შეიცავდა ნორმას, რომლის მიხედვითაც, პოლიციას უფლება ჰქონდა, დაეშალა დემონსტრაცია, თუკი დემონსტრანტები უცხო სახელმწიფოს მთავრობას აკრიტიკებდნენ და თუკი ეს დემონსტრაცია უცხო სახელმწიფოს საელჩოდან 500 ფუტის რადიუსში იმართებოდა. ქვედა ინსტანციის სასამართლომ აღნიშნული ნორმა ისე განმარტა, რომ პოლიციას უფლება ეძლეოდა, დაეშალა დემონსტრაცია, თუ არსებობდა გონივრული ეჭვი, რომ საფრთხე შეექმნებოდა საჯარო წესრიგსა და სიმშვიდეს. ამგვარი ინტერპრეტაციის შედეგად, კანონის ეს ნორმა შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება გამოდიოდა და, შესაბამისად, სასამართლომ განაცხადა, რომ ეს გონივრული რეგულირება იყო.²¹

შინაარსობრივი რეგულირების ერთ-ერთი მაგალითია ნიუ იორკის ე.წ. „Son of Sam“ კანონი. ამ კანონის თანახმად, თანხა, რომელიც ბრალდებულმა ან მისჯილმა პატიმარმა მიიღო იმ პუბლიკაციის შედეგად, სადაც მის დანაშაულებრივ საქმიანობაზეა მოთხრობილი, მსხვერპლთა დაცვის ფონდში უნდა გადაირიცხოს. მოსამართლე ოკონორმა წარმოადგინა სასამართლოს ერთსულოვანი მოსაზრება, როდესაც განაცხადა, რომ არსებობს პრეზუმფცია: კანონი ანტიკონსტიტუციურია, თუ ის ფინანსურ სანქციას აწესებს სპიკერებისთვის მათი განცხადებების შინაარსის გამო.²²

სადავო კანონი ცალკე გამოყოფდა შემოსავალს, რომელიც ექსპრესიული მოქმედების შედეგად იყო მიღებული და მიმართული იყო ამ მოქმედების შინაარსზე. სადავო კანონი ვრცელდებოდა ნებისმიერ ნაწარმოებზე, რომელიც აღწერდა დანაშაულის შინაარსს ან მოგონებებს დანაშაულზე. ამასთან, თუ ავტორი დანაშაულის ჩადენაში გამოტყდებოდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, იგი ბრალდებული

²¹ Boos v. Barry, Supreme Court of the United States 485 US 312, 1988.

²² Simon & Schuster, Inc v. New York Crime Victims BD, 502 US 105, 1991.

იყო თუ უკვე სასჯელმისჯილი პატიმარი, – კანონი მასზეც ვრცელდებოდა. ამ შინაარსით, კანონი თავისუფლად გავრცელდებოდა მარტინ ლუთერ კინგის, ჰენრი დევიდ ტოროს, ჯესი ჯექსონის, მალკომ იქსის ან ბერტრანდ რასელის ნაწარმოებებზე, სადაც ავტორები აღწერენ მათ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს. გამომდინარე იქიდან, რომ კანონი შინაარსობრივად არეგულირებდა გამოხატვას, სასამართლომ მასზე უმკაცრესი კონტროლი დააწესა და აღნიშნა, რომ ნიუ-იორკის შტატს არ ჰქონდა მნიშვნელოვანი ინტერესი, მსხვერპლთა კომპენსაცია ამ ფორმით მოეხდინა. ასევე, კანონი არ იყო ვინაობა ფორმულირებული და მოიცავდა გამოხატვის ფართო სპექტრს.

მოსამართლე კენედი თანმხვედრ მოსაზრებაში უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში არ იყო საჭირო მკაცრი კონტროლის ან დაბალანსების ტესტის გამოყენება; ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც რეგულირება შინაარსს ეხება, ესე იგი, ეწინააღმდეგება პირველ შესწორებას, ეს საკმარისია მისი ანტიკონსტიტუციურად ცნობისათვის. ამ კონტექსტში მოსამართლე კენედიმ აბსოლუტისტური მიდგომა გამოიჩინა.

საქმეში *ბურსონი ფრიმანის წინააღმდეგ*²³, სასამართლომ ძალაში დატოვა ტენესის შტატის კანონი, რომელიც კრძალავდა ხმის მიცემის სააგიტაციო კამპანიას კენჭისყრის ადგილიდან 100 ფუტის რადიუსში. მოსამართლე ბლექმუნმა, რომელმაც უმრავლესობის აზრი წარმოადგინა, აღნიშნა, რომ რეგულირება მოიცავდა ფუნდამენტურ პოლიტიკურ გამოხატვას საჯარო ადგილზე და, შესაბამისად, რეგულირებაც შინაარსობრივი იყო. მიუხედავად ამისა, და მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქმის გარემოებები საკმაოდ ჰგავდა საქმეს ბუსი ბარის წინააღმდეგ, სასამართლომ აღნიშნა, რომ შტატს ჰქონდა მნიშვნელოვანი ინტერესი, დაეცვა სხვა უფლება – კენჭისყრაში თავისუფლად, დაშინებისა და მოტყუების გარეშე მონაწილეობის უფლება. რადგან 100 ფუტის რადიუსი შეზღუდული ზონა იყო ამ უფლების დასაცავად, კანონი კონსტიტუციურად ცნეს. მოსამართლე სკალიამ თანმხვედრ მოსაზრებაში აღნიშნა, რომ იგი ტენესის კანონს განიხილავს, როგორც რეგულირებას არასაჯარო ადგილზე.

როგორც ჩანს, განსხვავება შინაარსობრივ და შინაარსობრივად ნეიტრალურ რეგულირებას შორის საკმაოდ პრობლემებს წარმოშობს. თავდაპირველად ისმის კითხვა, თუ რამდენად გონივრულია განსხვავების არსებობა. პროფესორი მარტინ რედში მიიჩნევს, რომ რეგულირების ორივე ფორმა მნიშვნელოვანწილად ამცირებს იდეების კომუნიკაციას. ამასთან, შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება შეიძლება უფრო შემზღუდველი იყოს, ვიდრე შინაარსობრივი რეგული-

²³ Burson v. Freeman, 504 US 191, 1992.

რება. მაგალითად, კონკრეტულ ადგილზე გამოხატვის აკრძალვა პირველი შესწორებისთვის სერიოზულ პრობლემებს ქმნის.

პროფესორ რედისის კრიტიკა გაიზიარა ჯეფრი სტოუნმა, რომელმაც შემოგთავაზა შინაარსობრივი რეგულირების სამი თვისება, რაც ორ რეგულირებას შორის განსხვავების პრობლემას აღმოფხვრის:

1. შინაარსობრივი რეგულირება საჯარო დებატებს აღმოფხვრის შინაარსობრივად განმასხვავებელი გზით;

2. შინაარსობრივი რეგულირებისას არსებობს რისკი, რომ სახელმწიფო სინამდვილეში არ იზიარებს კონკრეტულ იდეას, რომელსაც არეგულირებს;

3. სახელმწიფოს ძალისხმევა, შეზღუდოს გამოხატვა მისი შედეგების გამო, ძირითადად, დაფუძნებულია კონსტიტუციურად გაუმართლებელ საფუძვლებზე.

ეს მახასიათებლები, სტოუნის აზრით, არ გვხვდება შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირების დროს.

ასევე, ისმის კითხვა, თუ რა არის იმის განმსაზღვრელი, რომ კანონი შინაარსობრივ რეგულირებას წარმოადგენს? პროფესორი ტრაიბი წერს, რომ არსებობს ორი ფაქტორი ამის დასადგენად: რეგულირება შინაარსობრივია, თუ :

1. სახელმწიფოს ქმედება ამკარად მიმართულია იდეისა და ინფორმაციისკენ, რომლის შეზღუდვასაც ისახავს მიზნად;

2. სახელმწიფოს თითქოსდა ნეიტრალური ქმედება ამკარად მოტივირებულია კონსტიტუციით დაცული გამოხატვის შეზღუდვით.

ბუნდოვანი და ფართოდ ფორმულირებული კანონი

პირველი შესწორების საფუძველზე შეტანილი სარჩელები, როგორც წესი, ეხება კონკრეტული კანონის გამოყენებას ამა თუ იმ შემთხვევაში. თუმცა, შესაძლოა, სარჩელი შეიტანონ უშუალოდ კანონის ანტიკონსტიტუციურობის თაობაზე (*facial challenge of the law*). მაგალითად, თუ უხამსი გამოხატვის შესახებ კანონი კრძალავს სექსუალურად გამომწვევ, თუმცა, არაუხამს პუბლიკაციებს, მაშინ მოსარჩელეს შეუძლია, იდაოს მის პოტენციურ გამოყენებასა და ანტიკონსტიტუციურობაზე.

თუ კანონი პირველი შესწორებით დაუცველ სიტყვაზე ვრცელდება, მაინც შეიძლება მისი ანტიკონსტიტუციურობის საკითხი დადგეს, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუკი ის იმავდროულად კრძალავს დაცულ გამოხატვას. სწორედ ეს გახ-

ლავთ ფართოდ ფორმულირებული კანონის დოქტრინა: „სახელმწიფოს მიზანი, გააკონტროლოს და აღმოფხვრას კონსტიტუციის თანახმად შტატის რეგულირების ქვეშ მყოფი ქმედებები, არ შეიძლება მიღწეულ იქნას ისეთი საშუალებებით, რომლებიც უსაფუძვლოდ ფართო გამოყენებისა და კონსტიტუციით დაცულ არეალშიც იჭრება.“²⁴

კანონის ფართოდ ფორმულირების წინააღმდეგ სარჩელის შეტანა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხდება კანონის კონსტიტუციური შეფარდება კონკრეტული ქმედებისადმი, ან როდესაც არსებობს ალტერნატივა უფრო ვიწროდ ფორმულირებული კანონის შეფარდებისა. როგორც წესი, საქმის მხარეს არ აქვს უფლება, იდაოს იმ პირის უფლებების შესახებ, რომელიც პროცესის მონაწილე არ არის. ამ წესს მესამე პირის წესი ეწოდება. რაც შეეხება სარჩელებს ფართოდ ფორმულირებული კანონის თაობაზე, აქ გამონაკლისი არსებობს: მხარეს შეუძლია, აპელირება მოახდინოს სხვების უფლებებზე და სასამართლოში მათი სახელით იდაოს. თუმცა, ეს უფლება შემდგომ ოდნავ შეიზღუდა შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით²⁵. ამ საქმის თანახმად დადგინდა, რომ პირს აქვს უფლება, სარჩელი შეიტანოს, თუ არსებობს კანონის მოქმედების რეალური და მნიშვნელოვანი შედეგი. უზენაესმა სასამართლომ მესამე პირის წესისგან ეს გამონაკლისი გაამართლა იმით, რომ პირველი შესწორების თანახმად, შეტანილ სარჩელებში მნიშვნელოვანი ინტერესი დევს – იდეების თავისუფალი და ღია ბაზრის შენარჩუნება.

1973 წელს სასამართლომ საქმეში *ბროდრიკი ოკლაჰომის წინააღმდეგ*²⁶ მნიშვნელოვნად ფართოდ ფორმულირებული კანონის დოქტრინა განავითარა. ამ დოქტრინის თანახმად, აუცილებელია, რომ კანონი იყოს არა მხოლოდ რეალურად, არამედ მნიშვნელოვანწილად ფართოდ ფორმულირებული. თავდაპირველად ეს დოქტრინა მხოლოდ ქმედებაზე ვრცელდებოდა, შემდგომ ის გაფართოვდა. თუმცა საქმეში არ არის მოცემული კრიტერიუმები, რომლებიც მიგვანიშნებდა, თუ რა შემთხვევაში მიიჩნევა კანონი „მნიშვნელოვანწილად ფართოდ ფორმულირებულად“.

ამ მხრივ საყურადღებოა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Board of Airport Comm'rs v. Jews for Jesus, Inc*²⁷, სადაც სასამართლომ გააუქმა აეროპორტის შიდა განაწესი, რომლის თანახმადაც, პირებს ეკრძალებოდათ ლოს ანჟელესის საერთაშორისო აეროპორტში „პირველი შესწორებით დაცულ აქტივო-

²⁴ NAACP v. Alabama. 357 US 449 (1958). Docket Number: 91.

²⁵ Erznoznik v. City of Jacksonville, 422 US 205, 1975.

²⁶ Broadrick v. Oklahoma, 413 US 601, 1973.

²⁷ 482 US 569, 1987.

ბებში ჩართვა“. ამ წესის თანახმად, თავისუფლად აიკრძალებოდა ლაპარაკი, კითხვა და სხვადასხვა სამკერდე ნიშნის ტარება. მოსამართლე ოკონორმა სასამართლოს გადაწყვეტილების წარმოდგენისას განაცხადა, რომ სადავო კანონი კრძალავდა პირველი შესწორებით დაცული ქმედებების მთელ სპექტრს და ქმნიდა პირველი შესწორებისგან თავისუფალ ზონას.

ფართოდ ფორმულირებული კანონის დოქტრინასთან ახლოს დგას ბუნდოვანი კანონის დოქტრინა. ბუნდოვანების განმარტება უზენაესმა სასამართლომ წარმოადგინა საქმეში *Connally v. General Construction*²⁸, რომლის მიხედვითაც, კანონი ბუნდოვანია, თუ „საშუალო ადამიანი“ ვერ განსაზღვრავს მისი მოქმედების შედეგებს და ზუსტად ვერ გაიგებს მის მნიშვნელობას.

ამრიგად, სპეციალური სიზუსტეა საჭირო იმ კანონებისთვის, სადაც პირველი შესწორებით დაცული უფლებების რეგულირება ხდება. მიუხედავად მათი მსგავსებისა, ეს ორი დოქტრინა ერთი და იგივე არ არის. კანონი შეიძლება საკმაოდ ზუსტი და ნათელი იყოს, თუმცა, ვრცელდებოდეს როგორც დაცული, ასევე, დაუცველი გამოხატვის რეგულირებაზე.

ასეთი კანონი ფართოდ ფორმულირებულია, მაგრამ არა – ბუნდოვანი. მნიშვნელოვნად განსხვავდება პირის უფლება სარჩელის შეტანის დროს: თუ ფართოდ ფორმულირებული კანონის თაობაზე სარჩელის შეტანისას ხდება მესამე პირის წესის იგნორირება, ბუნდოვანი კანონის შემთხვევაში ეს ასე არ არის. პირი ვალდებულია, აჩვენოს, რომ კანონი ბუნდოვანია, როდესაც ხდება მისი შეფარდება კონკრეტული ქმედებისადმი და რომ თავად იგი ამ კანონის შეფარდების მსხვერპლია.

²⁸ 269 US 385, 1926.

პირველი შესწორების ზოგიერთი პრობლემატური საკითხი

ზოგადი მიმოხილვის გარდა, აუცილებელია, მიმოვიხილოთ კონკრეტული პრობლემები და კონკრეტული ინტერესები, რომელთა მიმართაც უნდა დაბალანსდეს გამოხატვის თავისუფლება. პირველი შესწორების ანალიზის ამ ნაწილში განვიხილავთ კონკრეტულ პრობლემებსა და თემებს. ცხადია, ყველა თემას ვერ შევხებით, მაგრამ შევჩერდებით სასამართლოს პრაქტიკის განვითარებაზე ისეთ ძირითად სფეროებში, როგორიცაა ცილისწამება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, წინასწარი შეზღუდვები, ინფორმაციის თავისუფლება, მაუწყებლობის რეგულირება და სხვა. თითოეული თემის ირგვლივ მიმოვიხილავთ კანონმდებლობას, აგრეთვე, განვითარებულ სასამართლო პრაქტიკას და ძირითად კონცეფციებს.

საჯარო ფორუმი

ვისი საკუთრებაა ქუჩები, სკვერები და პარკები? 1895 წელს, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პირველი შესწორებით გათვალისწინებული უფლებების დაცვა შტატებისთვის სავალდებულო არ იყო, ოლივერ ვენდალ ჰოლმსმა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ამ კითხვაზე შემდეგი პასუხი გასცა საქმეში *მასაჩუსეტის დავისის წინააღმდეგ*²⁹: „კანონმდებლის მიერ მოქალაქეთათვის პარკებში და ქუჩაში საჯაროდ გამოსვლების აკრძალვა არანაკლები დარღვევაა, ვიდრე კერძო პირისთვის მის საკუთარ ტერიტორიაზე გამოხატვის აკრძალვა“.

²⁹ Massachusetts v. Davis (Mass. Sup. Jud Ct. 1895), 191

თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 1939 წელს, მოსამართლე რობერტსმა საქმეში *Hague v. C.I.O* გააფართოვა ოლივერ ვენდალ ჰოლმსისეული დოქტრინა და აღნიშნა: „რავინდ დასახელების იყოს ქუჩა ან პარკი, ისინი მოქალაქეთა სარგებლობისთვის არის განკუთვნილი, მუდამ გამოიყენებოდა შეკრებებისათვის, სხვადასხვა აზრის გაზიარებისთვის და საზოგადოებრივი პრობლემების განხილვისათვის. ზემოაღნიშნული მიზნებისათვის ისეთი საზოგადოებრივი ადგილების გამოყენება, როგორცაა ქუჩა, სკვერი და პარკი მოქალაქეთა პრივილეგიების, იმუნიტეტის, უფლებების და თავისუფლების განუყოფელი ნაწილია“.

საერთო სამართლის ტრადიციების მიხედვით, საჯარო ადგილებში გამოხატვის რეგულირება დასაშვებია იყო, თუმცა, ამ ადგილებში მიმოსვლის (საჯარო ადგილების ხელმისაწვდომობის) აკრძალვა არ ხდებოდა. მოგვიანებით პროფესორმა ჰარი კალვინმა შექმნა „საჯარო ფორუმის“ დოქტრინა. კალვინმა საჯარო ფორუმში უწოდა საჯარო ადგილებს და მათი ხელმისაწვდომობის ერთობლიობას. „საჯარო ადგილები და მათი ხელმისაწვდომობა არის საჯარო ფორუმში, რომლით სარგებლობის უფლება მოქალაქეთა თავისუფლებაა.“³⁰

თუმცა პროფესორი კალვინი ამ დოქტრინის განვითარებისას ხვდებოდა, რომ მთავრობას შეეძლო რობერტსის დოქტრინა თავისებურად აეხსნა: კერძოდ, საჯარო ადგილების გამოყენება თანმხვედრი საჯარო ინტერესის სახელით დაერეგულირებინა. 1942 წელს საქმით *კოქსი ნიუ ჰემპშირის წინააღმდეგ*³¹ სასამართლომ მხარი დაუჭირა იელოვას მოწმეების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ნებართვის გარეშე დემონსტრაციის მოწყობისათვის. სასამართლომ დაადგინა, რომ ნებართვის სისტემა შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირების გონივრული მეთოდი იყო. ეს სისტემა საზოგადოებრივ წესრიგს იცავდა. თუმცა მანამდე საქმეში *შნაიდერი ნიუ ჯერსის წინააღმდეგ*³² სასამართლომ ანტიკონსტიტუციურად ცნო რამდენიმე კანონი, რომლებიც ქუჩაში საინფორმაციო ფურცლების დარიგებას კრძალავდა. ქუჩაში სისუფთავის დაცვის ინტერესმა ვერ გადაწონა მოქალაქეთა ინტერესი, მიუხედავად იმისა, რომ შტატს შეუძლია აკრძალოს ქუჩების დანაგვიანება, მას არ შეუძლია აკრძალოს გამოხატვის თავისუფლება.

მაშინ, როდესაც სასამართლო ცდილობდა, განევითარებინა საჯარო ადგილების ხელმისაწვდომობის დოქტრინა, აუცილებელი ხდებოდა საჯარო ადგილების თანაბრად ხელმისაწვდომობის დოქტრინის განვითარებაც. სასამართლო არ დაეთანხმა მთავრობის პოზიციას, როდესაც ის კრძალავდა საჯარო ადგი-

³⁰ Kalven, *The Concept of the Public Forum: Cox v. Louisiana*, 1965, Supreme Court, Rev. 1.

³¹ *Cox v. New Hampshire* 312 U.S. 569, 61, S.Ct. 762, 85 L.E.d.2d. 487 (1941), 81

³² *Schneider v. New Jersey*, 308 U.S. 147, 60 S.Ct. 146, 84, L.Ed. 155 (1939), 193

ლების გამოყენებას გარკვეული ჯგუფებისთვის – მათი დემონსტრაციის თუ შეკრების მესიჯიდან გამომდინარე. სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ ასეთი შინაარსობრივი რეგულირება იკრძალება პირველი შესწორებით. პირველი შესწორება სულაც რომ არ ვახსენოთ, ასეთი ქმედება არღვევს თანასწორი მოპყრობის კონსტიტუციურ ნორმას.

შემოიფარგლება თუ არა საჯარო ადგილებში თანასწორი დაშვება მხოლოდ ქუჩებით, პარკებით და სკვერებით; თუ ის ვრცელდება სახელმწიფოს საკუთრებაზე ზოგადად? – ეს იყო შემდეგი კითხვა, რომელიც სასამართლოს წინაშე დაისვა. რამდენიმე საქმეში სასამართლომ მხარი დაუჭირა გამოხატვის თავისუფლებას ისეთ საჯარო ადგილებში, რომელთა თავდაპირველი დანიშნულება არ იყო გამოხატვის თავისუფლება და საპროტესტო აქციების გამართვა: საქმეში *ედვარდსი სამხრეთ კაროლინის წინააღმდეგ*³³ სასამართლომ გააუქმა სამოქალაქო უფლებებისთვის იმ დემონსტრაციის მონაწილეთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომლებიც შტატის მთავრობის შენობის წინ შეიკრიბნენ. საქმეში *ბრაუნი ლუიზიანის წინააღმდეგ*³⁴ სასამართლომ მხარი დაუჭირა მომიტინგეებს, რომლებმაც საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის წინ მდუმარე აქცია გამართეს ბიბლიოთეკის რასობრივი სეგრეგაციის პოლიტიკის წინააღმდეგ. 1972 წელს კი საქმეში *გრეინედი როკფორდის წინააღმდეგ*³⁵ სასამართლომ ძალაში დატოვა კანონი, რომელიც გაკვეთილების მიმდინარეობისას კრძალავდა ხმაურისანი დემონსტრაციების გამართვას სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე. სასამართლომ ამ საქმეში განაცხადა: „*კონკრეტული ადგილი და მისი ნორმალური ფუნქციონირების პირობები თავისთავად გვკარნახობს გონივრულ რეგულირებას დროის, ადგილისა და ფორმის მიხედვით. შესაბამისად, გადამწყვეტია კითხვა: არის თუ არა გამოხატვა შეუთავსებელი გამოხატვის ადგილზე მდებარე დაწესებულების ფუნქციონირებასთან*“.

ამრიგად, სასამართლომ დაუშვა გამოხატვის თავისუფლება საჯარო ადგილებში, თუ ეს გამოხატვა არ ეწინააღმდეგებოდა ამავე ადგილთან მდებარე რაიმე საჯარო დაწესებულების ფუნქციონირებას. მიუხედავად ასეთი ზოგადი ხედვისა, სასამართლომ თანდათან დაიწყო საკითხის ფორმალიზება და კლასიფიცირება. საჯარო ფორუმის ტრადიციული განმარტების მიღმა არსებული საზოგადოებრივი ადგილები საზოგადოებრივი მოხმარებისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, რათა ისინი საჯარო ფორუმად ჩათვლილიყო. ამის გამო, სასამართლომ განავითარა საჯარო ფორუმის ორი სახე – ტრადიციული და შეზღუდული – და

³³ *Edwards v. South Carolina*, 372, U.S. 229, 83, S.Ct. 680, 9, L. Ed 2d 697 (1963), 81,

³⁴ *Brown v. Louisiana*, 383, U.S. 131, 86, S.Ct. 719, 15, L.Ed.2d.732 (1982)

³⁵ *Greyned v. City of Rockford*, 408 U.S. 104, 92 S. Ct. 2294, 33, L. Ed, 2d, 222 (1972)

მათი რეგულირების ფორმები. საქმეში *ჰეფრონი კრიშნას მიმდევართა საერთაშორისო საზოგადოების წინააღმდეგ*³⁶ კრიშნას საზოგადოების წევრებს აკრძალათ მასალების გავრცელება ზოგიერთ ადგილზე. სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი აკრძალვა კონსტიტუციურია, რადგან ის შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირებაა და ტრანსპორტის შეუფერხებლად გადაადგილებას ემსახურება. ამათან, კრიშნას საზოგადოების წარმომადგენლებს შეეძლოთ მასალები გაეგრძელებინათ სხვა ადგილებში, სადაც ეს აკრძალული არ იყო.

არასაჯარო ფორუმი

არსებობს თუ არა საჯარო ფორუმის ისეთი სახეობები, რომელებიც არც ტრადიციულ საჯარო ფორუმს წარმოადგენს და არც შეზღუდულს? როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ყველა საჯარო ადგილი და შენობა საჯარო ფორუმია, თუკი ხელი არ ეშლება ამ დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას. თუმცა, სასამართლომ საკითხი ასე არ გადანყვიტა. ტრადიციული და შეზღუდული საჯარო ფორუმის გარდა, სასამართლომ შექმნა ე.წ. არასაჯარო ფორუმის (**Nonpublic Forum**) ცნებაც – საქმეში *ადერლი ფლორიდის წინააღმდეგ*³⁷. კერძოდ, სასამართლომ მხარი დაუჭირა იმ სტუდენტების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომლებიც ციხის ტერიტორიაზე მიტინგს ატარებდნენ. 60-იან წლებში, სტუდენტური მოძრაობის დროს, ახალგაზრდები ციხის ტერიტორიაზე შეიკრიბნენ და აპროტესტებდნენ მათი იმ მეგობრების დაკავებას, რომლებიც თეატრების რასობრივი სეგრეგაციის პოლიტიკის წინააღმდეგ იბრძოდნენ. დემონსტრაციას არ ახლდა არც ძალადობის ნიშნები და არც მისი საფრთხე.

მოსამართლე ბლექმა უარყო მოსაზრება, რომ მოქალაქეებს აქვთ უფლება, გამოხატონ საკუთარი აზრი იქ და იმგვარად, სადაც და როგორც სურთ. მან აღნიშნა, რომ ციხის ტერიტორია არ არის საჯარო ფორუმი: სახელმწიფოს, ისევე, როგორც კერძო საკუთრების მეპატრონეს, აქვს უფლება, დაიცვას საკუთარ კონტროლს დაქვემდებარებული საკუთრება და უზრუნველყოს მისი ფუნქციონირება მხოლოდ დანიშნულების მიხედვით.

მოსამართლე დუგლასი, რომელმაც ამ საქმეზე განსხვავებული აზრი წარმოადგინა, არ დაეთანხმა კერძო მესაკუთრისა და სახელმწიფოს ანალოგიას. მოსა-

³⁶ *Heffron v. International Society for Krishna Consciousness* 452 US 640, 1981.

³⁷ *Adderley v. Florida*, 385 U.S 39, 87, 87, S.Ct. 242, 17 L.Ed. 2d 149, 1966.

მართლე დუგლასმა აღნიშნა, რომ კერძო მესაკუთრის და სახელმწიფოს გაიგივება არასწორია, რადგან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს განსხვავებულ კატეგორიებთან. ციხის შენობა სახელმწიფოს ისეთივე ადგილსამყოფელია, როგორც შტატის მთავრობის შენობა იყო საქმეში *ედვარდსი სამხრეთ კაროლინის წინააღმდეგ*. შესაბამისად, ეს ადგილი საპროტესტო აქციების ბუნებრივი ცენტრია.

ყველაფრის მიუხედავად, ამ საქმემ საფუძველი ჩაუყარა არასაჯარო ფორუმის დოქტრინას. თუ საჯარო საკუთრების ნაწილი არასაჯარო ფორუმად არის მიჩნეული, მაშინ სახელმწიფოს უფლება აქვს, დისკრიმინირებულად მოეპყროს სხვადასხვა სპიკერს და სხვადასხვა მესიჯის მატარებელ აქციას. ერთადერთი მოთხოვნა, რაც ამ შემთხვევაში სახელმწიფოს წაეყენება, არის ის, რომ რეგულირებისას ნეიტრალურად უნდა მოიქცეს.

ამ სტანდარტის გამოყენებით სასამართლომ მხარი დაუჭირა ზოგად და შერჩევით შეზღუდვებს რამდენიმე საქმეში. კერძოდ, საქმეში *შეერთებული შტატები ალბერტინის წინააღმდეგ*³⁸ სასამართლომ მხარი დაუჭირა სამხედრო ბაზებზე შესვლის აკრძალვას; *გრირი სპოკის წინააღმდეგ*³⁹ საქმეში, ასევე, მხარი დაუჭირა საზოგადოებრივ ტრანსპორტში პოლიტიკური კანდიდატებისთვის სარეკლამო ფართის მიყიდვას; საქმეში *ლიმანი ქალაქ შეიკერ ჰეიტსის წინააღმდეგ*⁴⁰ სასამართლომ ძალაში დატოვა საფოსტო მარკის გარეშე საფოსტო ყუთებში გზავნილების ჩადების აკრძალვა.

ყველა ამ საქმეში საჯარო საკუთრება არასაჯარო ფორუმად გამოცხადდა. ისმის კითხვა: რა ჰქონდა საერთო ამ საქმეებში განხილულ სადავო საჯარო ადგილებს? არც ერთი მათგანის პირველადი დანიშნულება არ იყო იდეების გაცვლა მოქალაქეთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ შენობები ღია იყო თავისუფალი მიმოსვლისათვის, ისინი არ იყო განკუთვნილი იდეათა გამოხატვისთვის. შესაბამისად, ამგვარი საკითხების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია პასუხი კითხვაზე: მიზნად ისახავდა თუ არა მთავრობა საჯარო ფორუმის შექმნას ამა თუ იმ ადგილას? გულისხმობს თუ არა სახელმწიფო პოლიტიკა ხედვას, რომ ესა თუ ის საჯარო ადგილი იდეათა გაზიარებისთვის გამოიყენებოდეს?

საქმეში *კრიშნას მიმდევართა საერთაშორისო საზოგადოება კორპორაცია Lee-ის წინააღმდეგ*⁴¹ სასამართლომ განიხილა აეროპორტების სტატუსი საჯარო ფორუმის კონტექსტში. სასამართლომ 5-4 გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ აერო-

³⁸ United States v. Albertini, 472 US 675, 1985.
³⁹ GREER, COMMANDER, FORT DIX MILITARY RESERVATION, ET AL. v. SPOCK ET AL. SUPREME COURT OF THE UNITED STATES, 424 US 828 March 24, 1976.
⁴⁰ Lehman v. City of Shaker Heights, 418 US 298, 94 S.Ct. 2714, 41 L.Ed.2d 770, 1974.
⁴¹ International Society for Krishna Consciousness, Inc. v. Lee text of opinion. 505 US 577, 1992.

პორტი არასაჯარო ფორუმია. სასამართლოს თავჯდომარემ – რენქვისტმა განაცხადა, რომ აეროპორტები ტრადიციულად არ გამოიყენებოდა იდეათა გაზიარებისთვის. მაგრამ ბოლო პერიოდში, იმის შემდეგ, რაც გაიზარდა აეროპორტების მოხმარება და მასშტაბი, გაიზარდა მცდელობაც, რომ აეროპორტის ტერიტორია იდეათა გამოსახატავად იქნას გამოყენებული.

კერძო საკუთრება

ვრცელდება თუ არა საჯარო ფორუმის დოქტრინა იმ გამოხატვაზე, რომელიც მიმართულია არა მთავრობისადმი, არამედ კერძო მესაკუთრისადმი? ამ კითხვაზე პასუხი სასამართლომ წარმოადგინა გადანყვევტილებაში ფრისბი შულციის წინააღმდეგ.⁴² აბორტის საწინააღმდეგო კამპანიის დროს, აბორტის მოწინააღმდეგეებმა დემონსტრაცია გამართეს ერთ-ერთი იმ გინეკოლოგის სახლის წინ, რომელიც აბორტის ოპერაციებს აკეთებდა. ქალაქის მთავრობამ საპასუხოდ მიიღო აქტი, რომელიც კრძალავდა პიკეტებსა და დემონსტრაციებს რომელიმე რეზიდენციის „წინ ან მიმდებარე ტერიტორიაზე“. დემონსტრაციის მონაწილეებმა გაასაჩივრეს აღნიშნული აქტი, როგორც ანტიკონსტიტუციური. უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ – ოკონორმა, რომელიც უმრავლესობის სახელით წერდა სასამართლოს გადანყვევტილებას, აღნიშნა, რომ სადავო აქტი არ კრძალავდა დემონსტრაციას ქუჩებზე, სადაც კერძო რეზიდენციებია, კრძალავდა მხოლოდ კონკრეტული სახლის წინ გამართულ პიკეტსა თუ დემონსტრაციას. მოსამართლემ აღნიშნა, რომ ამგვარი ინტერპრეტაცია ქუჩას, სადაც კერძო სახლები მდებარეობს, არ ართმევს ტრადიციული საჯარო ფორუმის სახეს. ის ფაქტი, რომ ქუჩა ტრადიციულად საჯარო ფორუმს წარმოადგენს, არ ეწინააღმდეგება სადავო კანონს, რომელიც, სასამართლოს აზრით, ვინ როდ არის ფორმულირებული და იცავს კონკრეტული სახლის მფლობელს.

შემდგომ გადანყვევტილებებში სასამართლომ გააუქმა კანონები, რომლებიც კრძალავდა კარდაკარ კამპანიას (door-to door canvassing). ერთ-ერთი ასეთი გადანყვევტილება იყო მარტინი ქალაქ სტრუთერსის წინააღმდეგ⁴³, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ კარდაკარ კამპანიების აკრძალვა ანტიკონსტიტუციურია – რადგან ამ აკრძალვით ხელი ეშლება ინფორმაციის მიმოქცევას.

არსებობს თუ არა შემთხვევები, როდესაც კერძო საკუთრება საჯარო ფორუ-

⁴² Frisby v. Schultz 487 US 474, 1988.

⁴³ Martin v. City of Struthers. 319 US 141 and 157 (Decided May 3, 1943).

მად იქცევა? სახელმწიფოსგან განსხვავებით, რომელიც ვალდებულია დაიცვას პირველი შესწორება, კერძო მესაკუთრეებს ასეთი ზოგადი ვალდებულება არ ჰქონდათ. თუმცა, ამ კითხვაზე პასუხი სასამართლომ გასცა საქმეში *მარში ალაბამას წინააღმდეგ*⁴⁴. ნამოიჭრა კითხვა: ვალდებულია თუ არა კერძო მესაკუთრე, დაიცვას პირველი შესწორების გარანტიები? ამ საქმეში ერთ-ერთმა კომპანიამ, რომელიც პრაქტიკულად მთელ პატარა ქალაქს ფლობდა, ქალაქში შესვლა აუკრძალა ეილოვას მოწმეებს, რომლებსაც სურდათ, ქუჩებში მიეზიდათ მომხრეები. როდესაც ეილოვას მოწმე ერთ-ერთი ქალბატონი დააპატიმრეს და დამნაშავედ ცნეს, მან გაასაჩივრა კანონი, რომლის მიხედვითაც მას ქალაქში შესვლა აუკრძალეს. მოსამართლე ბლეკმა, რომელიც უმრავლესობის სახელით წერდა სასამართლოს გადაწყვეტილებას, გააუქმა ეილოვას მოწმეთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და აღნიშნა: „საკუთრება ყოველთვის არ ნიშნავს აბსოლუტურ ბატონპატრონობას. რაც უფრო ხშირად დაუშვებს მესაკუთრე მისი საკუთრების საზოგადოებრივ გამოყენებას, მით მეტად ვიწროვდება მისი უფლებები კონსტიტუციური ნორმების მოქმედების შედეგად“. ამით მოსამართლე ბლეკმა დაადგინა, რომ მესაკუთრეობა არასაკმარისი იყო პირველი შესწორებით გარანტირებული უფლებების განხორციელების ასაკრძალად. ზემოაღნიშნული კონცეფცია კიდევ მეტად გაფართოვდა გადაწყვეტილებაში *Food Employees Union Local 590 v. Logan Valley Plaza Inc*⁴⁵. ხალხმა პიკეტი გამართა სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონმდებლობის დარღვევის წინააღმდეგ. სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კერძო სავაჭრო ცენტრის მესაკუთრე ვალდებულია, მოპიკეტეები დაუშვას მის ტერიტორიაზე, რადგან სავაჭრო ცენტრი ზოგადად ღიაა ყველასთვის. მოსამართლე მარშალმა უმრავლესობის სახელით აღნიშნა, რომ სავაჭრო ცენტრი ამ საქმეში იგივეა, რაც ქალაქის ქუჩები საქმეში *მარში ალაბამას წინააღმდეგ*. ამიტომ, დაუშვებელია გამოსატვის თავისუფლების აკრძალვა სავაჭრო ცენტრში – რომელიც საჯარო ფორუმს წარმოადგენს – მხოლოდ იმიტომ, რომ მას კერძო მესაკუთრე ჰყავს.

თუმცა აქვე უნდა განვმარტოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და მსგავსი გადაწყვეტილება საქმეზე *Lloyd Corporation Ltd. v. Tanner*,⁴⁶ სადაც ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგეები შეეცადნენ, პორტლენდის ერთ-ერთ პატარა სავაჭრო ცენტრში საინფორმაციო ფურცლები დაერიგებინათ. ისინი ადმინისტრაციამ სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე არ დაუშვა, რასაც უზენაესი სასამართლო დაეთან-

⁴⁴ MARSH v. STATE OF ALABAMA.No. 114. Argued and Submitted Dec. 7, 1945. Decided Jan. 7, 1946

⁴⁵ 591 US 308, 1968.

⁴⁶ 408 US 593,1972.

ხმა. მოსამართლე პოველმა უმრავლესობის სახელით აღნიშნა, რომ ეს საქმე სრულიად განსხვავდებოდა საქმისგან *Food Employees Union Local 590 v. Logan Valley Plaza Inc.* იქ სავაჭრო ცენტრის ტერიტორია ბუნებრივად იყო დაკავშირებული პიკეტის თემასთან: პიკეტის მონაწილეები სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაციის წინააღმდეგ გამოდიოდნენ; ამ საქმეში კი მოსარჩელები ზოგად პროტესტს გამოხატავდნენ, რასაც კავშირი არ ჰქონდა სავაჭრო ცენტრთან.

მოგვიანებით ორივე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმდა საქმით *Hudgens v. NLRB*⁴⁷, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ კერძო სავაჭრო ცენტრის მესაკუთრეებს უფლება აქვთ, აკრძალონ ყოველგვარი პიკეტი და დემონსტრაცია – მიუხედავად იმისა, ვის წინააღმდეგ არის მიმართული ის. მოსამართლე სტიუარტმა ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ პიკეტის ან დემონსტრაციის დაშვება თემის მიხედვით (სავაჭრო ცენტრის წინააღმდეგ პროტესტის მონაწილეების დაშვება. ხოლო სხვათა აკრძალვა) შინაარსობრივი რეგულირებაა, რაც პირველ შესწორებას ეწინააღმდეგება.

გამოხატვის თავისუფლება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ გარემოში

გამოხატვის თავისუფლების დაცული სტატი სასამართლოებისათვის ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ასეთი გამოხატვის რეგულირების მკაცრ კონტროლს. თუმცა ეს კონტროლი ყოველთვის ერთგვარი არ არის. როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოს მხრიდან გამოხატვის რეგულირებას მის მიერ დაფინანსებულ გარემოში – გამოხატვა საჯარო მოხელეების, სტუდენტების, სამხედრო პირების, პატიმრების მიერ – სასამართლო არ იყენებს პირველი შესწორების ინტერპრეტაციის ტრადიციულ მეთოდებს. სახელმწიფოს საკმარისი საშუალებები აქვს გამოხატვის შესაზღუდად იმ გარემოში, რომელსაც თავად აფინანსებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორც ყველა დონორს, მასაც შეუძლია, დაადგინოს პირობები და/ან ქცევის წესები მის მიერ გაცემული გრანტის მიმღებისათვის.

ასეთ კონტექსტში სასამართლო იყენებს დაბალანსების ტესტს, რაც ერთგვარი გონივრული ტესტია. მაგალითად, საქმეში, სადაც სასამართლომ ძალაში დატოვა ციხის ადმინისტრაციის აქტი, რომლითაც მუსლიმან პატიმრებს მათი რელიგიური ვალდებულებების აღსრულება ეკრძალებოდათ, ასეთი განმარტება

⁴⁷ 424 US 507, 91 LRRM 2489, 1976.

ჩაინერა: „იმისათვის, რომ სასამართლომ დაადგინოს, არღვევს თუ არა ციხის ადმინისტრაცია გამოხატვის თავისუფლებას, გამოიყენება ე.წ. „გონივრულობის ტესტი“, რომელიც ნაკლებად შემზღვეველია, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევაში სასამართლოს მიერ გამოყენებული სხვა ტესტი.“

აქედან ჩანს, რომ ამგვარი საქმეების განხილვის დროს სასამართლო ნაკლებად ერევა ადმინისტრაციის ფუნქციებში და ცდილობს, პატივი სცეს კონკრეტული დაწესებულების ადმინისტრაციის ცოდნას კონკრეტულ საქმეში.

არის თუ არა ეს სწორი პოზიცია? ზოგიერთი დაობს, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ გარემოში კვლავ არსებობს გამოხატვის თავისუფლება, მიუხედავად გარკვეული აკრძალვებისა. მილიონობით ადამიანი ატარებს საკუთარი ცხოვრების საკმაოდ დიდ ნაწილს ასეთ გარემოში და, შესაბამისად, გამოხატვის მნიშვნელოვანი ნაწილი იზღუდება.

თუმცა, მეორეს მხრივ, შეზღუდვები ზოგადი გამოყენების არ არის და მხოლოდ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფზე ვრცელდება. ამასთან, ეს ადამიანები ხშირ შემთხვევაში თავად თანხმდებიან, მოექცნენ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ გარემოში.

ამის შემდეგ მიმოვიხილავთ გამოხატვის თავისუფლებას სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ რამდენიმე კონკრეტულ ადგილზე.

გამოხატვის თავისუფლება

სტუდენტები

გამოხატვის თავისუფლება სტუდენტთა შორის ასახავს დაპირისპირებას, რომელიც არსებობს ამ საკითხის მიმართ ორ მიდგომას შორის. ლიბერალური მიდგომა სკოლას და, ზოგადად, საგანმანათლებლო დაწესებულებას განიხილავს, როგორც იდეათა ბაზარს, სადაც ყველა თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს. აკადემიური ფორუმი ხელს უნდა უწყობდეს იდეათა გაზიარებას და გამოხატვას, მათ შორის, ისეთი იდეებისაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, არაკონფორმისტული და სადავოა. ბავშვები უნდა აღიზარდონ იდეათა გაზიარების შედეგად წარმოქმნილი დიალოგით.

მეორე – საწინააღმდეგო – პარადიგმის მიხედვით, რომელსაც კოლექტიურ მიდგომასაც უწოდებენ, სკოლა არის ადგილი, სადაც დემოკრატიული სახელმწიფოსათვის აუცილებელი ფუნდამენტური ფასეულობები უნდა დაინერგოს. განათლების მისიაა, ახალგაზრდებს გადასცეს და შთაუწეროს საზოგადოებაში

მიღებული ფასეულობები. ამიტომ, სკოლის ადმინისტრაციას ფართო დისკრეცია ეძლევა საგანმანათლებლო მისიის შესრულებისას და, მათ შორის, ისეთი გამოხატვის ასაკრძალადაც, რომელიც ამ მისიას ხელს უშლის.

ამ საკითხზე ლიბერალური პარადიგმის კარგი გამოხატულებაა შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *ტინკერი დემოინის დამოუკიდებელი სასკოლო ოლქის წინააღმდეგ*. ამ საქმეში სამი სტუდენტი დროებით გარიცხეს სკოლიდან, რადგან მათ ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო პროტესტის გამოსახატავად ხელზე შავი ფერის ლენტი ჰქონდათ შემოხვეული. „სტუდენტები არიან „პირები“, რომლებსაც აქვთ ამ ქვეყანაში აღიარებული ფუნდამენტური უფლებები. მოსწავლეები და მასწავლებლები ამ უფლებებს სკოლის შესასვლელთან არ ტოვებენ. სტუდენტებმა სიმბოლურად გამოხატეს საკუთარი აზრი, რაც დაცულია პირველი შესწორებით.“

სასამართლომ ტინკერის საქმეში არ გამოიყენა მანამდე არსებული რომელიმე ტესტი, მაგალითად, ნათელი და მყისიერი საფრთხის დოქტრინა; სამაგიეროდ, შექმნა ახალი. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ – გამოხატვის რეგულირების გასამართლებლად – უნდა დაამტკიცოს, რომ ესა თუ ის კონკრეტული გამოხატვა **არსებითად და მნიშვნელოვნად** უშლის ხელს სკოლის ნორმალურ ფუნქციონირებას და დისციპლინის დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტესტი ნაკლებად შემზღვეველია, ვიდრე ნათელი და მყისიერი საფრთხის დოქტრინა, სახელმწიფო მაინც ვალდებულია, დაასაბუთოს გამოხატვის რეგულირება.

მოსამართლე ჰარლმანმა და ბლეკმა განსხვავებული აზრი წარმოადგინეს, სადაც დასვეს მთავარი შეკითხვა: ვინ უნდა დაარეგულიროს გამოხატვა სკოლებში? მათი თვალსაზრისით, სკოლაში მარეგულირებელი სკოლის საბჭოა. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე ბლეკი გამოხატვის თავისუფლების აბსოლუტისტური მიდგომის მიმდევარია, მან ამ საქმეში აღნიშნა, რომ სკოლაში გამოხატვის თავისუფლება არ არსებობს არც სტუდენტისთვის და არც მასწავლებლისთვის. მან სკოლა არასაჯარო ფორუმად მიიჩნია. ამ განსხვავებულმა აზრმა საფუძველი ჩაუყარა კოლექტიური პარადიგმის გაჩენას სასამართლოს გადაწყვეტილებებში.

ერთ-ერთი მათგანია გადაწყვეტილება საქმეზე *ბეტელის სკოლის ოლქი ფრეიზერის წინააღმდეგ*⁴⁸. ფრეიზერმა, რომელიც მე-11 კლასის მოსწავლე იყო, სკოლის ერთ-ერთ სტუდენტურ შეკრებაზე სიტყვით გამოსვლისას ვულგარული (*indecent speech*) იუმორისტულ-სექსუალური მინიშნება გამოიყენა. ფრეიზერი სამი დღით გარიცხეს სკოლიდან. უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა სკოლის დისციპლინურ სასჯელს.

⁴⁸ Bethel School District No. 403 v. Fraser. 478 US 675 (1986). Docket Number: 84-1667. Abstract. Argued: March 3, 1986. Decided: July 7, 1986

მოსამართლე ბურგერმა, რომელიც უმრავლესობის სახელით მოქმედებდა, გადაწყვეტილება ორი არგუმენტით დაასაბუთა. პირველი: სახელმწიფოს აქვს ინტერესი, შეასრულოს საგანმანათლებლო მისია კურიკულუმის გაკონტროლებით და მოსწავლეების დაცვის გზით. შესაბამისად, სასამართლომ ფრეიზერის გამოსვლა მიიჩნია კურიკულუმის ნაწილად, სადაც ნათლად გამოჩნდა კოლექტიური პარადიგმა და საგანმანათლებლო მისიის თეორია. მეორე არგუმენტად სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ კონკრეტულ გარემოში ვულგარული გამოხატვა სექსუალურ კონტექსტში პირველი შესწორების დაცვით არ სარგებლობს. სასამართლომ აქაც გადაუხვია ზოგადად მიღებულ და აღიარებულ ნორმებს, როდესაც აღნიშნა, რომ ვულგარული გამოხატვა, რომელიც ზოგადად დაცულია პირველი შესწორებით, სკოლის გარემოში არ არის დაცული.

კოლექტიური მიდგომა გამოჩნდა სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე *Hazelwood School District et al. v. Kuhlmeier*⁴⁹, სადაც სასამართლომ მხარი დაუჭირა სკოლის დირექტორის მიერ სასკოლო გაზეთის ცენზურას. ჟურნალისტური კლუბის წევრებმა სასკოლო გაზეთისთვის დაწერეს ორი სტატია, რომლებიც გამოქვეყნების წინა დღეს დირექტორმა მაკეტიდან მათთან შეუთანხმებლად ამოიღო. პირველი სტატია შეეხებოდა სკოლაში თინეიჯერების ფეხმძიმობის თემას. მეორე სტატიაში კი სტუდენტი ავტორი გაყრის შესახებ საუბრობდა და საკუთარ მამას აკრიტიკებდა, რაც წარმოშობდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ცილისწამების პრობლემებს. სტატიების ამოღების შემდეგ სტუდენტებს აცნობეს, რომ სტატიები ეხებოდა „პერსონალურ, მგრძნობიარე და არასათანადო“ თემებს.

მოსაზრება მოსამართლე ვაითისა, რომელიც გადაწყვეტილებას უმრავლესობის სახელით წერდა, ორი მიდგომის ჰიბრიდია: პირველი – ეს არის სკოლის არასაჯარო ფორუმად განხილვა, რაც ჰარლანმა და ბლეკმა ტინკერის გადაწყვეტილების განსხვავებულ აზრში ჩამოაყალიბეს; მეორე კი – ფრეიზერის საქმის საფუძველი, რის მიხედვითაც, ვაითმა სკოლის გაზეთიც (ფრეიზერის სასკოლო შეკრებაზე წარმოთქმული სიტყვის მსგავსად) სასკოლო კურიკულუმის ნაწილად მიიჩნია – სადაც გამოხატვის თავისუფლება არ არის გარანტირებული.

ცხადია, რომ სასამართლო ტინკერის გადაწყვეტილებიდან – რომელმაც პირველი შესწორების დაცვის ვალდებულება დაადგინა სკოლებში – ძალიან შორს წავიდა ფრეიზერის და ჰეიზელვუდის გადაწყვეტილებებით. ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებებში სასამართლომ ფართო დისკრეცია მიანიჭა სკოლის ადმინისტრაციას და სკოლის საბჭოებს, რათა მათ გადაეწყვიტათ, თუ რა სახის გამოხატ-

⁴⁹ No. 86-836 SUPREME COURT OF THE UNITED STATES. 484 US 260. Argued October 13, 1987. Decided January 13, 1988.

ვა დაიშვება სკოლებში. ტინკერის გადაწყვეტილებაში კი საუბარი იყო სასამართლოს მნიშვნელოვან როლზე სკოლაში გამოხატვის უფლების დასაცავად.

ასეთი განსხვავება ტინკერისა და ბოლო ორ გადაწყვეტილებას შორის შეიძლება აიხსნას 1960-იანი წლების სტრუქტურული პროტესტით და სოციალური მოძრაობით. გასათვალისწინებელია, ასევე, იმ დროისათვის სასამართლოში კოლექტიური და კონსერვატიული მიდგომის მიმდევარი ორი ახალი მოსამართლის დანიშვნა. ტინკერის გადაწყვეტილებაში გამოჩნდა თანასწორობის პრინციპიც, რომლის მიხედვით, მოსწავლეებს, მოზრდილი ადამიანების მსგავსად, აქვთ გამოხატვის თავისუფლება. ფრეიზერისა და ჰეიზელვუდის მიდგომაში კი უფრო პატერნალისტური ხედვა ჩანს არასრულწლოვანთა უფლებების მიმართ.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული სამივე გადაწყვეტილება სასამართლომ საკმაოდ გაყოფილი ხმებით მიიღო (ჰეიზელვუდი – ხუთი სამის წინააღმდეგ; ფრეიზერი – ხუთი ოთხის წინააღმდეგ); რაც ადასტურებს, რომ ამ საკითხზე საზოგადოების აზრიც ორად არის გაყოფილი.

საჯარო მოხელეები

ოლივერ ვენდალ ჰოლმსმა, როდესაც ჯერ კიდევ მასაჩუსეტსის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე იყო, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „პოლიციელს აქვს კონსტიტუციური უფლება, ისაუბროს პოლიტიკაზე, თუმცა, მას არ აქვს კონსტიტუციური უფლება, იმავდროულად იყოს პოლიციელი.“ მან ასევე აღნიშნა, რომ მოხელეს არ აქვს უფლება, იჩივლოს იმ პირობებზე, რომელსაც მას სამსახურში მიღებისას სთავაზობენ.⁵⁰ ეს დოქტრინა სასამართლო პრაქტიკაში დაინერგა. 1952 წელს საქმეში ადლერი საგანმანათლებლო საბჭოს წინააღმდეგ⁵¹ აღინიშნა, რომ პირს აქვს უფლება, ისაუბროს და იფიქროს იმაზე, რაზეც სურს, თუმცა, არა იმ შემთხვევაში, თუკი იგი სახელმწიფო სამსახურში მუშაობს. შესაბამისად, სასამართლომ დადებითი პასუხი გასცა კითხვაზე: შეუძლია თუ არა მთავრობას, უარი უთხრას პირს დაწინაურებაზე, ან გაათავისუფლოს იგი სამსახურიდან მის მიერ გამოთქმული აზრების გამო.

ჰოლმსისეული ეს დოქტრინა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო სამსახური პრივილეგიაა და არა უფლება, საკმაო პოპულარობით სარგებლობდა. თუმცა

⁵⁰ McAuliffe v. Mayor of New Bedford, 155 Mass. 216, 29 N.E. 517 (Mass 1892)

⁵¹ Adler v. Board of Education, 342 US 485, 1952

1967 წლისთვის სასამართლომ ჰოლმსისეული დოქტრინა უარყო და ჩაანაცვლა დოქტრინით, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს არ უნდა შეეძლოს, არაპირდაპირი გზით აკეთოს ის, რასაც პირდაპირ ვერ გააკეთებს. საჯარო სამსახური პირს არ უნდა აკარგვინებდეს მის კონსტიტუციურ უფლებებს. ამ დოქტრინის ჩამოყალიბების შემდეგ სასამართლოს წინაშე დაისვა შეკითხვა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო სახელმწიფო ინტერესისა და საჯარო მოხელის გამოხატვის თავისუფლების დაბალანსება.

როდესაც მთავრობა დისციპლინურ სასჯელს უფარდებს საჯარო მოხელეს მის მიერ გამოთქმული აზრებისათვის, სასამართლო იყენებს ორგვარ სტანდარტს:

1. როდესაც საქმე ეხება კერძო საკითხებს (ანუ როდესაც საჯარო მოხელე სიტყვის თავისუფლებას იყენებს კერძო საკითხებზე საუბრისას) სასამართლო სახელმწიფოს უტოვებს დისკრეციას და ამ საკითხში არ ერევა;

2. როდესაც საქმე ეხება საჯარო ინტერესის სფეროში შემავალ საკითხებს, აქ სასამართლო დაბალანსების ტესტს ეყრდნობა.

საქმეში *პიკერინგი საგანმანათლებლო საბჭოს წინააღმდეგ*⁵² საგანმანათლებლო საბჭომ სამუშაოდან გაათავისუფლა სკოლის მასწავლებელი, რომელმაც სასკოლო გაზეთში გამოაქვეყნა კრიტიკული სტატია სკოლის დაფინანსების პოლიტიკის შესახებ. საგანმანათლებლო საბჭო დაობდა, რომ სტატიაში აღნიშნული რამდენიმე ფაქტი მცდარი იყო და ხელს უშლიდა სკოლების ადმინისტრირებას. ილინოისის უზენაესმა სასამართლომ მხარი საგანმანათლებლო საბჭოს დაუჭირა. როდესაც საქმე შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლომდე მივიდა, მან გააუქმა ილინოისის შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლომ ამ საქმეში გამოიყენა სტანდარტი საქმიდან *ნიუ იორკ ტაიმსი სალივანის წინააღმდეგ* სასამართლომ დაადგინა, რომ მასწავლებლის მიერ გამოქვეყნებული სტატია საჯარო ინტერესის სფეროში ხვდებოდა; ამასთან, მცდარი განცხადებები არ იყო განზრახ ან გაუფრთხილებლად გაკეთებული. სასამართლომ გაამართლა სკოლის მასწავლებელი და აღნიშნა, რომ დაუშვებელია ისეთ საჯარო საკითხებზე მსჯელობის აკრძალვა, როგორცაა სკოლის დაფინანსების პოლიტიკა.

საქმეში *კონიკი მაიერსის წინააღმდეგ*⁵³ სასამართლომ დააკონკრეტა პიკერინგის საქმის ტესტი და აღნიშნა, რომ ის მხოლოდ საჯარო ინტერესის საკით-

⁵² Pickering v. Board of Education of Township High School District 205, Will County. No. 510 SUPREME COURT OF THE UNITED STATES. 391 US 563. Argued March 27, 1968.

⁵³ CONNICK, DISTRICT ATTORNEY IN AND FOR THE PARISH OF ORLEANS, LOUISIANA v. MYERS. SUPREME COURT OF THE UNITED STATES. 461 US 138. April 20, 1983.

ხებზე მსჯელობისას გამოიყენება. მიუხედავად ამისა, თუ საჯარო საკითხებზე მსჯელობა კერძო ვითარებაში მიმდინარეობს, ის ასევე სარგებლობს პირველი შესწორების დაცვით. რაც შეეხება თავად ამ საქმის ფაქტებს: ოლქის პროკურორის თანაშემწემ, რომელიც ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაიყვანეს, შეადგინა კითხვარი და თანამშრომლებს დაურიგა. კითხვარის მეშვეობით იგი იკვლევდა ამ დაწესებულებაში თანამშრომლების სხვა თანამდებობაზე გადაყვანის, დანიშნულებისა და ჩამოქვეითების პოლიტიკას. ამის შემდეგ კი გეგმავდა სამსახურის წინააღმდეგ კამპანიის დაწყებას. პროკურორის თანაშემწეს უფლებამოსილება შეუჩერეს, რის გამოც მან სარჩელით მიმართა სასამართლოს. უზენაესი სასამართლო მაიერს არ დაეთანხმა. სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც საჯარო მოხელე საუბრობს არა როგორც რიგითი მოქალაქე საჯარო ინტერესის საკითხებზე, არამედ, როგორც საჯარო მოხელე პერსონალურ საკითხზე, ფედერალური სასამართლო არ არის სათანადო ორგანო, რომელმაც უნდა განიხილოს საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილების სისწორე მის მოხელესთან მიმართებაში.

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, თუ რა მიეკუთვნება საჯარო ინტერესის საკითხებს და რა არის კერძო ანუ პერსონალური საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავება ნათლად არ ჩანს, კონიკის საქმეში სასამართლომ შემოგვთავაზა ამ ორი ელემენტის გამიჯვნის გარკვეული კრიტერიუმები. სასამართლომ აღნიშნა, რომ იმის დასადგენად, არის თუ არა გამოხატვა საჯარო ინტერესის სფეროში, უნდა განვიხილოთ გამოხატვის ფორმა, შინაარსი და კონტექსტი. კონიკის საქმეში კი ნათლად ჩანდა, რომ გამოხატვის მთელი არსი დაკავშირებული იყო ამ პიროვნების უკმაყოფილებასთან მის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის გამო.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ პიკერინგის საქმეში გამოყენებული ტესტი უფრო დაბალ სტანდარტს გულისხმობდა, ვიდრე არსებობდა სტანდარტი ჩვეულებრივი მოქალაქეების მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ გარემოში, როგორცაა სახელმწიფო სამსახური, სახელმწიფო მოქმედებს როგორც რეგულატორი მის მიერ დაქირავებულთა მიმართ, რასაც ხშირად შეიძლება შეენიროს პირველი შესწორებით დაცული უფლებები.

პოლიტიკური საქმიანობა

1940 წელს შეერთებულ შტატებში მიიღეს კანონმდებლობა, რომელიც ცნობილია ჰატჩის აქტის სახელით (**Hatch Act 1940**). ამ კანონმდებლობამ აღმოფხვრა საჯარო სამსახურში დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის თანახმად, საჯარო სამსახურში თანამდებობაზე ინიშნებოდნენ არჩევნებში გამარჯვებული პარტიის წევრები ან მათ მიმართ ლოიალურად განწყობილი პირები (**Spoils System**). ჰატჩის აქტმა, სხვა ცვლილებებთან ერთად, ეს პრაქტიკა აკრძალა. საჯარო მოხელეებს დაუწესდათ შეზღუდვა: ფედერალური მთავრობის აღმასრულებელ მოხელეებს აკრძალათ პოლიტიკურ კამპანიებში მონაწილეობა და პოლიტიკური პარტიების მენეჯმენტში ჩართვა. ჰატჩის აქტი ნებას რთავდა საჯარო მოხელეებს, კენჭი ეყარათ ან არაპოლიტიკური სამოქალაქო კამპანიები ეწარმოებინათ. აქტი მიმართული იყო მხოლოდ პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვისაკენ.

1947 წელს უზენაეს სასამართლოში შეიტანეს სარჩელი, რომლითაც ამ აქტის ანტიკონსტიტუციურობაზე დაობდნენ. სასამართლომ ძალაში დატოვა ჰატჩის აქტი და განაცხადა: „*კონგრესმა და ფედერალურმა მთავრობამ უკეთესად იცის, თუ როგორ შეინარჩუნოს ეფექტური საჯარო სამსახური. ჩვენ ამ მხრივ კონსტიტუციურობის პრობლემას ვერ ვხედავთ*“.⁵⁴

მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ საქმეში *United States Civil Service Commission v. National Association of Letter Carriers*. ამ საქმეში დაისვა კითხვა: ეწინააღმდეგება თუ არა პირველ შესწორებას პოლიტიკურ კამპანიებში და პოლიტიკური პარტიების მენეჯმენტში ჩართვის აკრძალვა. მოპასუხეები დაობდნენ, რომ კანონი ბუნდოვანი და ფართოდ ფორმულირებული იყო, რაც მის ანტიკონსტიტუციურობას იწვევდა. სასამართლო არ დაეთანხმა მოპასუხეებს და კითხვაზე უარყოფითი პასუხი გასცა. სასამართლომ საქმის გადაწყვეტისას გამოიყენა ბალანსის ტესტი, სადაც ერთ მხარეს საჯარო მოხელის ინტერესი იყო, ხოლო მეორე მხარეს – სახელმწიფოსი, როგორც დამჭირაველის. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ინტერესმა ამ საქმეში გადაწონა საჯარო მოხელეების ინტერესი, რადგან ისინი თავისუფალი უნდა ყოფილიყვნენ პოლიტიკური ზენოლისგან და საკუთარი ფუნქციები მიუკერძოებლად განეხორციელებინათ. მოსამართლე დუგლასმა განსხვავებული აზრის სახით წარმოადგინა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც იგი ფიქრობდა, რომ სახელმწიფო არ არის საჯარო მოხელის მთელი ცხოვრების მესაკუთრე. მოხელეს უნდა შეეძლოს, თავისუფლად აირჩიოს ის საქმიანობა, რომელსაც თავისუფალ დროს დაუთმობს – იქნება ეს რელიგია, სოციალური საქმიანობა, პოლიტიკა თუ სხვა.

⁵⁴ *United Public Workers v. Mitchell* 330 U.S. 75, 1947.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, სახელმწიფოს მის მიერ დაფინანსებულ გარემოში ორგვარი როლი აქვს: კერძო და საჯარო. როდესაც სახელმწიფო კერძო როლს ასრულებს – ანუ გამოდის, როგორც მესაკუთრე, დამქირავებელი, განმანათლებელი ან მონაწილე – პირველი შესწორებით დაცული უფლებები შეზღუდულია. ხოლო როდესაც სახელმწიფო საჯარო ფუნქციებს ასრულებს, პირველი შესწორება მთელი სიმძლავრით მოქმედებს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ზემოთ გაანალიზებული გადაწყვეტილებებიდან გამომჩნდა, არ არის ადვილი სახელმწიფოს კერძო და საჯარო როლის გამიჯვნა. მოსამართლეები, რომლებიც მთავრობას დისკრეციას უტოვებენ, უფრო ხშირად თვლიან საკითხს კერძოდ, ვიდრე ის მოსამართლეები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სასამართლოს განუყოფელი როლი ენიჭება ინდივიდის უფლებების და თავისუფლებების დაცვის საქმეში.

ცილისწამება

1960-იან წლებამდე ცილისწამება ირელევანტური იყო პირველი შესწორებისათვის. საქმეში *ჩაპლინსკი ნიუ ჰემპშირის წინააღმდეგ* ცილისწამება განთავსდა იმ გამოხატვის კატეგორიაში, რომელიც „არ წარმოადგენს იდეების გამოხატვის მნიშვნელოვან ელემენტს“. ხოლო, საქმეში *ბიუჰარნაისი ილინოისის წინააღმდეგ*⁵⁵, სასამართლომ მხარი დაუჭირა შტატის ცილისწამების კანონს და განაცხადა, რომ ცილისწამება არ ხვდება კონსტიტუციით დაცული გამოხატვის კატეგორიაში და სრულად უნდა აიკრძალოს.

საერთო სამართალში ცილისწამებისას მოსარჩლეს უნდა ემტკიცებინა, რომ გამოქვეყნდა პუბლიკაცია მის შესახებ. მას არ უნდა ემტკიცებინა ბრალი. ასევე, ზიანთან დაკავშირებით არსებობდა მისი ანაზღაურების ზოგადი პრეზუმფცია. სიმართლე განიხილებოდა, როგორც მხოლოდ პოზიტიური და არა აბსოლუტური დაცვა. მოკლედ რომ ვთქვათ, პირის რეპუტაციის დაცვა სახელმწიფო პოლიტიკისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მას პირველი შესწორება ვერ ეხებოდა. თუმცა, ეს მიდგომა სრულიად შეიცვალა 60-იან წლებში მას შემდეგ, რაც სასამართლომ განიხილა საქმე „*ნიუ-იორკ ტაიმსი*“ სალივანის წინააღმდეგ⁵⁶. ამ

⁵⁵ *Beauharnais v. Illinois*. No. 118 SUPREME COURT OF THE UNITED STATES. 343 US 250. Argued November 28, 1951. Decided April 28, 1952.

⁵⁶ კარი II, თავი I, გვ. 173.

საქმეში სასამართლომ განაცხადა: „ცილისწამებას არ გააჩნია რაიმე იმუნიტეტი პირველი შესწორების მხრიდან. ის უნდა განიხილებოდეს პირველი შესწორებით დადგენილი სტანდარტების მიხედვით“. ამ საქმეში სასამართლომ პირველად დაადგინა შეზღუდვა საჯარო პირების მიერ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რაც კრიტიკული განცხადებებით იყო გამოწვეული.

ცილისწამების განმარტება

ამერიკულ სამართალში ცილისწამებას მედიის საშუალებით ეწოდება „libel“-ი, ხოლო სიტყვიერ ცილისწამებას – „Slander“-ი. თუმცა ზოგიერთ შტატში ტელევიზიით ან რადიოთი ცილისწამებასაც Slander-ს უწოდებენ. ეს განსხვავება ამ ეტაპზე იმდენად მნიშვნელოვანი აღარ არის, როგორც წარსულში იყო, რადგან დღეისათვის ყოველგვარ ცილისწამებას, რომელიც მედიით ვრცელდება, ეწოდება libel-ი. ამ სიტყვას ქართულად „ცილისწამებად“ მოვიხსენიებთ.

ცილისწამება – ეს არის იდენტიფიცირებადი პირის შესახებ მცდარი და ცილისმწამებლური განცხადების გამოქვეყნება ბეჭდვითი ან ელექტრონული ფორმით, რაც ზიანს აყენებს პირის რეპუტაციას. რეპუტაცია განიხილება, როგორც სხვა პირების შეხედულება ადამიანზე კონკრეტულ დროს, ადგილზე და სოციალურ-კულტურულ კონტექსტში. სიტყვები შეიძლება შეურაცხმყოფელი იყოს, თუმცა – არა ცილისმწამებლური.

გამოქვეყნება

ერთ-ერთი ელემენტი, რომლის დამტკიცება საჭიროა ცილისწამების სარჩელში, არის გამოქვეყნების ფაქტი. გამოქვეყნებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ინფორმაცია გაუფრთხილებლად ან მიზანდასახულად გადაეცემა მესამე პირებს. ბეჭდური, ელექტრონული საშუალებები, ჟურნალები, საინფორმაციო სააგენტოები და გაზეთები ყველაზე ხშირად წარმოადგენენ ასეთ მესამე პირებს.

თუმცა, „ინტერნეტ სერვის პროვაიდერები“ ამ ჩამონათვალში არ შედიან. ისინი თავისუფლდებიან მათი მომხმარებლების მიერ ინტერნეტში გამოქვეყნებული პუბლიკაციების გამო პასუხისმგებლობისგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პროვაიდერი სარედაქციო თვალსაზრისით აკონტროლებს მასალას. ამრიგად, ასეთ შემთხვევებში უნდა განვასხვავოთ „გამომქვეყნებელი“ „დისტრიბუტორისგან“. ამასთან დაკავშირებით, უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა, გადაესინჯა ფედერალური სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც ძალაში დატოვა 1996 წლის კომუნიკაციების აქტი. ეს აქტი ინტერნეტ სერვის პროვაიდერებს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან მათი მომხმარებ-

ლის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე⁵⁷: შეუძლებელია, რომ მათ კონტროლი განახორციელონ ნებისმიერ მასალაზე, რომელიც მათი ქსელის და სისტემის მეშვეობით განთავსდება ინტერნეტში.

ინფორმაციის სიმცდარე

ინფორმაციის სიმცდარე ცილისწამების სარჩელის ძირითადი ელემენტია. ვიდრე მიღებული იქნებოდა გადანყვეტილება საქმეზე *ნიუ იორკ ტაიმსი სალივანის წინააღმდეგ*, ცილისწამების სარჩელების განხილვისას ინფორმაციის სიმცდარე თავისთავად იგულისხმებოდა. თუმცა დღეისათვის მოსარჩლე ვალდებულია, გამოქვეყნებული ინფორმაციის სიმცდარე დაამტკიცოს. საჯარო პირებმა ინფორმაციის სიმცდარის მტკიცებასთან ერთად უნდა ამტკიცონ მოპასუხის ბოროტი განზრახვა (რომლის კონსტიტუციური განმარტებაც შემდეგნაირია: სიმართლის ან ტყუილის განზრახ ან გაუფრთხილებელი იგნორირება).

ხშირად ამბობენ, რომ სიმართლე აბსოლუტური დაცვაა ცილისწამების სარჩელისგან. თუმცა, სიმართლის სათანადო კრიტერიუმი აბსოლუტური სიზუსტე არ არის, რადგან „მნიშვნელოვანწილად მართალი“ განიხილება, როგორც საერთო და ზოგადი სტანდარტი პუბლიკაციის სიმართლის დასადგენად. როგორც უკვე აღინიშნა, საერთო სამართლის თანახმად, მოპასუხე მედიას ეკისრებოდა ვალდებულება, რომ დაემტკიცებინა გამოქვეყნებული განცხადებების სიმართლე. მაგრამ მტკიცების ტვირთი საჯარო პირებთან დაკავშირებით სხვაგვარად დადგინდა საქმეში *ნიუ იორკ ტაიმსი სალივანის წინააღმდეგ*. ამ სტანდარტის თანახმად, მოსარჩლე საჯარო ფიგურებს აკისრიათ ვალდებულება, ამტკიცონ გამოქვეყნებული განცხადებების სიმცდარე. ამასთან, საქმეში *Philadelphia Newspaper Inc. v. Hepps*⁵⁸ დადგინდა, რომ მოსარჩლე კერძო პირებმაც უნდა ამტკიცონ გამოქვეყნებული განცხადებების სიმცდარე, თუ განცხადება საჯარო საკითხებს ეხება.

პირის იდენტიფიცირება

მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, რომ გამოქვეყნებული პუბლიკაცია პირადად მას ეხება. პირის იდენტიფიცირება შეიძლება მოხდეს მისი ზედმეტსახელით, ინიციალებით, ფიზიკური აღწერილობით, ჩაცმულობით, მისამართით და სხვა მრავალი მახასიათებლით. არ არის აუცილებელი, რომ მაინცდამაინც პირის სახელი იყოს პუბლიკაციაში მოხსენიებული. თუმცა, აქ ზოგად სტანდარტად მიიჩნევა

⁵⁷ *Zeran v. America Online*, 129 F3d 327 (4th Circuit 1997), cert. denied, 118 S. Ct. 2341, 1998.

⁵⁸ 475 US 767 (1986). Docket Number: 84-1491. Abstract. Argued: December 3, 1985. Decided: April 21, 1986.

ის ფაქტი, შეუძლიათ თუ არა მესამე პირებს ამა თუ იმ პუბლიკაციაში კონკრეტული პირის ამოცნობა.

მის ვაიომიგმა – კიმბერლი პრინგმა პენტჰაუს ინტერნეიშენალის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა, სადაც დაობდა, რომ სტატიაში მასზე იყო საუბარი. სტატიაში პრინგის სახელი არსად მოიხსენიებოდა, თუმცა იგი აცხადებდა, რომ მან საკუთარი თავი კაბის ფერით და სპორტის ერთ-ერთ სახეობაში ოსტატობაზე საუბრით ამოიცნო. მეათე ოლქის სასამართლომ დაადგინა, რომ მისი კოსტიუმის და სპორტული ტალანტის ხსენება ვერ ამტკიცებდა პრინგის სარჩელს⁵⁹.

რაც შეეხება ცილისწამების ჯგუფურ სარჩელებს, ანგლო-ამერიკულ სამართალში მათ თავი ვერ დაიმკვიდრეს. დიდი ჯგუფის წარმომადგენლებს არ აქვთ უფლება, იჩივონ მათი ჯგუფის წინააღმდეგ ცილისწამებზე. ეს მექანიზმი, ძირითადად, დადგენილ იქნა სახელმწიფოს კონკრეტული დაწესებულებებისთვის, რათა მათ არ ჰქონოდათ იურიდიული საფუძველი ცილისწამების სარჩელების შესატანად მათი დაწესებულების წინააღმდეგ გამოქვეყნებულ სტატიებზე დაყრდნობით. თუმცა, თუ განცხადების ინტერპრეტაცია მოხდება იმგვარად, რომ ის შეეხება ჯგუფის კონკრეტულ წევრს, მაშინ ამ პირს უფლება აქვს, შეიტანოს სარჩელი.

რაც შეეხება გარდაცვლილ პირებს, ანგლო-ამერიკული სამართალი მიიჩნევდა, რომ პირს გარდაცვალებისას თან მიაქვს საკუთარი რეპუტაცია. თუმცა, ბოლო პერიოდში ეს ტენდენცია შემცირდა და ზოგიერთ შტატში მიიღეს კანონი, რის საფუძველზეც მემკვიდრეს უფლება აქვს, დაიცვას გარდაცვლილი პირის რეპუტაცია, მათ შორის, პენსილვანიასა და ნიუ იორკში.

ზიანი

ცილისწამების სარჩელის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია ზიანის საკითხი. სარჩელში დასაბუთებული უნდა იყოს, რომ პირის რეპუტაციას ზიანი მიადგა. თუმცა, შეერთებული შტატების ზოგიერთ შტატში არ არის საჭირო ზიანის დამტკიცება, თუ საქმე ეხება ისეთ საკითხებს როგორცაა: სისხლის სამართლის დანაშაულის დაბრალება, გადამდები დანაშაულის დაბრალება, ქალისათვის მსუბუქი ყოფაქცევის დაბრალება, პირის რეპუტაციის, ბიზნესის, პროფესიისა და სამსახურებრივი საქმიანობისთვის ზიანის მიყენება. ამ შემთხვევაში, არსებობს ზიანის ანზღაურების პრეზუმფცია. სხვა შემთხვევაში, მოსარჩლე ვალდებულია, რომ დაამტკიცოს ფინანსური დანაკარგის არსებობა, რათა ზიანის ანზღაურება მოითხოვოს.

⁵⁹ Pring v. Penthouse International. 8 Med.L.Rptr. 2409. 695 F.2d 438 (10th Cir. 1982)

ბრალი

ყველა მოსარჩლე ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ მოპასუხეს გარკვეული ბრალი მიუძღვის. უზენაესმა სასამართლომ ბრალის სხვადასხვა სტანდარტი შემოიღო სხვადასხვა სახის მოსარჩლეებისთვის, სადაც საჯარო მოხელეებს და საჯარო ფიგურებს ბრალის მტკიცების ყველაზე მაღალი სტანდარტი ეკისრებათ. საჯარო პირებად განიხილებიან ცნობილი პირები და საზოგადოებაში ზეგავლენის მქონე ადამიანები. მოსარჩლემ, რომელიც საჯარო ფიგურაა, უნდა დაამტკიცოს, რომ გამომცემელი ან მაუნყებელი ბოროტი წინასწარი განზრახვით მოქმედებდა. ბოროტი წინასწარი განზრახვა არ გულისხმობს მხოლოდ ბოროტ განზრახვას, იმასაც გულისხმობს, რომ მოპასუხემ იცოდა გამოქვეყნებული განცხადებების სიმცრე, მაგრამ სიმართლე არ გაითვალისწინა.

საქმეში *Harte-Hanks Communications, Inc v. Connaughton*⁶⁰ უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პროფესიული სტანდარტების უხეში დარღვევა, ან პუბლიკაციის გამოქვეყნება გაზეთის გავრცელების გაზრდის მიზნით, არ წარმოადგენს ბოროტ განზრახვას. სასამართლომ აქვე აღნიშნა, რომ ფაქტების არგამოძიება თავისთავად არ ამტკიცებს ბოროტ განზრახვას, თუმცა, სიმართლისთვის განზრახ თავის არიდება ბოროტი განზრახვაა.

თუ მოსარჩლე კერძო პირია, მაშინ მტკიცების სტანდარტი შედარებით მსუბუქია და მან უნდა დაამტკიცოს, რომ გამომცემელი ან მაუნყებელი, სულ მცირე, გაუფრთხილებლად მოქმედებდა. ზოგიერთ შტატში, კერძოდ – ალასკაში, კოლორადოში, ინდიანაში, ლუიზიანაში და ნიუ ჯერსიში – კერძო მოსარჩლეებზე მტკიცების შედარებით მაღალი სტანდარტი წესდება, თუკი განცხადებები საჯარო საკითხებს ეხება.

საჯარო და კერძო პირები

საჯარო საკითხების თეორია, რომელიც ზემოთ განვიხილეთ, უარყოფილ იქნა სასამართლოს მიერ საქმეში *გერცი რობერტ უელშის წინააღმდეგ*⁶¹. გერცი, რომელიც ცნობილი სამოქალაქო უფლებების დამცველი ადვოკატი იყო, უჩიოდა ერთ-ერთ გაზეთს, რომელშიც გამოქვეყნდა, რომ მას კომუნისტური წარსული ჰქონდა. ქვედა ინსტანციის სასამართლომ ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტლება გერცის სასარგებლოდ გააუქმა და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო ბოროტი განზრახვის ტესტი. ეს ტესტი დადგინდა საქმეში *ნიუ იურკ ტაიმსი სალივანის წინააღმდეგ*. როდესაც საქმე უზენაეს სასამართლომდე მივიდა, სასამართლომ განაცხადა, რომ კერძო პირების შემთხვევაში სალივანის

⁶⁰ 1989, 491 US 657, 666-668.

⁶¹ იხ. კარი II, თავი I, გვ. 198.

სტანდარტის გავრცელება შეუსაბამოა. სასამართლომ გაითვალისწინა ისიც, რომ თუ უარს ვიტყვით ბოროტი განზრახვის ტესტზე, ჩნდება მედიის თვითცენზურის საშიშროება. თუმცა თავისუფალი სიტყვის ინტერესები უნდა დაბალანდეს ინდივიდების ინტერესთა მიმართ, რომლებსაც უფლება აქვთ, აინაზღაურონ ცილისმწამებლური განცხადებებით მიღებული ზიანი.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

სამართლოს ყველა სისტემაში საკმაო ბუნდოვანება არსებობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და კანონთან მიმართებას შორის. ამერიკელები ყოველთვის გამორჩეულ პატივს მიაგებდნენ პირის ინდივიდუალიზმსა და მის ავტონომიას. სწორედ შეერთებულ შტატებში წარმოიშვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დოქტრინა წინა საუკუნის დასაწყისში.

საუკუნის წინ გამოქვეყნებულ ცნობილ სტატიაში, რომლის ავტორებიც იყვნენ სამუელ ვორენი და ლუის ბრანდეისი, ნათქვამი იყო, რომ საჭიროა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა ყვითელ პრესაში გამოქვეყნებული სტატიებისგან⁶². ამგვარი პოზიცია გამოინვია ყვითელ პრესაში ე.წ. „ჭორების სვეტში“ გამოჩენილმა სტატიამ, რომელიც ვორენის ოჯახს შეეხებოდა. ვორენმა და ბრანდეისმა მოითხოვეს Privacy-ის უფლება, რაც განმარტეს როგორც „განმარტოების უფლება“.⁶³

ტექნოლოგიის განვითარების შედეგად უფრო და უფრო მეტად ირღვეოდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რასაც ფიზიკური ზიანი არ მოჰქონდა, მაგრამ ფსიქიკური ზიანი არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო და კომპენსაციის აუცილებლობას წარმოქმნიდა. „მხოლოდ ტკივილის, სიამოვნების და მოგების მიღების ნაწილი განიხილება ფიზიკურ საგნებად, არადა, ფიქრები, ემოციები და გრძნობებიც იურიდიულ დაცვას მოითხოვს,“ – წერდნენ ვორენი და ბრანდეისი.

ამ სტატიამ შეერთებულ შტატებში რეალურად შექმნა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დეფინიცია. სასამართლოებმა თანდათან დაიწყეს ამ უფლების დაცვა საკუთარი გადაწყვეტილებებით. დღეისათვის შეერთებული შტატების თითქმის ყველა შტატს აქვს სპეციალური კანონი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ.

⁶² Warren and Brandeis, Right to Privacy, 4 Harv.L. Rev. 193, 1890.

⁶³ Right to be leave alone.

შეერთებულ შტატებში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობა არსებობს. ცილისწამებისგან განსხვავებით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისას მნიშვნელოვანი არ არის, რა აზრი შეექმნათ სხვებს კონკრეტული პიროვნების შესახებ გამოქვეყნებული სტატიის საფუძველზე. მნიშვნელოვანია, თუ როგორ იგრძნო თავი თვით ამ პირმა სტატიის გამოქვეყნების შედეგად. ასევე, ცილისწამების სარჩელებისგან გასხვავებით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით, სიმართლე არ არის დამცავი მექანიზმი. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის წინააღმდეგ სარჩელი დაიშვება, თუკი არსებობს პირის პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევა – სტატიის თუ ფოტომასალის გამოქვეყნებით.

შეერთებულ შტატებში სამოქალაქო პასუხისმგებლობას ოთხი საფუძველი აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით:

პირველი – პირად ცხოვრებაში ჩარევა (**Intrusion**): პირად ცხოვრებაში ჩარევა ხდება მაშინ, როდესაც პირი ფიზიკურად ან სხვაგვარად, ტელეკამერებით, ფოტოპარატი ან სხვა ტექნიკური საშუალებებით, განზრახ ერევა პირის „ფიზიკურ მარტოობაში“. აქ მნიშვნელოვანი მომენტია პირის მიერ შესაბამისი ზომების მიღება, როდესაც მას არ სურს, რომ შეაწუხონ, ფოტოები გადაუღონ, ან შეკითხვები დაუსვან. პასუხისმგებლობა დგება იმის მიუხედავად, გამოქვეყნდა თუ არა ამ გზით მოპოვებული მასალა მედია საშუალებებში. შესაბამისად, პირველი შესწორებაც ამ შემთხვევაში ნაკლებად რელევანტურია.

მეორე – პირის პირადი ცხოვრების შესახებ ფაქტების გაშუქება (**disclosure of private facts**): ამ შემთხვევას ადგილი აქვს, როდესაც ამა თუ იმ პირის ცხოვრების შესახებ გამოქვეყნებული ფაქტები შეურაცხმყოფელია „საშუალო ადამიანისთვის“ და არ არსებობს საჯარო ინტერესი ამ ფაქტების მიმართ. ამგვარი გაშუქების მაგალითი შეიძლება იყოს მასალის გავრცელება პირის სექსუალური ცხოვრების, ჯანმრთელობის, ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ამ დროს პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რა საშუალებებით მოხდა ინფორმაციის მოპოვება და აქვს თუ არა მას საინფორმაციო ფასულობა.

ამ მხრივ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას წარმოადგენს საქმე *სიდისი FR Publishing Corps* წინააღმდეგ⁶⁴. 1937 წელს ჟურნალ ნიუ იორკერის ერთ-ერთმა ჟურნალისტმა გადაწყვიტა, სტატია დაეწერა ვილიამ სიდისის წინააღმდეგ, რომელიც ერთ დროს გენიოსი ბავშვი იყო. სიდისმა 11 წლის ასაკში ჰარვარდის უნივერსიტეტის კოლეჯი დაამთავრა და ლექციებს კითხულობდა მათემატიკაში. ამის

⁶⁴ იხ. კარი II, თავი I, გვ. 169.

შემდეგ სიდისი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გაუჩინარდა. 1937 წელს ჟურნალში გამოქვეყნდა სტატია, სათაურით „რა დაემართა...?“ მიუხედავად იმისა, რომ სტატია სიმპათიით იყო დაწერილი, მასში გამოჩნდა სიდისის ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინტიმური ფაქტი. 1940 წელს ოლქის სასამართლომ უარყო სიდისის სარჩელი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით, თუმცა, თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „ამჟამად სიდისი არ არის პოლიტიკოსი, საჯარო ადმინისტრატორი ან სახელმწიფო მოღვაწე. იმ შემთხვევაშიც კი, სიდისი საჯარო ფიგურა რომ ყოფილიყო, გამოქვეყნებულ პერსონალურ მონაცემებში ერია იმგვარი ინფორმაცია, რომლის დაფარვის უფლება საზოგადოებრივი განხილვისგან ყოველ ადამიანს აქვს.“ შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოება და მისი გამჟღავნება იმდენად ინტიმური უნდა იყოს მსხვერპლის პოზიციიდან გამომდინარე, რომ შეურაცხყოფა უნდა მიაყენოს საზოგადოების გრძნობებსაც... მაგრამ როდესაც ფოკუსში მოქცეულია საჯარო მახასიათებლები, სინამდვილესთან შესაბამისი კომენტარები პიროვნების ტანსაცმელზე, გამოსვლებზე, ჩვეულებებზე და სხვა ჩვეულებრივ დეტალებზე, როგორც წესი, ზემოთ აღნიშნული ზღვარი არ ირღვევა.

შეერთებული შტატების კანონმდებლობა, რომელიც სიდისის გადაწყვეტილების პრინციპებს ატარებს, აცხადებს, რომ საჭიროა ხუთი ელემენტის არსებობა, რათა დადასტურდეს პირადი ცხოვრების შესახებ სამარცხვინო ფაქტების გამჟღავნება:

1. ინფორმაცია უნდა იყოს გამოქვეყნებული;
2. უნდა ეხებოდეს პირის პირად ცხოვრებას;
3. ინფორმაცია უნდა შეურაცხყოფდეს „საშუალო ადამიანს“;
4. ინფორმაცია არ უნდა იყოს საჯარო ინტერესის საგანი;
5. პუბლიკაცია უნდა არღვევდეს საზოგადოებაში მიღებულ „წესიერების“ სტანდარტებს.

მესამე – პირის წარმოდგენა მცდარი სახით (**False light**): ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დგება, როდესაც პირის შესახებ ქვეყნდება მცდარი ინფორმაცია, რომელიც „საშუალო ადამიანისთვის“ შეურაცხმყოფელია. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ეს სახე საკმაოდ ახლოს დგას ცილისწამებასთან. თუმცა, ეს ორი კონცეფცია ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რომ პირის მცდარი სახით წარდგენაში შესაძლოა, არსებობდეს ისეთი შეცდომები, რომლებიც ცილისწამებლური არ არის, მაგრამ – სამარცხვინოა. შესაბამისად, ცილისწამებისგან განსხვავებით, სადაც დაცვის ობიექტი პირის რეპუტაციაა, ამ შემთხვევაში, დაცვის ობიექტს წარმოადგენს პირის ღირსება.

ამ კუთხით, მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება საქმეზე „ტიამი“ ჰილის წინააღმდეგ⁶⁵. 1952 წელს ჯეიმს ჰილი, მისი მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ბავშვი მძევლად აიყვანეს ციხიდან გაქცეულმა დამნაშავეებმა. ჰილების ოჯახს საკმაოდ კარგად ეპყრობოდნენ მძევლობის პერიოდში და მათთვის ზიანიც არ მიუყენებიათ. ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა მხატვრული ნაწარმოები, სათაურით „საშინელი საათები“, სადაც აღწერილი იყო ეს მოვლენა. თუმცა, შემთხვევა გაფორმებული იყო ძალადობის სცენებით მამის და მისი ვაჟის წინააღმდეგ, და სექსუალური ძალადობით ჯეიმს ჰილის ქალიშვილის წინააღმდეგ. ამ ნაწარმოებმა ბროდვეი-დედუ მიაღწია და დაიდგა სპექტაკლი, რომლის შესახებაც დაიწერა ჟურნალში *Life Magazine*. ჯეიმს ჰილმა სარჩელი შეიტანა ნიუ იორკის კანონის საფუძველზე, რომელიც იცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და პირადი ცხოვრების ფაქტების კომერციული მიზნით გამოყენებას. უზენაესმა სასამართლომ ამ საქმით „ბოროტი განზრახვის“ ტესტი გააგრძელა შემთხვევებზე, როდესაც პირი წარმოდგენილია მცდარი სახით; ეს კი ნიშნავს, რომ მოპასუხე ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ მედიის საშუალება მოქმედებდა ბოროტი განზრახვით და მან იცოდა ფაქტების სიმცდარის შესახებ.

მეოთხე – პირის სახის გამოყენება კომერციული მიზნებისთვის (*Misappropriation*). ეს მაშინ ხდება, როდესაც პირის სახელს ან იმიჯს მისივე ნებართვის გარეშე იყენებენ კომერციული მიზნებისთვის, მაგალითად, რეკლამაში. ამ შემთხვევაში, არ არის აუცილებელი, რომ პირის სახელი მთლიანად იყოს გამოყენებული, – თუ დამტკიცდება, რომ პირის იდენტიფიცირება შესაძლებელია, მას უფლება აქვს, მოითხოვოს კომპენსაცია. თუმცა, ხშირად რთულია საინფორმაციო და კომერციული მიზნების გამოიჯვანა.

უხამსობა და პორნოგრაფია

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ბევრი წიგნი, მათ შორის, თეოდორ რუზველტის „ამერიკული ტრაგედია“, ლორენსის „ლედი ჩატერლის საყვარელი“ და სხვა მრავალი აკრძალული იყო უხამსობის არგუმენტი. ამ პერიოდში უხამსობის სტანდარტის დასადგენად გამოიყენებოდა ძველი ინგლისური სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *რეგინა ჰინკლის წინააღმდეგ*. ამ საქმით დადგინდა

⁶⁵ Time Inc. v. Hill. 385 US 374 (1967). Docket Number: 22. Abstract. Argued: April 27, 1966. Reargued: October 18, 1966. Decided: January 9, 1967

სტანდარტის მიხედვით, ნაწარმოები უხამსად იყო მიჩნეული, თუ ამ ნამუშევრის კონკრეტულ მონაკვეთს საზოგადოებაში ყველაზე მგრძობიარე ადამიანზე გარკვეული ეფექტი და ზეგავლენა ჰქონდა.

ამ სტანდარტის მიხედვით, ხელოვნება საზოგადოებაში ყველაზე მგრძობიარე ადამიანების ტყვეობაში რჩებოდა. ამასთან, კონკრეტული ნაწარმოების ერთი ნაწილის უხამსად აღიარება მთელ ნაწარმოებს უხამსს ხდიდა. ისმოდა კითხვა, თუ როგორ ეწყობოდა ერთმანეთს ზემოაღნიშნული სტანდარტი და პირველი შესწორება. ამ კითხვაზე 1957 წელს პასუხი გასცა მოსამართლე ბრენანმა ერთ-ერთ ყველაზე სადავო და მნიშვნელოვან მოსაზრებაში საქმეზე როტი შეერთებული შტატების წინააღმდეგ⁶⁶. მოსამართლე ბრენანამ აღნიშნა, რომ პირველი შესწორების ისტორიიდან გამომდინარე, უხამსობა არ არის დაცული, რადგან მას რაიმე სოციალური ღირებულება არ გააჩნია. ამის შედეგი ავტომატური იყო: სასამართლომ დაადგინა, რომ უხამსობა არ იყო დაცული პირველი შესწორებით. თუმცა აქვე დაისვა კითხვა: რა არის უხამსობა?

უხამსობის განმარტებისას ბრენანი შემოიფარგლა სექსისადმი არაჯანსაღი ინტერესის აღძვრის კონცეფციით. მან შემოგვთავაზა ახალი განმარტება, რომელმაც ჰინკლის სტანდარტი შეცვალა: „მიიჩნევს თუ არა საშუალო ადამიანი თანამედროვე საზოგადოებრივი სტანდარტების მისადაგების შემდეგ, რომ მასალის მთავარი დომინანტური თემა აღძრავს არაჯანსაღ ინტერესს“.

ტერმინი „არაჯანსაღი“ საქმეში როტი შეერთებული შტატების წინააღმდეგ განმარტებული არ ყოფილა, თუმცა მოდელური სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არაჯანსაღი განმარტებულია, როგორც „სამარცხვინო, ავადმყოფური ინტერესი სიშიშვლისა და სექსის მიმართ, თუ იგი მნიშვნელოვნად სცდება ამ ცნებების ტრადიციულად მიღებულ, ეთიკის შესაბამის განმარტებას და აღწერას“. ამ განმარტების თანახმად, უხამსობის სტანდარტი თითქმის მხოლოდ მძიმე პორნოგრაფიაზე ვრცელდება.

მოსამართლე სტივენსმა ცადა, განემარტა მძიმე პორნოგრაფია, თუმცა, მოგვიანებით ამ მცდელობაზე ხელი აიღო და თქვა: „მე მას ვცნობ, როდესაც ვხედავ“. მოსამართლე სტივენსის ამ ფრაზიდან ჩანს, თუ რამდენად ძნელია „უხამსობის“, „მძიმე პორნოგრაფიისა“ და მსგავსი ცნებების ზუსტი განმარტება. თუმცა, საქმე როტი შეერთებული შტატების წინააღმდეგ მნიშვნელოვანია, რადგან ამ საქმით მოხდა ჰინკლის სტანდარტის უარყოფა, რომლის ათვლის წერტილი იყო მგრძობიარე ადამიანი. ამის საპირისპიროდ, ბრენანმა დაამკვიდრა ტეტსი, რომელიც ათვლის წერტილად იღებს საშუალო ადამიანს. შედეგად, უფრო მეტი მასალა მოექცა პირველი შესწორებით დაცვის ქვეშ, ვიდრე – მანამდე.

⁶⁶ Roth v. United States 354 US 476, 1957.

ამის შემდეგ წარმოიშვა არაერთგვაროვანი მიდგომა იმ საკითხის მიმართ, თუ რას ნიშნავდა „საზოგადოებრივი სტანდარტები“. საქმეში *მემუარსი მასაჩუსეტისის წინააღმდეგ*⁶⁷ და *იაკობელოსი ოჰაიოს წინააღმდეგ*⁶⁸ აღინიშნა, რომ საუბარი იყო ეროვნულ სტანდარტზე, თუმცა უხამსობისთვის დევნა ადგილობრივ დონეზე მიმდინარეობდა. ამასთან, „მემუარსის“ საქმეში დადგინდა სტანდარტი „საერთოდ მოკლებული სოციალურ ღირებულებებს“. აქ ისმოდა კითხვა, თუ რას ნიშნავდა ეს ფრაზა – გაივლიდა თუ არა ნიგნი ამ ტესტს, თუკი მასში არისტოტელეს ციტირებას მოვხებდნით? საქმეში მიღერი კალიფორნიის წინააღმდეგ მოსამართლე ბურგერმა ამ კითხვას შემდეგნაირად უპასუხა: სასამართლოს უმრავლესობამ ერთსულოვნად უარყო მემუარსის ზემოხსენებული სტანდარტი და დაადგინა სამწვეროვანი ტესტი უხამსობის განმარტებისთვის. უხამსობის წინააღმდეგ გზამკვლევი პრინციპები შემდეგია:

ა) მიიჩნევს თუ არა საშუალო ადამიანი თანამედროვე საზოგადოებრივი სტანდარტების მისადაგების შედეგად, რომ მასალის დომინანტური თემა აღძრავს არაჯანსაღ ინტერესს;

ბ) ასახავს თუ არა მოცემული მასალები სქესობრივ მოქმედებებს აშკარად შეურაცხმყოფელი ფორმით, რაც შტატის კანონით არის განსაზღვრული;

გ) მოკლებულია თუ არა მოცემული მასალები სერიოზულ ლიტერატურულ, მხატვრულ, პოლიტიკურ ან მეცნიერულ ფასეულობებს.

ეს სასამართლო არ აღიარებს და არ ტოვებს ძალაში სტანდარტს – „განსაკუთრებით მოკლებული სოციალურ ღირებულებებს“, რომელიც დადგინდა საქმეში *მემუარსი მასაჩუსეტისის წინააღმდეგ*. ამ სტანდარტს საყოველთაო პრაქტიკა არასოდეს მოჰყოლია. ამასთან, „მიღერის“ საქმეში დადგინდა, რომ საზოგადოებრივი სტანდარტები არ არის ეროვნული სტანდარტი, რადგან შეერთებული შტატები დიდი ქვეყანაა და ის, რაც ნიუ იორკში უხამსი არ არის, შესაძლოა, უხამსი იყოს მისისიპიში.

რაც შეეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და უხამსობის ბალანსს, ამ შემთხვევაში მნიშვნეოვანია სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *სტენლი ჯორჯისის წინააღმდეგ*⁶⁹, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ იკრძალება ინდივიდის დასჯა უხამსი მასალების საკუთრებაში ქონისათვის. პირველი შესწორების თანახმად, „სახელმწიფოს საქმე არ არის, უთხრას ადამიანს, რომელიც საკუთარ სახლში იმყოფება, თუ რა წიგნები წაიკითხოს, ან რა ფილმს უყუროს“.

⁶⁷ *Memoirs v. Massachusetts*. 383 US 413 (1966). Docket Number: 368. Abstract. Argued: December 7, 1965. Decided: March 21, 1966.

⁶⁸ *JACOBELLIS v. OHIO*, 378 US 184, 1964).

⁶⁹ *Stanley v. Georgia* 394 US 557, 1969.

თუმცა საქმეში *Paris Adult Theatre I v. Slaton*⁷⁰ სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სიტყვები „საკუთარ სახლში იმყოფება“ არსებითი საფუძველია, რადგან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ინტერესი არ ვრცელდება ე.წ. „მოზრდილთა ფილმების“ ჩვენებაზე კომერციულ დაწესებულებაში – ამ მოზრდილების თანხმობით. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სავსებით დასაშვებია პორნოგრაფიის ყურება სახლში, თუმცა დაუშვებელია კინოთეატრში, რადგან ეს იქნება ნეგატიური შეჭრა ადამიანების პირად ცხოვრებაში. მოსამართლე ბრენანმა გამოთქვა განსხვავებული აზრი, სადაც მან აღიარა, რომ როტის სტანდარტმა, ისევე როგორც მილერის სტანდარტმა, პრაქტიკაში ვერ იმუშავა; მაგრამ, მისი აზრით, „სწორი მიდგომა იქნებოდა უხამსობაზე მხოლოდ იმ აკრძალვის დაწესება, რომელიც დაიცავდა ბავშვებს და ე.წ. „ყურადღებიან აუდიტორიას“. სხვა შემთხვევაში, სახელმწიფოს უნდა აეკრძალოს უხამსობის რეგულირება.“

სიმბოლური გამოხატვა

სიმბოლიზმი იდეების კომუნიკაციის ერთ-ერთი ძლიერი მექანიზმია. სიმბოლურ გამოხატვას ხშირად ღარიბი კაცის საგაზეთო გადმოცემას უწოდებენ. სამხედრო ბილეთის ან დროშის დაწვა მედიის და საზოგადოების ყურდღებას უფრო მეტად იზიდავს, ვიდრე პრესკონფერენციის გამართვა. ქმედება შეიძლება იყოს მაგალითად, პიკეტირება; ხოლო ექსპრესიული ქმედება ანუ სიმბოლური გამოხატვა მოიცავს ქმედებას, რომელიც კომუნიკაციური ხასიათისაა.

ყველა ქმედება ვერ განიხილება, როგორც ექსპრესიული, ამასთან, გადამწყვეტი ფაქტორი არც სპიკერის განზრახვაა. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ყველა ქმედება, სადაც სპიკერი მიზნად ისახავს იდეების გადმოცემას, ვერ ჩაითვლება ექსპრესიულად. შესაბამისად, თავდაპირველად უნდა გავარკვიოთ, თუ რას მიიჩნევს უზენაესი სასამართლო ექსპრესიულ ქმედებად. საქმეში *სპენსი ვოშინგტონის წინააღმდეგ*⁷¹ სასამართლომ განმარტა ექსპრესიული ანუ სიმბოლური გამოხატვა. ამ საქმეში სასამართლომ მხარი არ დაუჭირა სპენსისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, რაც მოჰყვა მის მიერ საკუთარი სახლის ფანჯრიდან გადმოკიდებულ შეერთებული შტატების დროშაზე მშვიდობის სიმბოლოიანი სამკერდე ნიშნის მიბნევას. სპენსი აპროტესტებდა შეერთებული შტა-

⁷⁰ District Attorney, et al. No. 71-1051 SUPREME COURT OF THE UNITED STATES. 413 US 49, 1973.

⁷¹ Spence v. Washington, 418 US 405, 1974.

ტების მიერ კამბოჯაში შეჭრას და კენტიის უნივერსიტეტში მკვლევლობებს, რაც ვიეტნამის ომის დროს მოხდა. სასამართლოს თანახმად, უდავო იყო, რომ სპენსი სიმბოლოების მეშვეობით ცდილობდა კომუნიკაციას. ეს სიმბოლოური გამოხატვა კი ორი მახასიათებლით განისაზღვრა:

1. არის თუ არა ამა თუ იმ იდეის კომუნიკაციის განზრახვა?
2. მოცემულ სიტუაციაში არის თუ არა ალბათობა, რომ მაყურებლების მიერ ეს მესიჯი ადეკვატურად აღიქმება?

სპენსის ტესტი წარმოადგენს ექსპრესიული მოქმედების კრიტერიუმებს, რომელსაც სასამართლო იყენებს ქმედების ხასიათის განსასაზღვრად.

თუმცა თუ ექსპრესიული ქმედება წარმოადგენს „სიტყვებს“, რომელიც პირველი შესწორებით არის გათვალისწინებული, მაშინ მაინც ისმის კითხვა, არის თუ არა ის დაცული პირველი შესწორებით. საქმეში *შეერთებული შტატები ობრაიენის წინააღმდეგ*⁷² სასამართლოს შესაძლებლობა მიეცა, რომ დაედგინა სტანდარტები, რომლებიც ექსპრესიულ ქმედებაზე გავრცელდებოდა; თუმცა მან უარი თქვა ამ შესაძლებლობაზე. დევიდ ობრაიენს პასუხისმგებლობა დააკისრეს სამხედრო ბილეთის საჯაროდ, ბოსტონის სასამართლოს კიბეზე დანვისათვის, რითიც მან დაარღვია სამხედრო სამსახურის შესახებ 1965 წლის კანონი. ეს შესწორება კანონში მიიღეს ზოგიერთი იმ კონგრესმენის ლობირების შედეგად, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ამგვარი გადაწყვეტილება შეამცირებდა პროტესტს ვიეტნამში ომის წინააღმდეგ. სასამართლომ ამ საქმეში დაადგინა, რომ როდესაც სიტყვა და სიმბოლოური გამოხატვა შერეულია, მაშინ სახელმწიფოს უფლება აქვს, დაარეგულიროს ქმედება (არა სიტყვა), თუკი არსებობს მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესი. საქმეში განვითარდა ოთხწვეროვანი ტესტი, რომელმაც მსგავსი საკითხები უნდა განმარტოს. ამ ტესტის თანახმად, სახელმწიფოს მიერ რეგულირება სათანადოდ გამართლებულია:

1. თუ ამგვარი რეგულირება სახელმწიფოს კონსტიტუციური უფლებაა;
2. თუ ის ემსახურება სახელმწიფოს არსებით ინტერესს;
3. თუ სახელმწიფოს ინტერესი არ არის დაკავშირებული თავისუფალ გამოხატვასთან;
4. თუ შეზღუდვა უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფოს ინტერესის დაცვა.⁷³

ამ ტესტის შეფარდების თანახმად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ საქმეში არსებობდა მნიშვნელოვანი და არსებითი სახელმწიფო ინტერესი; შესაბამისად, სასამართლომ მხარი დაუჭირა ობრაიენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

⁷² იხ. კარი II, თავი I, გვ. 177.

⁷³ *შეერთებული შტატები ობრაიენის წინააღმდეგ.*

სიმბოლური გამოხატვის ერთ-ერთი მაგალითი იყო ლი ჯონსონის მიერ რესპუბლიკური პარტიის კონფერენციის დროს გამართულ დემონსტრაციაზე დროშის დაწვა. დემონსტრაციის მიზანი იყო რეიგანის ადმინისტრაციის და დალასში არსებული რამდენიმე კორპორაციის პოლიტიკისადმი პროტესტის გამოხატვა. ჯონსონს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისრეს დროშის შეურაცხყოფისთვის. ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ჯონსონი დაისაჯა იმ პოლიტიკური მესიჯის გამო, რის გამოხატვასაც იგი ცდილობდა დროშის დაწვით. დასჯა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ქმედება შეურაცხყოფელია, დაუშვებელია; სახელმწიფოს უფლება არ აქვს, აკრძალოს ან შეზღუდოს გამოხატვა მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოება ასეთი გამოხატვით შეურაცხყოფილია და მას მიუღებლად მიიჩნევს.

ეს გადაწყვეტილება საკმაოდ სადავო გახდა. პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ სასამართლო არასწორად მოიქცა ამ გადაწყვეტილების მიღებისას და საჭირო იყო კანონში შესწორება, რომელიც სახელმწიფო დროშას დაიცავდა. შესაბამისად, 1989 წელს კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც დასჯადად აცხადებდა შეერთებული შტატების დროშის განზრახ განადგურებას, დაცემას, დაწვას, იატაკზე ან მიწაზე განთავსებას, ფეხით შედგომას. როგორც ჩანს, არსებობდა იმედი, რომ მოსამართლეები ბრენანი, კენედი და სკალია, რომლებმაც სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგინეს საქმეზე *ტეხასი ჯონსონის წინააღმდეგ*, აზრს შეიცვლიდნენ და ძალაში დატოვებდნენ კანონს. თუმცა, ეს იმედები არ გამართლდა. საქმეში *შეერთებული შტატები აიხმანის წინააღმდეგ*⁷⁴ იმავე მოსამართლეებმა ანტიკონსტიტუციურად ცნეს 1989 წლის კანონი. მოსამართლე ბრენანმა ამ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ კანონის რეალური მიზანი კომუნიკაციის და იდეების შეზღუდვა იყო, რადგან არავინ დაინტერესდებოდა რაიმე ნაჭრის – დროშის ბედით, რომელიც ადამიანების საკუთრებაა; სამაგიეროდ, ამ კანონს გამოიყენებდნენ დროშის მეშვეობით ჩადენილი ექსპრესიული ქმედებების დასასჯელად. დღეისათვის შეერთებულ შტატებში კვლავ დაიწყო კამპანია დროშის დამცავი საკანონმდებლო შესწორების მისაღებად, რასაც ადამიანის უფლებების დამცავი ჯგუფები აქტიურად ეწინააღმდეგებიან.⁷⁵

⁷⁴ United States v. Eichman. 496 US 310 (1990). Docket Number: 89-1433. Abstract. Argued: May 14, 1990. Decided: June 11, 1990.

⁷⁵ იხილეთ ამერიკის სამოქალაქო უფლებების კავშირის პეტიცია <http://www.aclu.org/FreeSpeech/FreeSpeech.cfm?ID=16355&c=50>.

სამართლიანი სასამართლო და გამოხატვის თავისუფლება

მედიაზე შეზღუდვები პირველი შესწორების ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია. ჯონ მილტონი აცხადებდა, რომ წინასწარი შეზღუდვები არაკანონიერი და დაუშვებელია. ამ შემთხვევაში მილტონი გამოდიოდა მეფის ცენზორების წინააღმდეგ, რომლებიც პრესას ადმინისტრაციულ ცენზურაში ატარებდნენ. ამის გარდა, წინასწარი შეზღუდვები, შესაძლოა, სხვა კონტექსტშიც შეგვხვდეს. რა უნდა მოვიმოქმედოთ მაშინ, როდესაც წინასწარი შეზღუდვა ემსახურება სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას? ხშირ შემთხვევებში, საჭიროა გამოხატვის თავისუფლების დაბალანსება სხვა უფლებებთან ან ინტერესებთან. შეერთებულ შტატებში დიდი დებატების საგანი გახდა გამოხატვის თავისუფლების მიმართება სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან. შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეექვსე შესწორება ადგენს განსასჯელისთვის სამართლიანი სასამართლოს გარანტიებს. განსასჯელს უფლება აქვს, ითვლებოდეს უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალეულობა არ დადგინდება კომპეტენტური სასამართლოს მიერ. ამ უფლებას ხშირად საფრთხეს უქმნის სასამართლო ან წინასასამართლო პროცესების საჯაროობა. ეს საფრთხე განსაკუთრებით იჩენს თავს ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობის მხრივ. რა თქმა უნდა, პირს უფლება აქვს, გაასაჩივროს ვერდიქტი იმის გამო, რომ იგი განსაჯა მიკერძოებულმა ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ, თუმცა, პოსტ ფაქტუმ ჩარევის გარდა, წინასწარი მექანიზმებიც არსებობს.

საქმეში *შეპარდი მაქსველის წინააღმდეგ*⁷⁶ უზენაესმა სასამართლომ დაადგინა იმ ალტერნატივების ნუსხა, რომლებიც მთავარი სხდომის მოსამართლეს შეუძლია გამოიყენოს, რათა პროცესის საჯაროობა აღკვეთოს და მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელება უზრუნველყოს. მოსამართლე კლარკმა, რომელმაც ამ საქმეში უმრავლესობის აზრი წარმოადგინა, აღნიშნა, რომ თავდაპირველად მთავარი სხდომის მოსამართლეს შეუძლია, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცესში და უზრუნველყოს ისეთი მსაჯულების შერჩევა, რომლებსაც მედიაში გაშუქებული ამბების გამო წინასწარ არ აქვთ შექმნილი აზრი საქმეზე. მთავარი სხდომის მოსამართლეს ასევე შეუძლია, მოახდინოს მოწმეების და ნაფიცი მსაჯულების იზოლირება. მესამე მექანიზმი, რომლის გამოყენებაც მოსამართლეს შეუძლია, მდგომარეობს საქმის განხილვის გადავადებაში, სანამ ამ საქმეზე მედიაში გაშუქება შენელებულია. დაბოლოს, მოსამართლეს შეუძლია საქმის განხილვა სხვა ოლქში გადაიტანოს.

⁷⁶ იხ. კარი II, თავი I, გვ. 223.

თუმცა აქვე არსებობს კიდევ ერთი მექანიზმი, რომელიც მოსამართლეს უფლებას აძლევს, პირი სასამართლოს უპატივცემულობისთვის დასაჯოს. გავრთიანებულ სამეფოში მოსამართლეები უპატივცემულობის ნორმას აქტიურად იყენებენ მედიის წინააღმდეგ, როდესაც საქმე ეხება სასამართლო პროცესის გაშუქებას. თუმცა, შეერთებულ შტატებში საქმით ბრიჯისი კალიფორნიის წინააღმდეგ⁷⁷ დადგინდა, რომ მოსამართლეს უფლება აქვს, სასამართლოს უპატივცემულობის ნორმები მედიის წინააღმდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენოს, თუ მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელებას მკაფიო და მყისიერი საფრთხე ექმნება.

სასამართლოს უპატივცემულობის ნორმების გარდა, მოსამართლეს შეუძლია, გამოსცეს შემზღუდველი ბრძანებები, რომელის მიხედვითაც, მედიას ეკრძალება ამა თუ იმ საქმის შესახებ ახალი ამბების წინასწარ გაშუქება. საქმეში ნებრასკის პრესის ასოციაცია სტიუარტის წინააღმდეგ⁷⁸ შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ თითქმის აკრძალა შემზღუდველი ბრძანებები, თუმცა, კარი მაინც ოდნავ ღია დატოვა და ასეთი ბრძანებები *per se* ანტიკონსტიტუციურად გამოაცხადა. 1975 წელს, როდესაც ერვინ სიმონსმა ნებრასკის პატარა ქალაქში ერთი ოჯახი მთლიანად ამოწყვიტა, მოსამართლემ შემზღუდველი ბრძანება გამოსცა პრესისათვის, რადგან ქალაქში, სადაც სასამართლო პროცესი უნდა გამართულიყო, მხოლოდ 800 ადამიანი ცხოვრობდა და ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობას საფრთხე ექმნებოდა. მედიის წარმომადგენლებმა ეს ბრძანება გაასაჩივრეს. შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ ანგლო-ამერიკულ სამართალში არსებობს მძიმე პრეზუმფცია იმისა, რომ წინასწარი შეზღუდვები, რომლის ერთ-ერთ სახესაც წარმოადგენს შემზღუდველი ბრძანებები, ანტიკონსტიტუციურია. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსამართლეს შემზღუდველი ბრძანებების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ დადგინდება, რომ არსებობს ამის მკაცრი აუცილებლობა. სასამართლომ დაადგინა შემზღუდველი ბრძანებების გამოცემის კრიტერიუმები, რომლებიც მთავარი სხდომის მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს. ესენია:

- ა) წინასასამართლო სტადიაზე როგორი იყო ახალი ამბების გაშუქების ბუნება და მასშტაბი;
- ბ) შესაძლებელი იყო თუ არა იმგვარი ზომების მიღება, რაც შეზღუდვადი ახალი ამბების გაშუქების შედეგებს შეამსუბუქებდა;
- გ) რამდენად ეფექტურია შემზღუდველი ბრძანების გამოყენება კონკრეტულ საქმეში.

⁷⁷ Bridges v. California, 314 US 252, 62 S.Ct. 190. 1941.

⁷⁸ იხ. კარი II, თავი I, გვ. 215.

რაც შეეხება უშუალოდ სასამართლოს სხდომას, აქ მოსამართლეს შეუძლია, გამოსცეს ე.წ. სხდომის დახურვის ბრძანება. ამ ბრძანების მიხედვით, პრესას და საზოგადოებას ეკრძალება პროცესზე დასწრება და ამ პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტების მიღება. ამ შემთხვევაში, უნდა განვასხვავოთ მთავარი სასამართლო სხდომა და წინასასამართლო მოსმენები. ამერიკულ სამართალში მთავარ სასამართლო სხდომასთან დაკავშირებით ღიაობის უფრო მეტი პრეზუმფცია არსებობს, ვიდრე წინასასამართლო მოსმენებთან დაკავშირებით.

კომერციული გამოხატვა

არის თუ არა დაცული პირველი შესწორებით იმგვარი გამოხატვა, რომლის ერთადერთი მიზანი კომერციული გარიგების დადებაა? ეს კითხვა დაისვა უზენაესი სასამართლოს წინაშე 1942 წელს, როდესაც სასამართლო განიხილავდა საქმეს *ვალენტაინი კრისტენსენის წინააღმდეგ*⁷⁹. ამ საქმეში პირი დააჯარიმეს, როდესაც იგი სარეკლამო ფურცლებს არიგებდა. სარეკლამო ფურცლებით კი იგი ხალხს იწვევდა ნავსადგურში წყალქვეშა ნავის დასათვალიერებლად საფასურის გადახდის პირობით. პირი დააჯარიმეს ნიუ იორკის კანონის თანახმად, რომელიც კრძალავდა დანაგვიანებას. ამის საპასუხოდ მოსარჩლემ სარეკლამო ფურცლებს საპროტესტო ვაცხადება დაუმატა, სადაც ქალაქის გადანყვეტილებას აპროტესტებდა. უზენაესმა სასამართლომ განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება საჯარო ადგილზე, ჩვენ ცალსახად ვაცხადებთ, რომ, კონსტიტუციის თანახმად, არ არსებობს ასეთი შეზღუდვა, როდესაც საქმე ეხება კომერციულ გამოხატვას. სასამართლოს აზრით, კომერციულ გამოხატვას იდეათა კომუნიკაციის ფასეულობა არ გააჩნია.

ამ გადანყვეტილებით – რაიმე განმარტებისა და არგუმენტაციის წარმოდგენის გარეშე – დადგინდა, რომ პირველი შესწორება არ იცავს კომერციულ გამოხატვას. თუმცა, ამ გადანყვეტილების არგუმენტაცია გარკვეულწილად დევს პირველი შესწორებით რეგულირებულ თვითმმართველობის მოდელში, სადაც მაიკლ-ჯონი განასხვავებს საჯარო და კერძო გამოხატვას. კომერციული გამოხატვა კი აშკარად კერძო გამოხატვის კატეგორიაში ჯდება, რომელიც კონსტიტუციის დაცვით არ სარგებლობს.

⁷⁹ *Valentine v. Christensen*, 316 US 52, 1942.

კომერციულ გამოხატვასთან დაკავშირებული ერთ-ერთი პრობლემა მისი განმარტებაა. არის თუ არა ყველა რეკლამა კომერციული გამოხატვა? საქმეში ნიუ იორკ ტაიმსი სალივანის წინააღმდეგ, მოსამართლე ბრენანმა განაცხადა, რომ სარედაქციო წერილი, სადაც მოთხრობილი იყო სამოქალაქო უფლებების დარღვევის ფაქტებზე ალაბამას მთავრობის მხრიდან, არ იყო კომერციული გამოხატვა, იმის მიუხედავად, რომ მის გამოქვეყნებაში თანხა იყო გადახდილი. ამის საპირისპირო განცხადება გახეთქს აიძულებდა, აეკრძალათ მსგავსი წერილები, რაც იმ ადამიანებს შეუზღუდავდა გამოხატვას, რომლებიც პრესას არ წარმოადგენდნენ. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საქმეში წერილისთვის გადახდილი თანხა არ განსაზღვრავდა, იყო თუ არა გამოხატვა კომერციული.

მიუხედავად ამისა, კატეგორიული მიდგომა, რომელიც ჩამოყალიბდა საქმეში ვალენტაინი კრისტინენის წინააღმდეგ, შემდგომ წლებში განსაკუთრებული კრიტიკის საგნად იქცა. თუმცა ეს დოქტრინა ოც წელზე მეტ ხანს იყო ძალაში. 70-იანი წლების დასაწყისში პროფესორმა მარტინ რედიშმა ამ დოქტრინას აქტიურად შეუტია საკუთარი პუბლიკაციებით და სტატიებით. იგი აცხადებდა, რომ კომერციული გამოხატვის დოქტრინა ეწინააღმდეგება პირველი შესწორების თავისუფლების მოდელს, რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა კომერციული გარიგებების შესახებ, აწონ-დაწონოს და აირჩიოს.⁸⁰

ზემოაღნიშნული მიდგომა შეიცვალა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე ვირჯინიის ფარმაცევტა საბჭო ვირჯინიის მომხმარებელთა საბჭოს წინააღმდეგ.⁸¹

ამ საქმეში ვირჯინიის მომხმარებელთა საბჭო უჩიოდა ვირჯინიის შტატის ფარმაცევტა საბჭოს და დაობდა იმ კანონის კონსტიტუციურობაზე, რომლის თანახმადაც, კანონი ლიცენზირებულ ფარმაცევტებს უკრძალავდა რეცეპტით გამოსაწერი მედიკამენტების ფასების რეკლამას. ოლქის სასამართლომ კანონი ბათილად გამოაცხადა და აპელანტებს მისი გამოყენება აუკრძალა. ვირჯინიის შტატის ფარმაცევტა საბჭომ ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. უზენაესმა სასამართლომ შეცვალა „ვალენტაინის“ საქმეში არჩეული მიდგომა და კომერციულ გამოხატვას კვალიფიციური დაცვა მიანიჭა პირველი შესწორების თანახმად. სასამართლომ განმარტა: „რეკლამა, რამდენად უგემოვნო და გაზვიადებულიც უნდა მოგვეჩვენოს, მაინც შეიცავს ინფორმაციას, თუ რა პროდუქცია იყიდება, რა ფასად და სად შეიძლება მისი შეძენა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ჩვენი რესურ-

⁸⁰ Martin Redish, *The First Amendment in the Marketplace: Commercial Speech and the Value of Free Expression*, 39 Geo. Wash. L. Rev. (1971) 429-1).

⁸¹ იხ. კარი II, თავი I, გვ. 208.

სების განაწილება, უმეტესწილად, დამოკიდებულია კერძო ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, რომ ადამიანებს მიეცეთ საშუალება, მიიღონ ინფორმირებული და გონივრული გადაწყვეტილებები. ამ მიზნისათვის კი კომერციული ინფორმაციის თავისუფალი მიმოქცევა ხელშეუვალია.“

მიუხედავად იმისა, რომ ვირჯინიის ფარმაცევტთა საბჭოს თანახმად, გარკვეული კვალიფიციური დაცვა კომერციულ გამოხატვაზე გავრცელდა, ამ საქმეში მაინც არ გადაწყდა, თუ რა ტიპის კომერციული გამოხატვაა დაცული და რა ტიპის – არა. ეს საკითხი დაკონკრეტდა გადაწყვეტილებაში *Central Hudson Gas & Electric Corp. V. Public Service Comm'n of New York*⁸². ამ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბდა ოთხწევროვანი ტესტი, რის თანახმადაც, ირკვევა, არის თუ არა კომერციული გამოხატვა დაცული:

1. კომერციული გამოხატვა არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას არაკანონიერი საქმიანობის შესახებ;
2. კომერციული გამოხატვის რეგულირებისას სახელმწიფოს ინტერესი მნიშვნელოვანი უნდა იყოს;
3. რეგულირება ცალსახად უნდა იცავდეს სახელმწიფოს ინტერესს;
4. რეგულირება არ უნდა იყოს იმაზე ფართო, ვიდრე ეს საჭიროა სახელმწიფო ინტერესის დასაცავად.

ამ ტესტის ბოლო ორი ნაწილი ძირითადად გულისხმობს იმას, რომ რეგულირება ვიწროდ ფორმულირებული უნდა იყოს და არ უნდა მოიცავდეს იმ სფეროებს, რაც აუცილებელი არ არის მნიშვნელოვანი ინტერესის დასაცავად.

თუმცა მალე უზენაესი სასამართლომ გადასინჯა ამ ტესტის მეოთხე ნაწილი – საქმეში *Board of Trustees of State University of New York (SUNY) v. Fox*.⁸³ ნიუ იორკის შტატის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ერთ-ერთმა კომპანიამ თავისი პროდუქციის რეკლამა წამოიწყო, რაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აკრძალა. კითხვაზე – დაირღვა თუ არა კომპანიის პირველი შესწორებით დაცული უფლება, უზენაესმა სასამართლომ უარყოფითად უპასუხა. მოსამართლე სკალიამ განმარტა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მნიშვნელოვანი ინტერესი ჰქონდა, რომ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უზრუნველყო საგანმანათლებლო და არაკომერციული ატმოსფეროს შექმნა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ საქმით გადასინჯა ოთხწევროვანი ტესტი, რომელიც ჩამოყალიბდა საქმეში *Central Hudson Gas & Electric Corp. V. Public Service Comm'n of New York*. მოსამართლე სკალიამ განმარტა, რომ სახელმწიფო რეგულირება უნდა იყოს გო-

⁸² 447 US 557 (1980).

⁸³ No. 87-2013, 492 U.S. 469 Argued February 22, 1989, Decided June 29, 1989.

ნივრულად ფორმულირებული. შესაბამისად, წინა საქმეში დადგენილი სტანდარტი ოდნავ უფრო შესუსტდა, რითაც შესაბამისად შესუსტდა კომერციული გამოხატვის დაცვის სტანდარტი შეერთებულ შტატებში.

გამოხატვის თავისუფლება და მოწოდება არაკანონიერი ქმედებისკენ

პირველი შესწორების ინტერპრეტაცია, ძირითადად, მეოცე საუკუნეში შეიქმნა. თუმცა პირველი მსოფლიო ომის დროს შპიონაჟის წინააღმდეგ კანონის ინტერპრეტაცია პირველი შესწორების კონტექსტში საკმაოდ პრობლემური აღმოჩნდა. ზემოთ აღნიშნული მკაფიო და მყისიერი საფრთხის დოქტრინაც სწორედ ამ კონტექსტში და ამ პეროდში შეიქმნა, რის შესახებაც ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებთ.

სასამართლოს ყურადღება საკმაოდ დიდი ხნის წინ მიიპყრო შეკითხვამ – შეუძლია თუ არა მთავრობას, აკრძალოს გამოხატვა, რომლის შინაარსია არაკანონიერი მოქმედებისკენ მოწოდება, პირების დარწმუნება და გადაბირება. სწორედ ამ თემაზე მოხდა სასამართლოს პირველი გადაწყვეტილებების მიღება და ეს გადაწყვეტილებები დღემდე წამყვანია პირველი შესწორების ინტერპრეტაციის მხრივ, რადგან სწორედ მათ შექმნეს უმნიშვნელოვანესი დოქტრინები ამ სფეროში.

ეს გადაწყვეტილებები წარმოიშვა პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც შეერთებულ შტატებში განვევის წინააღმდეგ აქტიური კამპანია დაიწყო. განვევის წინააღმდეგ აგიტაციას კონგრესმა შპიონაჟის წინააღმდეგ 1917 წლის აქტით უპასუხა. მიუხედავად იმისა, რომ ეს აქტი, ძირითადად, შპიონაჟის და სახელმწიფო საიდუმლოების გაცემის წინააღმდეგ იყო მიმართული, აქტის მესამე ნაწილით დასჯადად ცხადდებოდა საომარი პროცესისთვის განზრახ ხელის შეშლა. რამდენიმე წელიწადის განმავლობაში შეერთებულ შტატებში ეს მუხლი 2000-მდე საქმეს დაედო საფუძვლად.

ამ წლებში ქვედა ინსტანციის ფედერალურ სასამართლოებში საკმაოდ საშიში ტენდენცია გამოჩნდა: სასამართლოები თანახმა იყვნენ, დაესაჯათ გამოხატვა, თუ შეინიშნებოდა უკანონო ქმედებისკენ მოწოდება, ან ასეთი ქმედების გამოწვევის განზრახვა სპიკერის მხრიდან. ეს ტენდენცია საკმაოდ ნათელია მეოცე საუკუნის დასაწყისში მიღებულ გადაწყვეტილებებში: *შეიფერი შეერთებული*

შტატების წინააღმდეგ⁸⁴, *Masses Publishing Co. v. Patten*⁸⁵ და შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში – *შენკი შეერთებული შტატების წინააღმდეგ*⁸⁶. ამ გადაწყვეტილებაში პირველად ჩაისახა აშკარა და მყისიერი საფრთხის დოქტრინა, თუმცა ამ დროს შენკს დაკისრებული პასუხისმგებლობა ძალაში დაუტოვეს. მოსამართლე ჰოლმსმა ინტერ აღია, განმარტა: „როდესაც ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია, ბევრი რამ, რაც მშვიდობიან დროს დასაშვებია, შესაძლოა, იმდენად ხელისშემშლელი აღმოჩნდეს შედეგისათვის, რომ მასთან შეგუება შეუძლებელი შეიქნას; როდესაც ხალხი იბრძვის, ვერც ერთი სასამართლო ვერ მიიჩნევს ამგვარ გამოხატვას კონსტიტუციით დაცულ უფლებად.“ რამდენიმე თვის შემდეგ, მოსამართლე ჰოლმსი, რომელიც უკვე განსხვავებულ აზრს წერს და სასამართლოს არ ეთანხმება, უფრო აძლიერებს აშკარა და მყისიერი საფრთხის დოქტრინას საქმეში აბრამსი შეერთებული შტატების წინააღმდეგ. მეცნიერთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ მოსამართლე ჰოლმსი, რომელმაც საქმეებში *შენკი შეერთებული შტატების წინააღმდეგ*, *დებსი შეერთებული შტატების წინააღმდეგ*⁸⁷ და *ფროვერკი შეერთებული შტატების წინააღმდეგ*⁸⁸ შედარებით შეზღუდული ინტერპრეტაციის მიდგომა აიჩიოა, რამდენიმე თვის შემდეგ ლიბერალურ პოზიციაზე გადავიდა და გააძლიერა პირველი შესწორების დაცვა ამგვარ ქმედებებზე.⁸⁹ მიუხედავად ჰოლმსის განსხვავებული აზრისა, მისი დოქტრინა მკაფიო და მყისიერი საფრთხის შესახებ სასამართლოს არ გაუზიარებია. ამის შემდეგ სასამართლომ კვლავ განაგრძო პირების პასუხისმგებლობითვის მხარდაჭერა შპიონაჟის წინააღმდეგ აქტით.⁹⁰

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და რუსეთში რევოლუციის დასრულების შემდეგ შეერთებულ შტატებში ანტირადიკალიზმის ერა დაიწყო. 1919 და 1920 წლებში, „ნითელი შიშის“ (მაკარტიზმის) ერაში, შტატების უმეტესობამ მიიღო სისხლისსამართლებრივი სინდიკალიზმის და სისხლისსამართლებრივი ანარქიის კანონები. ზოგიერთ შტატში მიიღეს ე.წ. „ნითელი დროშის კანონებიც“, რომლე-

⁸⁴ *Shaffer v. United States*, 255 F. 886 (9th cir. 1919).

⁸⁵ 244 F. 525 (S.D.N.Y. 1917).

⁸⁶ იხ. კარი II, თავი I, გვ. 161.

⁸⁷ *DEBS v. UNITED STATES*. 249 US 211 No. 714. Argued Jan. 27 and 28, 1919. Decided March 10, 1919.

⁸⁸ *FROHWERK v. US*, 249 US 204 (1919). No. 685. Argued Jan. 27, 1919. Decided March 10, 1919.

⁸⁹ დამატებით იხილეთ გადაწყვეტილება საქმეზე აბრამსი შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

⁹⁰ *Pierce v. United States*, 252 U.S. 239, 1920; *Schaefer v. United States*, 251 U.S. 466 (1920), *Gilbert v. Minnesota*, 254 U.S. 325, 1920.

ბიც ნითელი დროშის გამოფენას კრძალავდა. შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს წინაშე მალე გამოჩნდა საქმეები, სადაც დავა მიმდინარეობდა ამ კანონის ანტიკონსტიტუციურობაზე.

ანარქიისკენ მოწოდებას შეეხებოდა საქმე *გიტლოუ ნიუ იორკის წინააღმდეგ*, სადაც მოსარჩელე ბენჯამინ გიტლოუ, სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფლანგის წარმომადგენელი, სისხლის სამართლის წესით დასაჯეს მანიფესტის გამოქვეყნებისათვის. ეს მანიფესტი გმოზდა შუალედურ სოციალიზმს და ხალხს კომუნისტური რევოლუციისაკენ მოუწოდებდა. შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და გიტლოუს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ გააუქმა. მოსამართლე ანფორდმა უმრავლესობის სახელით განმარტა, რომ ამ საქმეში ნიუ იორკის კანონი არ იყო მიმართული აბსტრაქტული დოქტრინების, აკადემიური დებატების ან სახელმწიფო მმართველობის კონსტიტუციური ფორმებით შეცვლის წინააღმდეგ; მაგრამ კანონი კრძალავდა პირდაპირ მოწოდებას კონკრეტული ქმედებისკენ. მოსამართლე სანფორდი შეეცადა, განესხვავებინა ეს საქმე „აბრამსისა“ და „შენკის“ საქმეებისგან და განმარტა, რომ ამ საქმეებში ადგილი ჰქონდა საომარ მდგომარეობაში კონკრეტული ქმედების დასჯას და უწოდა მას „ცუდი ტენდენცია“; ხოლო „გიტლოუს“ საქმე მოიცავდა პირდაპირ მოწოდებას სახელმწიფო გადატრიალებისკენ.

მოგვიანებით, 1926 წელს, საქმეში *ვიტნი კალიფორნიის წინააღმდეგ* უზენაესი სასამართლო კიდევ ერთხელ შეეხო სინდიკალიზმის წინააღმდეგ კანონმდებლობის კონსტიტუციურობას. მოსამართლე ბრანდეისის თანმხვედრი მოსაზრება ამ საქმეზე პირველი შესწორების ინტერპრეტაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი გახდა. ბრანდეისმა უარყო მოსამართლე სანფორდის „მკაფიო და მყისიერი საფრთხის“ დოქტრინის ვინრო ინტერპრეტაცია. მან უარყო დოქტრინა, რომლის მიხედვითაც, კანონის მიმართება განმასხვავებელი ფაქტორი ხდებოდა. ბრანდეისი უარყოფდა პოზიციას, რომ საფრთხის არსებობის კანონით გასაზღვრა მნიშვნელოვანი იყო ასეთ საკითხებში. მან აღნიშნა, რომ როდესაც საქმე გვაქვს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან, მაშინ სასამართლომ, მხარეების წარდგინებების საფუძველზე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განსაზღვროს, არსებობდა თუ არა აშკარა საფრთხე, იყო თუ არა ეს საფრთხე გარდაუვალი და მყისიერი, აგრეთვე, იყო თუ არა საფრთხე იმდენად მნიშვნელოვანი, რომ გამოხატვის აკრძალვა გამართლებული იქნებოდა. ბრანდეისის მიხედვით, მიუხედავად კანონმდებლის მიზნისა – შეზღუდოს ესა თუ ის გამოხატვა, შეზღუდვა მაინც მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში უნდა გამოიყენებოდეს და კანონიერად იყოს დასაბუთებული.

შემდგომ გადანყვეტილებებში უზენაესი სასამართლო ოდნავ მიუახლოვდა ჰოლმსისა და ბრანდისის მკაფიო და მყისიერი საფრთხის დოქტრინას.⁹¹

საბოლოოდ, ამ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო მივიდა გადანყვეტილებამდე, რომელიც შეერთებულ შტატებში დღესაც ძალაშია.

ბრანდენბურგი ოპიოს წინააღმდეგ

კუ კლუქს კლანის ლიდერი, ბრანდენბურგი, დამნაშავედ ცნეს ოპიოს შტატის სინდიკალიზმის აქტის თანახმად. აქტის მიხედვით, დასჯადად ცხადდებოდა „მოწოდება დანაშაულის, საბოტაჟის, ძალადობის ან არაკანონიერი ქმედების ჩადენისკენ პოლიტიკური ან ინდუსტრიული რეფორმის მისაღწევად“. აღნიშნული კანონი ასევე კრძალავდა ნებისმიერი ჯგუფის, საზოგადოების ან პირთა ჯგუფის ნებაყოფლობით შეკრებას კრიმინალური სინდიკალიზმის მონოდების ან სწავლების მიზნით. უზენაესმა სასამართლომ ერთსულოვან გადანყვეტილებაში ცალსახად უარყო დოქტრინა, რომელიც განვითარდა საქმეში ვიტნი კალიფორნიის წინააღმდეგ. სასამართლომ ამ გადანყვეტილებაში შეაზავა გამოხატვის თავისუფლების ყველაზე მეტად დამცავი მექანიზმები და მკაფიო და მყისიერი საფრთხის დოქტრინის ყველაზე სასარგებლო ელემენტები. ამით შეიქმნა გამოხატვის თავისუფლების დამცავი საუკეთესო მექანიზმი, რაც კი ოდესმე შეუქმნია შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს. ბრანდისის მიხედვით, იმისათვის, რომ გამოხატვა აიკრძალოს, საჭიროა სამი ელემენტი:

1. კანონის დარღვევისკენ პირდაპირი და ცალსახა მონოდება;
2. გამოხატვა, რომელიც თავისი არსით მოუწოდებს კანონის დაუყოვნებლივ დარღვევისკენ;
3. მაღალი ალბათობა, რომ მონოდება გამოიწვევს კანონის დაუყოვნებლივ დარღვევას.

ბრანდენბურგის მიხედვით, გამოხატვა აბსოლუტურად დაცულია, თუ მასში არ არის გამოყენებული პირდაპირი და ცალსახა მონოდება.

საარჩევნო პროცესი და პირველი შესწორება

საარჩევნო პროცესი – ისევე, როგორც სიტყვა, გამოხატვა, გაერთიანება და რელიგიის თავისუფლება – პირველი შესწორებით დაცული უფლებებია. უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადანყვეტილებაში აღნიშნა, რომ გამოხატვა, რო-

⁹¹ DENNIS v. UNITED STATES, 341 US 494 (1951); YATES v. UNITED STATES, 354 US 298, 1957.

მელიც თან სდევს საარჩევნო პროცესს, პირველი შესწორების ყველაზე მაღალი ხარისხის დაცვით სარგებლობს. შესაბამისად, პირველი შესწორება იცავს როგორც ინდივიდის უფლებას, გაერთიანდეს ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიაში, ასევე, პოლიტიკური პარტიის უფლებას, მოიზიდოს წევრები. როდესაც სახელმწიფო ან რომელიმე შტატი გადაწყვეტს, დაარეგულიროს საარჩევნო კამპანიის დროს რომელიმე კანდიდატის გამოხატვა, სასამართლოში საქმის განხილვისას გამოიყენება ე.წ. მკაცრი კონტროლის ტესტი. საქმეში ბრაუნი ჰარლეჯის წინააღმდეგ⁹² სასამართლომ დადგინა, რომ შტატს უფლება არ აქვს, ბათილად გამოაცხადოს არჩევნები შტატის ანტიკორუფციული კანონმდებლობის თანახმად, თუ კანდიდატი ამომრჩევლებს დაჰპირდა, რომ იგი ნაკლებ ხელფასზე იმუშავებდა, თუკი აირჩევდნენ. სასამართლომ ამ საქმეში განაცხადა, რომ კანდიდატ ბრაუნის დაპირება ამ შემთხვევაში პოლიტიკური გამოხატვა იყო და არა ხმების მოსყიდვა.

ამ კონტექსტში ისმის მნიშვნელოვანი კითხვა: რა ხდება მაშინ, როდესაც პოლიტიკური გამოხატვა ფულის მეშვეობით ხორციელდება? არის თუ არა ფული გამოხატვა? შეუძლია თუ არა სახელმწიფოს, მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც აკრძალავს საარჩევნო პროცესში დიდი ფულის შედინებას? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა მოუხდა უზენაეს სასამართლოს საქმეში ბაკლი ვალეიოს წინააღმდეგ⁹³, როდესაც დადგა საკითხი ფედერალური საარჩევნო კომუნიკაციების აქტის კონსტიტუციურობის შესახებ. ეს აქტი უოთერგეითის კრიზისის შემდეგ მიიღეს. აქტის თანახმად, შეზღუდვები იყო დაწესებული პოლიტიკურ შემოწირულობებზე და ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ დახარჯულ თანხებზე. სასამართლომ განასხვავა, ერთი მხრივ, ლიმიტი შემოწირულობებზე და, მეორე მხრივ, კანდიდატის სასარგებლოდ დახარჯულ თანხებზე დაწესებული შეზღუდვა. სასამართლომ ზოგადად დაადგინა, რომ შემოწირულობებზე ლიმიტი კონსტიტუციურია, ხოლო ხარჯებზე ლიმიტი – ანტიკონსტიტუციური. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ თუმცა ორივე შეზღუდვა მნიშვნელოვნად ამცირებს პირველი შესწორებით დაცულ უფლებებს, მაინც – ხარჯებზე შეზღუდვა უფრო მნიშვნელოვანი და მკაცრია, ვიდრე შემოწირულობებზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ შეზღუდვები საარჩევნო კამპანიისას განეულ ხარჯებზე მნიშვნელოვანწილად შეზღუდავდა პოლიტიკური გამოხატვის ხარისხს, ოდენობას და მრავალფეროვნებას; ხოლო შეზღუდვები შემოწირულობებზე ლიმიტს დაუწესებდა მხოლოდ ინდივიდის ჩართვას პოლიტიკური კომუნიკაციების პროცესში.

⁹² Brown v. Harlage, 456 US 45, 102 S, CT 1523, 71 L.Ed.3d 732 (1982), 194.

⁹³ იხ. კარი II, თავი I, გვ. 211.

ეს შეზღუდვა, მართალია, ხელს შეუშლიდა ინდივიდს, რომ თანხით გამოეხატა საკუთარი მხარდაჭერა ამა თუ იმ კანდიდატისადმი, თუმცა არ შეზღუდავდა იმ კუთხით, რომ თავისუფლად ესაუბრა და განეხილა კანდიდატის დადებითი და უარყოფითი თვისებები. შემონიშნულობა მოიცავდა მესამე პირის გამოხატვას და არა შემომნიშველის მიერ იდეის გამოხატვას.

საარჩევნო პროცესში დიდი ფულის შედინების საკითხი საკმაოდ პრობლემატური იყო „ბაკლი ვალიოს“ საქმის გადაწყვეტის შემდეგაც. ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს გადაწყვეტილება საქმეზე პირველი ნაციონალური ბანკი ბელოტის წინააღმდეგ⁹⁴. მასაჩუსეტის სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავდა კორპორაციების მიერ შემონიშნულობების და ხარჯების გაღებას რეფერენდუმის შედეგებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რეფერენდუმის თემა პირდაპირ ეხებოდა ბიზნესს, ქონებას ან კორპორაციების აქტივებს.

სასამართლომ არ უპასუხა კითხვას: ჰქონდათ თუ არა კორპორაციებს პირველი შესწორებით დაცული გამოხატვის თავისუფლება; თუმცა აღნიშნა, რომ მასაჩუსეტის კანონი კრძალავდა მნიშვნელოვან გამოხატვას. გამოხატვის მნიშვნელობა არ განისაზღვრება მისი წყაროს წარმომავლობით. რადგან მასაჩუსეტის კანონი მიმართული იყო კონკრეტული გამოხატვის აკრძალვისკენ, სასამართლომ ეს კანონი არაკონსტიტუციურად ცნო. ამარიგად, როგორც პროფესორი შიფრინი აღნიშნავს, ის დახურული კარი, რომელიც სასამართლომ „ბაკლის“ საქმეში შექმნა შემონიშნულობებისთვის, თავადვე ოდნავ შეაღო „ბელოტის“ საქმეში.

წინასწარი შეზღუდვები

წინასწარი შეზღუდვების დოქტრინას ფესვები ჯერ კიდევ მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეებში დევს. ინგლისში ვერც ერთი წიგნი და ბროშურა ვერ დაიბეჭდებოდა წინასწარი ლიცენზირების გარეშე. 1695 წელს ანგლო-ამერიკულ სისტემაში სიტყვის თავისუფლების დაცვა პრესის თავისუფლების დაცვით დაიწყო, რითაც აიკრძალა წინასწარი შეზღუდვების ანუ ადმინისტრაციული ლიცენზირების სისტემა. ბეჭდვით საშუალებებს მეფის ცენზორისთვის წინასწარ აღარ უნდა გაეგზავნათ პუბლიკაციები გამოქვეყნების ნებართვის მისაღებად. პირველი შესწორების მიღების შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილებებში მრავალჯერ გაჟღერდა ამ სისტემის ანტიკონსტიტუციურობის შესახებ.

⁹⁴ First National Bank of Boston v. Bellotti 435 US 765, 1978.

1907 წელს მოსამართლე ჰოლმსმა გადაწყვეტილებაში საქმეზე პატერსონი კოლორადოს წინააღმდეგ⁹⁵ აღნიშნა, რომ კონსტიტუცია კრძალავდა წინასწარი შეზღუდვის ნებისმიერ ფორმას, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოში არსებობდა, თუმცა არ იკრძალებოდა ისეთი პუბლიკაციისთვის პასუხისმგებლობა, რომელიც საჯარო კეთილდღეობასა და ინტერესს ეწინააღმდეგებოდა. 1938 წელს იმავე მოსამართლე ჰოლმსმა საქმეში ლოუელი გრიფინის წინააღმდეგ⁹⁶ ანტიკონსტიტუციურად ცნო ჯორჯიის შტატის კანონი, რომელიც მუნიციპალიტეტთან შეთანხმების გარეშე ნებისმიერი პუბლიკაციის უსასყიდლოდ თუ გასაყიდად საჯაროდ გამოტანას კრძალავდა. მოსამართლე ჰოლმსმა აღნიშნა, რომ ასეთი კანონის არსებობა იგივე იყო, რაც ძველად ადმინისტრაციული ცენზორების ინსტიტუტი.

მოგვიანებით ასეთი აბსოლუტური მიდგომა შეიცვალა და უზენაესმა სასამართლომ აღიარა, რომ გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია წინასწარი შეზღუდვების დანერგვა. თუმცა პირველი შესწორების მინიმალისტური ინტერპრეტაცია კი იმას გულისხმობს, რომ არსებობს საკმაოდ მკაცრი პრეზუმფცია წინასწარი შეზღუდვების წინააღმდეგ.

წინასწარი შეზღუდვების დოქტრინა ამერიკულ სამართალში ჩამოყალიბდა საქმეში ნეარი მინესოტის წინააღმდეგ. ამ საქმით დადგინდა, რომ არსებობს წინასწარი შეზღუდვების ანტიკონსტიტუციურობის მკაცრი პრეზუმფცია. ამ საქმეში განასხვავეს, ერთი მხრივ, წინასწარი შეზღუდვებისა და, მეორე მხრივ, შემდგომი სანქციების სისტემა. წინასწარი შეზღუდვა ხელს უშლის ამა თუ იმ იდეის შესვლას იდეათა ბაზარზე, ხოლო შემდგომი სასჯელი/სანქცია გულისხმობს იდეის გამავრცელებლის პასუხისმგებლობას. ბევრი ადამიანისთვის წინასწარი შეზღუდვა უფრო სერიოზული საფრთხეა, ვიდრე შემდგომი სანქციები.

რა არის წინასწარი შეზღუდვების გამოყენების იურიდიული საფუძველი? თანამედროვე დოქტრინის თანახმად, „წინასწარი შეზღუდვების ნებისმიერი სისტემა უზენაესი სასამართლოს წინაშე მისი ანტიკონსტიტუციურობის მკაცრი პრეზუმფციით განიხილება“. შესაბამისად, „სახელმწიფოს აკისრია მტკიცების მძიმე ტვირთი ამ შეზღუდვის გასამართლებლად.“ მოსამართლე ჰიუსმა საქმეში ნიარი მინესოტის წინააღმდეგ ზოგადად განმარტა, რომ არსებობს წინასწარი შეზღუდვებისგან ზოგადი თავისუფლება, თუმცა ეს თავისუფლება აბსოლუტური არ არის. არსებობს სამი შემთხვევა, როდესაც შეიძლება წინასწარი შეზღუდვების გამოყენება:

1. თუ საფრთხე ექმნება ეროვნულ უსაფრთხოებას ომის დროს;

⁹⁵ Patterson v. Colorado 205 US 454, 1907.

⁹⁶ Lowell v. Griffin 303 U.S. 444, 1938.

2. თუ საფრთხე ექმნება ზოგადად მიღებულ „ნესიერების სტანდარტს“ და სახეზეა უხამსობის გამოხატვა;
3. თუ საფრთხე ექმნება საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ძალადობის და კანონიერი ხელისუფლების დამხობის მოწოდებით.

წინასწარი შეზღუდვების დოქტრინის ჩამოყალიბება ამით არ დასრულებულა. საქმეში „ნიუ-იორკ ტაიმსი“ შეერთებული შტატების წინააღმდეგ⁹⁷ სასამართლო კვლავ შეუდგა მსჯელობას წინასწარი შეზღუდვების კონსტიტუციურობაზე. ამ საქმეში ნიუ იორკ ტაიმსს და ვოშინგტონ პოსტს ე.წ. პენტაგონის დოკუმენტების გამოქვეყნება აუკრძალეს სასამართლოს შემზღუდველი ბრძანებით. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მკაფიოდ არ განუმარტავს ინფორმაციის თავისუფლებისა და ეროვნული უსაფრთხოების ურთიერთმიმართების საკითხი, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნებისმიერი წინასწარი შეზღუდვის შემთხვევაში სახელმწიფოს აკისრია მტკიცების მძიმე ტვირთი – ამ შეზღუდვის კონსტიტუციურობის დასამტკიცებლად.

წინასწარი შეზღუდვები შეერთებულ შტატებში მოსამართლის მიერ მიღებული შემზღუდველი ბრძანებით ხორციელდება. შესაბამისად, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში პასუხი უნდა გაცეცეს კითხვას: გვაქვს თუ არა საქმე წინასწარ შეზღუდვასთან. საქმეებში „ნიუ-იორკ ტაიმსი“ შეერთებული შტატების წინააღმდეგ, ნიარი მინესოტის წინააღმდეგ და ნებრასკის პრესის ასოციაცია სტიუარტის წინააღმდეგ არავის მოუთხოვია პუბლიკაციების ცენზორისთვის გადაცემა წინასწარი ნებართვის მისაღებად. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ დღეისათვის შეერთებულ შტატებში შემზღუდველი ბრძანების გამოცემა მხოლოდ მოსამართლეებს შეუძლიათ, ეს მაინც წინასწარი შეზღუდვის ერთ-ერთი ფორმაა.

ამასთან, ისმის კითხვა: აქვს თუ არა პირს უფლება, არ დაემორჩილოს შეზღუდვას, რომელიც ცალსახად არაკონსტიტუციურია, თუმცა ამაზე შემდგომი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია? ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ახალი ამბების „მალეფუჭებადი“ თვისებიდან გამომდინარე, პირს შეუძლია, არ დაემორჩილოს შემზღუდველ ბრძანებას და გამოაქვეყნოს ინფორმაცია, სანამ მის კონსტიტუციურობაზე შემდგომი ინსტანციის სასამართლო იმსჯელებს. შეერთებულ შტატებში ამის თავიდან ასაცილებლად არსებობს ე.წ. პარალელური აკრძალვის წესი (*collateral bar rule*), რომლის თანახმადაც, „ყველა ვალდებულია, დამორჩილოს შემზღუდველ ბრძანებას, სანამ ის არ შეიცვლება ან არ გაუქმდება“. შესაბამისად, პირი ვალდებულია, დაემორჩილოს შემზღუდველ ბრძანებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ცალსახად არაკონსტიტუციურად მიიჩნევს. ამ წესის თანახმად, „ნიარი მინესოტის“ საქმეზე *Saturday Press*-ს ეკრძალებოდა პუბლიკა-

⁹⁷ იხ. კარი II, თავი I, გვ. 186.

ციის გამოქვეყნება ოთხი წლის განმავლობაში, სანამ სასამართლო მის კონსტიტუციურობას განიხილავდა. ასევე, „სკოკიეს“ საქმეში ნაცისტებს ცხრა თვის განმავლობაში მოუხდათ ლოდინი დემონსტრაციის ჩასატარებლად, რადგან იმ პერიოდში სასამართლო იხილავდა „სკოკიეს“ გადაწყვეტილებას, რომელიც ნაცისტებს დემონსტრაციას უკრძალავდა.

სიძულვილის გამოხატვა

1966 წელს გაერთიანებული ერების კონფერენციაზე, სადაც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტს იღებდნენ და შემდგომაც – სამთავრობო მოლაპარაკებებზე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მიღების დროს – შეერთებული შტატების დელეგატები აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ ამ ორ დოკუმენტში გამოხატვის იმ ფორმის აკრძალვას, რასაც „სიძულვილის გამოხატვა“ ჰქვია. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-20 მუხლის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში აკრძალონ „ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისკენ მიმართული ყოველგვარი გამოსვლა, რომლის მიზანია დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზება.“ შეერთებულმა შტატებმა, მოლაპარაკების სტადიაზე ეწინააღმდეგობის განცემის შემდეგ, ამ დოკუმენტების რატიფიცირება მოახდინა, თუმცა დათქმა გააკეთა იმ მუხლებზე, რომლებიც შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველ შესწორებას ეწინააღმდეგებოდა.

შეერთებულ შტატებში სიძულვილის გამოხატვა, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე უკეთ არის დაცული. თუმცა ისეთ მრავალფეროვან და მრავალრასობრივ საზოგადოებაში, როგორც შეერთებულ შტატებში არსებობს, დიდი დებატები გამოიწვია ამ თემამ – აკადემიურ წრეებშიც და სასამართლო სტადიაზეც. პროფესორი მარი მაცუნდა მიიჩნევს, რომ სიძულვილის გამოხატვა რეგულირებას უნდა დაექვემდებაროს⁹⁸. იგი აცხადებს, რომ რასისტული გამოხატვა ვინროდ უნდა განისაზღვროს. მაცუნდამ შექმნა სამწვეროვანი ტესტი, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს, რათა გამოხატვა რასისტულად ანუ სიძულვილის გამოხატვად ჩაითვალოს:

1. თუ მესიჯი მიუთითებს რასობრივ სიმდაბლეზე;

⁹⁸ Mari J. Matsunda, Public Response to Racist Speech: Considering Victim's Story, 87 Mich. L. Rev. 2320. 2321 (1989)

2. თუ მესიჯი მიმართულია ისტორიულად დაჩაგრული ჯგუფის წინააღმდეგ;
3. თუ მესიჯი დამამცირებელია და გამოხატავს სიძულვილს ან დევნიკენ მოწოდებას.

ჩარლზ ლორენსი, რომელიც ასევე ემხრობა ამგვარი გამოხატვის რეგულირებას, მიიჩნევს, რომ რასისტული ანუ სიძულვილის გამოხატვა არ ცდილობს, გამოიწვიოს დიალოგი; შესაბამისად, არ არსებობს პირველი შესწორების ინტერესი ასეთი გამოხატვის მიმართ.

სიძულვილის გამოხატვის რეგულირების ოპონენტები აცნობიერებენ იმ ზიანს, რაც შეიძლება რასისტულმა გამოხატვამ მოიტანოს უმცირესობათა ჯგუფებისთვის. თუმცა, როგორც სიძულვილის/რასობრივი გამოხატვის აკრძალვის ერთ-ერთი ოპონენტი – ამერიკის სამოქალაქო უფლებათა დაცვის კავშირის ლიდერი ნადინ სტროსენი – აცხადებს, რასისტული გამოხატვის არაკრძალვა ემყარება არა იმ საფუძველს, რომ, თითქოს, გამოხატვას ზიანი არ მოჰქონდეს, არამედ გამოხატვის ამ კატეგორიის არაკრძალვით ჩვენ ვაღიარებთ გამოხატვის და სიტყვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენს დემოკრატიაში.

მიუხედავად ამ დებატებისა, სიძულვილის გამოხატვის კონცეფციის გაგებისთვის აუცილებელია შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების განხილვა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ორი გადაწყვეტილება: *R.A.V. ქალაქ სეინტ პოლის წინააღმდეგ*⁹⁹ და *ვისკონსინი მიტჩელის წინააღმდეგ*¹⁰⁰.

1992 წელს შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა მისი ერთ-ერთი ყველზე პირდაპირი და მკაფიო გადაწყვეტილება საქმეზე *R.A.V. ქალაქ სეინტ პოლის წინააღმდეგ*. 1990 წლის 21 ივნისს რამდენიმე ახალგაზრდამ გატეხილი სკამიდან გააკეთა ჯვარი, რომელიც მათ შავკანიანი მეზობელი ოჯახის სახლის ეზოში დანვეს. მინესოტის კანონის თანახმად, „პირი, რომელიც საჯარო ადგილზე ან კერძო საკუთრებაში განათავსებს ცეცხლწაკიდებული ჯვრის ან სვასტიკის სიმბოლოს, ობიექტს, დასახელებას, აღწერილობას ან წარწერას და თუ პირი აცნობიერებს ან აქვს გონივრული საფუძველი ვააცნობიეროს, რომ ეს ქმედება იწვევს სხვა პირების გაბრაზებას, შეურაცხყოფას ან შიშს მათი რასის, კანის ფერის, წარმოშობის, რელიგიის, მსოფლხედვის ან სქესის გამო, ჩადის დანაშაულს.“

შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული კანონი თავისუფალ სიტყვაზე უსამართლო შეზღუდვას ადგენდა და მისი გამო-

⁹⁹ იხ. კარი II, თავი I, გვ. 243.

¹⁰⁰ *Wisconsin v. Mitchell*. No. 92-515. SUPREME COURT OF THE UNITED STATES. 508 US 476. Argued April 21, 1993. Decided June 11, 1993

ყენება მოსარჩლეების წინააღმდეგ დაუშვებელი იყო. მოსამართლე სკალიამ, რომელმაც უმრავლესობის აზრი წარმოადგინა, განაცხადა, რომ ქალაქ სეინტ პოლის კანონი გამოხატავს შინაარსობრივად არეგულირებდა. ამასთან, სკალიამ აღნიშნა, რომ ეს შინაარსობრივი რეგულირება შეიქმნა შუღლის გამლვივებელი ინდივიდუალური გამოხატვის კატეგორიის შიგნით, რომელიც საკმაოდ ვიწრო გავრცელების იყო, – რადგან სეინტ პოლის კანონი არ კრძალავდა ინდივიდუალური შუღლის გავლევებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც ამა თუ იმ პოლიტიკურ ან სექსუალურ ჯგუფს ეკუთვნოდნენ. სკალიამ აღიარა, რომ ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფოებრივი ინტერესია, თუმცა მან მიიჩნია, რომ ამ ინტერესის დაცვა შესაძლებელია გამოხატვის თავისუფლების შეუზღუდავად; შესაბამისად, მოსამართლე სკალიამ ეს კანონი შეაფასა, როგორც ანტიკონსტიტუციური.

მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილის გამოხატვა პირველი შესწორების დაცვის ქვეშ ექცევა, უზენაესმა სასამართლომ ცალსახად განაცხადა, რომ დანაშაულებები, რომელთა მოტივიც არის საზოგადოებრივი თუ სხვა ნიშნის გამო სიძულვილი, კანონით დასჯადი უნდა იყოს. მეტიც, უზენაესი სასამართლო ამ სახის დანაშაულებებისთვის სასჯელის დამძიმებასაც დაეთანხმა და დაადგინა, რომ ეს არ ეწინააღმდეგება პირველ შესწორებას.

1993 წელს საქმეში *ვისკონსინი მიტჩელის წინააღმდეგ უზენაესმა სასამართლომ* ძალაში დატოვა ვისკონსინის შტატის კანონი, რომლითაც რასობრივი მოტივით ჩადენილი დანაშაულებებისთვის სასჯელი მძიმდება. ამ საქმეში შავკანიან მამაკაცთა ჯგუფი აღაშფოთა თეთრკანიანთა ძალადობის შესახებ ნანახმა ფილმმა. ამის შემდეგ, მათ სასტიკად ცემეს ქუჩაში შემთხვევითი გამვლელი თეთრკანიანი მამაკაცი. მიჩელი დაობდა, რომ სასჯელის დამძიმება 7 წლამდე (ჩვეულებრივი დანაშაულისთვის მას მხოლოდ 2 წელს მიუსჯიდნენ) პირველ შესწორებას ეწინააღმდეგებოდა, რადგან ვისკონსინის კანონი სასჯელს ამძიმებდა მოსაზრებების და მრწამსის გამო. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დანაშაულის ჩადენის მოტივი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სასჯელის დამძიმებისათვის. თუმცა ამ არგუმენტის გამო, უზენაეს სასამართლოს მოუხდა ხსენებული გადაწყვეტილების და *R.A.V. ქალაქ სეინტ პოლის წინააღმდეგ* გადაწყვეტილების ერთმანეთისგან განსხვავება. სასამართლომ აღნიშნა: „*საქმეში R.A.V. ქალაქ სეინტ პოლის წინააღმდეგ სადავო კანონი ცალსახად მიმართული იყო გამოხატვაზე, ხოლო ამ საქმეში (ვისკონსინი მიტჩელის წინააღმდეგ) სადავო კანონი მიმართულია იმ ქმედების დასჯაზე, რომელიც არ არის დაცული პირველი შესწორებით*“.

მაუწყებლობის რეგულირება შეერთებულ შტატებში

ანალიზის ამ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ ტელე-რადიო მაუწყებლობის რეგულირების პრინციპებს შეერთებულ შტატებში. მიუხედავად იმისა, რომ პრესაც და ელექტრონული მედიაც პირველი შესწორების დაცვით სარგებლობს, ელექტრონულ მედიას მაინც რეგულირების განსხვავებული პრინციპები აქვს. ეს იმით არის განპირობებული, რომ ელექტრონული მედია იყენებს სპეციფიკურ ტექნიკურ საშუალებას – ელექტრომაგნიტურ სპექტრს.

ელექტრომაგნიტური სპექტრი უნიკალური ბუნებრივი რესურსია. ეს არის საჯარო რესურსი, რომელსაც აბინძურებს გადატვირთვა, მაგრამ რეგულირებული გამოყენება ამ დაბინძურებას მთლიანად აღმოფხვრის. წინა საუკუნის დასაწყისში შეერთებულ შტატებში რადიოთი მაუწყებლობისთვის არ იყო საჭირო ლიცენზიის მიღება; ამიტომ, მაუწყებლებს საშუალება ჰქონდათ, გადართულიყვნენ მათთვის სასურველ სხვადასხვა დროსა და სიხშირეზე. შესაბამისად, სპექტრში ქაოსი იყო და მაუწყებლები ერთმანეთის ხმებს ახშობდნენ. მათ შეერთებული შტატების კონგრესს მიმართეს, რის შედეგადაც კონგრესმა მიიღო 1927 წლის რადიოს აქტი. ამ აქტით შეიქმნა სიხშირეების დანაწილების და ლიცენზირების სისტემა. ამის შემდეგ არავის შეეძლო მაუწყებლობა ლიცენზიის გარეშე. ლიცენზია მოკლე პერიოდით გაიცემოდა და ვადის გაგრძელება ხდებოდა საჯარო ინტერესის, მოხერხებულობის და საჭიროების პრინციპების გათვალისწინებით, მაგრამ არა – სახელმწიფოს ინტერესით. ის მაუწყებლები, რომლებიც ერთი პოლიტიკური პარტიის რეკლამას გადაცემდნენ, ვალდებული იყვნენ, იმავე ფასად მიეყიდათ საეთერო დრო სხვა პოლიტიკური პარტიისთვის. აქტის თანახმად, იკრძალებოდა პროგრამების ცენზურა, თუმცა, ამავდროულად, იკრძალებოდა უხამსობა. აქტის განხორციელება ევალეზობდა სპეციალურად შექმნილ ორგანოს – რადიოს ფედერალურ კომისიას.

1927 წლის აქტი 1934 წელს შეცვალა კომუნიკაციების აქტმა, რომელიც რადიოსთან ერთად მოიცავდა ტელეგრაფს, ტელევიზიას და სატელეფონო მომსახურებას. ამ აქტით გაერთიანდა რეგულირების და ლიცენზირების სისტემა მაუწყებლებისთვის და სატელეფონო ოპერატორებისთვის. ამ სისტემას კომუნიკაციების ფედერალური კომისია აკონტროლებდა.

როგორც ჩანს, განსხვავებული რეგულირების ძირითადი საფუძველი იყო შეზღუდული რესურსების კონცეფცია, რომელიც წარმოიშვა საქმეში *NBC-ი შეერთებული შტატების წინააღმდეგ*¹⁰¹. ეს კონცეფცია საკმაოდ კრიტიკის საგანი გახდა შემდგომ წლებში, განსაკუთრებით კი – ტექნოლოგიის განვითარების ფონზე. თუ 1940 წლისთვის შეერთებულ შტატებში 765 რადიო და რამდენიმე სატელევიზიო მაუწყებელი იყო, ეს რიცხვი შემდგომ წლებში საკმაოდ გაიზარდა. რიცხვის ზრდა განაპირობა საკაბელო ტელევიზიისა და *DBS* ტექნოლოგიის განვითარებამ.

მოგვიანებით, განსხვავებული რეგულირების საკითხთან დაკავშირებით, შეიქმნა მსმენელების და მაყურებლების უფლებების თეორია. ეს თეორია ძირითადად წარმოშვა საქმეში *Red Lion Broadcasting Co. კომუნიკაციების ფედერალური კომისიის წინააღმდეგ*¹⁰². ამ საქმით უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა კომუნიკაციების ფედერალური კომისიის მიერ განვითარებულ დოქტრინას და დაავალდებულა მაუწყებლები, უზრუნველყოთ პასუხის უფლება.

ამის შემდეგ სასამართლო პრაქტიკაში განვითარდა ე.წ. გავლენის თეორიები. საქმეში *კომუნიკაციების ფედერალური კომისია Pacifica Foundation წინააღმდეგ*¹⁰³ რადიოთი გადაიკა პროგრამა „ბინძური სიტყვების“ მონოლოგი. რამდენიმე კვირის შემდეგ კომისიაში შევიდა საჩივრის წერილი მამაკაცისაგან, რომელიც ამტკიცებდა, რომ მანქანით მგზავრობისას ეს მონოლოგი მცირეწლოვან შვილთან ერთად მოისმინა. უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც მხარი დაუჭირა „*Pacifica Foundation*“-ის სანქციას, ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მაუწყებლობა, კომუნიკაციის სხვა საშუალებებთან ერთად, პირველი შესწორების ყველაზე ლიმიტირებული დაცვით სარგებლობს. ეს განცხადება სასამართლომ რამდენიმე მიზეზით ახსნა. პირველი: სამაუწყებლო გადაცემები ერთგვარი სტუმარია თითოეული ამერიკელის ოჯახში; ის პირის ცხოვრებაში „იჭრება“ და მისთვის თავის არიდება საკმაოდ ძნელია; მეორე: ასეთ გადაცემებს ის ბავშვებიც უყურებენ, რომლებმაც კითხვაც კი არ იციან. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ განსხვავებული რეგულირების ერთ-ერთი საფუძველია სამაუწყებლო გადაცემების განსაკუთრებული ზეგავლენა მაყურებელზე.

¹⁰¹ *NBC v. United States*, 319 US 190, 227 (1943).

¹⁰² იხ. კარი II, თავი I, გვ. 183.

¹⁰³ იხ. კარი II, თავი I, გვ. 219.

1970-იან წლებში დაიწყო რეგულირების კლების ტენდენციები. 1970 წელს კომუნიკაციების ფედერალურ კომისიას სთხოვეს, ჩარეულიყო და დაერეგულირებინა რადიოს მიერ გადაცემის ფორმატის შეცვლა. თუმცა კომისიამ ამ წინადადებაზე უარი განაცხადა და განმარტა, რომ მაუნყებელი უფლებამოსილია, შეცვალოს ფორმატი ბაზარზე მოთხოვნის გამო და არა სახელმწიფოს რეგულირების ნიშნით. ამ საქმემ უზენაეს სასამართლომდე მიაღწია, სადაც სასამართლო კომისიის გადაწყვეტილებას დაეთანხმა.¹⁰⁴

¹⁰⁴ FCC v. WNCN Listeners Guild 450 U.S. 58, 101 S.Ct. 1266, 67, L.ED.2D, 521, 1981).

თავი II

გამონათვის თავისუფლება ევროპაში

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში აღწერილია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი: შემთხვევები, როდესაც სასამართლომ გამოიყენა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის (შემდგომში – „კონვენციის“) მე-10 მუხლი (გამონათვის თავისუფლება) მასმედიის სფეროში საკითხთა იმ ფართო წრის მიმართ, რომლებიც წარმოიქმნა ზემოხსენებულ კონვენციასთან მიერთებულ სახელმწიფოებში. ჩვენ მიზნად ვისახავთ არა სასამართლო პრაქტიკის ყოვლისმომცველი გამოკვლევის ჩატარებას მე-10 მუხლის სხვადასხვა ასპექტის შესახებ, ან იურიდიული პრაქტიკის პროცედურული (პროცესუალური) ასპექტების აღწერას, არამედ, შევეცდებით, გადმოვცეთ სასამართლოს მიდგომა იმ პრაქტიკული საკითხების მიმართ, რომლებიც წარმოიქმნა მასმედიის შესახებ კანონმდებლობისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ქმედებათა დაპირისპირებისას.

ნაშრომში გადმოცემულია ევროკონვენციის მე-10 მუხლის ტექსტუალური მდგომარეობა და მისი გამოყენების მეთოდოლოგია ევროსასამართლოს მიერ, რაც საფუძვლად უდევს მე-10 მუხლს და აყალიბებს სასამართლოს გადწყვეტილებებს; ასევე გაანალიზებულია ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი შინაარსის რეგულირების საკითხის შესახებ; სხვა პირთა უფლებების და რეპუტაციის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. ნაშრომში განხილულია აგრეთვე საკითხები, რომლებიც შეეხება სახელმწიფო სიმბოლოების შეურაცხყოფას; ინფორმაციის ხელმისაწვდომობას; ელექტრონული მედიის ლიცენზირებას; ეროვნულ უსაფრთხოებას; უხამსობისა და მკრეხელობის რეგულირებას; მართლმსაჯულებისა და მედიის ურთიერთობას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, კომერციულ გამოხატვას.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს იურისპრუდენცია გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით

მე-10 მუხლი

„1. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი; მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ შეუშლის ხელს სახელმწიფოებს, მოითხოვონ რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის ან კინოწარმოების ლიცენზირება.

2. ამ უფლებათა განხორციელება მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას; ამიტომაც შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სასჯელს, რომლებსაც ითვალისწინებს კანონი და რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, უწესრიგობისა და დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა და მორალის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შესანარჩუნებლად.“

მე-10(1) მუხლის პირველ ორ წინადადებაში ჩამოყალიბებულია აზრის გამოხატვის უფლების დაცვის ძირითადი გარანტიები და მექანიზმები. მაგრამ როგორც მე-10(2) მუხლი გვიჩვენებს, ეს უფლება არ არის აბსოლუტური. კონვენცია გამოდის იმ წინაპირობიდან, რომ მე-10(1) მუხლით გათვალისწინებული უფლებების განხორციელება, შესაძლოა, წინააღმდეგობაში მოვიდეს სხვა კოლექტიურ ან ინდივიდუალურ ინტერესებთან, რომლებიც როგორც ფუნდამენტური უფლებები გარანტირებულია კონვენციით ან წევრი სახელმწიფოების მიერ აღიარებული ლეგიტიმური უფლებებით.¹⁰⁵ ასე, მაგალითად, მე-10(1) მუხლით გარანტირებული უფლება შესაძლოა, გახდეს სახელმწიფოს მხრიდან „ჩარევის“ საფუძველი, თუ სახეზეა მე-10 (2) მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების

დარღვევა. გარდა ამისა, თუმცაღა, მე-10(1) მუხლის მესამე წინადადება არაერთაზროვანია, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ სამაუწყებლო საქმიანობის ლიცენზირება, ასევე, უნდა აკმაყოფილებდეს მე-10(2) მუხლის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნებს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ლიცენზირება აუცილებლად მე-10(2) მუხლში ჩამოთვლილ პირობებს უნდა პასუხობდეს.¹⁰⁶

მე-10 მუხლის სტრუქტურა გულისხმობს სამსაფეხუროვან ანალიზს ამ მუხლით გარანტირებული უფლებების დასაცავად გადაწყვეტილებების გამოტანისას: პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, რამდენად შეესაბამება მომჩივანის პრეტენზიები მე-10(1) მუხლით გათვალისწინებულ „გამოხატვას“? დადებითი პასუხის შემთხვევაში, უნდა გაირკვეს წარმოადგენდა თუ არა სახელმწიფოს ქმედება მე-10(1) მუხლით დაცულ უფლებებში „ჩარევას“? თუ პასუხი კვლავ დადებითია, ანალიზის მესამე ეტაპზე ჩარევა მიიჩნევა კონვენციის „დარღვევად“,¹⁰⁷ თუკი იგი შეუსაბამო აღმოჩნდება მე-10 (2) მუხლის პირობებთან. ეს ნიშნავს, რომ ჩარევა: (1) გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით; (2) უნდა იცავდეს მე-10 (2) მუხლში ჩამოთვლილ რომელიმე „კანონიერ“ მიზანს¹⁰⁸ და (3) უნდა წარმოადგენდეს აუცილებლობას დემოკრატიული საზოგადოებისთვის.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო და მე-10 მუხლი: უქმედებლური პრინციპები და მეთოდოლოგია

შეუძლებელია მე-10 მუხლის მხოლოდ ტექსტუალური განხილვა, მის მიღმა არსებული მრავალი კონსტრუქციის, ინტერპრეტაციისა და საჩივრის გარეშე. ეს ამოცანები კი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს და მისი წინამორ-

¹⁰⁶ D. J. Harris, M. O'Boyle and C. Warbrick „Law the European Convention on Human Rights“, 1995. P. van Dijk and G. J.H. van Hoof „Theory and Practice of the European Convention of Human Rights“ (3rd-ed 1998); Dirk Voorhoof „Guaranteeing the Freedom and Independence of the Media“, „Media and Democracy“, 1998. Francis G. Jacobs da Robin C. A. White „The European Convention on Human Rights (2-nd-ed. 1996); „The European system for the Protection of Human Rights“ (R. St. J. Macdonald, F. Matscher, and H. Petzold, editors), 1993.

¹⁰⁶ იხ. „Informationsverein Lentia“ და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ, კარი II, თავი II, გვ. 297.

¹⁰⁷ იმის გამო, რომ ევროკონვენცია თანმიმდევრულად იყენებს ტერმინებს „ჩარევა“ და „დარღვევა“, ჩვენც ასევე გამოვიყენებთ ამ ტერმინებს სასამართლოს მიერ მე-10 მუხლის განხილვის დროს.

¹⁰⁸ მე-10(2) მუხლში ჩამოთვლილი მართლზომიერი მიზნები ამომწურავია, მაგრამ ევროსასამართლომ ფართოდ განმარტა ზოგიერთი მათგანი.

ბედის – ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიის (შემდგომში – კომისია) კომპეტენციას განეკუთვნება.

კონვენციის მართლმსაჯულების განხორციელების სისტემაში ფუნქციონირების შეწყვეტამდე – 1999 წლის 31 ოქტომბრამდე¹⁰⁹ – კომისიამ ასობით ანგარიში შეადგინა და ათასობით გადაწყვეტილება გამოიტანა საჩივრების დასაშვებობასთან დაკავშირებით. ეს დოკუმენტები ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ასეულობით განაჩენთან ერთად შეადგენენ ადამიანის უფლებათა შესახებ ვრცელ კრებულს.

რეფორმების შედეგად, რაც მიზნად ისახავდა კონვენციის აღსრულების სისტემის გარდაქმნასა და გამარტივებას, ევროსასამართლო მუდმივად მოქმედი ორგანო გახდა. ამასთან ერთად, მართლმსაჯულების აღსრულების სისტემის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს კერძო პირის უფლება, უჩივლოს წევრ სახელმწიფოს კონვენციის დამრღვევის გამო. სწორედ ამ საჩივრების შესახებ გადაწყვეტილებების გამოტანის პროცესში გამოიმუშავა სასამართლომ მე-10 მუხლთან დაკავშირებული საკვანძო კომპონენტები. ეს კომპონენტები, თავის მხრივ, აისახა ფუნდამენტურ პრინციპებსა და სასამართლოს მეთოდოლოგიაში. ევროსასამართლოს პრაქტიკა მედია სამართლის სპეციფიკური საკითხების შესახებ სწორედ ამ ძირითად სტანდარტებს ეფუძნება.

ფუძემდებლური პრინციპები

მე-10 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით კონკრეტული საქმეების განხილვების შედეგად, ევროსასამართლომ შეიმუშავა და განავითარა გარკვეული პრინციპები, რითაც ის თანმიმდევრულად ხელმძღვანელობს გადაწყვეტილებების მიღების დროს. თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ შესაძლებელია კონკრეტული საქმის საბოლოო გადაწყვეტილების ზუსტი განჭვრეტა. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ევროსასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ინტერესთა დაბალანსებასა და ფაქტების ანალიზს, ყალიბდება პარამეტრთა სისტემა, რომლის ჩარჩოშიც შესაძლებელია სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება.

¹⁰⁹ ადამიანის უფლებათა ევროპის ახალმა სასამართლომ საქმიანობა დაიწყო 1998 წლის 1 ნოემბერს, XI ოქმის ძალაში შესვლისთანავე. 1998 წლის 31 ოქტომბერს ყოფილმა სასამართლომ, რომელიც არამუდმივად ფუნქციონირებდა, შეწყვიტა საქმიანობა, მაგრამ ოქმში გათვალისწინებული იყო, რომ კომისია კიდევ ერთი წელი (1999 წლის 31 ოქტომბრამდე) განიხილავდა საჩივრებს, რომლებიც მისაღებად ჩათვალეს ოქმის ძალაში შესვლის დროისათვის.

**აზრის გამოხატვის თავისუფლება და მედია:
დემოკრატიული საზოგადოების საფუძველი**

1976 წელს ევროკომისიამ თავის დეკლარაციაში პირველად აღიარა გამოხატვის თავისუფლების ბაზისური მნიშვნელობა ფუნდამენტური თავისუფლებებისა და დემოკრატიული საზოგადოებისათვის. სასამართლომ მკაფიოდ ჩამოაყალიბა აღნიშნული პრინციპი საქმეში ნილსენი და იონსენი ნორვეგიის წინააღმდეგ.

„აზრის გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური საფუძველი და პროგრესისა და ინდივიდუალური თვითრეალიზაციის მთავარი პირობაა. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების მიხედვით, სიტყვის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ სასურველ, უწყინარ ან ნეიტრალურ „ინფორმაციებს“ და „იდებებს“, არამედ ისეთებსაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი ან შემამფოთებელია. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და გონიერების მოთხოვნები, ურომლისოდაც „დემოკრატიული საზოგადოება“ ვერ იარსებებს!¹¹⁰

ამ ფორმულირებაში იკვეთება ორი ფუნდამენტური თეორია, რაც ასახავს სასამართლოს ხედვას აზრის გამოხატვის თავისუფლების გარანტიებთან მიმართებაში. ეს არის: ამ უფლების მნიშვნელობა დემოკრატიული მმართველობისთვის და მისი აუცილებლობა პიროვნების ინდივიდუალური შესაძლებლობების რეალიზაციისათვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლოს მიერ იმ „საკვანძო ფუნქციის“ აღიარებას, რომელსაც დემოკრატიულ საზოგადოებაში მასმედია – როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული¹¹¹ – ასრულებს:

„განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ერთ-ერთი ფაქტორი არის ის არსებითი როლი, რომელსაც პრესა დემოკრატიულ საზოგადოებაში ასრულებს. თუმცა პრესამაც არ უნდა გადააბიჯოს გარკვეულ ზღვარს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე სხვათა უფლებებსა და რეპუტაციას ეხება; ასევე, აუცილებელია, არ დაუშვას კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება; მით უფრო, რომ პრესის ფუნქციაა, გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებზე – ნებისმიერი ხერხით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, სასამართლო აცხადებს, რომ ყურნალისტური თავისუფლება გულისხმობს გარკვეული დოზით გადაჭარბებას და პროვოკაციასაც კი (...).“¹¹²

¹¹⁰ 1999 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება.

¹¹¹ ბეჭდვითი მედიის მიმართ თავდაპირველად ფორმულირებული პრინციპები მიესადაგა ასევე ელექტრონულ მედიას. იხ. ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ, კარი II, თავი II, გვ. 304.

¹¹² ზლადეტ ტრომსო და სტენსაასი ნორვეგიის წინააღმდეგ, კარი II, თავი II, გვ. 322.

სასამართლოს აზრით, მედია ორგანიზაციებსა და მათ წარმომადგენლებს არა მარტო უფლება აქვთ, გაავრცელონ ინფორმაცია და იდეები, არამედ ისინი ვალდებულიც არიან, მოახდინონ საზოგადოების ინფორმირება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე. ამ თვალსაზრისით სასამართლომ ყურადღება მი-აპყრო მასმედიის, როგორც „საზოგადოებრივი დარაჯის“ სასიცოცხლოდ მნიშ-ვნელოვან როლზე. ევროსასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრესის თავი-სუფლება საზოგადოებას აძლევს საუკეთესო შესაძლებლობას, მიიღოს ინფორ-მაცია და ჩამოაყალიბოს აზრი პოლიტიკური ლიდერების იდეებისა და პოზი-ციების შესახებ.¹¹³

გამოხატვა და სახელმწიფოს ჩარევა

ნებისმიერ საქმეში, რომელიც მე-10 მუხლით აღძრულ საჩივარს ეხება, გა-დამწყვეტია იმის გარკვევა, ხელყო თუ არა სახელმწიფოს ქმედებამ, მე-10(1) მუხ-ლით დაცული უფლებები. თუ პასუხი უარყოფითია, მოცემულ შემთხვევაზე არ გავრცელდება მე-10(2) მუხლის მოთხოვნები და მოხდება საჩივრის უარყოფა. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს: (1) რა ითვლება „აზრის გამოხატვად“ მე-10(1) მუხლით გათვალისწინებული მიზ-ნებისთვის; (2) სახელმწიფოს რა ქმედებები მიიჩნევა „ჩარევად“ აზრის გამო-ხატვის თავისუფლებაში. ევროსასამართლომ ორივე საკითხი არაერთგზის განი-ხილა დეტალურად.

გამოხატვა. ევროსასამართლო უკიდურესად იშვიათად უთითებდა გამოხატ-ვის რომელიმე კატეგორიაზე ან მისი წარმოებისა და გავრცელების საშუალებაზე, რომელიც მთლიანად იქნებოდა ამოვარდნილი მე-10(1) მუხლის მიზნებიდან. მა-გალითად, სასამართლომ დაადგინა, რომ კომერციული რეკლამა, რომელიც შე-იცავს ადვოკატის საჯარო განცხადებას მისი საადვოკატო პრაქტიკის შესახებაც კი, მე-10 მუხლის სფეროში ხვდება. ამიტომაც საჭიროა, მე-10 მუხლის მე-2 პუნ-ქტის მიხედვით დადგინდეს, ნიშნავს თუ არა ასეთი გამოხატვის სახელმწიფოს მხრიდან აკრძალვა მე-10 მუხლის დარღვევას.¹¹⁴ გარდა ამისა, მე-10 მუხლი იცავს არა მარტო გამოხატვის შინაარსს, არამედ მისი დამზადებისა და გავრცელები-სათვის საჭირო საშუალებებს. ამდენად, დაცულია როგორც ბეჭდვითი და აუდი-ოვიზუალური ფორმები, ასევე, ზეპირი გამონათქვამები.

ჩარევა. მე-10 მუხლის ანალიზისას საკვანძო საკითხი არის ის, თუ როგორ

¹¹³ იხ. ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ N1, კარი II, თავი II, გვ. 285.

¹¹⁴ კასადო კოკა ესპანეთის წინააღმდეგ, კარი II, თავი II, გვ. 300.

განსაზღვრავს სასამართლო „ჩარევას“. ამ ცნების ვინრო გაგება გულისხმობს მხოლოდ სახელმწიფოს პირდაპირ ჩარევას ინფორმაციისა და იდეების თავისუფალი გავრცელების შეზღუდვის მიზნით. ნევრი სახელმწიფოები არაერთხელ ამტკიცებდნენ, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მხოლოდ მაშინ არის სახეზე, როცა ქმედება უშუალოდ პუბლიკაციას ზღუდავს. მაგრამ ევროსასამართლოს პრაქტიკისათვის (მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის სტანდარტების ჩამოსაყალიბებლად) გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს მიერ „ჩარევის“ ინტერპრეტაციას გაცილებით ფართო ქრილში. მართლაც, სასამართლომ ჩარევად აღიარა არა მხოლოდ წინასწარი შეზღუდვები¹¹⁵, არამედ სხვა ქმედებების ფართო წრეც, რომელსაც სახელმწიფო იყენებდა აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე ზემოქმედების მიზნით. ასეთ ქმედებას განეკუთვნება, მაგალითად, პუბლიკაციის შემდგომი სხვადასხვა სახის სანქციები, რისი საფუძველიც პუბლიკაციის შინაარსობრივი მიუღებლობა ხდება; ასევე მოთხოვნა, ჟურნალისტმა გაამჟღავნოს კონფიდენციალური წყაროს ვინაობა.¹¹⁶

თვითცენზურა შეიძლება, დამლუპველი აღმოჩნდეს დემოკრატიული საზოგადოებისათვის. სასამართლოს პოზიცია – პუბლიკაციის შემდეგ სასჯელის დადებისთან დაკავშირებით – ახლახანს გამოსული სამეცნიერო ნაშრომის ავტორებმა ასე ახსნეს:

„მასალის გამოქვეყნების შემდეგ დაკისრებულ სასჯელსაც კი შეუძლია, ზემოქმედება მოახდინოს შემდგომი ინფორმაციის გამოქვეყნებაზე. ამგვარ სასჯელებს ახლავს „გამყინავი ეფექტი“, რომელიც მხოლოდ უშუალოდ მასალის ავტორს როდი ზღუდავს. პუბლიკაციის შემდგომმა სასჯელმა შესაძლოა, უარყოფითი ასახვა ჰპოვოს შემდგომ სარედაქციო საგამომცემლო პოლიტიკაზე“.

„გამოხატვისა“ და „სახელმწიფო ჩარევის“ ცნებების ასეთი ფართო განმარტება ასახავს სასამართლოს იმ ფუძემდებლურ თვალსაზრისს, რომ ხელისუფლების სხვადასხვა შტოთა ქმედება, რომელიც პრაქტიკულ ზეგავლენას ახდენს მასმედის საქმიანობაზე, პოტენციურად ეხება გამოხატვის თავისუფლებას და ამდენად სამართლებრივი რეგულირების სფეროს უნდა მივაკუთვნოთ. ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, სასამართლოს მიერ დაწესებული სამოქალაქო ან სისხლის სამართლის სანქციები – შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისაგან კერძო პირის რეპუტაციის დასაცავად – მე-10 მუხლის თანახმად უნდა შეფასდეს, როგორც

¹¹⁵ იხ. „ოზბერვერი“ და „გარდიანი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, კარი II, თავი II, გვ. 287; „სანდი ტაიმსი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, კარი II, თავი II, გვ. 268.

¹¹⁶ იხ. გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. კარი II, თავი II, გვ. 308.

ჩარევა აზრის გამოხატვის თავისუფლებაში. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება ყოველთვის სარგებლობს უპირატესობით სხვა ფუნდამენტურ უფლებებთან ან საზოგადოებრივ ინტერესებთან დაპირისპირებისას. ასეთი მიდგომა გამოხატვის თავისუფლებას აბსოლუტურ უფლებად აქცევდა. სინამდვილეში კი ეს ასე არ არის. უბრალოდ საჭიროა, თავისუფალი პრესის უფლებების გათვალისწინება სახელმწიფოს ქმედებების კანონიერების განსაზღვრისას.

ჩარევა გამოხატვის თავისუფლებაში

აღსანიშნავია, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მე-10 მუხლთან დაკავშირებით განხილულ საქმეებზე ჩამოაყალიბა ეგრეთწოდებული სამნვერა (სამნაწილიანი) ტესტი, რომელიც გულისხმობს, რომ ეროვნული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ყოველი კონკრეტული ჩარევა უნდა პასუხობდეს შემდეგ აუცილებელ ელემენტებს:

ა) ჩარევა განსაზღვრული უნდა იყოს კანონის მიერ;

ბ) ჩარევა მიმართული უნდა იყოს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი ან რამდენიმე კანონიერი ინტერესისა თუ ფასეულობის დასაცავად. ესენია: ეროვნული უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, არეულობის ან დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობის, მორალის, სხვათა რეპუტაციის და უფლებების დაცვა, კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება;

გ) ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

თავდაპირველად განვსაზღვროთ, რას ნიშნავს ტერმინი „ჩარევა“ კონვენციის მიზნებისათვის. ჩარევა გულისხმობს „ფორმალობას“, „პირობას“, „შეზღუდვას“ ან ნებისმიერ „სანქციას“.

იმისათვის, რომ ევროსასამართლომ გაამართლოს ჩარევა, აუცილებელია, სახეზე იყოს ზემოთ მოყვანილი სამივე ელემენტი (და არა მხოლოდ რომელიმე მათგანი). სასამართლომ მრავალჯერ განაცხადა, რომ ევროკონვენციის მე-10 მუხლის მთავარი მიზანი ინდივიდის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვაა. აქედან გამომდინარე, ევროსასამართლომ შეიმუშავა საკმაოდ მკაცრი წესები, თუ როდის უნდა მოხდეს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მართლზომიერების დადასტურება. „სანდი ტაიმისის“ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა: „მკაცრი ინტერპრეტირება ნიშნავს, რომ ნებისმიერი შეზღუდვის საფუძვლად არ შეიძლება მივიჩნიოთ რაიმე სხვა კრიტერიუმში, გარდა იმისა, რაც გამონაკლისის სახით მოცემულია მე-2 პუნქტში. ამავე დროს, საჭიროა, ამ კრი-

ტერიუმების იმგვარი აღქმა, რომ ისინი არ გაცდეს მათ ჩვეულებრივ მნიშვნელობას. მკაცრი ინტერპრეტირების პრინციპი ითვალისწინებს ხელისუფლების ნათლად ჩამოყალიბებულ მთელ რიგ პასუხისმგებლობებს“. ევროსასამართლოს მიერ შემუშავებული სტანდარტის თანახმად, ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც არ არის სახეზე მომჩივანის აშკარა ბრალი, დავა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ უნდა გადაწყდეს.

სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ჩარევას კანონიერად, თუ დაადგენს, რომ სახეზეა გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად აუცილებელი ევროკონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამივე მოთხოვნა. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს ეკისრება. სასამართლო ამ მოთხოვნების არსებობას ზემოთ მითითებული რიგითობის მიხედვით ამოწმებს. აღსანიშნავია, რომ საქმის შეწყვეტისა და სახელმწიფოს საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანის უპირობო საფუძველს წარმოადგენს სასამართლოს მიერ ზემოთ ნახსენები რომელიმე პირობის (გათვალისწინებულია კანონით, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში) დაუცველობა. ამ სამი მოთხოვნის არსებობა უნდა დაადგინონ ადგილობრივმა სასამართლოებმა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საქმის განხილვისას.

კონვენციის მთავარი მიზანია, ადგილობრივმა სასამართლოებმა გამოიყენონ კონვენციის ტექსტი იმგვარად, როგორც მას სტრასბურგის სასამართლო განმარტავს. ეროვნული სასამართლო არის გამოხატვის თავისუფლების დაცვის უზრუნველსაყოფად პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტანცია, ამიტომაც, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში საქმე მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გასაჩივრდეს. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, ევროსასამართლო საერთოდ ვერ შეძლებდა ნორმალურ ფუნქციონირებას, გამომდინარე იქიდან, რომ ევროკონვენციის წევრ სახელმწიფოებში გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით დღეში ასობით საქმე განიხილება და ყველა ამ საქმის სტრასბურგში გასაჩივრება უზრალოდ შეუძლებელი იქნებოდა. ევროსასამართლოს იურისპრუდენციის შესაბამისად, ევროკონვენციის მიზნებისათვის, გამოხატვის თავისუფლებაში „ჩარევად“ მიიჩნევა ნებისმიერი ქმედება, რომელიც განხორციელებულია საჯარო უფლებამოსილების განმხორციელებელი თანამდებობის პირების მხრიდან. საჯარო სამსახურში იგულისხმება: სასამართლოები, პროკურატურა, პოლიცია, ნებისმიერი ძალოვანი უწყება, საიდუმლო სამსახური, ცენტრალური ან ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები, სამთავრობო დაწესებულებები, არმია, საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. ევროსასამართლოში ნებისმიერ შემთხვევაში მოპასუხე მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო, რადგან

ევროკონვენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის მიხედვით, სახელმწიფო დაწესებულებები წარმოადგენენ სახელმწიფოს, ხოლო სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, არ დაუშვას კონვენციით დაცულ უფლებათა დარღვევა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, საჩივრის განხილვისას სასამართლო პირველ რიგში ამოწმებს, თუ რამდენად იყო განხორციელებული ჩარევა „გათვალისწინებული კანონით“. როდესაც პუბლიკაციის აკრძალვა ან გამოხატვის საშუალებათა დაყადაღება ხდება, ეს ზომები ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს უნდა ეყრდნობოდეს. ანალოგიურად, გაზეთის რედაქციების ჩხრეკა, ან სამაუწყებლო სადგურების გათიშვა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვითაა შესაძლებელი. სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კანონად მიიჩნევა ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებული აქტები. მაგალითად, თუკი პირს სჯიან ცილისწამების გამო, მაშინ ამის თაობაზე ჩანაწერს სისხლის სამართლის კოდექსი უნდა ითვალისწინებდეს.

წარმოადგენს თუ არა საერთო სამართლის ნორმები და საერთაშორისო სამართლის პრინციპები გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის კანონიერ საფუძველს? „სანდი ტაიმისის“ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოსადმი უპატივცემულობის შესახებ ბრიტანეთის საერთო (პრეცედენტული) სამართლის ნორმები „კანონით გათვალისწინებულად“ უნდა ჩათვლილიყო. ანალოგიური მიდგომა დააფიქსირა ევროსასამართლომ საქმეში *Groppera Radio AG შვეიცარიის წინააღმდეგ*¹¹⁷ და საქმეში *Autronik AG შვეიცარიის წინააღმდეგ*¹¹⁸, როდესაც წევრ სახელმწიფოებს საერთაშორისო სამართლის ნორმების გამოყენების ნება დართო. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გამოხატვის თავისუფლება იმდენად მნიშვნელოვანი ღირებულებაა, რომ მისი შეზღუდვის ლეგიტიმურობა სათავეს საპარლამენტო გადაწყვეტილებაში უნდა იღებდეს. თუმცა, ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდოს პრეცედენტული სამართლის ნორმებით. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი ყოველდღიურად დაარღვევდა ევროკონვენციას, რადგან ამ ქვეყანაში პრაქტიკულად გადანყვეტილებების უმრავლესობა ეყრდნობა სწორედ პრეცედენტულ სამართალს.

თავისთავად საკმარისია თუ არა ის, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა გათვალისწინებული იყოს კანონის ან სხვა სამართლებრივი აქტის მიერ? ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონიც გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. რამდენიმე საქმეში სასამართლომ

¹¹⁷ იხ. კარი II, თავი II, გვ. 283.

¹¹⁸ იხ. კარი II, თავი II, გვ. 280.

მკაფიოდ განაცხადა, რომ კანონი უნდა იყოს **გამოქვეყნებული, ხელმისაწვდომი**, ხოლო მისი მოქმედების შედეგი კი – **წინასწარგანჭვრეტადი**. ევროსასამართლომ ჩათვალა, რომ ტერმინი „...გათვალისწინებულია კანონით...“ გულისხმობს ორ მოთხოვნას: 1) მოქალაქემ უნდა შეძლოს ორიენტირება, თუ რა სახის სამართლებრივი ნორმები უნდა გამოიყენოს კონკრეტულ შემთხვევაში; 2) ნორმა არ ჩაითვლება კანონად, თუ ის არ არის ფორმულირებული სათანადო სიზუსტით¹¹⁹.

„სანდი ტაიმისის“ საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ ფორმულაში „გათვალისწინებულია კანონით“ სიტყვა „კანონი“ გულისხმობს როგორც საკანონმდებლო აქტებს, ასევე პრეცედენტულ სამართალსაც. რუმინეთიდან სტრასბურგში გასაჩივრებულ საქმესთან¹²⁰ დაკავშირებით კი სასამართლომ აღნიშნა: „რუმინეთის მიერ გასაჩივრებული საკანონმდებლო ნორმა არ აკმაყოფილებს მოთხოვნას „გათვალისწინებულია კანონით“, რადგან ის სათანადოდ ზუსტად არ არის ფორმულირებული. ეს კი მოქალაქეს არ აძლევს საშუალებას, წინასწარ განჭვრიტოს თავისი ქმედება და ამ ქმედებისგან გამომდინარე შედეგები“.

კანონის განჭვრეტადობის საკითხს ევროსასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს. საქმეში *Leander v. Sweden* სასამართლომ განაცხადა, რომ წინასწარგანჭვრეტადობის კრიტერიუმის დასადგენად მხედველობაში მიიღება კანონქვემდებარე აქტებიც ან ადმინისტრაციული პრაქტიკაც, იმისდა მიუხედავად, რომ მათ კანონის სტატუსი არ გააჩნიათ. ამიტომაც ადგილობრივმა სასამართლოებმა უნდა შეაფასონ ის კანონები, კანონქვემდებარე აქტები ან პრაქტიკა, რომლებიც იძლევა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებს. *Manole v. U.K* საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განაცხადა, რომ ეროვნული უშიშროების ან ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეებშიც კი, სადაც, გამოძიების ეფექტურობის უზრუნველყოფის გამო, განჭვრეტადობა პრაქტიკულად მინიმუმამდეა დაყვანილი, გამოსაყენებელი სამართლებრივი ნორმა იმდენად ნათლად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ პირს შეეძლოს მისი წაკითხვის შედეგად ქმედების შემადგენლობისა და სავარაუდო სასჯელის შესახებ ინფორმაციის მიღება.

ევროსასამართლოს იურისპრუდენცია ავალებს ეროვნულ სასამართლოებს, რომ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საქმის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, შეამოწმონ კანონის (თუ სხვა სამართლებრივი აქტის) **საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნები**, რაც დაცულად ჩაითვლება იმ შემ-

¹¹⁹ იხ. „სანდი ტაიმისის“ საქმე, კარი II, თავი II, გვ. 268.

¹²⁰ იხ. *Rotaru v Romania*, 4 May, 2000.

თხვევაში, თუკი კანონი გამოქვეყნებულია. ხოლო, თუ კანონი ან პრაქტიკის შედეგად შექმნილი ნორმები არ არის გამოქვეყნებული, შესაბამისად, პირი არ არის ინფორმირებული მათი შინაარსის შესახებ, ასეთ შემთხვევაში კანონის ხელმისაწვდომობის მოთხოვნები დაცული არ არის.

რაც შეეხება **წინასწარგანჭვრეტადობის კრიტერიუმს**, იგი გაცილებით რთული შესამოწმებელია, რადგან სასამართლოებმა უნდა განსაზღვრონ, არის თუ არა გამოსაყენებელი კანონის დებულება ჩამოყალიბებული საკმარისად ნათლად და ზუსტად, განმარტებულია თუ არა ცნებები, რომლებიც იძლევა ქმედებისათვის სამართლებრივი ნორმის შეფარდების საშუალებას, მკაფიოდ არის თუ არა აკრძალული გარკვეული ქმედება, ან გათვალისწინებულია თუ არა სანქციები მისი დარღვევის შემთხვევაში. თუ ადგილი აქვს საკანონმდებლო კოლიზიას, მოსამართლეებმა უნდა გამოიყენონ ის სამართლებრივი დებულებები, რომლებიც გამოხატვის თავისუფლების უფრო ფართო დაცვას უზრუნველყოფს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოხატვის თავისუფლებაში ლეგიტიმური ჩარევისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფოს ამგვარი ნაბიჯი განპირობებული იყოს ევროკონვენციის მე-10(2) მუხლში ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, აუცილებლობით დემოკრატიულ საზოგადოებაში. დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩარევის აუცილებლობის დასადგენად გადაწყვეტილების მიღებისას ევროკონვენციაზე ხელმომწერმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ „პროპორციულობის პრინციპი“. ამ დროს მათ უნდა გაარკვიონ, იყო თუ არა მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალება მიზნის პროპორციული. ევროსასამართლოს იურისპრუდენციით, „კანონიერ მიზნად“ მიიჩნევა ევროკონვენციის მე-10(2) მუხლით გათვალისწინებული ერთი ან მეტი ფასეულობა თუ ინტერესი, ხოლო „საშუალება“ გულისხმობს თავად ჩარევას. ანუ, მიზანი არის სახელმწიფოს მიერ მითითებული ისეთი სპეციფიკური ინტერესი, როგორიცაა: „ეროვნული უშიშროება“, „წესრიგი“, „მორალი“, „სხვათა უფლებები“ და ა.შ. „საშუალება“ ის კონკრეტული ზომაა, რომელსაც მიმართავენ ინდივიდის გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად. მაგალითად, „საშუალება“ შეიძლება იყოს: შეურაცხყოფის ან ცილისწამების გამო გამოტანილი განაჩენი, სამოქალაქო საქმის წარმოების წესით ზიანის ანაზღაურების დაკისრება, სასამართლოს ბრძანება გამოქვეყნების აკრძალვის თაობაზე, ჟურნალისტური საქმიანობის აკრძალვა, გაზეთის რედაქციის ან გამომცემლობის ჩხრეკა, გამოხატვის საშუალებათა დაყადაღება და ა.შ. ნაციონალური სასამართლოების მიერ პროპორციულობის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს შესაბამისი დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქმედ წესებთან. იმისათვის, რათა დადგინდეს, რომ ჩარევა იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, როგორც ადგილობრივმა, ასევე, ევროპულმა სასამართლოებმა,

უნდა დაადასტურონ, რომ არსებობს „გადაუდებელი სოციალური მოთხოვნილება“ გამოხატვის თავისუფლების კონკრეტული შეზღუდვის მიმართ. გადაუდებელი სოციალური მოთხოვნილებების შინაარსს თავდაპირველად განსაზღვრავენ წევრი სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოები, რომელთაც სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინება მოეთხოვებათ. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო საბოლოოდ აფასებს, თუ რამდენად შეესაბამება „შეზღუდვა“ მე-10 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ევროკონვენციაზე ხელმომწერი სახელმწიფოს სასამართლომ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმის განხილვისას უნდა გაითვალისწინოს ევროსასამართლოს იურისპრუდენცია, რომელიც წლების განმავლობაში მე-10 მუხლის საფუძველზე ჩამოყალიბდა.

ცხადია, შეუძლებელია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა რაიმე სხვა საფუძველზე გარდა იმისა, რაც მითითებულია ევროკონვენციის, მე-10(2) მუხლში. ნაციონალურმა სახელმწიფო ორგანოებმა უნდა განსაზღვრონ, მოცემულია თუ არა ევროკონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში სახელმწიფოს მიერ მოხმობილი ინტერესი. ევროკონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები არ არიან უფლებამოსილი, მიუთითონ რაიმე სხვა საფუძველი, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული ჩამონათვალის გარდა. მაგალითად, ცილისწამების საქმეზე სისხლის სამართლის განაჩენის კანონიერ მიზანს წარმოადგენს „სხვათა რეპუტაციის ან უფლებების“ დაცვა. სასამართლოს მიერ გაზეთისთვის გარკვეული ინფორმაციის დაბეჭდვის აკრძალვა შეიძლება გამართლებული იყოს „ეროვნული უსაფრთხოების“ ინტერესებით, თუმცა სასამართლოები დარწმუნებული უნდა იყვნენ დასაცავი ინტერესის რეალურობაში.

სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პატივისა და სახელის შელახვის ან ცილისწამების ობიექტებს წარმოადგენენ ისეთი სახელმწიფო თანამდებობის პირები, როგორცაა პრეზიდენტი, მინისტრები, პარლამენტის წევრები და სამოქალაქო მოხელეები, მათ შორის, პოლიციის ოფიცრები, პროკურორები, ძალოვანი უწყების ოფიცრები. მაღალი თანამდებობის პირების ან სამოქალაქო მოხელეების პირთა მიმართ ცილისმწამებლური განცხადებების გამო გაცილებით მაღალი სასჯელის დაკისრება არღვევს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს. სასამართლოს გააჩნია სპეციფიკური მიდგომა ამ პირთა შეურაცხყოფის ან ცილისწამების საქმეებზე. განაჩენი ან გადაწყვეტილება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გათვალისწინებულია სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დასაცავად, თუმცა სასჯელი არ შეიძლება

იმაზე მკაცრი აღმოჩნდეს, რასაც ანალოგიური გარემოებების არსებობისას რიგითი მოქალაქის მიმართ მიიღებდნენ.

მე-10 (2) მუხლის პირობები, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები

როგორც უკვე აღვნიშნეთ და როგორც ეს კონვენციის მე-10(2) მუხლშია ასახული, მე-10(1) მუხლში ფორმულირებული უფლებები თავისი არსით არ არის აბსოლუტური; მართალია, მე-10(1) მუხლი ითვალისწინებს უფლებებს, მე-10(2) კი შეზღუდვის „ლეგიტიმურ მიზნებს“, მაგრამ როგორც სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ საქმე ორ ურთიერთდაპირისპირებულ პრინციპთან გვაქვს; პირიქით, შესაძლოა ითქვას, რომ კონვენციის მე-10 მუხლი მთლიანობაში აყალიბებს გამოხატვის თავისუფლების ერთიან პრინციპს.

ევროსასამართლო გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებს კონვენციით გარანტირებულ სხვა ფუნდამენტურ უფლებებს, ვიდრე მე-10(2) მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ მიზნებს.

ამ მიდგომის შედეგი ის არის, რომ სასამართლო მოპასუხე სახელმწიფოს აკისრებს თავისი ჩარევის საფუძვლიანობის მტკიცების ტვირთს. როგორც სასამართლომ მე-10 მუხლთან მიმართებაში განაცხადა: „ეს თავისუფლება გადაჯაჭვულია გამონაკლისებთან, რომლებიც უნდა განიმარტოს შეზღუდვად – და ნებისმიერი შეზღუდვის მოთხოვნა დამაჯერებლობის მაღალი ხარისხით უნდა დამტკიცდეს.“

შინაარსობრივი რეგულირება

პიროვნების რეპუტაციისა და სხვა უფლებების დაცვა

ევროპის სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემები დიდხანს მისწრაფოდნენ იმ მიზნისკენ, რომ დაეცვათ კერძო პირები რეპუტაციის, ღირსების, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუვალობის ხელყოფისაგან. სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ამ ინტერესების დაცვას ითვალისწინებდა, ჩვეულებრივ გათვალისწინებულია სისხლის სამართლის ან სამოქალაქო კოდექსებში, ან სამოქალაქო სამართალდარღვევების კანონმდებლობის დებულებებში (დელიქტებში). ამის მიუხედავად, აღნიშნული ინტერესები აღიარებულია სამოქალაქო სამართლის სფეროდ.

ამავე დროს, მედიის ქმედება, რომელიც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ხშირად წარმოგვიდგენს ინფორმაციასა და იდეებს, რომლებიც კერძო პირთა კრიტიკას შეიცავს, შესაძლოა, შეფასდეს, როგორც ინდივიდის ნეგატიური წარმოსახვა, ან შეჭრა მის პირად ცხოვრებაში. ევროკონვენციის მე-10 მუხლის სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია გამოხატვის თავისუფლების უფლების დაბალანსებისკენ; კერძოდ, ეს შეეხება, ერთის მხრივ, საზოგადოების უფლებას – იყოს ინფორმირებული და, მეორეს მხრივ, მონაწილე-სახელმწიფოთა კანონიერ მიზნებს – დაიცვას კერძო პირთა რეპუტაცია, ღირსება და პირადი თუ ოჯახური ცხოვრების ხელშეუვალობა. სამართლებრივი ნორმების ეს ერთობლიობა წარმოიშვა იმ საქმეების საფუძველზე, რომლებშიც ეროვნულმა სასამართლოებმა მოპასუხეები ცნეს დამნაშავედ ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი განცხადებების შედეგად სხვათა რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის გამო. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო, როგორც წესი,

დიფამაციისა და პიროვნების შეურაცხყოფის საკითხებს ურთიერთკავშირში განიხილავს, მოცემულ თავში ჩვენც მათ ერთობლიობაში განვიხილავთ, თუმცა, შემდგომში ყურადღებას მივაპყრობთ სასამართლო საქმეების ისეთ ცალკეულ კატეგორიებზე, როგორცაა ფაქტების არასწორად გადმოცემა, აზრები და შეფასებებითი მსჯელობები, შეურაცხყოფა.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს მიერ იმის აღიარებას, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ დიფამაციისა და შეურაცხყოფის შესახებ საკუთარი კანონმდებლობის გამოყენება შეიძლება, ჩაითვალოს მე-10 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო მე-10(1) მუხლის დაცვის სფეროდან კატეგორიულად არ გამოორიცხავს თუნდაც გადაჭარბებულ კრიტიკას, რომელიც არასწორ ფაქტს ეფუძნება. იმ შემთხვევებშიც კი, როცა დავის საგანი იყო არა საკითხი პასუხისმგებლობის შესახებ, არამედ მხოლოდ დიფამაციისაგან დაცვის სამართლებრივი საშუალებების მე-10 მუხლთან შესაბამისობა,¹²¹ ევროსასამართლომ არაერთგზის დაადასტურა, რომ სახეზე იყო მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებში „ჩარევა“.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს მიერ იმის აღიარებას, რომ დიფამაციისა და შეურაცხყოფის შესახებ საქმეები მე-10 მუხლის რეგულირების სფეროს განეკუთვნება, რადგანაც ამ კატეგორიის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ახლავს „გამყინავი ეფექტი“, რაც შემდგომში ნეგატიურად აისახება მედიის განსაკუთრებულ როლზე დემოკრატიულ საზოგადოებაში; აგრეთვე, მოქალაქეთა უფლებაზე, მიიღონ ინფორმაცია. საქმეში *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ*¹²² სასამართლომ განიხილა საკითხი, თუ რა საშიშროებას უქმნის თვითცნაზურა მოქალაქეთა უფლებას – მიიღონ ინფორმაცია. ამ საქმეში ავსტრიამ სასამართლოს წარუდგინა არგუმენტაცია, რომ პუბლიკაციის შემდეგ გამოტანილი სანქცია – ფულადი ჯარიმის სახით – „თავისთავად არ წარმოადგენდა დაბრკოლებას“ რომელიმე ჟურნალისტისათვის, მომავალში თავისუფლად გამოეთქვა საკუთარი აზრი. მაგრამ სასამართლო მაინც მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ავტორისთვის დაკისრებული სასჯელი „თავისებური გაკიცხვის ტოლფასი იყო, რაც, სავარაუდოდ, მომავალში დაუკარგავდა მას მსგავსი კრიტიკის სურვილს“.

„პოლიტიკური დისკუსიის კონტექსტში, ასეთ განაჩენს, სავარაუდოდ, შეუძლია, ხელი ააღებინოს ჟურნალისტებს განზრახვაზე, რომ საკუთარი წვლილი შეიტანონ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების საჯარო განხილვაში. ამასთან, მსგავს სანქციას შეუძლია, ხელი შეუშალოს პრესას თავისი – როგორც „საზოგადოებრივი დარაჯის“ – ფუნქციის შესრულებაში“.

¹²¹ Tolstoy Miloslavsky v. United Kingdom, 13 July, 1995.

¹²² იხ. კარი II, თავი II, გვ. 272.

სწორედ ეს ხედვა განასხვავებს ევროსასამართლოს მიდგომას ბევრი ქვეყნის საკანონმდებლო სისტემისაგან. „ლინგენის“ საქმეში ავსტრიელმა მოსამართლეებმა ისაუბრეს დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური დისკუსიების მნიშვნელობის შესახებ. ევროსასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული ტერმინოლოგიის შესაბამისად, მათ მიუთითეს, რომ პოლიტიკოსები ვალდებული არიან, პოლიტიკურ დისკუსიებში გამოიჩინონ მეტი მოთმინება დიფამაციის მიმართ, ვიდრე რიგითმა მოქალაქეებმა. მაგრამ განაჩენის გამოტანის დროს ავსტრიელმა მოსამართლეებმა ეს მოსაზრება გაითვალისწინეს მხოლოდ როგორც შემამსუბუქებელი ფაქტორი მაშინ, როცა ევროსასამართლოსთვის თვითცენზურის საშიშროება განმსაზღვრელი ფაქტორია, თუკი საქმე პასუხისმგებლობას ეხება.

პიროვნების უფლების დაცვა,
როგორც მართლზომიერი მიზანი

ევროკონვენცია ყოველთვის მხარს უჭერდა იმ თვალსაზრისს, რომ რეპუტაციის, ღირსებისა და მოქალაქეთა პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის დროს წევრ სახელმწიფოთა ინტერესები მე-10 (2) მუხლის (რეპუტაცია და სხვა პირთა უფლებების დაცვა) ლეგიტიმური მიზნებია. გარდა ამისა, ზოგიერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ლეგიტიმურ მიზნად აღიარა „მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა“.

„აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

პიროვნების რეპუტაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, პირველ რიგში, იმაზეა დამოკიდებული, რამდენად არის „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ მე-10 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევა. ამ სფეროში სასამართლოს მდიდარი გამოცდილება შემდეგ პრინციპებსა და ცვლილებებს ეყრდნობა:

ა) ინდივიდუალური უფლებების დაცვა ხშირად ეხება მე-10 მუხლით გარანტირებულ ისეთ მნიშვნელოვან გამოხატვას, როგორცაა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე პოლიტიკური გამოხატვა და დისკუსია. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ამ ტიპის განცხადებები ექცევა აზრის გამოხატვის დაცულ კა-

ტეგორიაში. მაგალითად, საქმეში *ობერშლიკი I* *ჟურნალისტმა* ავსტრიელი პოლიტიკოსი რასობრივი სიძულვილის გაღვივებაში დაადანაშაულა იმის საფუძველზე, რომ მან წინადადება შეიტანა, ავსტრიელი ემიგრანტი ქალებისათვის გადაეხადათ მკვიდრ მოსახლეობაზე ნაკლები თანხა საოჯახო დახმარების სახით. სასამართლომ მიიჩნია, რომ პუბლიკაცია ხელს უწყობდა „საყოველთაო ინტერესის მომცველი პოლიტიკური საკითხის საჯარო განხილვას“ და დაადგინა, რომ ავსტრიელი მოსამართლეების მიერ *ჟურნალისტის* მსჯავრდება დიფამაციის ბრალდებით წარმოადგენდა მე-10 მუხლის დარღვევას.¹²³

ასეთი ფართო მიდგომა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. სასამართლო ასეთ საქმეებში წევრ სახელმწიფოებს ძალზე ვიწრო დისკრეციას ანიჭებს.¹²⁴ ამის გარდა, მედიის მხრიდან საჯარო ინტერესის შემცველი ინფორმაციისა და კომენტარების ფართო განმარტება (განსაკუთრებით, თუ ეს სახელმწიფო მოხელეებს ეხება) გამოიწვევს სასამართლო საქმეების რაოდენობის შემცირებას. სასამართლო თანმიმდევრულად ემხრობა იმ აზრს, რომ სახელმწიფო მოხელეები კრიტიკის მიმართ უნდა იყვნენ უფრო მომთმენნი, ვიდრე კერძო პირები, როდესაც საქმე საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებს ეხება.¹²⁵ თუმცა 1999 წელს მიღებული გადაწყვეტილების ფონზე ეს პრინციპიც გადახედვას საჭიროებს, რათა არ მოხდეს დისკრეციის გადაჭარბება დიფამაციის საქმეში, სადაც დაზარალებული მხარეები კერძო პირები იყვნენ, ხოლო მედია საშუალებამ არასწორი ინფორმაცია გაავრცელა. „*ბლადეტ ტრომსოს*“ საქმე იმ მხრივ არის აღსანიშნავი, რომ მასში მოხდა საკითხის საზოგადოებრივი მნიშვნელობის აღიარება. ამგვარად, სახეზეა ერთგვარი ზღვარის მოშლა სახელმწიფო მოხელესა და კერძო პირს შორის.

სასამართლომ ის მოსაზრებაც უკუაგდო, რომ საკითხის საზოგადოებრივი მნიშვნელობის განსასაზღვრად უნდა არსებობდეს გარკვეული გრადაციის სისტემა. საქმეში *ტორგეისონი ისლანდიის წინააღმდეგ*, რომელშიც გასაჩივრებული საგაზეთო სტატიები პოლიციას ბრალს სდებდა სისასტიკეში, ისლანდიამ შემდეგ არგუმენტს მოუხმო: *ლინგენსის* და *ობერშლიკ I*-ის საქმეში აღიარებული დასაშვები კრიტიკის ფართო საზღვრები, რაც პოლიტიკურ დისკუსიებს ეხება, არ შეიძლება, იმავე ზომით მიესადაგოს სხვა საზოგადო მნიშვნელობის საკითხებს. ისლანდიის მტკიცებით, ამის მიზეზი ის არის, რომ სტატიები არც პირდაპირ და არც ირიბად არ უკავშირდებოდა დემოკრატიულ საზოგადოებაში გადაწყვეტი-

¹²³ იხ. გვ. 285.

¹²⁴ *ბლადეტ ტრომსო* და *სტენსაასი ნორვეგიის წინააღმდეგ*, კარი II, თავი II, გვ. 322..

¹²⁵ *ლინგენსის* საქმე.

ლების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობას. მაგრამ სასამართლომ უარყო ასეთი მიდგომა, როდესაც განაცხადა, რომ ჩარევაში იგულისხმება შემზღუდავი პირობა, რომელიც არ არის მოცემული მე-10 (2) მუხლში.

ბ) ევროსასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ მხარეთა სტატუსსა და მოქმედებას, რომლებიც ეროვნულმა სასამართლოებმა დაზარალებულად აღიარეს გამოხატვის თავისუფლებით ბოროტად სარგებლობის გამო. ევროსასამართლომ მთელი გულისყური მიაპყრო დაზარალებული მხარის სტატუსს, რათა დაედგინა კრიტიკის ის დონე, რომელიც ამ პირს უნდა აეტანა მე-10 მუხლის შესაბამისად. სასამართლო თანმიმდევრულად ამტკიცებდა, რომ პოლიტიკური მოღვაწეები მოთმინების მაღალი ხარისხით უნდა მოეკიდონ სერიოზულ კრიტიკას, თუნდაც, გამოხატულს შეურაცხმყოფელი ფორმით¹²⁶.

„ლინგენის“ საქმეში ევროსასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც დიფამაციის საქმეზე მომჩივნები პოლიტიკური მოღვაწეები არიან, მე-10 (2) მუხლის დაცვის მოთხოვნები „აუცილებელია, ავწონ-დავწონოთ პოლიტიკურ საკითხებზე საჯარო დისკუსიის ინტერესებიდან გამომდინარე“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ასეთ შემთხვევებში, ეროვნულ ხელისუფლებას ნაკლები საფუძველი აქვს, „აუცილებლობის“ დასადგენად (ესე იგი, ჩარევის განსახორციელებლად). სასამართლომ ეს მოსაზრება განავითარა საქმეში *ობერშლიკი I* როდესაც მიუთითა, რომ:

„დასაშვები კრიტიკის ფარგლები პოლიტიკოსებთან მიმართებაში უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირებთან დაკავშირებით: საჯარო პირები გაცნობიერებულად და განზრახ აქცევენ საკუთარ თავს საზოგადოების და ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში. აქედან გამომდინარე, ისინი უნდა ამჟღავნებდნენ თმენის მაღალ ხარისხსაც, განსაკუთრებით, როცა თავად აკეთებენ ისეთ საჯარო განცხადებებს, რომელთაც შეუძლიათ კრიტიკის გამოწვევა“¹²⁷.

კრიტიკის მიმართ მოთმინების მოთხოვნიდან გამომდინარე, ევროსასამართლომ მთელ რიგ სასამართლო საქმეებში მიუთითა, რომ სასამართლოს მოხელენი არ წარმოადგენენ „პოლიტიკურ მოღვაწეებს“. იმის მიუხედავად, რომ ჟურნალისტებს აქვთ ვალდებულება, გააშუქონ და აკრიტიკონ სასამართლო სისტემის საქმიანობა, ევროსასამართლომ ორ საქმეში არ მოითხოვა მოსამართლეთაგან კრიტიკის მიმართ მოთმინების ისეთივე ხარისხი, როგორც პოლიტიკოსებისაგან.¹²⁸

¹²⁶ მაგალითად, სიტყვა „იდიოტის“ გამოყენება საქმეში *ობერშლიკი II*.

¹²⁷ *ობერშლიკი I*-ის საქმე.

¹²⁸ *Prager and Oberschlick v. Austria*, 26 April, 1995. *Barford v. Denmark*, 22 February, 1989. ამ უკანასკნელ საქმეში სასამართლოს მოხელეები არ იყვნენ პროფესიონალი მოსამართლეები.

მაგრამ ერთ-ერთ შემდგომ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციების დაკისრება სასამართლოს ცალკეული მოხელეების შესახებ მკვეთრად კრიტიკული კომენტარების გამოქვეყნების გამო, წარმოადგენდა მე-10 მუხლის დარღვევას.¹²⁹

კრიტიკის მიმართ თმენის მოთხოვნის ერთი შედეგი ისაა, რომ მას მოქმედებაში მოჰყავს სასამართლოს კონტექსტუალური ანალიზი, რომლის დროსაც ევროსასამართლო იწყებს არა მარტო ყველაზე სადავო საკითხების განხილვას, არამედ საქმის „მოტიანად“ შესწავლას იმ კონტექსტის დადგენის მიზნით, რომელშიც ეს განცხადებები გაკეთდა.

ამრიგად, ლინგენის საქმეში, სასამართლომ დაადგინა: „რამდენადაც საქმე ეხებოდა ბატონ კრაისკის, როგორც პოლიტიკოსს, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფონი, რომელშიც ეს პუბლიკაციები გამოჩნდა.“ დე ჰაესისა და გიჯსელსის საქმეში ევროსასამართლომ აღნიშნა:

„მართალია, [ჟურნალისტების] კომენტარები უეჭველად მკვეთრად კრიტიკულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი შესაბამისობაშია იმ მღელვარებასთან და გულისწყრომასთან, რაც გამოიწვია სტატიის მოყვანილმა ფაქტებმა, სტატიების შედარებით საკამათო და აგრესიულმა ტონმა – რაც სასამართლომ არ გაამართლა. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ მე-10 მუხლი იცავს იდეისა და ინფორმაციის არა მარტო შინაარსს, არამედ, მათი გამოხატვის ფორმასაც.“

დასასრულს, სასამართლო მიიჩნევს, რომ, აღნიშნული საქმის სერიოზულობიდან გამომდინარე, განმცხადებელთა მიერ მათი გამოხატვის განხორციელებაში ჩარევა არ დამტკიცდა, გარდა ერთ-ერთი მოსამართლის მამის წარსულის შესახებ გავრცელებული განცხადებებისა¹³⁰.

საქმეში ბლადეტ ტრომსო ევროსასამართლომ გაავრცელა კონტექსტუალურად განხილვის მიდგომა ასევე კერძო დაზარალებულ პირებზე, როცა გაითვალისწინა, რომ განსახილველი განცხადებები წარმოადგენდა დისკუსიის ნაწილს საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე.

შესაძლოა, სასამართლოსთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს დაზარალებული მხარის ქმედებებს. თუ მან გააკეთა პროვოკაციული განცხადებები, რომლებმაც გამოიწვია მწვავე გამოხმაურება, მე-10 მუხლის მიხედვით, საპასუხო განცხადებაც ექვემდებარება დაცვას. დიფამაციური ბრალდებებისაგან დაცვა უფრო ძლიერია, თუ განცხადება გაკეთებულია თავისთავად პროვოკაციული გამონათქვამების საპასუხოდ.¹³¹

¹²⁹ იხ. დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ. კარი II, თავი II, გვ. 310..

¹³⁰ დე ჰაესის საქმე.

¹³¹ ბლადეტ ტრომსო.

გ) ევროსასამართლო ადგენს მნიშვნელოვან განსხვავებას – რაც ხშირად განსაზღვრავს კონკრეტული საქმეების შედეგს – ისეთ განცხადებებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ მტკიცებას ფაქტის შესახებ და შეფასებით მსჯელობებს: მხოლოდ პირველი მათგანის, ანუ ფაქტის დამტკიცებაა შესაძლებელი.¹³² ფაქტსა და შეხედულებებს შორის განსხვავების მნიშვნელობა მდგომარეობს მათი მტკიცების ტვირთის გადანაწილებაში. სამართლებრივი სისტემების უმეტესობაში განცხადებების ნამდვილობის დადასტურება წარმოადგენს დიფამაციის შესახებ სარჩელისაგან სასამართლო დაცვის საშუალებას, ხოლო განცხადების სიმართლის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს¹³³. მაგრამ სახელმწიფო მოხელეთა მიერ აღძრულ საჩივრებში ევროსასამართლო თანმიმდევრულად იღებდა გადაწყვეტილებას, რომ ამ ტვირთის დაკისრება აზრის გამომხატველისთვის წარმოადგენს მე-10 მუხლის დარღვევას.

დ) იმ შემთხვევაში, როდესაც ჟურნალისტი „არაკეთილსინდისიერად“¹³⁴ მოქმედებდა, ევროსასამართლო მიუთითებდა, რომ მისი (ჟურნალისტის) დაცვის ხარისხი გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე სხვა შემთხვევაში. ევროსასამართლომ ეს ტერმინი გამოიყენა ორი სხვადასხვა მეთოდით. ჯერ ერთი, იმ საქმეების განხილვის დროს, რომელშიც რაიმე ფაქტები დასტურდებოდა, სასამართლო დაკავებული იყო ჟურნალისტური ვალდებულებების გამოკვლევით – ფაქტების შემოწმების კუთხით – და მათი კრიტიკის ობიექტებს აძლევდა საშუალებას, პრესის მეშვეობით გაეცათ პასუხი მათ მიმართ წარდგენილ ბრალდებებზე. თუმცა სხვა შემთხვევებში, სასამართლოს უფრო მეტად აინტერესებდა ჟურნალისტების განზრახვა: მათ ამოძრავებდათ საზოგადოების ინფორმირების სურვილი, თუ ისინი პირდაპირ თავდასხმებს ახორციელებდნენ პიროვნებაზე? კერძო პირთა მიერ აღძრულ საჩივართა შესახებ სასამართლომ დაადგინა:

„კონვენციის მეათე მუხლი ითვალისწინებს როგორც უფლებებს, ასევე ვალდებულებებს, რომლებიც უნდა დაიცვას პირმა, თუკი იგი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს. ეს მოვალეობები პრესაზეც ვრცელდება და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე ეხება პირის რეპუტაციის შელახვას. მეათე მუხლის თანახმადვე, ჟურნალისტები კეთილსინდისიერად უნდა მოქმედებდნენ და უზრუნველყოფდნენ ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდებას ჟურნალისტური ეთიკის საფუძველზე.“ (...) ¹³⁵

¹³² დე ჰაესის, ლინგენსის საქმეები.

¹³³ მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება განსხვავდება აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიდგომისაგან.

¹³⁴ ბლადეტ ტრომსოს, პრაგერის და ობერშლიკის საქმეები.

¹³⁵ ბლადეტ ტრომსოს საქმე.

მოსალოდნელია, რომ მომავალში სასამართლო შეეცდება, განავრცოს თავისი მოსაზრებები „კეთილსინდისიერების“ ხასიათისა და მისივე კონცეფციის გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით.

ე) ზარალის ანაზღაურება სამოქალაქო სამართლებრივ დიფამაციაში.

საქმეში ტოლსტოი-მილოსლავსკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ევროსასამართლომ გამოიკვლია ზოგიერთი საკითხი, რომელიც წარმოიშვა ინგლისელი ნაფიცი მსაჯულების მიერ ზარალის ასანაზღაურებლად საკმაოდ დიდი ფინანსური სანქციის (1,5 მილიონი ინგლისური ფუნტი სტერლინგი) დაკისრების გამო. პირველ რიგში, სასამართლომ დაადგინა, რომ ფულადი კომპენსაციის დაკისრება უტოლდებოდა „ჩარევას“ მე-10 მუხლის შესაბამისად. შემდგომ მან უარყო მომჩივანის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზარალის ანაზღაურება ასეთ სიტუაციებში არ იყო „კანონით გათვალისწინებული“. სასამართლომ მიუთითა, რომ მე-10(2) მუხლის მოცემული პირობა არ შეიძლება გავიგოთ იმ აზრით, რომ დიფამაციის საქმეში მოპასუხემ უნდა განჭვრიტოს ფულადი კომპენსაციის ის რაოდენობა, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს. მაგრამ სასამართლომ დაადგინა, რომ ფულადი კომპენსაციის თანხას შესაძლოა, ჰქონდეს კავშირი შესაბამისობის კრიტერიუმთან და დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა: წესი, რომლის მიხედვითაც მაშინ ინგლისელი მოსამართლეები ნაფიცი მსაჯულების საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ, აშკარად არ იყო საკმარისი იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ მიერ დაწესებული ფულადი კომპენსაცია ყოფილიყო „პროპორციული მიყენებული ზარალისა“.

ცრუ ფაქტები, შეფასებითი მსჯელობა, შეურაცხყოფა, პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობაში ჩარევა

ევროსასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში შეიმუშავა გარკვეული პრინციპები, რომლებიც სასამართლო საქმეების ცალკეულ შემთხვევებს მიესადაგება.

ა) ცრუ ფაქტები

(1) მოსალოდნელია, რომ ევროსასამართლო მოითხოვს სახელმწიფოებისაგან სადავო განცხადებების სიზუსტის მტკიცებას, როგორც დიფამაციურ ქმედებაში სასამართლო დაცვის საშუალებას. საქმეში კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ ურნალისტური სტატიის ავტორი დამნაშავედ ცნეს ესპანეთის სახელმწიფოს

შეურაცხყოფისთვის. იგი ცდილობდა, წარმოედგინა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ მას მიზნად არ ჰქონია ვინმეს შეურაცხყოფა, რამდენადაც სტატია დაფუძნებული იყო რეალურ და საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებზე. მაგრამ ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ ასეთი მტკიცებულება მიუღებელია იმ მოტივით, რომ ფაქტების სისწორე, როგორც დაცვის საშუალება, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო დანებსებულებისთვის შეურაცხყოფის მიყენების შემთხვევაში. ევროსასამართლომ დააფიქსირა მე-10 მუხლის დარღვევა და მიუთითა, რომ ფაქტების უტყუარობის – როგორც დაცვის ფორმის – მიუღებლობა არ წარმოადგენს აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.¹³⁶

ამ არგუმენტზე დაყრდნობით გონივრულია ვიფიქროთ, რომ იმ სასამართლო საქმეებში, რომლებშიც სადავო გამონათქვამი დასტურდება, როგორც ფაქტი, ნევრმა სახელმწიფომ უნდა აღიაროს ფაქტების ნამდვილობა, როგორც სასამართლო დაცვის საშუალება. უფრო ზუსტად, არ შეიძლება ფაქტობრივად სწორი განცხადებებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, თუკი ეს ფაქტები არ იქნება მიჩნეული პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობაში შეჭრად ან პიროვნებაზე თავდასხმად, რასაც საერთო არაფერი აქვს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვასთან.

(2) არ არის აუცილებელი, რომ სადავო განცხადება მთლიანად შეესაბამებოდეს ფაქტებს. საქმეზე დაღბანი რუმინეთის წინააღმდეგ ევროსასამართლომ მიუთითა: „წინამდებარე საქმეში სასამართლო, ისევე როგორც კომისია, აღნიშნავს, რომ არ არსებობს მტკიცებულება იმისა, თითქოს, მოცემულ სტატიაში აღწერილი მოვლენები მთლიანად არასწორი იყოს და მიზნად ისახავდეს დიფამაციური კამპანიის გაჩაღებას **C.S**-ისა და სენატორ **R.T**-ს წინააღმდეგ“.¹³⁷

(3) ევროსასამართლოს პრაქტიკა გვაფიქრებინებს, რომ სასამართლო ემხრობა, არ განიხილოს მკაცრი პასუხისმგებლობა მე-10 მუხლთან შეუსაბამო არასწორი ფაქტების გავრცელების გამო, სულ მცირე, იმ შემთხვევაში მაინც, როცა დადგინდება, რომ მოპასუხე კეთილსინდისიერად მოქმედებდა. საქმეში ბლადეტ ტრომსო სასამართლომ გამოიყენა პასუხისმგებლობის პრინციპი ბრალეულობის საფუძველზე – თუმცა დაზარალებული მხარეები კერძო პირები იყვნენ – და დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში ნორვეგიის მიერ მცდარი ფაქტების გამო მოპასუხისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება წარმოადგენდა მე-10 მუხლის დარღვევას. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ თუ ახალი ამბების გა-

¹³⁶ იხ. კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ, კარი II, თავი II, გვ. 292.

¹³⁷ იხ. დაღბანი რუმინეთის წინააღმდეგ, კარი II, თავი II, გვ. 321.

მომცემლობა ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას – ახდენს იმ ფაქტობრივი მონაცემების გადამოწმებას, რომლებიც თავისი შინაარსით კერძო პირებს შეურაცხყოფს, ამით ის ასრულებს თავის სხვა მოვალეობასაც – არ გამოაქვეყნოს მცდარი ინფორმაცია. რაც შეეხება ფაქტების ნამდვილობის შემოწმების კონკრეტულ კრიტერიუმებს – ევროსასამართლოს ისინი ჯერ არ შეუმუშავებია. ძნელია განისაზღვროს, კონკრეტული ქმედება ობიექტურია თუ სუბიექტური – და თუ ის ობიექტურია, რას წარმოადგენს თავისთავად: პროფესიულ სტანდარტს, რომელიც დაადგენს, თუ რას მოიძიქმედებდა „გონიერი ჟურნალისტი“, თუ ზოგადად „გონიერი ადამიანი“.

მაგრამ ერთ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში – შეიძლება თუ არა ახალი ამბების გამომცემლობა გავამართლოთ საკუთარი „მოვალეობის“ შეუსრულებლობის გამო ისეთ შემთხვევაში, როდესაც ჟურნალისტი უბრალოდ იმეორებს განცხადებებს სამთავრობო პუბლიკაციებიდან და აღარ ამოწმებს ამ პუბლიკაციებში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას – სასამართლომ დაადგინა ის, რაც ზოგიერთ ექსპერტს სუბიექტურ სტანდარტად ესახება. საქმეში პლადეტ ტრომსო გაზეთის მიერ დაშვებული ფაქტობრივი უზუსტობები დაფუძნებული იყო მთავრობის ინსპექტორის ანგარიშზე, ან საერთოდ წარმოადგენდა პირდაპირ ციტირებას ამ ანგარიშიდან, რომლის სისწორე საინფორმაციო საშუალებას აღარ გადაუმოწმებია. სასამართლომ დაადგინა: „ამგვარად, საჭიროა შევისწავლოთ საკითხი იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა ადგილი განსახილველ საქმეში რაიმე განსაკუთრებულ საფუძველს, რომელიც ათავისუფლებდა გაზეთს მისი ჩვეული მოვალეობისაგან, შეემოწმებინა ფაქტობრივი განცხადებები, რომლებიც კერძო პირების დისკრედიტაციას წარმოადგენდა. სასამართლოს აზრით, ეს დამოკიდებულია, ძირითადად, დიფამაციის შესახებ ცნობების ხასიათსა და ხარისხზე, აგრეთვე, იმაზეც, თუ რა ზომით შეეძლო გაზეთს, გონივრული მოსაზრებების საფუძველზე, უტყუარად ჩაეთვალა სახელმწიფო ინსპექტორის ანგარიში. უკანასკნელი საკითხი უნდა დადგინდეს იმ სიტუაციის ფონზე, რომელიც წარმოიქმნა გაზეთში განსახილველ დროს და არა – წარსული მოვლენების სტერეოტიპული შეფასების მეშვეობით, იმ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, რომლებიც საგამოძიებო კომისიამ ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ დაადგინა (...)“

ამ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ევროსასამართლომ გაამართლა გაზეთი დიფამაციური ხასიათის ცრუ განცხადებების პუბლიკაციის გამო.

(4) საინფორმაციო საშუალებაზე მსუბუქი სასჯელის დაკისრება თავისთავად არ გამოდგება იმის გარანტიად, რომ წევრი სახელმწიფო მოახერხებს ამ სასჯე-

ლის მართლზომიერების დამტკიცებას. საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ „სასჯელის ხასიათი და სიმკაცრე არის ის ფაქტორები, რომლებიც ჩარევის პროპორციული უნდა იყოს“.¹³⁸ მაგრამ ბლადეტ ტრომსოს საქმეში კომპენსაცია ისეთი მცირე იყო, რომ თვით უზრუნავის-ტებმაც ის ძალზე მსუბუქად მიიჩნის: სასამართლოს განცხადება იმის შესახებ, რომ განსახილველი მასალა არასწორია და რომ მას იურიდიული ძალა არ გააჩნია. მიუხედავად დაკისრებული სასჯელის სიმსუბუქისა, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ნორვეგიის მთავრობის ქმედებები არამართლზომიერი იყო.

ბ) შეფასებითი მსჯელობა

მე-10 მუხლთან დაკავშირებით ევროსასამართლოს უმთავრესი პრინციპია ის, რომ იგი უპირატესობას ანიჭებს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ შეფასებით მსჯელობებს, რომლებიც გამოხატულია დისკუსიის კონტექსტში. ამ საკითხთან მიმართებაში ევროსასამართლომ აირჩია კატეგორიული მიდგომა. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხეზე მტკიცების ტვირთის დაკისრება მაშინ, როდესაც სადავო გამონათქვამი შეფასებითი მსჯელობაა, თავისთავად წარმოადგენს უსაფუძვლო ჩარევას, რადგანაც მსგავსი გამონათქვამების ნამდვილობის ან სიყალბის დამტკიცება შეუძლებელია.¹³⁹ ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს უპირატესობა კვალიფიციურ ხასიათს ატარებს: ასეთი მიდგომა არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც განმცხადებელი ბოროტი განზრახვით მოქმედებს, ან კრიტიკა „გადაჭარბებულია“.

ამრიგად, ევროსასამართლოს პრაქტიკაში საქმის შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ სახელდობრ რა გადანყვეტილებას მიიღებს სასამართლო განსახილველი გამონათქვამის შესახებ: ეს იყო განცხადება ფაქტის შესახებ თუ შეფასებითი მსჯელობა. ამ თვალსაზრისით, ევროსასამართლოს პრაქტიკაში შეიმჩნევა აშკარა ტენდენცია, რომ შეფასებით მსჯელობად ჩათვალოს სრულიად სხვადასხვა კრიტიკული განცხადებები და კომენტარები, არსებითად უარყონ ის მახასიათებლები, რომლებიც ამ განცხადებებს ეროვნულმა სასამართლოებმა მიანიჭეს.¹⁴⁰ ერთ საქმეში კი სასამართლომ გააფართოვა კიდევ დისკრეციის თავისუფლება, რომელიც მას ეროვნული სასამართლოებისთვის ჰქონდა მინიჭებული, როდესაც მხარი დაუჭირა მათ დასკვნას, რომ ზოგიერთი სადავო საკითხი ექვემდებარება დასაბუთებას.

¹³⁸ Seylan v. Turkey, 8 July, 1999.

¹³⁹ პრაგერის და ობერშლიკის საქმე. „აზრი შესაძლოა, იყოს გადაჭარბებულიც კი, განსაკუთრებით, რაიმე ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე.“

¹⁴⁰ Nilsen and Johnsen v. Norway, 25 November, 1999; Prager and Oberschlick v. Austria, 26 April, 1995.

გ) შეურაცხყოფა (პიროვნული ღირსების დაცვა)

ეს ის სფეროა, სადაც ევროსასამართლოს პრაქტიკა ძალზე ბუნდოვანია. თუმცა სასამართლომ გაავრცელა მე-10 მუხლსა და შეფასებით მსჯელობებზე ფართო დაცვა, მან იმავე დროს კატეგორიულად არ გამოიციხა, რომ ნევრ სახელმწიფოებს ძალუძთ იმ კრიტიკული გამონათქვამებისთვის – რომელთაც აღიარებენ არა საზოგადოების ინფორმირების მცდელობად, არამედ პიროვნებაზე თავდასხმად – განმცხადებელს სასჯელი დააკისრონ.

პიროვნების შეურაცხყოფის საქმეების განხილვის დროს სასამართლოს წინაშეა მთავარი კითხვა: იყო თუ არა აღნიშნული განცხადება „გადაჭარბებული“. *ობერშლიკი II*-ის საქმის კომპლექსურად განხილვის შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ ავსტრიის ხელისუფლების მიერ მოპასუხე ჟურნალისტის დევნა მომჩივანის მისამართით ტერმინ „იდიოტის“ გამოყენების გამო წარმოადგენდა დარღვევას. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ სიტყვის გამოქვეყნება არ იყო გადაჭარბებული მომჩივანის მხრიდან მანამდე გაკეთებული პროვოკაციული განცხადებების ფონზე. სხვა მხრივ, საქმეში *პრაგერი* და *ობერშლიკი* თუმცა მომჩივანის საჩივარი დაფუძნებული იყო დიფამაციის შესახებ ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსზე, სასამართლო დაეთანხმა ავსტრიელი მოსამართლეების აზრს, რომ ცალკეული განცხადებები დასაშვები კრიტიკის ჩარჩოებს გასცდა.

დ) პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის დაცვა

აშკარაა, რომ ევროსასამართლო პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობას მიაკუთვნებს მე-10(2) მუხლით დაცულ „სხვა“ უფლებებს.

თუმცა შესაძლებელია ნაწილობრივ იმის გამოც, რომ არც ერთ საქმეში სასამართლო არ ეხება არასაზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხებს, მან არ მიაქცია ყურადღება უშუალოდ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების სტრუქტურას – გამოხატვის თავისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელიც მე-10 მუხლითაა დაცული.

სახელმწიფო მოხელეების, სიმბოლოების და ინსტიტუტების შეურაცხყოფა

მოცემულ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ კოლექტიურ ინტერესს – სახელმწიფო მოხელეთა, სიმბოლოებისა და ინსტიტუტების შეურაცხყოფას ანტისახელმწიფოებრივი პასკვილის საშუალებით. სამართალდარღვევის ეს ფორმა გულისხმობს, რომ ზიანი მოაქვს არა ფაქტობრივ ცრუ განცხადებებს, არამედ სახელმწიფო ძალაუფლებისა და ეროვნული ერთიანობის სიმბოლოების დამცირებას ან შეურაცხყოფას.

სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი მოსაზრებების საფუძველს იძლევა:

ა) სასამართლოს არასდროს დაუდგენია, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა ვერ დაასაბუთეს მართლზომიერი მიზნების არსებობა. მაგალითად, 1997წ. მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა: საბერძნეთის სამხედრო წესების მიხედვით, „დროშისა და შეიარაღებული ძალების შეურაცხყოფა“, ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, იდევენება სისხლის სამართლის წესით – რამდენადაც სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა მოითხოვს დისციპლინის დაკისრებული დონის შენარჩუნებას შეიარაღებულ ძალებში.¹⁴¹ კასტელისის საქმეში სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ მთავრობის მკაცრი კრიტიკის შემცველი სტატიის გამო დაკისრებული სასჯელი მიზნად ისახავდა არეულობების თავიდან აცილებას. მაგრამ სასამართლომ წინასწარ განაცხადა, რომ მოცემული დასკვნა გაკეთდა კონკრეტული გარემოებების საფუძველზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა ესპანეთში 1979წ. სამოქალაქო მღელვარების დროს.

ბ) ამავე დროს, სასამართლომ დაადგინა, რომ კანონის გამოყენება ანტი-სახელმწიფოებრივი პასკვილის მიმართ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის არ შეიცავს სიმართლეს, არღვევს მე-10 მუხლს, რამდენადაც ჩარევა ამ დროს არ წარმოადგენს აუცილებელს დემოკრატიულ საზოგადოებაში. კრიტიკის ფარგლები მთავრობის – როგორც ინსტიტუტის – მიმართ უფრო ფართოც კია, ვიდრე ცალკეული სახელმწიფო მოხელეების მიმართ.¹⁴²

ინფორმაციის თავისუფლება

ინფორმაციის მოპოვება მასმედიის საქმიანობის არსებითი ნაწილია. ამ ფუნქციის შესრულების დროს ჟურნალისტები ხშირად აწყდებიან ისეთ იურიდიულ დაბრკოლებებს, რომლებიც გამოიყენება არა მარტო მათ მიმართ, არამედ ყველა პიროვნებასთან მიმართებაში. მათ შორისაა – სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ ან მათ განკარგულებაში არსებული დოკუმენტების ხელმისაწვდომობა („ინფორმაციის თავისუფლება“), საკითხი იმის შესახებ, აკისრებს თუ არა კანონმდებლობა ხელისუფლებას პოზიტიურ მოვალეობას, გაუმჟღავნოს მოსახლეობას ინფორმაცია საყოველთაო კეთილდღეობის პრობლემების შესახებ, მოსამართლეთა უფლებამოსილება, მოითხოვონ ინფორმაციის გახსნა მიმდინარე სასამართლო პროცესების შესახებ.

¹⁴¹ Grigoriades V. Greece, 25 November, 1997.

¹⁴² Seylan v. Turkey. Grigoriades v. Greece.

საჯარო ინფორმაციაზე დაშვება ან ინფორმაციის მოპოვება

მე-10(1) მუხლის ტექსტი ბუნდოვნად განმარტავს საკითხს იმის შესახებ, გულისხმობს თუ არა გამოხატვის თავისუფლება საზოგადოების დაშვებას საჯარო დოკუმენტებზე, ასევე, ოქმებზე და სახელმწიფო დაწესებულებების საკუთრებაზე. სასამართლომ არაერთხელ განაცხადა, რომ სიტყვა „უფლება... მიიღო ინფორმაცია... ყოველგვარი ჩარევის გარეშე“ თავის თავში გულისხმობს დაინტერესებული აუდიტორიის დამოუკიდებელ უფლებას, წაიკითხოს ან მოისმინოს სხვა პირების მიერ გავრცელებული ინფორმაცია და იდეა.¹⁴³ თუმცა სასამართლოს მოსაზრებები უშუალოდ სახელმწიფო ხელისუფლებისაგან ინფორმაციის მიღების უფლების შესახებ საკმაოდ ბუნდოვანია. ერთ-ერთ გადანყვეტილებაში სასამართლომ პირდაპირ განაცხადა უარი, ელიარებინა ხელისუფლების პოზიტიური ვალდებულება – „შეაგროვოს და გაავრცელოს საკუთარი სურვილით ინფორმაცია“ გარემოს დაბინძურების შესახებ.¹⁴⁴ მაგრამ ამ საქმეში არ განიხილებოდა გარემოება, რომელშიც სახელმწიფოს მიმართეს ინფორმაციის მიღებისათვის.

ორ საქმეში სასამართლომ გადანყვიტა, რომ მომჩივნებს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებულ მონაცემებზე ხელი არ მიუწვდებათ. თუმცა ეს გადანყვეტილებები წინასწარ შეზღუდულია ზოგიერთი კონკრეტული ფაქტორით¹⁴⁵. გარდა ამისა, სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე გასკინი ეფუძნებოდა არა მე-10 მუხლს, არამედ კონვენციის მე-8 მუხლს (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება).

¹⁴³ სასამართლომ მიუთითა, რომ მე-10 მუხლი თავის საფუძველშივე ეწინააღმდეგება სახელმწიფოს, შეზღუდოს პიროვნების მიერ ინფორმაციის მიღება. იხ. *Guerra v. Italy*, 19 February, 1998.

¹⁴⁴ საქმეში *Guerra v. Italy* სასამართლომ გადანყვიტა, რომ „ინფორმაციის მიღების თავისუფლება, რომელზეც მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფშია საუბარი, არ ავალდებულებს სახელმწიფოს, შეაგროვოს და გაავრცელოს ინფორმაცია თავისი სურვილით“.

¹⁴⁵ *Leander v. Sweden*, 26 March, 1987. მომჩივანი ცდილობდა, მიეღო ინფორმაცია, თუ რის გამო უთხრეს უარი მას სამსახურში აყვანაზე. *Gaskin v. UK*, 7 July, 1989. მომჩივანი ცდილობდა, მიეღო ინფორმაცია, თუ რამდენი ხანი გაატარა მან სახელმწიფო საბავშვო სახლში.

ელექტრონული მედია

ევროსასამართლო განასხვავებს სამაუწყებლო და ბეჭდვით მედიას. ელექტრონული მასმედიის ჟურნალისტების „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ შეფასებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტრონული მედიის მნიშვნელოვნად უფრო მეტ უშუალო და მძლავრ ზემოქმედებას. სასამართლო ითვალისწინებს იმ განსაკუთრებულ როლს, რომელსაც ელექტრონული საინფორმაციო საშუალებები ასრულებენ პლურალიზმის თვალსაზრისით, რადგანაც ტელე-რადიო პროგრამების დაფარვის არეალი ფართოა.

ევროსასამართლო ამავე დროს აკონტროლებს ელექტრონულ მედიაზე დაკისრებულ ბუნებრივ შეზღუდვებს. მაგალითად, საქმეში *ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ* სასამართლომ თავი ვალდებულიად ჩათვალა, მიეთითებინა შეზღუდული საეთერო დროის შესახებ, რომლის განმავლობაშიც ტელეჟურნალისტს შეეძლო, სათანადო კვალიფიკაცია მიეცა სხვა პირთა მიერ ტელეინტერვიუს დროს გაკეთებული რასისტული გამონათქვამებისთვის, ან მათთვის საკადრისი პასუხი გაეცა¹⁴⁶. ევროსასამართლო თანმიმდევრულად იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ მე-10 მუხლი იცავს გამოხატული იდეებისა და ინფორმაციის არა მარტო შინაარსს, არამედ მათი გადმოცემის ფორმასაც. მაუწყებლობის კონტექსტში ევროსასამართლომ გამოთქვა აზრი, რომ „არც მოცემულ სასამართლოს, არც ეროვნულ სასამართლოებს არ ხელეწიფებათ, საკუთარი შეხედულებებისამებრ შეცვალონ პრესის არჩევანი იმასთან დაკავშირებით, თუ რეპორტაჟის რა სახეობა უნდა გამოიყენონ ჟურნალისტებმა“. *ჯერსილდის* საქმეში სასამართლომ მიუთითა, რომ მსგავსი ახალი ამბები ექვემდებარება მე-10 მუხლით დაცვას.

¹⁴⁶ იხ. *ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ*. იხ. კარი II, თავი II, გვ. 304.

„რეპორტაჟები, რომლებიც დაფუძნებულია ინტერვიუზე – არა აქვს მნიშვნელობა, რედაქტირებულია თუ არა – წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას, რომლის მეშვეობითაც პრესას შეუძლია, შეასრულოს „საზოგადოების დარაჯის“ განსაკუთრებული როლი... ინტერვიუს დროს სხვა პირთა მიერ გაკეთებული განცხადებების გავრცელებისთვის ჟურნალისტთა დასჯას შეეძლო სერიოზულად შეეშალა ხელი პრესისთვის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემების განხილვაში; გამონაკლისი შეიძლება იყოს მხოლოდ საგანგებო სიტუაციები.“

ჯერსილდის საქმეში სასამართლოს გადანყვეტილება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კომისიის მიერ ადრეული მიდგომისაგან მკვეთრად განსხვავდება. 17 ირლანდიელი ჟურნალისტის საჩივარში პერსელი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ, ჟურნალისტები ჩიოდნენ, რომ მე-10 მუხლით დაცული – მაუნყებლობისა და ინფორმაციის გამავრცელებლების მათი უფლება ირლანდიის მთავრობამ დაარღვია. მთავრობამ აკრძალა, პირდაპირ ეთერში ეჩვენებინათ ინტერვიუ ირლანდიის რესპუბლიკის არმიის წარმომადგენლებთან, შინ ფეინთან, ოლსტერის დაცვის ასოციაციასა და მთელ რიგ სხვა ორგანიზაციებთან. კომისიამ დაადგინა, რომ სადავო აკრძალვები კანონით იყო გათვალისწინებული და გააჩნდათ კანონიერი მიზანი, კონკრეტულად კი „სამაუნყებლო მასმედიის გამოყენება იმ ორგანიზაციის მიზნებისათვის“, რომელსაც დასახული აქვს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით ან სხვაგვარი უკანონო გზით შეცვლა.

სასამართლომ მიანიჭა განსაკუთრებული მნიშვნელობა ელექტრონული მაუნყებლობის ხასიათს და განაცხადა, რომ:

„თანამედროვე საზოგადოებაში რადიო და ტელევიზია მასობრივი ინფორმაციის ძალზე მძლავრი და გავლენიანი საშუალებებია. ბეჭდვით მედიასთან შედარებით, ისინი ბევრად უფრო ძლიერ და მყისიერ გავლენას ახდენდნენ საზოგადოებაზე. აუდიოვიზუალური შესაძლებლობის წყალობით ელექტრონულ მედიას ბეჭდვითისგან განსხვავებით, შეუძლია გამოსახულებითი ეფექტის მოხდენა“.

კომისიამ ასევე არ დააკმაყოფილა საჩივარი ორ შედარებით გვიანდელ საქმეში, რომელიც ანალოგიურ შეზღუდვებს ეხებოდა და ბრიტანულ სამაუნყებლო კომპანიას უკრძალავდა, გადაეცა ნებისმიერი ინტერვიუ ან დისკუსია ირლანდიის რესპუბლიკური არმიისა და სხვა აკრძალული ორგანიზაციების ნებისმიერ წარმომადგენელთან. საქმეში ბრანდა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ და საქმეში მაკლოგლინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ კომისიამ გამოხატა პატივისცემა სახელმწიფოს დისკრეციის თავისუფლებისადმი. კომისიამ საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია და დაადგინა, რომ მაუნყებლობის გასაჩივრებული შეზღუდვები, შეესაბამებოდა იმ ლეგიტიმურ მიზანს, რომელსაც გაერთიანებული სამეფო შეიარაღებული შეთქმულებისაგან სახელმწიფოსა და საზოგადოების დასაცავად ახორციელებდა. ჯერსილდის საქმეში სასამართლომ დაიმოწმა კომისიის განაჩენი პერსელის საქმიდან იმ პოზიციის

მხარდასაჭერად, რომ ტელეჟურნალისტებს ეკისრებათ განსაკუთრებული მოვალეობები ტელევიზიის უშუალო და მძლავრი ზემოქმედების გამო.

ჟურნალისტების „უფლებებისა და მოვალეობების“ განხილვის დროს მნიშვნელოვანი ფაქტორია მედიის შესაბამისი საშუალებების პოტენციური ზემოქმედება; საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მასობრივი ინფორმაციის აუდიოვიზუალური საშუალებები გაცილებით მეტ უშუალო და მძლავრი ზემოქმედების ბერკეტებს ფლობენ, ვიდრე ბეჭდვითი პრესა. ინფორმაციის აუდიოვიზუალური საშუალებები გამოსახულების მეშვეობით გადმოსცემენ ისეთ აზრებს, რისი მონოდებაც არ ძალუძთ ბეჭდვითი სიტყვის საინფორმაციო საშუალებებს¹⁴⁷.

სასამართლომ გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება პერსელის საქმის შედეგების გამო და შეამცირა მსგავს საქმეებში სახელმწიფოსათვის მინიჭებული დისკრეციის თავისუფლება. ამიერიდან სახელმწიფოებს „განსაკუთრებით დამაჯერებელი საფუძველი“ უნდა ჰქონდეთ ელექტრონული მედიის ჟურნალისტების შესაზღუდად ან მათ დასასჯელად საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი აუდიოვიზუალური ინტერვიუს გამოქვეყნების გამო.

ბ) კომერციული მაუნყებლობა

ევროსასამართლომ *Groppera*-ს საქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მე-10 მუხლის მოქმედება ვრცელდება კაბელური ტელევიზიით გადაცემულ რეკლამებზე და მსუბუქ მუსიკაზეც, „განურჩევლად იმისა, თუ რა შინაარსს შეიცავს გადაცემული პროგრამები“. ეს მოუმზადებელი განცხადება სასამართლოს მთელი რიგი წევრების მხრიდან კრიტიკის ქარცეცხლში მოხვდა. მათი აზრით, მე-10 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება არც კომერციულ ოპერაციებზე და არც უბრალო გართობაზე.

Groppera-ს საქმეზე განაჩენის გამოტანიდან ორი თვის შემდეგ ევროსასამართლომ თავის განაჩენში საქმეზე *Autronik AG* ეჭვი არ დატოვა, რომ კომერციული მაუნყებლობაც ექვემდებარება მე-10 მუხლით დაცვას. სასამართლომ განმარტა, რომ:

„არც *Autronik AG*-ს სამართლებრივ სტატუსს, არც იმ ფაქტს, რომ თავისი ბუნებით მისი საქმიანობა კომერციული იყო, არც აზრის გამოხატვის თავისუფლების შინაგან ბუნებას – არ შეუძლია, კომპანია *Autronik AG*-ს წაართვას მე-10 მუხლით გათვალისწინებული დაცვა. მე-10 მუხლი ეხება „ყველას“, ე.ი. როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებსაც. უფრო მეტიც, სამ შემთხვევაში სასამართლომ უკვე გამოიტანა ისეთივე განაჩენი, როგორიც კომერციული ორგანიზაციებისადმი, როდესაც მიზნად ისახავდა მოგების ამოღებას“.

¹⁴⁷ ჯერსილდის საქმე.

მედიის ლიცენზირება და რეგულირება

აღნიშნული ნაწილი შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის გავლენას მედიის პირველად ლიცენზირებასა და შემდგომ რეგულირებაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური სამართლიანობის მოთხოვნების მოსალოდნელ ზეგავლენას მედიის მარეგულირებელ პირთა (ორგანოთა) საქმიანობაზე.

ლიცენზირების პირობა მე-10(1) მუხლის მიხედვით

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10(1) მუხლი ითვალისწინებს შემდეგს:

„ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი; მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ შეუშლის ხელს სახელმწიფოებს, მოითხოვონ რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის ან კინოწარმოების ლიცენზირება“.

მესამე წინადადებით არ გამოირიცხება მაუწყებლობისა და კინემატოგრაფიის ლიცენზირებაზე პირველ ორ წინადადებაში ჩამოყალიბებული გარანტიების გავრცელება. სასამართლომ განმარტა, რომ მესამე წინადადებას საფუძვლად დაედო ტექნიკური შეზღუდვები სამაუწყებლო სიხშირეებზე, რის გამოც აუცილებელი გახდა გარკვეული სახის რეგულირება. გარდა ტექნიკური ასპექტებისა, მაუწყებლობის ლიცენზირებას სხვა ფუნქციებიც აკისრია. აღიარებული იყო, რომ ელექტრონულ მედიას ბევრად უფრო მეტი გავლენის მოხდენა შეუძლია, ვიდრე ბეჭდვით მედიას და შინაარსი სალიცენზიო კონტროლის მეშვეობით უნდა დარეგულ-

ლირდეს. მე-10(1) მუხლის მესამე წინადადების სიტყვასიტყვით წაკითხვის შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული გარანტიები არც ერთ სალიცენზიო შეზღუდვაზე არ ვრცელდება. თუმცა სასამართლო პრაქტიკა ისე განვითარდა, რომ მაუწყებლობის ლიცენზირების მეშვეობით განხორციელებული შეზღუდვები კონვენციასთან შესაბამისობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოდის, თუ ისინი აკმაყოფილებს მე-10(2) მუხლის ორ მოთხოვნას გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით: ისინი უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული და აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისთვის. შედეგად, ტელე-რადიო მაუწყებლობისა და კინოინდუსტრიის ლიცენზირება იქცა „ლეგიტიმურ მიზნად“, რომლისკენაც შეიძლება მიმართული იყოს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვები. ლიცენზირების რეჟიმები შეიძლება ორიენტირებული იყოს მაუწყებლობის ტექნიკურ ასპექტებზეც, მაგრამ ისინი შეიძლება უფრო ფართო საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე მიზნებსაც ემსახურებოდეს. დაწესებული შეზღუდვების მსგავსად, სხვა მიზნებიც (რომლებიც გამოყოფილია მე-10(2) მუხლში) არ ითვლება ავტომატურად კანონსწინააღმდეგოდ ან მართლზომიერად. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს დემოკრატიულ საზოგადოებაში მათი აუცილებლობის დემონსტრირება¹⁴⁸.

ბოლო პერიოდში სასამართლოს განსახილველად ჰქონდა რელიგიური ორგანიზაციის სარჩელი, რომელსაც ნაციონალური რადიოს ლიცენზიისთვის კონკურსში მონაწილეობის უფლება არ მისცეს. სარჩელი შედგენილი იყო მე-10 და მე-14 მუხლებზე დაყრდნობით. სასამართლომ დაადგინა, რომ ორივე სარჩელი აშკარად მოკლებული იყო საფუძველს. თუმცა ტექნიკური შეზღუდვები ითვალისწინებდა ეროვნული ლიცენზიების რიცხვის შეზღუდვას და გაერთიანებულ სამეფოს ჩამოყალიბებული ჰქონდა შეფასების კრიტერიუმები მათი მიკუთვნებისთვის ისე, რომ რაც შეიძლება მეტი მსმენელი დაკმაყოფილებულიყო¹⁴⁹.

გაერთიანებულ სამეფოში მაუწყებლობის შესახებ 1990 და 1996 წლის აქტების დებულებებით (ციფრული პროგრამების სერვისებთან დაკავშირებით) უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი სატელევიზიო კომისიისა და რადიომაუწყებლობის სამმართველოს მიერ დამოუკიდებელი სამაუწყებლო მომსახურების რეგულირება ლიცენზირების სისტემის მეშვეობით. სტანდარტებთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები მოცემულია 1996 წლის აქტის მე-6 (ტელევიზია) და 90-ე

¹⁴⁸ Groppera Radio და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ; Autronic AG შვეიცარიის წინააღმდეგ; Informationsverein Lentia და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ.

¹⁴⁹ Ltd United Christian Broadcasting v. UK, November, 2000.

(რადიო) ნაწილებში. ისინი ინკორპორირებულია ლიცენზიებში და შეიცავს ცნობილ მოთხოვნებს ახალ ამბებსა და პოლიტიკურ მიმოხილვებში გემოვნების, წესიერების, სიზუსტისა და მიუკერძოებლობის, ასევე, რელიგიური მრწამსისადმი პატივისცემის გამოვლენის შესახებ. მარეგულირებლები გამოსცემენ სახელმძღვანელო კოდექსებს და მათ შესწევთ ძალა, პრაქტიკულად განახორციელონ ეს კოდექსები შენიშვნების, ჯარიმების, დაბოლოს, ლიცენზიების გაუქმების მეშვეობით. ამასთან, 1996 წლის აქტით შეიქმნა მაუწყებლობის სტანდარტების კომისია, რომლის პრეროგატივაა სტანდარტებთან (რომლებიც შეეხება ძალადობას, გემოვნებასა და წესიერებას) და სამართლიან მოპყრობასთან (რაც მოიცავს პირად ცხოვრებაში არასანქცირებულ ჩარევას) დაკავშირებული საჩივრების განხილვა.

ზოგადი მოთხოვნები წარმოაჩენენ დიდი ხნის წინ დამკვიდრებულ სტანდარტებს, რომლებიც საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, ფართოდ იყო აღიარებული. ისინი არ გასაჩივრებულა სტრასბურგში. სავარაუდოდ, მათზე გავლენას არ მოახდენს 1998 წლის აქტი ადამიანის უფლებათა შესახებ (HRA), ვინაიდან ისინი შეეხება მასობრივ მაუწყებლობას, რომელიც ხელმისაწვდომია ტელევიზორისა თუ რადიოს ჩართვით. „კოდირებული“ მაუწყებლობის შემოღებამ, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ თანხმობის განმცხადებელი სრულწლოვანი პირისთვის ცნობილი პაროლის ან დაშიფრული კოდის გამოყენებით, შეიძლება სირთულეები წარმოშვას ზოგიერთი მათგანის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

მე-10(1) მუხლის მეორე წინადადებაში გამოყენებული ფრაზიდან – „საზღვრების მიუხედავად“, აშკარა ხდება, რომ საზღვარგარეთიდან მომდინარე შეზღუდვები მაუწყებლობაზე ასევე ხელყოფს გამოხატვის თავისუფლების გარანტიას, თუ ისინი არ იქნება კანონით გათვალისწინებული და დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელი.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს იურისპრუდენციაში მკაფიოდ არის გაცხადებული იმის შესახებ, რომ მე-10 მუხლი იცავს არა მარტო ინფორმაციის შინაარსს, არამედ მისი გავრცელების ან მიღების საშუალებებსაც. აქედან გამომდინარეობს, რომ ინფორმაციის საშუალებებზე განხორციელებული ნებისმიერი შეზღუდვა უცილობლად წარმოადგენს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებაში ჩარევას. ევროკონვენციის მე-10 მუხლი სახელმწიფოებს ანიჭებს უფლებას, რომ მოახდინონ რადიო-ტელე მაუწყებლობის ან კინემატოგრაფიული ორგანიზაციების ლიცენზირება.

თუმცა, მიუხედავად ამ დებულების ბუნდოვანებისა, ევროსასამართლომ ის ძალიან ფართოდ არ განმარტა. რამდენადაც ტერმინი „მაუწყებლობა“ კონვენ-

ციაში იხმარება სწორედ აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, ამიტომაც მე-10 მუხლის ფუძემდებლური პრინციპები თანაბარი ძალით გამოიყენება ასევე ელექტრონული მედიის მიმართ. თუმცა მე-10 მუხლის I პუნქტის მესამე წინადადებას შეზღუდული მოქმედების არეალი აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნულ ხელისუფლებას, ეროვნულ მთავრობას არ გააჩნია შეუზღუდავი დისკრეციული უფლებამოსილება რადიო ან ტელე სადგურების ლიცენზიაზე – ლიცენზიის ჩამორთმევის ან მისი გაცემის დროს. ამასთან დაკავშირებით, ევროსასამართლომ მკაცრად და მკაფიოდ დაადგინა: „მე-10 მუხლის I პუნქტის მე-3 წინადადების მიზანია, განმარტოს, რომ სახელმწიფოებს ლიცენზირების სისტემის მეშვეობით შეუძლიათ საკუთარ ტერიტორიაზე მოახდინონ მაუწყებლობის ორგანიზაციების რეგულირება, განსაკუთრებით კი – მათი საქმეების ტექნიკური ასპექტებისა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მაუწყებლობის ლიცენზირება არ უნდა შესაბამებოდეს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ეს მიგვიყვანდა იმ შედეგამდე, რომელიც მთლიანად მე-10 მუხლის მიზნებს ეწინააღმდეგება“.

გარდა მაუწყებლობის ტექნიკური ასპექტებისა, ლიცენზიის გაცემაზე უარი შესაძლოა, განპირობებული იყოს ისეთი მოსაზრებებით, როგორცაა, მაგალითად, კონკრეტული სადგურის ხასიათი და მიზნები, მისი პოტენციური მაცურებელი ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე, კონკრეტული აუდიტორიის ცნებები ან უფლებები და მოთხოვნები, ასევე ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებიდან.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მიერ მე-10 მუხლის I პუნქტით დაცული ჩარევა ელექტრონული მასმედიის საქმიანობაში უნდა შეფასდეს მე-10 მუხლის II პუნქტით გათვალისწინებული პირობების ფონზე. მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფოებრივი ვითარების შეზღუდვის პრინციპი ძალიან მკაფიოდ იყო ფორმულირებული საქმეში *Informationsverein Lentia* ავსტრიის წინააღმდეგ.

ამ საქმეში ევროპის სასამართლომ არაორაზროვნად უარყო ის მოსაზრება, რომ მე-10 მუხლის I პუნქტის მესამე წინადადების ფორმულირება თითქოსდა, უფლებას აძლევდა სახელმწიფოებს, მკვეთრად ჩარეულიყვნენ ელექტრონული მედიის საშუალებების საქმიანობაში; ან, თითქოს, აღნიშნული ფორმულირება სახელმწიფოებს აძლევდა ფართო უფლებამოსილებას, განეგრცოთ საკუთარი პოლიტიკა ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებებზე.

Informationsverein Lentia-ს საქმეში განმცხადებელს უარი ეთქვა ლიცენზიის გაცემაზე ავსტრიაში რადიო და ტელესადგურების დასაფუნძნებლად. ავსტრიის კანონმდებლობის მიხედვით, აღნიშნული უფლება გათვალისწინებული იყო მხოლოდ ეროვნული სამაუწყებლო კორპორაციისათვის. ევროპის ადამიანის უფლე-

ბათა სასამართლო დაეთანხმა განმცხადებლის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ხელისუფლების მიერ მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემაზე დაუსაბუთებელი უარი თავისთავადი მონოპოლიაა, რაც მთლიანად შეუთავსებელია მე-10 მუხლთან. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიაში მოქმედი ნაციონალური მაუწყებლობის მონოპოლიური სისტემა ემსახურებოდა ტელე-რადიო პროგრამების ხარისხისა და მათი ბალანსირების უზრუნველყოფის კანონიერ მიზანს, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განმცხადებლის მე-10 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევა არ იყო პროპორციული კანონიერი მიზნისა და, შესაბამისად, არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. მოგვიანებით სასამართლომ გაცილებით უფრო დაავიწროვა მე-10 მუხლის I პუნქტის მე-3 წინადადების მოქმედების სფერო: „იმ საშუალებათა შორის, რომლებიც მოწოდებულია, დაიცვან და პატივი სცენ აზრის და გამოხატვის თავისუფლებას“, ყველაზე მეტად სიტყვის თავისუფლებას ზღუდავს სახელმწიფო მონოპოლია, და კერძოდ: მაუწყებლობის განხორციელების აბსოლუტური შეუძლებლობა, თუ არა ნაციონალური სადგურის მეშვეობით, – და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და შეზღუდული ფორმით – ადგილობრივი საკაბელო სადგურების მეშვეობით. მსგავსი შეზღუდვების შორსმიმავალი ხასიათი იმას ნიშნავს, რომ მათი გამოყენება შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ არსებითი აუცილებლობით.

უკანასკნელ ათწლეულში მიღწეული ტექნიკური პროგრესის შედეგების გათვალისწინებით, აღნიშნული შეზღუდვები დღევანდელ დღეს არ შეიძლება გამართლდეს არსებული სიხშირებისა და არხების შეზღუდული რაოდენობით. დაბოლოს, არ შეიძლება იმის თქმა, რომ არ არსებობს სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც უფრო ნაკლებად შემზღუდავი ხასიათისაა; მაგალითისათვის, შესაძლოა, მოვუხმოთ რამდენიმე ქვეყნის პრაქტიკას, სადაც არ გაიცემა ლიცენზია სპეციალური პირობებით – რომლის შინაარსი შესაძლოა შეიცვალოს, ან გათვალისწინებულია ნაციონალური სამაუწყებლო კორპორაციების საქმიანობაში კერძო პირების მონაწილეობის სხვადასხვა ფორმები.

მსგავსი გადაწყვეტილება მიღწეულ იქნა საქმეში *Radio ABC v. Austria*, სადაც განმცხადებელს უარი ეთქვა საკაბელო ტელევიზიაზე, ისევე როგორც ავსტრიის მონოპოლიური სისტემის ფარგლებს გარეთ მოქმედი სამაუწყებლო ტელევიზიების პროგრამების რეტრანსლირების განხორციელებაზე. როგორც „ლენტისას“ საქმის გამო გამოტანილ გადაწყვეტილებაში, ასევე რადიო ABC-ის საქმეშიც სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა ევროკონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას. ამავდროულად, ევროსასამართლომ დაამტკიცა „მეგობრული შეთანხმება“ (მორიგება).

საქმეში ტელესისტემ ტიროლ კაბელ ტელევიზიონ ავსტრიის წინააღმდეგ განმცხადებელს უარი ეთქვა პროგრამების რეტრანსლირების უფლებაზე საკაბელო

არხის მეშვეობით, ისევ იმის გამო, რომ სახეზე იყო ავსტრიული სამაუნწყებლო მონოპოლია. „ლენტიისა“ და რადიო ABC-ის საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და „ტელე სისტემა I“-ის საქმეში დამტკიცებული მორიგების შემდეგ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე სახელმწიფომ მოახერხოს სასამართლოს დარწმუნება იმაში, რომ სრული მონოპოლია ნაციონალურ მაუნწყებლობაზე წარმოადგენს აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ტრანსნაციონალური კომუნიკაციები

მე-10 მუხლის I პუნქტის მე-2 წინადადება უზრუნველყოფს უფლებას, „მიიღო და გაავრცელო ინფორმაცია და იდეები... სახელმწიფოებრივი საზღვრების მიუხედავად“. ევროპული თანამეგობრობის ინტეგრაციისა და ტრანსნაციონალური კომუნიკაციების გადამცემი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის ზრდა სულ უფრო და უფრო დიდ როლს ასრულებს თანამედროვე დასავლურ დემოკრატიებში. თუმცა, სასამართლოს მოუწევს, ნათელი მოჰფინოს მნიშვნელობას ფრაზისა „სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“. ევროპულმა კომისიამ მიუთითა, რომ ტერმინი „სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“ არ გულისხმობს იმ სახელმწიფოების მოქმედებებში ჩარევის რაიმენაირ უფლებას, რომლებმაც ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციას ხელი არ მოაწერეს. ის მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ ხელმომწერი სახელმწიფო თავისი საკუთარი იურისდიქციის განხორციელების დროს თვითონ არის ვალდებული, პატივი სცეს ამ უფლებას.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ტრანსნაციონალური კომუნიკაციების საკითხებს შეეხო თავის გადაწყვეტილებებში საქმეებზე *Autronik AG, Radio Groppera AG* და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ. *Autronik*-ის საქმეში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ პირველად განაცხადა, რომ სატელევიზიო პროგრამების მიღება სატელიტური თეფშებისა და ანტენების მეშვეობით მე-10 მუხლის დაცვის სფეროში ხვდება. ამგვარი დაცვა არსებობს „მიუხედავად მიწებისა ან მიწებისა, რომელთა გამოც ხორციელდება აღნიშნული უფლება“.

Groppera-ს საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ პროგრამების საეთერო მაუნწყებლობა, ისევე როგორც მათი საეთერო ტრანსლირება ექცევა გამოხატვის თავისუფლების დაცვის სფეროში, რომელიც გამყარებულია მე-10 მუხლის I პუნქტით, „გადასაცემი პროგრამის შინაარსის მიუხედავად“.

Autronik-ის საქმეში განმცხადებელმა, სატელიტური ტელე-რადიო მაუნწყებლობისათვის ანტენების დისტრიბუტორმა, მიმართა სასამართლოს საჩივრით იმის თაობაზე, რომ ტელეკომუნიკაციების შვეიცარიის სააგენტომ საბჭოთა კავშირის სატელიტური ანტენიდან სატელევიზიო პროგრამების მიღება სატელი-

ტური თეფშებით დასაშვები გახადა მხოლოდ მაუწყებელი სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე. ევროსასამართლომ აქ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა. სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის ფაქტი, რომ კონვენციის ხელმოწერ ზოგიერთ სახელმწიფოში დასაშვებია არაკოდირებული სატელევიზიო გადაცემების მიღება სატელეკომუნიკაციო სატელიტური ანტენების გამოყენებით იმ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომელზეც თანამგზავრზე სიგნალის გადამცემი სადგური იმყოფება. იმის გათვალისწინებით, რომ შვეიცარიის მთავრობის პოზიცია წინააღმდეგობაში მოდიოდა ტელეკომუნიკაციების შესახებ 1975 წლის საერთაშორისო კონვენციის ხელმოწერ სხვა სახელმწიფოების პოზიციასთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებთან, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შვეიცარიის მთავრობის მიერ განხორციელებული ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

განსხვავებული მიდგომა გამოიჩინა სასამართლომ საქმეში *Groppera*. თავის გადანყვეტილებაში სასამართლომ გამოთქვა მოსაზრება, რომ შვეიცარიაში მოქმედი აკრძალვა იტალიური რადიოსადგურების პროგრამების საეთერო მაუწყებლობაზე და, ასევე, შვეიცარიაში მათ საკაბელო რეტრანსლაციაზე არ ვრცელდებოდა კონვენციის მიერ შვეიცარიის სახელმწიფოსათვის გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ უფლებამოსილებაზე. სასამართლომ უარყო, რომ სახელმწიფოს უფლებამოსილების სფეროში შედის იმ გადაცემების მიღების რეგულირება, რომელთა რეტრანსლირება კაბელით და კანონიერად ხდება უცხოეთიდან.

Groppera საქმეში დაფიქსირებული შედეგი შესაძლებელია აიხსნას სასამართლოს დასკვნით, რომ შვეიცარიამ აკრძალვა დააკისრა კომპანიას, რომელიც დარეგისტრირებული იყო შვეიცარიის კანონმდებლობის მიხედვით და რომლის ყველა დამფუძნებელი ცხოვრობდა შვეიცარიის ტერიტორიაზე. ამგვარად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ეროვნულ ხელისუფლებას არ დაურღვევია დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები, რომლებიც მას მინიჭებული აქვს კონვენციის წესით, რამდენადაც აკრძალვა არ ატარებდა ცენზურის ფორმას, რომელიც მიმართული იქნებოდა გადასაცემი პროგრამის შინაარსის წინააღმდეგ. სასამართლოს აზრით, რადიოსადგურის მიერ განხორციელებული ჩარევა განპირობებული იყო შვეიცარიის მთავრობის დასაბუთებული ვარაუდით, რომ აღნიშნული რადიოსადგური ფაქტობრივად შვეიცარული კომპანა იყო, რომელიც მოქმედებდა საზღვრის იქითა მხარეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ გვერდი აექცია შვეიცარიის სატელეკომუნიკაციო კანონმდებლობის ნორმებისათვის.

სახელმწიფო მაუწყებლობა

სახელმწიფო სამაუწყებლო საშუალებების არსებობა არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლს. მაგრამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ გამოხატვის თავისუფლების უფლება დაირღვეოდა, თუ სახელმწიფო სადგურები მოიპოვებდნენ მონოპოლიას მაუწყებლობაზე სახელმწიფოს მასშტაბით. საქმეში *Informationsverein Lentia* და *სხვები* ავსტრიის წინააღმდეგ სასამართლომ კვლავ მიუთითა გამოხატვის თავისუფლების არსებით როლზე დემოკრატიულ საზოგადოებაში და მედიის ფუნქციაზე, გაავრცელოს საერთო საჯარო ინტერესების სფეროში შემაჯავალი ინფორმაცია და იდეები, რისი მიღების უფლება საზოგადოებასაც გააჩნია. სასამართლომ განაცხადა: „ასეთი საქმიანობა წარმატებულად ვერ განხორციელდება, თუ მას საფუძვლად არ დაედება პლურალიზმი, რომლის ძირითადი გარანტი სახელმწიფოა. ავსტრია ამბობდა, რომ სახელმწიფო მონოპოლია აუცილებელია, რათა გარანტირებული იყოს აუდიოვიზუალური მედიის მიუკერძოებლობა და ობიექტურობა და მიღწეულ იქნეს გადაცემების მრავალფეროვნება, ბალანსირებული პროგრამა, მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა“. სასამართლო ამაში ვერ დარწმუნდა. მისი აზრით, სახელმწიფო საკუთრება ამ მიზნების მიღწევის ყველაზე მეტად შემზღვეველი საშუალებაა. მან მიუთითა, რომ ევროპის სხვა ქვეყნები ცდილობდნენ იმავე მიზნების მიღწევას ისეთი საშუალებებით, რომლებიც საჯარო და კერძო საკუთრებაში არსებული სადგურების თანაარსებობის შესაძლებლობას იძლეოდა. ავსტრიაში ახალი რეჟიმის შემუშავება გაჭიანურდა. პირველ ეტაპზე მხოლოდ ორი კერძო რადიო-სადგური დაიშვა ვენის რეგიონისთვის. მომდევნო საქმეზე სასამართლომ თქვა, რომ ეს „საკვირველი“ იყო, მაგრამ აღარ არსებობდა კონვენციასთან შესაბამისობაზე მსჯელობის საჭიროება, ვინაიდან კანონი, რომელიც ამ საკითხს ითვალისწინებდა, ავსტრიის სასამართლოებმა ძალადაკარგულად გამოაცხადეს.

აკრძალვები მაუწყებლობაში

ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციის (BBC) ლიცენზიისა და შეთანხმების, ასევე, მაუწყებლობის შესახებ 1990 წლის აქტის თანახმად, შინაგან საქმეთა მინისტრს შეუძლია, მიუთითოს გადაცემათა წამყვანებს, რომ თავიანთ გადაცემებში არ გამოიყენონ გარკვეული სახის მასალები. 1988-1994 წლებში ეს უფლებამოსილება გამოიყენებოდა გარკვეული ორგანიზაციების, მათ შორის, „სინ ფეინის“, წევრებისა და მხარდამჭერების ხმის ეთერში გაშვების აკრძალვისთვის. შესაბამისად, თუ „სინ ფეინის“ პრეზიდენტისგან – ჯერი ადამსისგან აიღებ-

დნენ ინტერვიუს ტელევიზიაში ან რადიოში, მისი საუბარი უნდა მოეცილებინათ და ჩაენაცვლებინათ რომელიმე მსახიობის ხმით ან/და სუბტიტრებით. ჟურნალისტებისა და ტელეპროდიუსერების მიერ ამ მითითებების გასაჩივრებას, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, მოჰყვა ლორდთა პალატის გადანყვეტილება საქმეზე *ბრინდი შინაგან საქმეთა დეპარტამენტის სახელმწიფო მინისტრის წინააღმდეგ*.¹⁵⁰ ადგილობრივ სასამართლოებში საქმის წაგების შემდეგ, მათ სარჩელით სტრასბურგის სასამართლოს მიმართეს. თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიამ არ მიიღო მათი სასარჩელო განცხადება უსაფუძვლოების გამო. კომისია არ უარყოფდა, რომ მათ უწყებლობაში დაწესებული აკრძალვები ხელყოფდა მოსარჩელეთა გამოხატვის თავისუფლებას, მაგრამ ეს აკრძალვები დადგენილი იყო კანონით და ემსახურებოდა ტერორიზმთან ბრძოლის ლეგიტიმურ მიზანს. ისინი მცირე გავლენას ახდენდა გადაცემების წამყვანთა თავისუფლებებზე, ტერორიზმის წინააღმდეგ ზომების მიღების განსაკუთრებული სირთულე კი აღიარებული იყო სასამართლოს მიერ. ამ მიზეზთა გამო და შეფასების მასშტაბების გათვალისწინებით, უდავო იყო, რომ მთავრობამ ვერ მოახერხა დაემტკიცებინა ამ ღონისძიებების აუცილებლობა დემოკრატიული საზოგადოებისთვის. საჩივრებზე უარის თქმას მოჰყვა ეს გადანყვეტილება ირლანდიის მხრიდან, რომელიც ამტკიცებდა, რომ მსგავსი სამაუწყებლო აკრძალვები ამ ქვეყანაში ეწინააღმდეგებოდა მე-10 მუხლს¹⁵¹.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სამაუწყებლო აკრძალვას არ შეეხებია კონვენციასთან დაკავშირებული განხილვები, დიდი ბრიტანეთის ადამიანის უფლებათა შესახებ 1998 წლის აქტის შესავალი მოითხოვს იმ პრინციპის ანულირებას, რომელიც ლორდთა პალატამ ჩამოაყალიბა *ბრინდის* საქმესთან დაკავშირებით. აღნიშნული საქმის მიხედვით, დაუშვებელი იყო ადმინისტრაციული გადანყვეტილებების გადაქცევა კანონიერების განხილვის საგნად იმ საფუძვლით, რომ ისინი კონვენციას ეწინააღმდეგებოდა. 2000 წლის 2 ოქტომბრიდან საჯარო ინსტიტუტებს დაეკისრათ ვალდებულება, იმოქმედონ კონვენციაში გათვალისწინებული უფლებების შესაბამისად. ნებისმიერი სამაუწყებლო აკრძალვა მომავალში უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან მიმართებაში, რათა განისაზღვროს მისი კანონიერება.

მაუწყებლობის ხელმისაწვდომობა

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულია

¹⁵⁰ [1991] AC 696.

¹⁵¹ *Betty Purcell and Others v. Ireland*, 1991.

იდებისა და შეხედულებების გავრცელების უფლება. მაგრამ საეთერო არხების მისანვდომობას სამაუწყებლო კომპანიები აკონტროლებენ და თუ ვინმეს „იდებისა და მოსაზრებების გავრცელება“ ტელევიზიით ან რადიოთი სურს, მან თავად ტელეკომპანიებს უნდა მიმართოს. საინტერესოა, არეგულირებს თუ არა მე-10 მუხლი მათ მიერ ამ უფლებამოსილების განხორციელების საშუალებებს.

ზოგადი პასუხია „არა“. ჯორჯ ჰაიდერის მიერ ავსტრიის წინააღმდეგ აღძრულ საქმეში ჰაიდერი ავსტრიის წინააღმდეგ¹⁵² კომისიამ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლი არ აძლევს უფლებას ყველა მოქალაქესა თუ ორგანიზაციას, სამაუწყებლო მედია გამოიყენოს. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია, რომელიმე ერთი პოლიტიკური პარტია არ დაუშვან იმ სამაუწყებლო საშუალებებთან, რომლებზეც ხელი სხვებს მიუწვდებათ. ამ შემთხვევაშიც, კომისიამ განაცხადა, რომ მე-10 მუხლის საფუძველზე არ მიიღება ევროპის პარლამენტის დამოუკიდებელი კანდიდატის სასარჩელო განცხადება, რომელსაც პარტიის პოლიტიკური გადაცემის მომზადების ნება არ ღართეს¹⁵³. კომისიამ აღიარა, რომ საეთერო დროის შეზღუდვა გარდაუვალი იყო და დაადგინა, რომ იმ პარტიათა გამოსავლენი საწყისი ტესტი, რომლებსაც ეთერში გასვლის შესაძლებლობა მიეცემოდათ, შესაბამისობაში მოდიოდა მე-10(2) მუხლთან. ჰაიდერის საქმეში მოსარჩლე ასაჩივრებდა მისგან ინტერვიუს აღებისას მტრული გარემოს შექმნასაც კი. პოლიტიკოსებისგან ინტერვიუს აღებასთან დაკავშირებით კომისიამ აღნიშნა, რომ „თავისუფალი პოლიტიკური დებატების ინტერესებიდან გამომდინარე, ჟურნალისტს, რომელიც ინტერვიუს იღებს, შეუძლია, გამოთქვას კრიტიკული და პროვოკაციული შეხედულებებიც კი და არ შემოიფარგლოს ნეიტრალური რეპლიკების გამოყენებით რესპონდენტის გამონათქვამებზე, ვინაიდან ამ უკანასკნელს შეუძლია, დაუყოვნებლივ გასცეს პასუხი“.

შეზღუდვები რეკლამის გაშვებაზე

კომერციული გამოხატვისა და რეკლამის რეგულირების შესახებ ჩვენ დანვრისლებით შემდგომში შევჩერდებით. ბევრი ქვეყანა, სადაც სახელმწიფო სამაუწყებლო ინსტიტუტები არსებობს, ზღუდავს რეკლამას კომერციულ არხებზე. 1993 წელს ნიდერლანდებიდან შესულ საქმეში მოსარჩლე დაჯარიმდა ჰოლანდიის მაუწყებლობის მარეგულირებელი ორგანოს მიერ რეკლამის გაშვებაზე დანესებული შეზღუდვების დარღვევისთვის: მან საბავშვო საინფორმაციო პროგრამაში ჩართო დამატებითი მითითებები ორი სახის პროდუქციის შესახებ¹⁵⁴. კომი-

¹⁵² №25060/94 (1995) 83 DR 66.

¹⁵³ Tête v. France, 18 February, 1987.

¹⁵⁴ Nederlandse Omroep Stichting v. Netherlands, 13 October, 1993.

სიამ აღიარა, რომ ეს იყო „ჩარევა“ (და არა უბრალოდ იმ პირობის განხორციელება, რომლის თანახმადაც, ლიცენზირებულ პროგრამას მიცემული ჰქონდა ეთერში გასვლის ნებართვა, როგორც ამას მთავრობა ამტკიცებდა). კომისიამ მიიჩნია, რომ ამ შეზღუდვას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი – დაცული ყოფილიყო სხვათა უფლებები, კერძოდ კი ბავშვების უფლება, დაცული ყოფილიყვნენ საყმაწვილო სატელევიზიო პროგრამებში არაპირდაპირი რეკლამების გაშვებისგან. ამ შემთხვევაში, გადაცემაში პროდუქციის დასახელების შემთხვევით ჩართვა, სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, ბევრად უფრო მკაცრად იქნა განსჯილი. ამიტომ, შესაძლებელი იყო ჰოლანდიელი მაყურებლისთვის თავს მოეხვიათ ნიდერლანდების გარეთ დამზადებული პროგრამები, რომელთა შექმნა ან ხელახლა გადაცემა ნიდერლანდების ტერიტორიაზე განხორციელდებოდა. შესაბამისად, მოსარჩლე ამტკიცებდა, რომ მას დაუნესეს დისკრიმინაციული შეზღუდვები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-14 მუხლს. კომისიამ ეს არგუმენტიც უარყო. მან თქვა, რომ ნიდერლანდების შიგნით დამზადებული ან გადაცემული პროგრამის პოზიცია არ ექვემდებარებოდა ქვეყნის გარედან შემოსულ გადაცემებთან შედარებას.

შევიცარიიდან სასამართლოში შევიდა საქმე, რომელიც შეეხება სატელევიზიო რეკლამის გაშვებაზე უარის თქმას მისი აშკარა „პოლიტიკური ხასიათის“ გამო¹⁵⁵. ეს რეკლამა წარმოდგენილი იყო ცხოველთა დაცვის ერთ-ერთი ორგანიზაციის მიერ, რომელიც ხალხს მოუწოდებდა, რომ ნაკლები ხორცი ეჭამათ. რეკლამაში ტყეში მყოფი გარეული ღორი შედარებული იყო ინდუსტრიულად გამოყვანილ სახეობასთან. ეს სარჩელი მისაღებად ჩაითვალა მე-10 მუხლის საფუძველზე. მიღებულ იქნა ასევე აღნიშნული ორგანიზაციის მიერ მე-14 მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი სარჩელიც, რომელშიც იგი ეხებოდა სტატიას, სადაც მიუთითებდა, რომ ხორცის მწარმოებლების მიერ წარმოდგენილი რეკლამები ხალხს მოუწოდებდა, მეტი ხორცი ეჭამათ.

გაზეთების ლიცენზირება

გაერთიანებულ სამეფოში საუკუნეების მანძილზე არ ხდებოდა პრესის ლიცენზირება. თუმცა მაინც არსებობს მოთხოვნა ყველა იმ გაზეთის ტიპოგრაფებისა და გამომცემლების მიმართ, რომლის მფლობელიც არ არის კომპანიების შესახებ აქტის მიხედვით რეგისტრირებული კომპანია, – რომ „Company House“-ს (კომპანიების სახლს) ყოველწლიურად წარუდგინონ ანგარიში, დასახელებისა და მფლობელის სახელის მითითებით (საგაზეთო ტრაქტატი და 1881 წლის რეგისტრაციის აქტი).

¹⁵⁵ Verein gegen Tierfabriken v. Switzerland, 2 June, 2000.

ევროპის კომისიამ დაადგინა, რომ პრესის რეგისტრაციის სისტემა არ ეწინააღმდეგება კონვენციას, ვინაიდან არ არსებობს რეგისტრაციაზე უარის თქმის დისკრეცია (თუ მოთხოვნები დაკმაყოფილებულია) და მოთხოვნებიც აბსოლუტურად ფორმალურია. ასეთ პირობებშიც კი შეუსაბამობისთვის დაწესებული სანქცია უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10(2) მუხლს.

ეროვნული უსაფრთხოება, უწყესრიგობისა და დანაშაულების თავიდან აცილება

ეროვნული უსაფრთხოება

იმის დასადგენად, თუ როგორ იყენებს სასამართლო მე-10(2) მუხლს მთლიანობაში, როდესაც საქმე ეხება განაჩენის გამოტანას წევრ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ მათ მიერ წამოწყებული ქმედებები მიზნად ისახავდა „ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას“, ევროსასამართლო მრავალი ფაქტის გულმოდგინე ანალიზს და შეჯერებას შეუდგა. მე-10 მუხლთან შეთავსებლობის მხრივ ევროსასამართლომ შეამოწმა ორგვარი შეზღუდვა: ერთი მხრივ, შეზღუდვები პუბლიკაციაზე და გავრცელებაზე, მეორე მხრივ, პუბლიკაციის შემდეგ დაკისრებული სანქციები.¹⁵⁶ ევროსასამართლომ 1991 წლის სასამართლო საქმეებში წიგნის – „ჯამშუთა შემპყრობი“¹⁵⁷ გარშემო შეინახა საკითხი პუბლიკაციების გამოქვეყნების ამკრძალავი სასამართლო ბრძანებულებების შესახებ. ინგლისელმა მოსამართლეებმა გამოსცეს სასამართლო აკრძალვები იმ მიზნით, რომ გაზეთებში არ მოხვედრილიყო ნაწყვეტები ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის გადამდგარი ოფიცრის მემუარების წიგნიდან, რომელიც შეიცავდა ამ სამსახურის დადნაშაულებას უკანონო საქმიანობაში. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი უკვე გამოქვეყნებული იყო შეერთებულ შტატებში, სასამართლო აკრძალვები ძალაში რჩებოდა. ევროსასამართლომ უარი თქვა, გაეკეთებინა კატეგორიული განცხადება იმის თაობაზე, რომ წინა, პუბლიკაციაზე გამოცემული ბრძანება წიგნის გამოქვეყნების აკრძალვის შესახებ მე-10 მუხლის დარღვევას

¹⁵⁶ იმ საქმეთა გარდა, რომლებიც ამ ნაწილშია განხილული, 1999 წ ივლისში ევროსასამართლომ დამატებით ერთიან წარმოებაში გაერთიანებულ 13 საქმეზე გამოიტანა განაჩენი, რომელშიც სისხლის სამართლებრივ სასჯელს თურქეთი საფუძვლად უდებდა ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

¹⁵⁷ „ობზერვერი“ და „გარდიანი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

წარმოადგენდა. მაგრამ მან ასევე აღნიშნა, რომ „წინასწარი აკრძალვები“ თავის თავში მოიცავს ისეთ პოტენციურ საფრთხეს, რომ ევროსასამართლომ ისინი განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა გაანალიზოს.

„ჯაშუშთა შემპყრობის“ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ შეერთებულ შტატებში წიგნის გამოქვეყნებამდე ხელისუფლება მოქმედებდა საკუთარი დისკრეციის თავისუფლების ფარგლებში; მაგრამ წიგნის პუბლიკაციის შემდეგ ასეთი ზომების მიღების საჭიროება გაქრა. შესაბამისად, სასამართლო ბრძანებულებების ძალაში დატოვებამ თავისთავად გამოიწვია მე-10 მუხლის დარღვევა.

ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა საქმეში „Bluf!“, რომელშიც ჰოლანდიის ხელისუფლებამ ბრძანა, კონფისკაცია მოეხდინათ და ეგზემპლარებიდან ამოეღოთ ჰოლანდიის უშიშროების სამსახურის შესახებ გამოქვეყნებული ანგარიში. ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, სადავო ინფორმაცია საზოგადოებისთვის უკვე ხელმისაწვდომი იყო და ამიტომ ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მისი გამოაშკარავების თავიდან აცილება არ აკმაყოფილებდა მე-10 (2) მუხლის მოთხოვნებს „აუცილებლობის“ შესახებ.¹⁵⁸

მსგავსი საკითხების ერთობლიობა წარმოიქმნება, აგრეთვე, ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში დისციპლინისა და საბრძოლო სულისკვეთების შესახებ საკითხის განხილვისას. საქმეში გუბი ავსტრიის თავდაცვის მინისტრმა უარი განაცხადა, შეიარაღებული ძალების ჯარისკაცთა შორის გაეგრცვლებინა ერთ-ერთი ჟურნალი, რადგან მასში ქვეყნდებოდა საჩივრები ჯარში არსებულ პირობებზე. ჟურნალი მოუწოდებდა ჯარისკაცებს, საკუთარი უფროსების მიმართ აღეძრათ სისხლის სამართლის საქმეები. თუმცაღა, ევროსასამართლომ ჩათვალა, რომ მიუხედავად აშკარა პოლემიკური ტონისა, პუბლიკაციას არ გადაუღაზავს დასაშვები ზღვარი, რამდენადაც ის წარმოადგენდა სადისკუსიო ფორუმს, რომლის მიმართაც დემოკრატიული სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში მეტი მოთმინება უნდა გამოეჩინათ.

უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილება (წაქეზებისა და სიძულვილის გაღვივების ჩათვლით)

სასამართლოს მიერ ბოლოხანს გამოტანილ განაჩენებში არცთუ მცირე ადგილი უჭირავს საქმეებს, რომლებშიც სასამართლო ახდენდა შეფასებას, თუ რა ბალანსი შეიძლება არსებობდეს, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებასა და, მეორე მხრივ, არეულობების ან დანაშაულის თავიდან აცილების ლეგიტიმურ

¹⁵⁸ იხ. Vereniging weekblad Bluf! ჰოლანდიის წინააღმდეგ. კარი II, თავი II, გვ. 306.

მიზანს შორის. მრავალ მსგავს საქმეში ეროვნულმა სასამართლო სისტემებმა მომჩივნები დაადანაშაულებს ისეთი განცხადებების გამოქვეყნების ან მაუწყებლობისათვის, რომლებიც განიმარტა, როგორც ძალადობისაკენ ნაქეზება და /ან სიძულვილის გამოხატვა. საერთო წესიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ასეთ საქმეებში სასამართლოს, ჩვეულებრივ, მე-10 მუხლის დარღვევის განაჩენი გამოჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი გამოსვლა მართლაც შეიცავდა მუქარის სიტყვებს (ეს არ ეხება შემთხვევებს, სადაც აშკარაა მოწოდება ძალადობისაკენ).

კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებული საქმეებისადმი თავისი ზოგადი მიდგომების შესაბამისად, სასამართლო, როგორც წესი, ამ საქმეებს ფაქტების სკურპულოზურად შესწავლის საფუძველზე განიხილავდა.

მე-10 მუხლის მოქმედების სფეროდან სასამართლო კატეგორიულად არ გამორიცხავდა მუქარის შემცველ გამონათქვამებს და მსგავს გამონათქვამებზე დაწესებულ შეზღუდვებს არამართებულ მიზნად არ მიიჩნევდა.¹⁵⁹ მაგალითად, 1999 წ. 8 ივლისს სასამართლოს დიდმა პალატამ გამოიტანა განაჩენი 13 საჩივრის თაობაზე თურქეთის წინააღმდეგ, რომელთაგან 11-ში დარღვევა დაადგინა. ყველა აღძრული საქმე ეხებოდა სისხლის სამართლებრივ დევნას სხვადასხვა ფორმის გამონათქვამების გავრცელებისათვის, რომლებიც თურქეთის მთავრობამ ძალმომრეობისკენ ნაქეზებად ჩათვალა. თითოეულ საქმეში ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მსჯავრდება განმცხადებლის უფლებაში „ჩარევის“ ტოლფასი იყო – თავისუფლად გამოეხატა აზრი, მაგრამ „ჩარევა“ „კანონით გათვალისწინებული“ იყო და შეესაბამებოდა კანონიერ მიზანს, თანახმად მე-10 (2) მუხლისა. ამიტომ თითოეულ ამ სასამართლო საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საკითხს: წარმოადგენდა თუ არა ჩარევა აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამიტომ, ამ საკითხებზე განაჩენის გამოტანისას სასამართლომ გულდასმით გაანალიზა განცხადებების შინაარსში დაცული სიტყვიერი ფორმულირებაც, კონტექსტიც, რომელშიც გაკეთდა განცხადება და ბრალდებულის მიმართ გატარებული სანქციების ხასიათიც.

საქმეები *სეილანი თურქეთის წინააღმდეგ* და *სურეკი I* თვალნათლივ გამოხატავს სასამართლოს მიდგომას და გვიჩვენებს, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკითხს, შესაძლებელია თუ არა, განვმარტოთ პუბლიკაცია, როგორც ძალმომრეობისკენ ნაქეზება. საქმეში *სეილანი* განმცხადებელმა (მომჩივანმა) დაწერა სტატია, შემდეგი სათაურით: „მოვიდა დრო, ჩვენი სიტყვა ვუთხრათ მუშებს –

¹⁵⁹ მე-10 მუხლის დაცვის სფეროდან სასამართლომ კატეგორიულად გამორიცხა რასისტული გამონათქვამები *ჯერსილდის* საქმეში.

ხვალ ძალიან გვიან იქნება“. აღნიშნული სტატია გამოქვეყნდა და ავტორი თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 312-ე მუხლით გაასამართლეს, მტრობისა და სიძულვილის გაღვივებისთვის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური მრწამსის ან საზოგადოებრივი კლასის კუთვნილების ნიშნით. მას ფულად ჯარიმასთან ერთად მიუსაჯეს პატიმრობა 1 წლითა და 8 თვით. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო არაფერი იყო: მომჩივანის გასამართლება მისი სტატიის გამოქვეყნების გამო ითვლებოდა „ჩარევად“ მე-10 მუხლის თანახმად, და ასეთი „ჩარევა“ კანონით იყო გათვალისწინებული. რაც შეეხება საკითხს, ისახავდა თუ არა აღნიშნული ჩარევა ლეგიტიმურ მიზანს, თურქეთის განცხადებით, ასეთი მიზანი იყო ეროვნული უსაფრთხოების დაცვა, არეულობების თავიდან აცილება და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა მე-10 (2) მუხლის მოთხოვნების თანახმად. მაგრამ ევროსასამართლომ ეს პოზიცია ავტომატურად არ გაიზიარა. ამის ნაცვლად, სასამართლომ შეისწავლა გარემოება, რომელშიც მოხდა მსჯავრდება და ეს გარემოებები შემდეგნაირად შეაფასა: „სიტუაციის უკიდურესი არამდგრადობა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში“, სადაც სეპარატისტული მოძრაობა ძალმომრეობას მიმართავდა. ამ ფაქტობრივი გარემოების საფუძველზე სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მომჩივანის მსჯავრდება მე-10(2) მუხლში ჩამოთვლილ მიზნებს ისახავდა.¹⁶⁰

საკვანძო საკითხის – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ – განსაზღვრისას კი სასამართლომ აღნიშნა, რომ სტატიას პოლიტიკური გამოსვლის ფორმა ჰქონდა. სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა მის მიერ ხშირად მოხსენიებული პრინციპი, რომ „კონვენციის მე-10 (2) მუხლი თითქმის არ იძლევა საშუალებას გამოხატვის შესაზღუდად პოლიტიკური დისკუსიების სფეროში ან საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას“ და რომ „კრიტიკის დასაშვები ფარგლები უფრო ფართოა ხელისუფლების მიმართ, ვიდრე კერძო პირების ან, თუნდაც, პოლიტიკოსების.“ ამავე დროს, სასამართლომ აღნიშნა, რომ სტატია „მუქარის“ სტილში იყო დაწერილი და რომ ხელისუფლებას „საზოგადოებრივი წესრიგის გარანტიის სახით“ შეუძლია, მიიღოს სისხლის სამართლის ზომები, რომლებიც გამონათქვამების ადეკვატური უნდა იყოს და არ უნდა წარმოადგენდეს გადაჭარბებულ რეაქციას“.

სასამართლოს წინაშე წამოიჭრა პრობლემატური საკითხი – თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს სადავო განცხადებები „სიძულვილის გაღვივებად კერძო პირის, სახელმწიფო მოხელის ან მოსახლეობის ნაწილის მიმართ“. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ხელისუფლება სარგებლობს დისკრეციის დიდი თავისუფ-

¹⁶⁰ Seylan v. Turkey, 8 July, 1999.

ლებით აზრის გამოსატყვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობის შეფასების დროს“, მაგრამ მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შემდეგ ევროსასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მიუხედავად მუქარის შემცველობისა, სტატია არ მოუწოდებდა ძალმომრეობისაკენ. ამ მოსაზრების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანზე დაკისრებული სასჯელის ხასიათსა და სიმკაცრეს მიყვავართ ჩარევამდე, რომელიც არ შეესაბამება დასახულ მიზანს და ამიტომ მე-10 მუხლის დარღვევას წარმოადგენს.

სელიანის საქმისაგან განსხვავებით, სურეკ-ის¹⁶¹ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთის მთავრობის მიერ ჟურნალის მფლობელის მსჯავრდება მკითხველის ორი წერილის გამოქვეყნების გამო, არ წარმოადგენდა მე-10 მუხლის დარღვევას. წერილის ავტორები საკმაოდ მკაცრი გამონათქვამებით „ამკობდნენ“ ხელისუფლების ქმედებას თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში და ბრალს სდებდნენ მას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ქურთი მოსახლეობის ბრძოლის სასტიკ ჩახშობაში – „ხოცვა-ჟლეტაში“, „მხეცობასა“ და „სისხლისღვრაში“. სასამართლოს აზრით, სადავო წერილები წარმოადგენს მონოდებას სისხლიანი შურისძიებისაკენ. უფრო მეტიც, უნდა აღინიშნოს, რომ წერილები გამოქვეყნდა თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, სადაც დაახლოებით 1985 წლიდან არ წყდებოდა სერიოზული საზოგადოებრივი არეულობები უშიშროების ძალებსა და ქურთული მუშათა პარტიის წევრებს შორის, რამაც გამოიწვია ხალხის მასობრივი ჟლეტა და ტერიტორიის უმეტეს ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღება (...). ამ კონტექსტში წერილების შინაარსი უნდა ჩაითვალოს რეგიონში ძალადობის შემდგომი ესკალაციის გამომწვევად – ღრმა და ირაციონალური სიძულვილის დანერგვის გზით იმ პირების მიმართ, რომელთაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ მხეცობებზე. მართლაც, წერილების გაცნობის შემდეგ მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ აგრესორის მიმართ ძალადობის გამოყენება თავდაცვის აუცილებელსა და გამართლებულ ზომას წარმოადგენს.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ წერილში, სათაურით „ეს ჩვენი შეცდომა“, იდენტიფიცირებული არიან კონკრეტული პირები, რომელთა მიმართაც სიძულვილი ლევიდება, რაც აღნიშნულ პირებს აყენებს ფიზიკური ანგარიშსწორების საშიშროების წინაშე. სწორედ ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანის მსჯავრდების მხარდასაჭერად ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევის თაობაზე, წარმოადგენს როგორც ადეკვატურ, ასევე საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ სახელმწიფო ჩაერიოს მომჩივანის გამოხატვის თავისუფ-

¹⁶¹ იხ. კარი II, თავი II, გვ. 317.

ლებაში. სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ჩარევის საფუძვლად არ კმარა მხოლოდ ის ფაქტი, რომ „ინფორმაცია“ ან „იდეები“ შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემაშფოთებელია. არსებულ საქმეში დავის საგანია სიძულვილის გავლენა და ძალმომრეობისთვის წაქეზება. ტერორიზმის თავიდან აცილების შესახებ თურქეთის კანონების შესაბამისად, ჟურნალის მფლობელი დამნაშავედ ცნეს სახელმწიფოს ერთიანობის წინააღმდეგ პროპაგანდისტული გამონათქვამების გავრცელებაში და მას ფულადი ჯარიმის გადახდა დააკისრეს. ბრალდებას საფუძვლად დაედო თურქი მოსამართლის დასკვნა იმის თაობაზე, რომ წერილები შეიცავდა თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ სიტყვებს. მაგალითად, პუბლიკაციაში თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონები დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იწოდებოდა, ხოლო ქურთული მუშათა პარტიის საქმიანობა – ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად. „ჩარევის“ შეფასებისას ამ საქმეში ევროსასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება მასმედიის „უმნიშვნელოვანეს როლზე“ „პოლიტიკური დემოკრატიის სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად“ და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მე-10 (2) მუხლი თითქმის არ ტოვებს საშუალებას, შეიზღუდოს გამოხატვა პოლიტიკური დისკუსიების სფეროში, ან საზოგადოებრივად საინტერესო საკითხების განხილვის დროს. სასამართლომ აღნიშნა, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წერილებში გამოყენებულ სიტყვებს და კომენტარებს.¹⁶² მან მხედველობაში მიიღო, აგრეთვე, ტერორიზმის თავიდან აცილებასთან დაკავშირებული პრობლემები და დაადგინა:

„სახეზეა აშკარა განზრახვა, ცილი დასწამონ კონფლიქტის მეორე მხარეს ისეთი იარაღების მიწებების გზით, როგორცაა, მაგალითად, „თურქეთის ფაშისტური ჯარი“, „თურქი მკვლელების ბანდა“ და „იმპერიალიზმის დაქირავებული მკვლელები.“

„ჩარევის“ მართლზომიერების შეფასებისას, ისევე როგორც „სელიანის“ საქმეში, ევროსასამართლომ მხედველობაში მიიღო სასჯელის ხასიათი და სიმკაცრე. მოცემულ შემთხვევაში, მომჩივანს მხოლოდ „ძალზე მოკრძალებული ჯარიმა“

¹⁶² სასამართლომ არ გაიზიარა გამომცემლის არგუმენტი, რომ თავად იგი არ ეთანხმებოდა წერილებში გამოთქმულ შეხედულებებს. სასამართლომ განაცხადა: „მიუხედავად ამისა, მან ამ წერილის ავტორებს ასპარეზი დაუთმო ძალმომრეობისა და სიძულვილის გასაჩაღებლად. სასამართლო არ ღებულობს მის არგუმენტებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ ჟურნალისტთან მას მხოლოდ კომერციული ურთიერთობა აქვს. ის იყო ჟურნალის მფლობელი და საშუალება ჰქონდა, მოეხდინა სარედაქციო ხაზის ფორმირება“.

ეკისრებოდა, რომლის მოცულობაც თურქეთის მთავრობამ მოგვიანებით გაანახევრა. ამიტომ, ამ ფაქტორმა, დისკრეციის ფართო თავისუფლებასთან ერთად, სიძულვილისა და ძალმომრეობის გავლევების მონოდების საფუძველზე, სასამართლო მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მე-10 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

სასამართლომ ანალოგიურად გაანალიზა ფაქტები მე-10 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეში *ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ*. მოცემული საქმე აღიძრა *ჟურნალისტის ტელეინტერვიუს ტრანსლაციის შემდეგ რასისტული ჯგუფის* სამ წევრთან, რომლებიც შეურაცხყოფელ და დამამცირებელ შენიშვნებს ავრცელებდნენ ემიგრანტებისა და ეთნიკური ჯგუფების მიმართ. *ჟურნალისტი* ამტკიცებდა, რომ მისი გასამართლება და განაჩენის გამოტანა რასისტული შენიშვნების გავრცელების ხელის შეწყობისთვის და წაქეზებისთვის – მე-10 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა. დანიის ხელისუფლებამ აღიარა, რომ მე-10 მუხლი ესადაგება განსახილველ პროგრამას, მაგრამ მოითხოვა: ევროსასამართლოს ისე არ განემარტა მე-10 მუხლი, რომ შეზღუდულიყო რასობრივი დისკრიმინაციისაგან საზოგადოების დაცვის უფლება. მით უმეტეს, რომ ეს უფლება სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით არის გარანტირებული.

ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნული მთავრობის მიერ *ჟურნალისტისთვის* გამოტანილი განაჩენი არ შეესაბამებოდა რასისტული შეხედულებების პროპაგანდის თავიდან აცილების მართლზომიერ მიზანს. საქმეში „*ჯერსილდი*“ ევროსასამართლომ შეაფასა ის მანერა, რომლითაც მომზადებული იყო სატელევიზიო სიუჟეტი, მისი შინაარსი, კონტექსტი და სატელევიზიო პროგრამის მიზნები. სასამართლოს შეფასებაში მნიშვნელოვანი იყო მოსაზრება, რომ სიუჟეტი, რომელზეც ვსაუბრობთ – მთლიანობაში და ობიექტურად – რასისტული შეხედულებების და იდეების პროპაგანდას ხელს არ უწყობდა. ამ საქმის განსხვავებული ნიშანი იყო ის, რომ მომჩივანი არა მარტო თავად არ აკეთებდა მიუღებელ განცხადებებს, არამედ გაემიჯნა კიდეც მის რესპონდენტებს და ასევე საკადრისი პასუხი ვაცა ზოგიერთი მათგანის რასისტულ განცხადებებს.

უხამსობა და მკრეხელობა

აღსანიშნავია, რომ ევროკონვენციის 10-ე მუხლის II პუნქტი, რომელიც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებს აწესებს, იცავს მორალურ ნორმებსაც. ეს ნიშნავს, რომ მორალის დასაცავად ევროკონვენციის წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან, ჩაერიონ გამოხატვის თავისუფლებაში, თუ, რა თქმა უნდა, არსებობს ამგვარი ჩარევის განხორციელები-

სათვის აუცილებელი დანარჩენი ორი ელემენტი (შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით, შეზღუდვის განხორციელება აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის დასაცავად). პრინციპში, ამგვარ შემთხვევებში სასამართლო ეროვნულ ხელისუფლებას უტოვებს ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას, რაც განპირობებულია თითოეულ წევრ სახელმწიფოში ან, თუნდაც, მის განსხვავებულ რეგიონებში არსებული „მორალის“ სპეციფიკურობით. ევროკონვენციის წევრი სახელმწიფოების სასამართლოები ვალდებული არიან, ისეთ მგრძობიარე სფეროშიც კი, როგორცაა მორალი, არ დაუშვან სიტყვის თავისუფლების ზოგადი ან/და მუდმივი შეზღუდვა. ეროვნულ სასამართლოებს მითითებული აქვთ პროპორციულობის პრინციპის დაცვა: სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა მნიშვნელოვანია, თუ საქმე ეხება ბავშვებს ან ახალგაზრდებს. შეზღუდვა ასევე დასაშვებია, თუ დამტკიცდება, რომ ის აუცილებელია „ამორალური“ ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად.

აღსანიშნავია, რომ ევროსასამართლოს იურისპრუდენციაში მორალისა და უხამსობის ერთმანეთთან დაპირისპირების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საქმე *მიულერი შვეიცარიის წინააღმდეგ*. ამ საქმეში შვეიცარიის მიერ სიტყვის თავისუფლებაში განხორციელებული ჩარევა სასამართლომ მიიჩნია გონივრულად და „საჭიროდ დემოკრატიულ სახელმწიფოში მორალის დასაცავად“. თანამედროვე ხელოვნების გამოფენაზე ბატონმა მიულერმა გამოიტანა თავისი მოზრდილი ნახატი, რომელზეც ასახული იყო სოდომური სცენები, ზოოფილია და ჰომოსექსუალიზმი. გამოფენა ასაკის შეუზღუდავად და უფასოდ იყო ხელმისაწვდომი ფართო პუბლიკისათვის. შვეიცარიის სასამართლოებმა, უხამსი პუბლიკაციების ამკრძალავი კანონისმიერი დებულების საფუძველზე, დააჯარიმეს ბატონი მიულერი და გამოფენის ორგანიზატორები. ნახატები დააყადაღეს და შესანახად გადაგზავნეს ხელოვნების მუზეუმში. თუმცა მოგვიანებით ეს ნახატები ბატონ მიულერს მაინც დაუბრუნეს, რასაც მოჰყვა მისი და გამოფენის ორგანიზატორების ჩივილი კომისიაში. მათ განაცხადეს, რომ დაჯარიმებით, ისევე, როგორც დაყადაღებით, დაირღვა მათი სიტყვის თავისუფლება.

იმის დასადგენად, იყო თუ არა სიტყვის თავისუფლებაში ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სასამართლო შეეხო მორალის ერთიანი კონცეფციის არარსებობას წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოები „მორალის“ საკითხის გადაწყვეტის დროს გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლეები, რადგან ეროვნულ მოსამართლეს პირდაპირი შეხება აქვს მათი ქვეყნის რეალობასთან. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ: „ნახატები უხეშად გამოხატავდნენ სექსუალურ ურთიერთობას, კერძოდ, ადამიანებსა და

ცხოველებს შორის... მთელ საზოგადოებას ჰქონდა თავისუფალი დასწრების სა-
შუალება, რადგან ორგანიზატორებმა არ გაითვალისწინეს ასაკობრივი ან ფინან-
სური შეზღუდვა. ნახატები გამოფენაზე გამოტანილი იყო შეუზღუდავად, მთელი
საზოგადოების წინაშე“.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული მოსამართლეების მოსაზრება ნახატე-
ბის მავნე სექსუალური ზეგავლენის შესახებ გონივრული იყო. სასამართლომ
გადაწყვიტა, რომ ეროვნულ ხელისუფლებას ჰქონდა კანონიერი უფლება, რათა
„მორალის“ დაცვის „აუცილებელ“ ზომად ჯარიმის დაკისრება მიეჩნია. სასამარ-
თლომ გადაწყვიტა, რომ ნახატების დაყაღდება ასევე „აუცილებელი“ იყო, რათა
შენწყვეტილიყო მათი საჯარო დემონსტრირება. როდესაც სასამართლომ ეს უკა-
ნასკნელი გადაწყვეტილება მიიღო, იქვე აღნიშნა, რომ მხატვარს ნებისმიერ დროს
შეეძლო, ნახატის დაბრუნება მოეთხოვა, რადგან ყადაღა დროებითი იყო.

„შინაგანი რწმენის“ საკითხების დაცვისთვის გამიზნული ჩარევების შეფასე-
ბისას, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ, ზოგადად, უფრო ფრთხილი
მიდგომა აირჩია, ვიდრე საჯარო ინტერესის მქონე მოვლენებთან დაკავშირებულ
პოლიტიკურ გამოსვლებსა და დებატებთან მიმართებაში, მიანიჭა რა ხელშემკე-
რელ მხარეებს შეფასების მეტი დისკრეცია. ევროპის სასამართლოს განმარტე-
ბით, ეროვნული ხელისუფლებისადმი ასეთი დიდი ნდობის გამოცხადება განპი-
რობებულია იმ გარემოებით, რომ ზნეობრივი ღირებულებებისა და რელიგიური
მრწამსის დაცვის სფეროში, რომელსაც საფრთხე ემუქრება, „ერთიანი ევროპული
მიდგომა“ არ არის ჩამოყალიბებული.

სასამართლოსთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, წარმოადგენს თუ არა პი-
როვნების რელიგიური მრწამსის დაცვისკენ მიმართული ჩარევები ლეგიტიმურ
მიზანს, მე-10(2) მუხლის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ მე-10(2) მუხლი
აშკარად მიუთითებს „ზნეობრივი ღირებულებების“ დაცვაზე, მასში არ გვხვდება
შესაბამისი ტექსტუალური მითითება იმაზე, თუ რა სახის ინტერესია დაცული მკრე-
ხელობის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობით. ორ საქმეზე, რომელიც
შეეხებოდა ფილმში რელიგიური რწმენის შეურაცხმყოფელად მიჩნეული მასალების
გამოყენებისთვის ხელის შეშლას, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ
განმარტა, რომ ასეთი დამცავი მიზანი ლეგიტიმურია და შეესაბამება „სხვათა
უფლებების“ დაცვის ფარგლებს, რომლებიც გათვალისწინებულია მე-10(2) მუხლით.
ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა რელიგიის თავისუფლების დაცვის
მექანიზმებზე, რომლებიც მოცემულია კონვენციის მე-9 მუხლში.

ამ სფეროში ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკას შემ-
დეგი თავისებურებები ახასიათებს:

1. ზნეობრივი ღირებულებების დაცვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი

მიზანია ბავშვების დაცვა, და პიროვნების რელიგიური რწმენის დაცვა წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზანს, მე-10 (2) მუხლის მიხედვით.

2. იმისათვის, რომ განისაზღვროს, არის თუ არა „დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელი“ რომელიმე კონკრეტული ჩარევა, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო ეროვნულ ხელისუფლებას ანიჭებს შეფასების დისკრეციას, როდესაც სადავო გამოხატვა უკავშირდება „შინაგანი რწმენის“ საკითხებს და არ შედის საჯარო ინტერესის მქონე მოვლენების შესახებ პოლიტიკური გამოხატვისა და დებატების სფეროში.

მართლმსაჯულება და მედია

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განიხილა მრავალი საქმე, რომელიც ეხებოდა ჟურნალისტების მიერ სასამართლო პროცესების გაშუქებასა და მათ კომენტირებას. ამ საქმეებში მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ჩარევა გულისხმობს ისეთ კანონიერ მიზნებს, როგორიცაა „მართლმსაჯულების მიუკერძოებლობისა და ავტორიტეტის შენარჩუნება“. თუმცა, ამასთან ერთად, რიგ შემთხვევებში წევრ სახელმწიფოს კანონიერ მიზანს წარმოადგენდა ასევე კონკრეტული სასამართლო მოხელეების რეპუტაციის დაცვა. სასამართლო აღნიშნულ საქმეებს მრავალმხრივ კონტექსტში განიხილავს: სასწორის ერთ მხარეს არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უფლებები და მოვალეობები – მოახდინონ საზოგადოების ინფორმირება მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების შესახებ და მეორე მხარეს – სასამართლოსა და მართლმსაჯულების ორგანოების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების აუცილებლობა. აღნიშნული შეხედულება ყველაზე მკაფიოდ ჩამოყალიბდა საქმეში *პრაგერი და ობერშლიკი*:

„სამართლებრივ სახელმწიფოში პრესის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, მოიცავს იდეებისა და ინფორმაციის გავრცელებას მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების შესახებ – იმ სახელმწიფო ინსტიტუტის შესახებ, რომლის არსებობა სასიცოცხლოდ აუცილებელია ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოებისათვის. პრესა ერთ-ერთი ის ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას შეუძლიათ დარწმუნდნენ, რომ მოსამართლეები ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს თავიანთი უფლებამოსილების პროცესსა და ფარგლებში.“

მართლმსაჯულება სამართლებრივ სახელმწიფოში ძირითადი ფასეულობების

დაცვის საშუალება; ამიტომ, ის უნდა სარგებლობდეს საზოგადოებრივი ნდობით, რათა თავისი მოვალეობები წარმატებით შეასრულოს. შესაბამისად, აუცილებელია მართლმსაჯულების მიმართ ნდობის დაცვა უსაფუძვლო თავდასხმებისაგან, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეებს შეზღუდული აქვთ უფლება, კომენტარი გააკეთონ მართლმსაჯულების საკითხებზე და შესაბამისად, სათანადოდ უპასუხონ კრიტიკას.

ამ გარემოებების მიუხედავად, სასამართლომ გადაჭრით თქვა უარი, ჩამოეყალიბებინა რაიმე კატეგორიული წესები, რომლებიც რაიმენაირად შეზღუდავდა სასამართლო პროცესების შესახებ კომენტარებისა და ინფორმაციის გავრცელებას. ამასთანავე, სასამართლომ მიუთითა, რომ „მოსამართლეებს არ შეუძლიათ საქმიანობა იზოლირებულად“ და რომ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება მართლმსაჯულების მიუკერძოებლობისა და ავტორიტეტის შენარჩუნების თაობაზე „არ აძლევს სახელმწიფოებს უფლებას, რაიმე ფორმით შეზღუდონ სასამართლო განხილვაში მყოფი საკითხების შესახებ საზოგადოებრივი დისკუსია“. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ სასამართლო პროცესების შესახებ საკითხების წინასწარი და იმავდროული განხილვა ხელს უწყობს სასამართლო პროცესის საჯაროობას და სრულ შესაბამისობაშია კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტთან, რომელიც ანებს საქმის საჯარო განხილვის პრინციპს.

ამავდროულად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიუთითა, რომ ჟურნალისტები მხოლოდ აცნობიერებენ მე-6 მუხლის I პუნქტით გათვალისწინებულ გარანტიებს, რომლებიც უკავშირდება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას და იმას, რომ მათ მიერ საკითხის გამოქვეყნებამ არ უნდა მიაყენოს ზიანი ბრალდებულის გარანტირებულ უფლებას სამართლიან სასამართლოზე. მე-10 მუხლთან წინააღმდეგობაში მყოფი აღნიშნული ინტერესი, შესაძლებელია, დაიყოს სამ ფართო კატეგორიად: I. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება; II. სამოქალაქო საქმეებზე საკითხების წინასასამართლო განხილვა; III. მართლმსაჯულების ავტორიტეტის შენარჩუნება, რაც უკავშირდება სასამართლოს ან სასამართლოს ცალკეული მოხელეების ინტენსიურ კრიტიკას.

კომენტარების ან ინფორმაციის გავრცელება სასამართლოს განსახილველი საკითხების შესახებ

უნდა ვთქვათ, რომ სასამართლო სისტემასა და პრესას შორის დაპირისპირების ძირითადი მიზეზი არის შემდეგი – სასამართლო ხელისუფლება შიშობს „მე-

დიის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების“ გამო. კერძოდ, სასამართლო ხელისუფლება ეჭვს გამოთქვამს, რომ საინფორმაციო საშუალებების მიერ პროცესების ცალკეული ასპექტების გაშუქებამ შესაძლოა, ზიანი მიაყენოს სისხლის ან სამოქალაქო საქმეებში გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც ევროსასამართლომ განიხილა „სანდი ტაიმსის“ (№1) საქმე (ევროსასამართლოს განხილული აქვს ასევე სხვა საქმე, სადაც „სანდი ტაიმსი“ მომჩივანს წარმოადგენდა, ხოლო დიდი ბრიტანეთი მოპასუხეს), მთავრობამ საგაზეთო სტატიის გამოქვეყნების აკრძალვის შესახებ სასამართლო ბრძანება გაამართლა მართლმსაჯულების და მიუკერძოებლობის დაცვით და სასამართლო თანამდებობის პირებისადმი ნდობის შენარჩუნების მიზნით.

გაზეთმა ევროსასამართლოს მიმართა და განაცხადა, რომ გამოქვეყნების აკრძალვით მისი სიტყვის თავისუფლება დაირღვა. მთავრობამ აკრძალვა გაამართლა „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და ავტორიტეტის“ შენარჩუნების უზრუნველყოფით. სასამართლომ ეს მიზეზი კანონიერად მიიჩნია და ამის შემდეგ შეუდგა „აუცილებლობის“ ფაქტორის გარკვევას. სასამართლომ განიხილა დაინყო იმის შესენებით, რომ „სიტყვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს“ და ის ესადაგება არა მარტო ისეთ ინფორმაციას, რომლის მიღება სასიამოვნოა, ან შეფასებულია, როგორც უწყინარი თუ ინდიფერენციულობის მატარებელი, არამედ ისეთსაც, რომელიც შეურაცხყოფს, შოკს ჰგვრის, ან აფორიაქებს სახელმწიფოს თუ მოსახლეობის რომელიმე სექტორს.

„ეს პრინციპები თანაბრად შეესაბამება მართლმსაჯულების ადმინისტრირების იმ სფეროს, რომელიც ზოგადად საზოგადოების ინტერესებს ემსახურება და საქმეში ჩახედული ხალხისაგან თანამშრომლობას მოითხოვს. ეს არის იმ ფაქტის აღიარება, რომ სასამართლოებს ვაკუუმში მოქმედება არ შეუძლიათ. უფრო მეტიც, ვიდრე არ გადააბიჯებს მართლმსაჯულების ადმინისტრირებისათვის დაწესებულ საზღვრებს, მანამ მასმედია ვალდებულია, გაავრცელოს ის ინფორმაცია და იდეები, რომლებიც განიხილება სასამართლოზე ან საჯარო ინტერესების მატარებელ სხვა სფეროებში. არამარტო მასმედიას აქვს ინფორმაციისა და აზრების გავრცელების ვალდებულება: ხალხსაც აქვს უფლება, მიიღოს ისინი“.

ინტერესთა დაბალანსებისას სასამართლომ დაასკვნა, რომ გაზეთის წინააღმდეგ მიღებული ბრძანება „არ ეხმიანებოდა იმ ძლიერ სოციალურ მოთხოვნას, რომელიც ბალანსს მოახდენდა სიტყვის თავისუფლების სასარგებლოდ... ეს შეზღუდვები მოწმობს, რომ ის არ წარმოადგენდა კანონიერი მიზნის პროპორციულს, ესე იგი, არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში მართლმსაჯულების ავტორიტეტის შესანარჩუნებლად“.

სამართლიანი სასამართლო განხილვის დაცვა

რაც შეეხება სისხლის სამართალწარმოებას, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მედიის მიერ ამგვარი საქმეების გაშუქებამ შესაძლებელია დაარღვიოს კონვენციით გათვალისწინებული მეორე უფლება – მე-6 მუხლის I პუნქტში ფორმულირებული სასამართლო გარანტია სამართლიან სასამართლო განხილვაზე. „ლორმის“ საქმეში ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ დაადგინა, რომ გარკვეული გარემოებების არსებობისას, აღნიშნულმა გარანტიამ, შესაძლოა, გადასწონოს გამოხატვის თავისუფლება.

გამოხატვის თავისუფლებაში განხორციელებული სხვა ჩარევები, რომლებიც აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებისათვის

მრავალ სხვა საქმესთან ერთად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გამოიჩინა გადაწყვეტილება, სადაც განაცხადა, რომ მართლმსაჯულების ინტერესების განხორციელების მიზნით მომხდარი ჩარევა მე-10 მუხლით გათვალისწინებულ თავისუფლებაში – კონვენციის დარღვევა იყო. ასეთ შემთხვევებში ერთმანეთის საპირსწინედ ევროკონვენციით განსაზღვრული ორი სხვადასხვა ინტერესი კი არ იდგა, არამედ საკითხები, რომლებიც მთლიანად ხვდება მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მართლმსაჯულების მიუკერძოებლობისა და ავტორიტეტის შენარჩუნების კანონიერი მიზნის დაცვის სფეროში. „ფექტის“ საქმე ეხებოდა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ დადებულიყო აკრძალვა საგაზეთო სტატიის პუბლიკაციაზე შემდეგი მოტივით: ერთ-ერთი სამოქალაქო საქმის განხილვისას, აღნიშნული პუბლიკაციის გავრცელებას შეეძლო, ზიანი მიეყენებინა გადაწყვეტილების მიღების ნორმალური პროცესისათვის. „სანდი ტაიმსი“ პირველის საქმეში ინგლისის სასამართლომ აკრძალა იმ სტატიის გამოქვეყნება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ პრეპარატ ტალიდომიდის დამამზადებელი მოქმედებდა გაუფრთხილებლად, რის შედეგადაც ბევრ ორსულ ქალს სერიოზული ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვი გაუჩნდა. ამგვარი სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას ინგლისის სასამართლოები ხელმძღვანელობდნენ იმ მოსაზრებით, რომ აღნიშნულ პუბლიკაციას შეეძლო, სასამართლოსთვის წინასწარ ჩამოეყალიბებინა აზრი პრეპარატების მოქმედების თაობაზე. განსახილველ საქმეში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ 11 ხმით 9-ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ ასეთ ვითარებაში მოპასუხეს ძალიან ვიწრო დისკრეციის თავისუფლება აქვს.

სხვა საქმეში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მე-10 მუხლის დარღვევად მიიჩნია ჟურნალისტის დასჯა იმის გამო, რომ მან გაავრცელა ინ-

ფორმაცია კონფიდენციალური სასამართლო განხილვის შესახებ. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიუთითა, რომ თანახმად მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა, ჩარევა არ იყო აუცილებელი, რადგანაც ინფორმაცია საზოგადოების საკუთრება გახდა ჟურნალისტის მიერ მის გამოქვეყნებამდე და, შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება რაიმე საფრთხეს არ უქმნიდა სასამართლო გამოძიებას.

მოსამართლეებისა და ცალკეული სასამართლო მოხელეების უპატივცემულობა

აღნიშნული ინტერესი დაცვის საგანი იყო „სასამართლო კატეგორიის“ საქმეების უმეტესობაში და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები მათ შესახებ არ ხასიათდება განსაკუთრებული თანმიმდევრულობით, რაც ასახავს სასამართლოს წევრთა განსხვავებულ მიდგომას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მთავარი დასკვნა, რისი გამოტანაც ამ სასამართლო საქმეებიდან შესაძლებელია, არის შემდეგი: იმის მიუხედავად, რომ ევროსასამართლო ზოგადად მხარს უჭერს სასამართლოების საქმიანობის გაშუქებას მედიის მხრიდან, მაინც იმისაკენ იხრება, რომ დეტალურად განიხილებოდეს ყველა კრიტიკული კომენტარი, რომელიც შესაძლოა, ზღვარგადასულად იხსენიებდეს ცალკეულ სასამართლო მოხელეს, ან ზიანს აყენებდეს ზოგადად მართლმსაჯულების განხორციელების კანონიერ მიზანს.

ორ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ კომენტარები წარმოადგენდა უფრო პირადულ თავდასხმას კონკრეტულ სასამართლო მოხელეებზე, ვიდრე მთლიანად სასამართლო სისტემის შეფასებას. „ბეთსფორდის“ საქმეში სასამართლომ ჟურნალისტი მიიჩნია ბრალეულად დიფამაციაში იმის გამო, რომ მან საგაზეთო სტატიაში განაცხადა შემდეგი: ერთ-ერთი საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის განხილვისას ბევრი არაპროფესიონალი მოსამართლე ვითომდა მოიქცა არა როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მსაჯული, არამედ როგორც გრენლანდიის ადგილობრივი მთავრობის სახელმწიფო მოხელე. ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ სტატია წარმოადგენდა ეროვნულ თავდასხმას ორ არაპროფესიონალ მოსამართლეზე და შესაძლოა, ნეგატიურად ასახულიყო მათ საზოგადოებრივ რეპუტაციაზე. ანალოგიური მიდგომა დაფიქსირდა ასევე *პრაგერისა* და *ობერშლიკის* საქმეზე. ამ საქმეში ორი ჟურნალისტი ავსტრიის სასამართლობაში მიიჩნიეს დამნაშავედ სისხლისსამართლებრივად დასჯად დეზინფორმაციაში იმის გამო, რომ საგაზეთო სტატიაში მკვეთრად აკრიტიკებდნენ გარკვეულ მოსამართლეებს. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ განსახილველი

განცხადებები არა მარტო მოსამართლეების პირადი რეპუტაციის დისკრედიტირებას ახდენდა, არამედ საფრთხეს უქმნიდა ზოგადად სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის შენარჩუნებას. ანალოგიური საკითხები განხილულია „დერჰაისის“ საქმეში, სადაც ჟურნალისტები სასამართლო სისტემის წევრების მკვეთრი კრიტიკით გამოვიდნენ. აღნიშნულ საქმეში ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ჟურნალისტების დასჯა წარმოადგენდა დაუსაბუთებელ ჩარევას, რადგანაც ამ კონკრეტული სასამართლო საქმის მიმართ ძალიან მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა.

დე ჰაესისა და გიჯსელსის საქმე¹⁶³ სასამართლოს წინაშე დასვა საკითხი პრესის თავისუფლებისა და სამართალწარმოების მონაწილეთა უფლებების დაცვის დაბალანსების შესახებ. მოსარჩლე ჟურნალისტებმა გაზეთის მეშვეობით განიხილეს სასამართლოში მიმდინარე პროცესი. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები მათ ხუთ სტატიაში გააკრიტიკეს გესლიანი ტერმინებით. საქმე ეხებოდა განქორწინებას, რომელშიც სააპელაციო სასამართლომ ბავშვები მამას მიაკუთვნა. სამმა მოსამართლემ და პროკურორმა გაზეთის ორ ჟურნალისტს უჩივლეს და ცილისმწამებლური განცხადებების გამო ზიანის ანაზღაურება მოითხოვეს სამოქალაქო სამართლებრივი წესით. სამოქალაქო სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ ამ ორმა ჟურნალისტმა ძლიერი ეჭვის ქვეშ დააყენა მოსამართლეების მიუკერძოებლობა, რადგან მათ სასამართლოს დააბრალეს ნოტარიუსთან ახლო პოლიტიკური კავშირების გამო საქმის გადაწყვეტა მის სასარგებლოდ. ჟურნალისტებს დაევალიათ ზიანის ანაზღაურება (სიმბოლური თანხით) და სასამართლო გადაწყვეტილების საკუთარი ხარჯებით დაბეჭდვა ექვს გაზეთში. ჟურნალისტებმა ევროპულ სასამართლოს მიმართეს და განაცხადეს, რომ დაირღვა მე-10 მუხლი. სასამართლომ გააცნობიერა, რომ მოსამართლეები უნდა სარგებლობდნენ საზოგადოებრივი ნდობით და, მაშასადამე, ისინი უნდა იყვნენ დაცულნი ფაქტობრივი საფუძვლის არმქონე დესტრუქციული თავდასხმებისაგან. უფრო მეტიც, რადგანაც მათ დისკრეციული ვალდებულება აქვთ, მოსამართლეებს არ შეუძლიათ, საჯაროდ უპასუხონ უამრავ თავდასხმას მაშინ, როცა, მაგალითად, პოლიტიკოსებისთვის ეს პრობლემა არ არსებობს. შემდგომ სასამართლომ განიხილა სტატიები და აღნიშნა, რომ მათში მოცემულია ბევრი დეტალი, მათ შორის, ექსპერტების მოსაზრებები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჟურნალისტებმა სერიოზული გამოძიება ჩაატარეს, ვიდრე ამ საკითხს საჯაროდ გამოიტანდნენ. ეს სტატიები მხოლოდ ნაწილი იყო სასამართლოს მიერ ინცესტის საქმის გადაწყვეტის შესახებ საზოგადოებაში გამართული საჯარო დებატებისა.

¹⁶³ იხ. კარი II, თავი II, გვ. 310.

ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოების გადანყვეტილება არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და, მაშასადამე, წარმოადგენდა მე-10 მუხლის დარღვევას. სასამართლოს მიერ მიღებული მეორე მნიშვნელოვანი განცხადება ეხებოდა ნოტარიუსის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის გადანყვეტილების მნიშვნელობას. ეყრდნობოდა რა მართლმსაჯულების ადმინისტრირების საჯარო ხასიათს, სასამართლომ განაცხადა, რომ შესაძლებელია, სასამართლო გადანყვეტილებები იყოს საჯარო განხილვის საგანი. სასამართლოს მიერ გადანყვეტილების მიღების ფაქტი არ წარმოადგენს დაბრკოლებას ჟურნალისტისთვის, გამოიძიოს ან გააკრიტიკოს აღნიშნული ფაქტები და გადანყვეტილებები.

პირადი ცხოვრების საიდუმლოება

ამ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ ევროსასამართლოს იურისპრუდენციას, რომელიც ჩამოყალიბდა გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის კონტექსტში. ჩვენ ასევე ნაწილობრივ შევეხებით იმას, თუ როგორ არის დაცული პირადი ცხოვრების საიდუმლოება ინგლისში (პირადი ცხოვრების საიდუმლოების მარეგულირებელი სპეციალური კანონის არარსებობა). ჩვენ ასევე მიმოვიხილავთ ჟურნალისტების უფლებას და ავტონომიას, დაიცვან კონფიდენციალური წყაროს ანონიმურობა ევროკონვენციის მე-10 მუხლის კონტექსტში. შემდეგ ჩვენ შევეხებით მე-8 მუხლს. მისი უმთავრესი დანიშნულებაა, შეზღუდოს საჯარო ხელისუფლება პირად ცხოვრებასა და კონფიდენციალობაში ჩარევისაგან. ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ იცავს ეს ასპექტი მედიას, მაგრამ ამავე დროს მასვე როგორ შეუძლია დააკისროს ახალი ვალდებულებები იმ მედია საშუალებებს, რომლებიც შესაძლოა, მიიჩნიონ „საჯარო უფლებამოსილების მატარებლად“ (იგულისხმება სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ტელევიზია; მაგ.: ბი-ბი-სი). ბოლოს ჩვენ მივუბრუნდებით იმას, თუ როგორ აკისრებს მე-8 მუხლი სახელმწიფოებს პოზიტიურ ვალდებულებას განავითაროს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კანონები, რომლებიც შეზღუდავს მათ შორის „არასახელმწიფო მედიას“ მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევისაგან.

ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და საოჯახო ცხოვრებას, მის სახლსა და კორესპონდენციებს. აღნიშნული გარანტია გათვალისწინებულია ევროკონვენციის მე-8 მუხლით. სახელმწიფო ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს ამ უფლების განხორციელებაში იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც ეს კანონით დასაშვებია და წარმოადგენს აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის ან ქვეყნის კეთილდღე-

ობის ინტერესებიდან გამომდინარე; დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების, ჯანმრთელობის ან მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.

„სახელმწიფო ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს...“ – უთითებს, იმ გარანტიის შესახებ, რომლითაც სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდულია, ჩაერიოს პირადი ცხოვრების საიდუმლოებაში. ეს სრულ შესაბამისობაშია თავად ევროკონვენციასთანაც, რომელიც თავისთავად წარმოადგენს სახელმწიფოებს შორის დადებულ ხელშეკრულებას. ერთი შეხედვით, შეიძლება ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს, თუ ვიტყვით, რომ ზემოთ მოყვანილ დებულებას გააჩნია პირდაპირი შეხება მედიაში მომუშავე ჟურნალისტებისათვისაც, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი არ წარმოადგენენ „სახელმწიფო ხელისუფლებას“.

მედია შესაძლოა, წარმოადგენდეს ბენეფიციარს იმ დაცვისაგან, რომელსაც აწესებს ევროკონვენციის მე-8 მუხლი სახელმწიფოს მხრიდან პირად ცხოვრებაში ჩარევის შეზღუდვის თვალსაზრისით. მე-8(1) მუხლი გამოიყენება არა მარტო საოჯახო, არამედ სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვისთვისაც. ამდენად, მაგალითად, ტერმინი „კორესპონდენცია“ თანაბრად ესადაგება როგორც სამსახურებრივ, ისე პერსონალურ კორესპონდენციას. ის აღნიშნავს ასევე როგორც საფოსტო გზავნილებს, ისე სატელეფონო საუბრებს. არ არსებობს რაიმე სანინალმდეგო მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ არ უნდა ეხებოდეს ის ელექტრონულ ფოსტასაც. შესაბამისად, პოლიციის მიერ მედია საშუალებების სათავსოების ჩხრეკა ან მედიის კუთვნილი დოკუმენტების ამოღება უნდა პასუხობდეს მე-8(2) მუხლის მიერ დადგენილ მოთხოვნებს. ანალოგიურად 10-ე მუხლისა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში ჩარევა არა მარტო განპირობებული უნდა იყოს მე-2 პუნქტში მითითებული რომელიმე ლეგიტიმური მიზნით, არამედ ის ასევე შესაბამისობაში უნდა იყოს კანონთან. აღნიშნული პრინციპი დაარღვია ბრიტანეთის პოლიციამ მელოუნის¹⁶⁴ საქმეში, როდესაც მან უკანონოდ მოახდინა სატელეფონო საუბრის მოსმენა და ჩანერა. შესაბამისად, ევროკომისიამ დაადგინა, რომ სახეზე იყო მე-8 მუხლის დარღვევა. ჩარევა ასევე „აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ამას კი, თავის მხრივ, მოქმედებაში მოჰყავს პროპორციულობის მოთხოვნა, რომლის გამოც ჩხრეკის ან ამოღების ძალზედ ფართო სასამართლო ბრძანებები შეუთავსებელია მე-8 მუხლთან¹⁶⁵.

¹⁶⁴ Malone v. UK. 1984.

¹⁶⁵ Funke v. France, 25 February, 1993; "Niemitz V Germany", 1992; Camenzind v. Switzerland, 16 December, 1997. Cappell v. UK, 30 March, 1989.

შესაძლოა, მოხდეს ისიც, რომ მედიამ ასევე სავსებით მართლზომიერად განაცხადოს, რომ პოლიციის მიერ განხორციელებული ჩხრეკა ლახავს მათ უფლებას პირად ცხოვრებაზე, რომელიც გარანტირებულია ევროკონვენციის მე-8 მუხლით და ასევე წარმოადგენს ჩარევას მათი სიტყვის თავისუფლებაში.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა საზოგადოებრივი მაუწყებლების მხრიდან

წინა თავში ჩვენ განვიხილეთ ტერმინის – „საჯარო ხელისუფლება“ – მნიშვნელობა. ჩვენ დავინახეთ, რომ მასში შეიძლება ასევე მოიაზრებოდეს ზოგიერთი მედია ორგანიზაცია, რომელთა უშუალო მფლობელს წარმოადგენს სახელმწიფო – მაგალითად, როგორცაა დიდ ბრიტანეთში ბი-ბი-სი და მე-4 არხი. მე-8(2) მუხლი დასაშვებად მიიჩნევს ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას. თუმცა, იმავე მუხლის I პუნქტი ეხება ყველას, ვისაც კი გააჩნია უფლება, პატივი სცენ მის პირად და საოჯახო ცხოვრებას. როგორც ევროსასამართლომ ერთ-ერთ საქმეში¹⁶⁶ განაცხადა:

„მე-8 მუხლის პირდაპირი დანიშნულებაა სახელმწიფო ხელისუფლების პირებისგან ინდივიდის დაცვა, თუმცა მიუხედავად ამ პირდაპირი ნეგატიური აკრძალვისა, სახელმწიფოებს ეკისრებათ ასევე პოზიტიური ვალდებულება, ეფექტურად დაიცვან ინდივიდი მის პირად ან საოჯახო ცხოვრებაში შეჭრისაგან. ეს მოვალეობა შეიძლება მოიცავდეს იმგვარი ზომების მიღებას, რომლებიც გამიზნული იქნება პირადი ცხოვრების პატივისცემის უზრუნველყოფისათვის, მათ შორის თავად ინდივიდებს შორის ურთიერთობის სფეროში“.

„პოზიტიური ვალდებულების“ ცნებას სასამართლო განსაკუთრებით ხშირად უხმობს ევროკონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებულ საქმეებში. სასამართლომ, მაგალითად, დაადგინა, რომ აუცილებელია არსებობდეს სისხლის სამართლებრივი სასჯელები იმათ მიმართ, ვინც ახორციელებს სექსუალურ ძალადობას ფსიქიკურად დაავადებული ქალის მიმართ; სასამართლომ ასევე საჭიროდ ჩათვალა, რომ სახელმწიფომ გადადგა პოზიტიური ნაბიჯები უკანონოდ დაბადებულ ბავშვთა ოჯახებში სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის¹⁶⁷; სასამართლომ პოზიტიურ ვალდებულებად შეაფასა სახელმწიფოს მოვალეობა, უზრუნველყოს ინფორმაციის გაცემა გარემოს დაბინძურებით დაზიანებულ პირთათვის¹⁶⁸ და

¹⁶⁶ X and Y v. Netherlands, 25 February, 1993.

¹⁶⁷ Marckx v. Belgium (1979).

¹⁶⁸ Guerra and others v. Italy (1998).

ასევე ევროკონვენციის 10-ე მუხლის ძალით, გაუწიოს სათანადო დახმარება სატელევიზიო პროდიუსერს, რომელიც გაათავისუფლეს სამსახურიდან რადიოეთერის მეშვეობით მისი მენეჯერის კრიტიკის გამო¹⁶⁹.

დიდი ბრიტანეთის სამართალში პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის შესახებ კანონის არარსებობა შეუთავსებელია ევროკონვენციის მე-8 მუხლთან და შესაბამისად, არღვევს პირადი ცხოვრების საიდუმლოებაზე დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის უფლებას. საქმეში *ვაინერი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ* (1986), განმცხადებელი ასაჩივრებდა ნიგნის პუბლიკაციას, სადაც მას ბრალი ედებოდა სამხრეთ აფრიკის საიდუმლო სამსახურის აგენტობაში და მითითებული იყო ასევე მისი და მისი მეუღლის პირადი ცხოვრების ინტიმური დეტალები. კომისიამ არ დააკმაყოფილა საჩივარი. იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლებმა წამოიწყეს დიფამაციის შესახებ საქმის წარმოება, კომისიამ დაასკვნა, რომ ინგლისის სამართალი არ ავლენდა რაიმენაირ უპატივცემულობას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვასთან დაკავშირებით. ამგვარადვე, ევროკომისიამ არ დააკმაყოფილა მურების მკვლელის, იან ბრედის, საჩივარი იმის თაობაზე, რომ დიდმა ბრიტანეთმა დაარღვია პოზიტიური ვალდებულება, როდესაც არ დაიცვა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მედიის მიერ არასწორი ცნობების გავრცელებისაგან. მისი ქალიშვილის მონათხრობზე დაყრდნობით, ნაციონალურმა გაზეთმა დაბეჭდა სტატია, სადაც იგი ბრალს სდებდა ბრედს ქალიშვილის მიმართ მისი ციხეში მონახულებისას განხორციელებულ ძალადობაში. ბრედიმ განაცხადა, რომ სტატია წარმოადგენდა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას. კომისია დაეთანხმა მთავრობის მოსაზრებას, რომლის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს სპეციალური კანონი პირადი ცხოვრების საიდუმლოების დასაცავად, ისეთი კონკრეტული მექანიზმები, როგორცაა პროცედურები დიფამაციისა და სხვა ცრუ ინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ, უზრუნველყოფენ გარკვეულ დაცვას. ბრედს ურჩიეს, ხელი აეღო დიფამაციის შესახებ სარჩელის შეტანაზე, რადგან მას საერთოდ არ გააჩნდა რეპუტაცია, რომელსაც დაიცავდა.

მედია ინტერვენცია:

დუგლასი Hello-ს წინააღმდეგ!

მაიკლ დუგლასისა და კეტრინ ზეტა ჯონსის 250 კაციანი ქორწილი ნიუ იორკის სასტუმრო პლაზაში იქცა ნამდვილ მოვლენად. თუმცა წყვილმა აუკრძალა ყველა რეპორტიორს სურათის გადაღება, რადგან ქორწილის ამსახველი ფოტოების გა-

¹⁶⁹ იხ. ფუნტეს ბობო ესპანეთის წინააღმდეგ, კარი II, თავი II, გვ. 329..

დაღების ექსკლუზიური უფლება მიანიჭა მხოლოდ ჟურნალს – *OK!*-ს. მეორე დღეს მათ შემთხვევით გაიგეს, რომ ქორნილის ამსახველი სურათების გამოქვეყნებას აპირებდა ასევე ჟურნალი *Hello!* წყვილმა და *OK!*-მ სასამართლოს მეშვეობით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დროებით აუკრძალეს ჟურნალს ფოტოების დაბეჭდვა. თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება სასწრაფო წესით გაასაჩივრა *Hello!*-მ, რასაც შედეგად მოჰყვა ბრძანების გაუქმება.

სასამართლოს მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ პუბლიკაციის აკრძალვის მომენტი-სათვის ჟურნალი აპირებდა ნომრის დაბეჭდვას. შესაბამისად, ის ზარალი, რასაც ჟურნალი სავარაუდოდ განიცდიდა, იქნებოდა უზარმაზარი და ამავე დროს ძნელად დასაანგარიშებელი. ამას თუ შევადარებთ იმ ზარალს, რასაც სავარაუდოდ განიცდიდა *OK!*, თანხა იქნებოდა გაცილებით ადვილად გამოსათვლელი. ხოლო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ან კონფიდენციალურობის დაცვის ის დონე, რაც წყვილს გააჩნდა, არ იყო საკმარისი იმისათვის, რათა სასამართლოს მეშვეობით *Hello!*-სთვის წინასწარ აეკრძალათ ფოტოების გამოქვეყნება.

კომერციული გამოხატვა

ევროსასამართლომ გამოიკვლია შიდა ლონისძიებები, რომლებიც აწესებდა შეზღუდვებს საბაზრო ეკონომიკის რეგულირებისათვის. ამასთან, მთელ რიგ შემთხვევებში, ხსენებულ გამონათქვამებს სასამართლომ „კომერციული ხასიათის ინფორმაცია“ უწოდა. ეს ფრიად ფართო ტერმინი საკუთარ თავში მოიცავს არამარტო კომერციულ რეკლამას, არამედ განცხადებებს, რომლებიც სთავაზობენ კომერციულ ტრანსაქციებს, ან მიზნად ისახავენ, გავლენა მოახდინონ მათ მიმდინარეობაზე.

თუმცა გამონათქვამების აღიარება კომერციული ხასიათის ინფორმაციად, არ ტოვებს მათ მე-10 მუხლის მოქმედების მიღმა. ასეთ დათქმას, შესაძლოა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს კონკრეტული საქმის დასასრულისთვის, რადგანაც სასამართლო ეროვნულ ხელისუფლებას ანიჭებს დისკრეციის მნიშვნელოვან თავისუფლებას კომერციული ხასიათის ინფორმაციის მოსაწესრიგებლად.

თავისი ზოგადი მიდგომის შესაბამისად, ევროსასამართლო „კომერციული ხასიათის ინფორმაცია“ მიიჩნევს გამოხატვის იმ ფორმად, რომელიც მე-10 მუხლით დაცული უფლებების სფეროს განეკუთვნება¹⁷⁰. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ სპეციალურად დაადგინა, რომ მე-10(1) მუხლი არ გამოორიცხავს კომერციულ რეკლამას, ე.ი. ინფორმაციას, რომლის ერთადერთი მიზანია, „მოიზიდოს“ მომხმარებელი მოგების მიღების მიზნით¹⁷¹. ამიტომაც, რეგულირების შიდა ზო-

¹⁷⁰ იხ. Markt Intern Verlag GmbH-ი და კლაუს ბირბანი გერმანიის წინააღმდეგ. კარი II, თავი I. გვ. 278. თუმცა სადავო სტატია „კომერსანტების შეზღუდულ წრეს ეგზავნებოდა და პირდაპირ არ ეხებოდა საზოგადოებას მთლიანად“, მაინც არ შეიძლება გამოვრიცხოთ მე-10(1) მუხლის მოქმედების სფეროდან.

¹⁷¹ იხ. კასადო კოკას საქმე. მე-10(1) მუხლი არ ადგენს განსხვავებას იმის მიხედვით, განზრახული ჰქონდა თუ არა აზრის გამოხატველ პირს მოგების მიღება.

მები სასამართლოს მიერ განიხილება, როგორც მე-10 მუხლით დაცული ჩარევა.

იმის შეფასების დროს – ემსახურება თუ არა კომერციულ გამონათქვამებში ჩარევა მე-10(2) მუხლით დაცულ მართლზომიერ მიზანს –სასამართლომ ფართო განმარტება მისცა ფრაზას: „სხვა პირთა რეპუტაცია და უფლებები“, ჩართო რა მასში კომერციული ორგანიზაციების ინტერესები. მაგალითად, საქმეში *მარკტ ინტერნი*, სასამართლომ დაადგინა, რომ გერმანელი მოსამართლეების მიერ გამოტანილი განკარგულება იმ პუბლიკაციის აკრძალვის შესახებ, რომელიც ეხებოდა ფირმის კომერციულ პოლიტიკას კოსმეტიკის საფოსტო წესით გაყიდვის შესახებ – და შეეძლო ზარალი მოეტანა ამ ფირმის საქმიანობისთვის – არ წარმოადგენდა ევროკონვენციის 10-ე მუხლის დარღვევას. სხვა საქმეში *ჰარტელი შვეიცარიის წინააღმდეგ* სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ შვეიცარიელი მოსამართლეების მიერ გამოტანილი განკარგულება იმ პუბლიკაციის აკრძალვის თაობაზე, რომელიც ამტკიცებდა, რომ მიკროტალღოვან ღუმელში მომზადებული საკვები საშიშია ჯანმრთელობისთვის, მიზნად ისახავდა სავაჭრო ასოციაციის ცალკეული წევრი კომპანიების „უფლებების“ დაცვას, რომლებიც ცდილობდნენ აკრძალვის შესახებ სასამართლო განჩინების მიღწევას¹⁷². მართლაც, უფრო ფართო განმარტება „სხვა პირთა უფლებების“ შესახებ გამოყენებულ იქნა ოდნავ სხვა კონტექსტში – ესპანური კანონების განხილვისას, რომლებიც ადვოკატებს უკრძალავდა საკუთარი პროფესიული საქმიანობის რეკლამირებას: ესპანეთის მიერ წარმოდგენილი საბუთები, რომ პროფესიული საქმიანობის რეკლამირების აკრძალვა ნაწილობრივ ემსახურება „საზოგადოებისა და ადვოკატთა კოლეგიის სხვა წევრების უფლებების“ დაცვას, ევროსასამართლომ მოიწონა და მიიჩნია ის მართლზომიერ მიზნად.

სასამართლოს მიდგომის თაობაზე მართლზომიერი მიზნის საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა ორი ფაქტორის აღნიშვნა: პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ

¹⁷² *ჰარტელის საქმეში შვეიცარიელმა მოსამართლეებმა მხარი დაუჭირეს შვეიცარიელი მწარმოებლებისა და მიმწოდებლების აზრს, რომ კრიტიკული მასალის გამოქვეყნება მათი წევრების ინტერესებს ზიანს მოუტანდა. ევროსასამართლომ შენიშნა, რომ 1986 წ. 19 დეკემბრის შვეიცარიის ფედერალური კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ „მიზნად ისახავს რეალური, სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფას ყველა დაინტერესებული მხარისათვის“ და რომ პირს, რომელიც იძულებულია, აიტანოს „თავისი კეთილი სახელის, პროფესიული რეპუტაციის, საქმიანი ან მთლიანად ეკონომიკური ინტერესების შელახვა“ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მოქმედებით, ან რომელსაც ასეთი ზიანის საშიშროება ემუქრება, შეუძლია, მიმართოს სასამართლოს, რათა მან აღკვეთოს მსგავსი ქმედებები.*

მთელ რიგ შემთხვევებში ევროსასამართლომ მკაფიოდ გადმოსცა ეს მიდგომა იმ საქმეების კონტექსტში, სადაც ეროვნული ხელისუფლება თავის ქმედებებში ხელმძღვანელობდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონებით. ევროსასამართლოს დასკვნა ამგვარი კანონების მართლზომიერების შესახებ დაფუძნებულია ცალკეული კომერციული ორგანიზაციების „უფლებაზე“ – მიმართონ ამ კანონებით გათვალისწინებულ დაცვას. ევროსასამართლოს არ დაუდგენია, რომ ბაზრის რეგულირების ამოცანა მთლიანად წარმოადგენს მე-10(2) მუხლის დაცვის ქვეშ მოქცეულ მართლზომიერ მიზანს. შვეიცარიის მთავრობამ ჰარტელის საქმეზე ასეთი მიდგომა აიჩინა:

„მომჩივანზე დაკისრებული აკრძალვა მიზნად ისახავდა მომხმარებლისა და მიმწოდებლის დაცვას ცრუ და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელებისგან ბაზარზე შეთავაზებული საქონლისა და მომსახურების ხასიათის შესახებ. ამგვარად, ის მიმართული იყო მხოლოდ „სხვა პირთა უფლებების“ დაცვისკენ, მაგრამ, ამავე დროს, აუცილებელი იყო „ეკონომიკური“ არეულობის თავიდან ასაცილებლად“.

თუმცა ევროსასამართლომ გადაჭრით არ უკუაგდო ეს თვალსაზრისი, თავის დასკვნაში მან მხოლოდ „სხვა პირთა უფლებების დაცვის“ მართლზომიერი მიზანი დაიმონმა. საქმეში მარკტ ინტერნი გერმანიამ შემოთავაზებული მართლზომიერი მიზნის სახით თავდაპირველად „არეულობების თავიდან აცილებაზე“ მიუთითა, მაგრამ შემდგომში ეს მოსაზრება აღარ დაუცვია.

მეორე მოსაზრება: იურისპრუდენციის მიზნებისთვის მე-10 მუხლის მიხედვით სასამართლოს მიდგომა ადგილს უთმობს უფრო ზოგად პრინციპს: „სხვა პირთა უფლებები“ შესაძლოა, საკუთარ თავში მოიცავდნენ არა მხოლოდ თვით ევროსასამართლოს მიერ აღიარებულ ფუნდამენტურ უფლებებს, არამედ – შიდა კანონმდებლობით დადგენილ კანონიერ უფლებებსაც. მართლაც, საადვოკატო პრაქტიკის რეკლამირების შემთხვევაში სასამართლო, როგორც ჩანს, დაეყრდნო საზოგადოების ბუნდოვნად განსაზღვრულ „უფლებას“, რომელიც ეფუძნებოდა არა კანონმდებლობის მკაფიოდ გამოხატულ ნორმებს, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის ზოგად მოსაზრებებს¹⁷³. მაგალითად, გერმანიიდან წასული ერთ-ერთი საქმე ეხებოდა ქირურგის სარეკლამო განცხადებას ადგილობრივ გაზეთში და ასევე ინტერვიუს, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ ქალაქში არ არსებობდა ღამის სასწრაფო ვეტერინარული სამსახური. მომჩივანმა მიუთითა, რომ მისი კლინიკა ერთადერთია, რომელიც ღამის ვეტერინარულ მომსახურებას სთავაზობდა მოსახლეობას. აღნიშნული განცხადება საფუძვლად დაედო მის წინააღმდეგ სამოქა-

¹⁷³ კასადო კოკას საქმე.

ლაქო საქმის წამოწყებას. მას ბრალი ედებათ პროფესიული ეთიკის ნორმებისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონის დარღვევაში. შედეგად, მას აეკრძალა მსგავსი შინაარსის შემცველი განცხადებების გაკეთება. ევროსასამართლომ უარყო მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტი იმის თაობაზე, თითქოს კომერციული გამოხატვა არ არის დაცული კონვენციის მე-10 მუხლით. სადავო გამოხატვაში მოცემული იყო ინფორმაცია და შეხედულება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ამ საქმეში დაარღვია ე.წ. „სამწვერა ტესტის“ ბოლო ნაწილი, რომლის თანახმად, ჩარევა „აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებისათვის“.

ამავე დროს, ევროსასამართლომ აღიარა, რომ გამონათქვამები, რომლებიც კლასიფიცირებულია კომერციული ხასიათის ინფორმაციად, შესაძლოა, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე დისკუსიის ნაწილად იქცეს და რომ ასეთ ვითარებაში დისკუსიის თავისუფლება ვინროვდება. მაგალითად, „ჰარტელის“ საქმეში სასამართლომ დაასკვნა:

„მიუხედავად ამისა, აუცილებელია დისკრეციის თავისუფლების ფარგლების შეკვეცა, როდესაც დაცვის საგანი ხდება არა მოცემული პირის წმინდა „კომერციული“ გამონათქვამი, არამედ მისი მონაწილეობა საზოგადო ინტერესის შემცველი საკითხის განხილვისას, მაგალითად – საქმის ვითარება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ამ შემთხვევაში, ვერ უარვყოფთ, რომ ადგილი ჰქონდა მსგავს განხილვას: საკითხი ეხებოდა მიკრობალოვანი ღუმელების ზემოქმედებას ადამიანის ჯანმრთელობაზე (სინამდვილეში, განხილვის ერთადერთი თემა იყო დასკვნები, რომლებიც გაკეთდა ბ-ნ ჰარტელის გამოკვლევების შედეგად და წარმოდგენილ იქნა ჟურნალ „ფრანც ვებერის“ მე-19 ნომერში, და არა თავად გამოკვლევების მთავარი თემა). ამ მიმართებით მოცემული საქმე არსებითად განსხვავდება „მარკტ ინტერნისა“ და „იაკუბოვსკის“ საქმეებისგან“.

შემდგომში სასამართლომ დაასკვნა, რომ „ჰარტელის“ საქმეში არსებული კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, შვეიცარიის ქმედებები შეუსაბამო იყო და ამიტომ არღვევდა მე-10 მუხლით დაცულ უფლებებს.